

პროლეტარებო ეველა ქვეუნისა, შვერდილთ

მორის ღობი

კაკიტალისტური მეურნეობის წარმოშობა და განვითარება

თარგმანი პ. მუხუშვილის

საქართველოს საზინანსო-კომკაპიტული ინსტიტუტის გამოცემა

№ 3

თბილისი
1931

სახელგამის მე-2 სტამბა
ლენინის ქუჩა № 3.
შეკვ. №15 ტირ. 1.000.
მთავლიტი 337.

ავტორის წინასიტყვაობა რუსული საზოგადოებისათვის.

წინამდებარე გამოკვლევა თავდაპირველად წარმოადგენდა უფრო ფართო თეორიული ნაშრომის ერთ ნაწილს, რომელიც გამოქვეყნდა ლონდონს 1925 წ. სათაურით: *Capitalistic enterprise and social progress*“. ეს თხზულება დაწერილი იყო ლონდონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მისაღებ დისერტაციად, რის გამოც მას არსებითი ანგარიში უნდა გაეწია აკადემიურ მოთხოვნისა და დაკმაყოფილებისათვის. ამით აიხსნება მარქსისტული თეორიისა და სოციალისტური ზოგიერთი ნაკლი წინამდებარე თხზულებისა, და განსაკუთრებით კი მისი უკანასკნელი თავისა. პირველ ხანებში ჩემი განზრახვა იყო რუსული გამოცემისათვის ხსენებული თავი ხელახლა დამეწერა. მაგრამ, არ მსურდა რა გამოცემის შეფერხება, მე იძულებული გაეხდი მის მხოლოდ გადაშინჯვასა და შესწორებას დაეჯერებოდი.

ჩემს მიერ ამ წიგნში მოცემული კაპიტალიზმის ზრდის ანალიზი ინგლისში, მე მგონია; მნიშვნელოვან ინტერესს უნდა წარმოადგენდეს. მას განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს იმ ფონის შესასწავლად, რომელზედაც კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ხდებოდა. სასარგებლო იქნება იგი აგრეთვე კოლონიალური ქვეყნების იმ ამბების შესასწავლადაც, რომელიც ამჟამად ხდება და რომელთაც იგივე ხასიათი აქვთ. ჩვენ ვიზიარებთ, როგორც საყოველთაოს, იმ აზრს, რომ ბურჟუაზია შედგება სხვადასხვაგვარი ფენებისაგან, რომელთაც სხვადასხვა ინტერესები აქვთ და დანარჩენ კლასებთან სხვადასხვანაირ მიმართებებში იმყოფებიან. ბურჟუაზიის ამ ფენებიდან ზოგი იმპერიალიზმისაკენ, და ზოგიც კიდევ ფეოდალიზმისაკენ მიიწევს. ინგლისის ისტორიაში ჩვენ ვამჩნევთ ფენათა ისეთსავე მრავალფეროვნებას, როგორსაც ამჟამად კოლონიალურ ქვეყნებში. ეს სხვადასხვა ფენა სხვადასხვანაირად უტკერის ფეოდალიზმს. მაგრამ ინგლისში ამ სხვადასხვაგვარ ფენათა გაჩენა უფრო ხანგრძლივი პერიოდებით იყო ერთმანეთისაგან დაშორებული. და როგორც შედეგი ამისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სხვადასხვა ეტაპები უფრო ნათლად იყო ჩამოყალიბებული და უფრო დიდხანსაც გრძელდებოდა.

ახალი რამ, რასაც ჩემს წიგნში ყურადღება მივაქციე, მე ვფიქრობ, არის შემდეგი:

ჯერ ერთი, აქამდე საყოველთაოდ მიღებული იყო ის აზრი, რომ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის გარდამტეხ პერიოდს წარმოადგენდა მე-XVII საუკუნე; მე-XIX საუკუნემ კი მხოლოდ მოათავა ეს რევოლუცია. მაგრამ ეს ფორმულა ძალიან ამარტივებს საქმეს. ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაზას წარმოადგენს ქალაქთა ბრძოლა ადგილობრივი თვითმართველობისათვის მე-**XIV** და **XV** საუკუნეებში. ჩემის აზრით, „ალისფერ“ და „თეთრ ვარდთა“ ომისა და ტახტზე ტიულდორების ასელის დროისათვის უმთავრესი მბრძანებელი მაღლობები გადავიდა იმ საეპქრო ბურჟუაზიის ზედაფენების ხელში, რომელიც დარაზმული იყო მსხვილ პრივილეგიან კომპანიებად. ეს ერთგვარი კომპრომისი იყო ფეოდალიზმთან. ფეოდალური საზოგადოების „სამოსელი“ კვლავ დარჩა, მაგრამ არსად ისე სუსტი არ ყოფილა ფეოდალიზმი, როგორც ბრიტანეთში. ტიულდორთა არისტოკრატის ძირითადი მასა—ახალი არისტოკრატია იყო და ბურჟუაზიის ყველაზე მდიდარ წევრთაგან შედგებოდა, რომელთაც ხელთ ეგდოთ მიწები და ტიტულები. ბურჟუაზიული რევოლუციის ამ პირველი მნიშვნელოვანი ფაზისის შედეგი იყო: ბურჟუაზიულ-ნაციონალური სახელმწიფოს აღმოცენება და კომერციული პროგრესის ხანის დადგომა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი და ნიდერლანდები; ხოლო იმავე დროს საშუალო საუკუნოებრივი წყობილება შეინარჩუნეს ისეთ ქვეყნებში, როგორიც იყვნენ—გერმანია, ესპანეთი და იტალია. ამ თვალსაზრისით, მე-**XVII** საუკუნის მოვლენებს წარმოადგენს ბურჟუაზიის ახალი ფენების ბრძოლა ტიულდორთა არისტოკრატის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროისათვის უკვე კონსერვატიული გამხდარიყო. ამ ახალმა ფენებმა მიიღწიეს რა ნანატრ პრივილეგიებს და ხელთ იგდეს რა მიწები, გადაიქცნენ ვივთა არისტოკრატებად მე-**XVIII** საუკუნეში, რომელთა წინააღმდეგაც მე-**XIX** საუკუნის დამდეგს „მეტოქრები“, ლანკაშირელი მრეწველ-კაპიტალისტები, თავიანთ ლიბერალურ-დემოკრატიულ აგიტაციას აწარმოებდნენ. სხვა ქვეყნებში: გერმანიასა, იტალიასა, ავსტრიაში, ნაწილობრივ აგრეთვე საფრანგეთში, ბურჟუაზიული რევოლუციის ეს ცალკე ეტაპები ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გადაეხლადნენ და, ამნაირად, უფრო მძლავრი და სწრაფი ხასიათისანი შეიქმნენ.

მეორე მხრით, მე ხაზი გაუუსვი გილდიათა და კომერციულ კომპანიათა მიერ მოპოებული მონოპოლიების მნიშვნელობას, როგორც „პირვანდელი დაგროვების“ მნიშვნელოვან ფორმას. ხაზი გაუუსვი აგრეთვე მერკანტილიზმის მნიშვნელობას, რომელსაც საეპქრო კაპიტალის ინტერესებისათვის, როგორც ნაციონალური მონოპოლიის სისტემას, ბურჟუაზიული სახელმწიფო ანხორციელებდა.

მესამე მხრით მე მგონია, რომ არსებობს განსაზღვრული პარალელი მე-**XIV** საუკ. ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობასა, ფლანდრიასა და ჰანზასთან მის დამოკიდებულებასა, მე-**XV** საუკუნეში ინგლისის ნაციონალიზმის გაძლიერებასა და თანამედროვე ნახევრად-კოლონიალურ ქვეყნების მდგომარეობას შორის. ასე, მაგალითად არსებობს პარალელი „ფოლადის ქარავასლასა“ და თანამედროვე ხელშეკრულებითი ნავთსადგურებსა და კაპიტულაციებს შორის სახელმწიფოების უცხოელ სალომბარლო კრედიტორებთან ანუ ფრესკობაღლისადმი დამოკიდებულებასა, და ლონდონისა და ნიუ-იორკის საფინანსო სინდიკატებისადმი თანამედროვე აგრარული ქვეყნების მთავრობათა დამოკიდებულებას შორის.

მეოთხე მხრივ, მე განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე მანუფაქტურულის წინაპერიოდში კაპიტალისტური წარმოების მდგომარეობას, როდესაც დამკირავებელთა და მუშათა შორის ურთიერთობამ უკვე თანამედროვე ფორმა მი-

ილო იმ გამონაკლისით, რომ წარმოებაში ჩაბმული მუშები ჯერ კიდევ არ გადაქცეულიყვნენ მანქანების დამატებად.

შეიძლება სხვადასხვანაირად შეაფასონ ჩემი ხერხი თბრობისა. ჩემი უმთავრესი მიზანი კი იყო რაც შეიძლება უხედავად მომეზიდა მასალა ინგლისის ეკონომიური ისტორიის შესახებ დაწერილი უახლესი თხზულებებიდან. როგორც ინგლისის, ისე რუსეთის მეცნიერებმა დიდი ხანი როდია, რაც ხელი მოჰკიდეს ინგლისში კაპიტალიზმის განვითარების შესწავლას და მუშაობის დამთავრება ჯერ შორსაა. ზოგიერთ ბნელ მხარეებს განსაკუთრებით დიდი ნათელი მოჰქონეს მანჩესტერელი პროფესორ ენეინისა და მისი მოწაფეების ახლახან გამოსულმა ნაშრომებმა. მაგრამ ჯერ ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი, განსაკუთრებით მე-XVII და მე-XVIII საუკუნეთა შესასწავლად. მე ჩემი ნაშრომის განსაკუთრებული ორიგინალობის პრეტენზიას არ ვაცხადებ; მე მხოლოდ შევეცადე დამეგროვებინა და ანალიზი გამეკეთებინა მასალისათვის. მაგრამ ვინაიდან ინგლისში მარქსისტი-მეცნიერნი ძლიერ ცოტანი, — შეიძლება კიდევ ითქვას, რომ უმნიშვნელო რაოდენობით არიან, — უახლოეს წლებში მათი უმთავრეს ამოცანად, ალბათ, მხოლოდ არსებული მასალების კრიტიკული გადამუშავება იქნება.

მორის დობზი.

კემბრიჯის უნივერსიტეტი,
1929 წ. აპრილი



თავი პირველი.

საქალაქო ვაჭრობის წარმოშობა.

როდესაც იწყებ რომელიმე ინსტიტუტის განვითარების ისტორიის მოთხრობას, ყოველთვის წააწყდები ხოლმე დამბრკოლებას, თუ სახელდობრ რომელი მომენტიდან სჯობია თხრობის დაწყება. ამას ყველა გაცნობილია საკუთარი გამოცდილებით. პირველ მიზეზთა და საწყისთა აღმოჩენის სურვილი ისე გაიტაცებს ხოლმე მკვლევარს, რომ აცთუნებს: მას ებადება სურვილი, ბოლოს და ბოლოს, შეიქრას სიბნელით მოცულ პრეისტორიულ ხანაში და ოქროს საუკუნის წარმტაც მითების ბინდ-ბუნდში გაეხვიოს. თვითველ მიზეზს მიუყვართ წინამსრობლთან და ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობის ყოველი ახსნა-განმარტება, უფრო შორეულ წარსულთან დაუკავშირებლად—რაღაც უსრულად გვეჩვენება. ამიტომ ამორჩეული გამოსავალი წერტილი არსებითად ყოველთვის თვითნებური და შემთხვევითია. და თუ მაინცდამაინც თვითნება უნდა ვიყოთ, მაშინ ჩვენი მიზნისათვის იმაზე უკეთესი გამოსავალი წერტილი, ჩანს, არც შეიძლება. იყოს, ვინემ საშუალო საუკუნოების ქალაქთა გაჩენა მე-X საუკუნის ახლოს. მართლაც და, ამ აღრინდელ ქალაქებში გაჩნდნენ ახალი ინსტიტუტები, უცხონი ფეოდალური წყობილებისთვის,—ინსტიტუტები, რომელთაც წილად ხვდათ საშუალო საუკუნოების საზოგადოებისათვის ძირის გამოთხრა. მათ ფრთათა ქვეშ აღიზარდა სავაჭრო თაოსნობის სული და ყველაფრის ფულად შეფასების ჩვეულება; მათი ყველაზე ამაყი შთამომავალნი გახდნენ შემდგომი ხანების კაპიტალისტური მეწარმის წინაპრები.

სრულიად გაურკვეველია, თუ სახელდობრ როგორ აღმოცენდნენ ახალი ცივილიზაციის ეს ბუდეები. ფაქტიური ცნობები ნაკლებად მოგვეპოება; პირობები მნიშვნელოვანად განსხვავდებიან ცალ-ცალკე თვითველი ქალაქისა თუ ქვეყნის მიმართ, და მეცნიერების ავტორიტეტნი იმდენად ნაირ-ნაირ განმარტებას გვაწვდიან, რომ შეუძლებელი ხდება ამ ხლართში რაიმე სახელმძღვანელო გეზის გამოჩახვა. ხშირად წამოუყენებიათ ასეთი მოსაზრება, რომ საშუალო საუკუნოების ქალაქები, ეს არის რომაელთა ძველი გამაგრებული ბანაკების ნაშთი, ანუ castra-ო; და ეს უეჭველად მართებულთა ზოგიერთი მსხვილი ქალაქის მიმართ¹, რომლებშიაც, შესაძლებელია, ბარბაროსთა შემოსევის მთელი პერიოდის განმავლობაში არსებობდა ინსტიტუტთა გარკვეული განუწყვეტელობა. შესაძლებელია ისეც მომხდარიყოს, რომ ფეოდალთა გარნიზონები და საეპისკოპოსოს დაწესე-

¹) მაგალითად, კოლნი, მაინცი, პარიზი; იხ. Cunningham, Western Civilization, გვ. 58.

ბულებანი განაგრძობდნენ ამ ძველებურ ცენტრებში არსებობას და შემდგომში განვითარებული დამოუკიდებელი საქალაქო ცხოვრება მათ ირგვლივ აღმოცენებულ იქნა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საშუალო საუკუნეთა ქალაქების ხალხთა გროვამ თავი მოიყარა და დაფუძნდა სწორედ იმ გატილებულ და პარტახ ადგილებში, სადაც ხუთი საუკუნის წინადა ქალაქები არსებობდა. მაგრამ ყოველგვარი ასეთი ახსნა-განმარტება, აშკარაა, რომ ვერ არის დამაკმაყოფილებელი. უკეთეს შემთხვევაში, ეს შეიძლება ითქვას რომაელთა ორიოდ-სამიოდე მნიშვნელოვან ცენტრზე. ავტორიტეტთა უმეტესობა იმ აზრისაა, რომ რომაელთა იმპერიის დამხობისა და ხალხთა მიგრაციის (გადასახლების) ეპოქამ იმდენად გამანადგურებლად იმოქმედა საქალაქო ცხოვრებაზე, რომ დაუჯერებელი გახდა, რაიმე კავშირი და მემკვიდრეობა ძველსა და ახალ ქალაქებს შორის¹. ჩვენ კი აქ გვეინტერესება არა ადგილობრივობა, ან ნაგებობანი, არამედ ტრადიციები და ინსტიტუტები. ჩვენ უნდა ავხსნათ, რატომ მოხდა, რომ მე-IX და XI საუკუნეთა განმავლობაში მოსახლეობის ახალი ელემენტები გაერთიანდნენ ახალი სახის ასოციაციაში. ამის ასახსნელად კი სრულიად არ კმარა იმის დადასტურება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რომის ძველი ქალაქის ადგილას ჩნდებოდა ახალი მოსახლეობა, იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც იქ მისი წარსული აყვავების უფერულ არჩილად ცოტაოდენი მცხოვრებიც დარჩენილიყვნენ.

ქალაქთა წარმოშობის დანარჩენი თეორიები, შეიძლება სამ უმთავრეს ჯგუფად დაეყოთ. პირველი: გამოსთქვამდნენ შეხედულებას, რომ ქალაქები წმინდა სოფლები წარმოშობისანი არიან, ჩნდებიან რა სოფლის ზოგიერთ თემში (hundreds) მოსახლეობის ზრდის გამო. სოფლები იზრდებოდნენ სანამ არ გადაიქცეოდნენ ქალაქებად. ამნაირ შემთხვევაში დაცული იყო ხოლმე თანმიმდევრობა ქალაქის ტრიბუნალსა და წინადა არსებულ სათემო სამსჯავრო შორის. ევროპის კონტინენტზე ქალაქის წარმოშობისათვის თვალყურის გადევნება შეიძლება Landgemeinde-მდე, ანუ სოფლის თემამდე. ამნაირად, ქალაქები ჩნდებოდნენ ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურის შიგნით და მათი მცხოვრებნი იცავდნენ თავიანთ ფეოდალურ დამოკიდებულებას მათზე მალა მდგომ ლორდთან. წევრობის უფლებას იძლეოდა წმინდა სასოფლო სამეურნეო მომენტით—თემის ფარგლებში მიწის ფლობა, ვაჭრობა კი მხოლოდ შემდეგში გადაიქცა მცხოვრებთა უმთავრეს საქმიანობად. წინანდელი სოფლის თვალსაჩინო განსხვავება მერმინდელი ხნის ქალაქისაგან იმაში მდგომარეობდა, რომ ქალაქი წარმოადგენდა oppidum-ს, ე. ი. მცხოვრებთა მიერ თავდაცვის მიზნით, გალავან შემოვლებულ ადგილს¹.

მეორე ახსნა—რომ ქალაქები აღმოცენდნენ ვაჭართა ქარავნების სადგომებიდან—უმთავრესად ეკუთვნის პროფესორ პირენს. თავდაპირველად ვაჭრები მოხეტიალენი იყვნენ. ისინი უფრო ხშირად ერთმანეთის დაცვის მიზნით მთელ ქარავნებად დაიარებოდნენ ერთი ბაზრიდან მეორეში, ერთი ფეოდალის ციხე კომუნიდან—მეორისაში. დროთა განმავლობაში მათ დაიწყეს

¹) Ashley, Surveys, გვ. 179 და 195.

²) Ashley, Beginnings of Town Lite—იხ. „Quarterly Journal of Economics“-ში, X, 375—377, 402 და უმე.

შუღმივი სადგომების მოწყობა, როგორც ამას სწადიან ამჟამად ჩრდილოეთ-დასავლეთ კანადაში შეშეშენი და ტრაპერები. ამასთანავე, დასაბანაკებლად ისინი ირჩევიდნენ რომელისაში ძველი რომაული ქალაქის ნანგრევებს. ეს იმტომ, რომ იგი რომის გზაზე იმყოფებოდა და სტრატეგიულად მარჯვე სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა; ანდა, სახლდებოდნენ რა მის გვერდით სარგებლობდნენ თავდაცვისათვის castrum-ის კედლებით, რომელისაში ლორდისა და მისი გარნიზონის, ანუ ეკლესიის და საბატოს საბაეოს მფარველობით; თავდაცვის უფრო უკეთ მოსაწყობად სავაჭრო პუნქტების წევრები საერთო ძალღონით ააგებდნენ ხოლმე გალავანს, რომელიც ბურგის გალავანს აერთებდა castrum-ის არსებულ კედლთან. ხშირად ამგვარად დასახლებულ ადგილებს მეფეები სპეციალურ პრივილეგიებსა და მფარველობას ანიჭებდნენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა გერმანელ და იტალიელ ვაჭართა მოსახლეობის მიმართ ინგლისში; ეს გარემოება კი მათ ანიჭებდა ნაწილობრივ თავისუფლებას ფეოდალურ დამოკიდებულობისაგან. შემდგომი განვითარებისას ქარაიანთა დროის ეს განაერთები უფრო მყარ ხასიათს ლეზულობდნენ,—ჰანზებში¹ და გილიებში² ერთიანდებოდნენ. ამასთანავე ეს უკანასკნელი, როგორც სავაჭრო პრივილეგიების მქონენი და ფეოდალური სამართლის მორჩილებისაგან გამოირიცხულნი, ხშირად ცხარე ბრძოლას აწარმოებდნენ ადგილობრივ ფეოდალ-ლორდებთან³.

მესამე ახსნა დაკავშირებულია თავშეფარების—sauveté-ს უფლებასთან. გამარებული პუნქტები, სადაც გარნიზონები იდგნენ, თავის მხრით საკუთარ საკიროებათა დასაქმყოფილებლად ვაჭრებსა და ხელოსნებს საკიროებდნენ; ამიტომ ისინი საშუალო საუკუნეებში ანდამატივით იზიდავდნენ კალაპორტიდან ამოვარდნილ მოსახლეობის იმ ელემენტებს რომლებიც ფეოდალური საზოგადოების ფარგლებში ვერ ეტეოდნენ. ეკლესია-მონასტრები, რომელთაც შევრდომებისა და საფარველის მიცემის უფლება ჰქონდათ, ბუნებრივად წარმოადგენდნენ იმ თავშესაფარს, საითაც საზოგადო უკანონობის ხანაში მიეშურებოდნენ ყოველგვარი დევნილნი და გაქცეულნი; და როდესაც ეს დევნილნი და გამოქცეულნი სახლდებოდნენ ტერიტორიაზე, რომელიც მფარველობით სარგებლობდა, ისინი უქვევლია, რაიმე ბეგარას კისრულობდნენ მონასტერ-საბატოთა სასარგებლოდ

¹) ჰანზა—Hanse, ძველი გოთური სახელწოდებაა გერმანელ ვაჭართა აზნანგობებისა, ანუ ზღვისპირად მდებარე ქალაქთა კავშირებისა. ჰანზათა ხელშეკრულებებიდან განსაკუთრებით ცნობილია—ხელშეკრულება ლუბეკისა და ჰამბურგის შორის დადებული 1241 წ. ხოლო 1367 წელს კოლში დადებულმა 57 ქალაქის კონფედერაციამ საფუძველი დაუდო ჰანზათა ძლიერ ფართო კავშირს, რომელმაც დანიის მეფე ვოლდემარ IV-დან მიიღო პრივილეგიები, რამაც ჰანზა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად აქცია... ჰანზაში შემავალ ქალაქთა რიცხვი ვიდრე აღწევდა, რომელთაც საკუთარი კანონმდებლობითი ორგანოდ ჰქონდათ —ტაგები“ (Tag—კროლბა). მე-XV საუკ. დასაწყისიდან ჰანზების მდგომარეობა შეარყია შემდგომ განვითარებულმა პირობებმა და შირაურმა უთანხმოებამ (რედაქტ. შენიშვ.).

²) გილდია—Gilden, თავისუფალი კავშირები წევრთა ინტერესების დასაცავად. ინგლისში ეს წარმოიშვა უკრ კიდევ მე-IX საუკუნიდან, რომელმაც მალე გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქციები მიითვისა. პირველ ხანებში გილდიებში კავშირდებიან ვაჭრები, თავიანთ სავაჭრო ვაჭრობაში (უცხო ქვეყნებში) უფლებბრივი დაკავის უზრუნველსაყოფად. შემდგომ მათ მიბმეს მრეწველებმა და ხელოსნებმა. (რედ. შენიშვ.).

³) Ashley, სენებ. თხზ. 399—392; Pirenne, Belgian Democracy, 15 და შემდეგ.

და, ამნაირად, ჩნდებოდა განსაკუთრებული ერის. კაცთა მოსახლეობა. ისეც მოხდებოდა ხოლმე, რომ რომელიმე საერო ფეოდალი მფლობელი ახალ მოსულებს, განსაკუთრებულ პრივილეგიებს დაჰპირდებოდა, რათა თავის საკუთარი ინტერესებისათვის საფუძველი დაედვათ მუდმივი ბაზრისა და ბაზრობისათვის. ზოგჯერაც თავშესაფარი (sauveté) შეიქმნებოდა ხოლმე ფეოდალური იურისდიქციისაგან გამორიცხვა-განთავისუფლების ბოძებით. მაგალითად, 1058 წ. საფრანგეთში, ადგილობრივმა მთავარმა ს.-დენის სააბატოს უბოძა მიწები და განათავისუფლა ყოველგვარი ბეგარისაგან; რის გამოც ამ ადგილას დაარსდა საპრიორო, მოსახლეობის მოსაზიდად საპრიოროს ბერებმა შემოიღეს sauve-té. „ხის ოთხი ჯვარი აღმართეს მიწაწყლის თვითეულ კუთხეში, რომელიც საკმაოდ ფართო იყო ბურჯისთვის, ხოლო მეფე ფილიპემ, თავისი ლორდების თანხმობით. ამნაირად გამიჯნულ მიწაწყალს მიანიჭა სრული თავისუფლება სხვათა იურისდიქციისა, გადასახადებისა და სამხედრო ბეგარისაგან“¹. ბურჯი ჩვეულებრივად ჩნდებოდა ამ ახალ მცხოვრებთა მიერ გალავნის აგების შემდგომ. გალავან-შემოვლებული თემი ვითარდებოდა ისე, რომ საერთო აღარა ჰქონდა რა eastrium-ის თემთან; იგი, ნაწილობრივ განთავისუფლებული ფეოდალურ ბეგართაგან, საარსებო საშუალების მოპოვებას ახალი მიმართულებით—ვაჭრობით ცდილობდა.

ამ სამგვარ ახსნას ბევრი რამ საერთო აქვთ და სწორი ახსნა ქალაქთა წარმოშობისა, ალბათ, სადმე მათ შუა იქნება. ასე მაგალითად, ყველა ავტორიტეტი ადასტურებს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა ქალაქის გალავანს, ბაზარს, ან მიწის ქონებას ქალაქის ფარგლებში, როგორც ქალაქური მოსახლეობის აღმოცენების პირობას. საერთოდ კი, ქალებ დასაჯერებელია, რომ მართო ერთს რომელსაზე ფაქტორს გამოეყენოს ქალაქების წარმოშობა. უფრო საფიქრებელია, რომ სხვადასხვა გარემოებაში გადაწყვეტ როლს სხვადასხვანაირივე ფაქტორები თამაშობდნენ. მაგალითად, საფიქრებელია, რომ ლონდონისათვის, სადაც გერმანელი ვაჭრები დასახლდნენ, ეტელირედის² მეფობის დროს, პროფ. პირენის ახსნა სავსებით მისაღებია და ეგუება მისი განვითარების პირობებს. მაგრამ ამასთანავე უნდა დავსძინოთ, რომ ციხესიმაგრეთა და სარწმუნოებრივი დაწესებულებების მიერ მფარველობა ხელს უწყობდა მათეკნ მოსახლეობის ისეთნაირ ელემენტთა მისწრაფებას, რომელნიც მიწასთან აღარ იყვნენ დაკავშირებულნი. თითქმის სავსებით იგივე ითქმის პარიზსა და რეინის ქალაქებზე, რომლებიც მსგავსად კიოლნისა უკვე ძალიან ადრე ფლობდნენ უცხოელი ვაჭრების კოლონიებს. შესაძლებელია, მაგალითად, ნორვიჩი ერთსა და იმავე დროს ციხე-სიმაგრეც ყოფილიყოს, სვაჭრო ცენტრიცა და ეპისკოპოზის რეზიდენციაც. მეორე მხრით, არის ნიშნები, რომ ბირმინჰამი წარმოიშვა სოფლიდან, ხელო კემბრიჯი, რომელიც მდებარეობს ძველ რომაელთა ბანაკს ახლო, როგორც ჩანს, წარმოიშვა რამდენისავე სოფლის შეერთებისაგან³. მანჩესტერი სოფლიდან წარმოიშვა, და თუმცა მან საქალაქო დასახლე-

¹) Ashley, ხუნებ. თხზ., 374; იხ. აგრეთვე Cunningham, Western Civilization (Med. and Mod. Times), 57—60.

²) Cunningham, Growth (Early and Middle Ages), გვ. 194.

³) Cunningham, ხუნ. თხზ., 96; Maitland, Township and Borough, 41 და შ. 52.

ბული პუნქტის უფლება მოიპოვა, მაგრამ, მას არსებითად სასოფლო-სამეურნეო და არა კომერციული ხასიათი შერჩა¹. პირიქით, ბრიჯნორსი, ჰერტფორდი, ტემვორსი, სტაფორდი და უორვიკი—საგარნიზონო ქალაქები იყვნენ, რომელთაც, ალბათ, ძველადვე ჰქონდათ ბაზრები სურსათით ჯარის უზრუნველსაყოფად. ხოლო გლაზგო კი, როგორც ჩანს, აყვავდა სტ. ნინიანის ფრთას ქვეშე და უმთავრესად არა იმდენად სალოცავის მიმზიდველობის, რამდენადაც იმის გამო, რომ პილიგრიმთა შეკრებულება და „სარწმუნოებრივი ყრილობები ვაქრობისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდენ“².

მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ახალ ქალაქებს მეტოქენი არა ჰყოლოდეთ, ან საეპრო მოღვაწეობის ყველაზე ადრინდელი ცენტრები ყოფილიყვნენ. რელიგიოზური დაწესებულებანი ხშირად მრეწველობისა და ვაჭრობის აქტიური ცენტრები იყვნენ, სწორედ ისევე, როგორადაც ბარბაროსობის ეპოქაში ისინი მეკნიერებისა, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრებსა და თავშესაფარი წარმოადგენდნენ. როდესაც ფრანკთა მეფეები გატაცებულნი იყვნენ რეფორმატორული მისწრაფებებით, ისინი ხშირად ხელს უწყობდნენ მონასტრების დაარსებას, როგორც „საქრისტიანო სამრეწველო ახალშენებს“³; ისინი მათ უწყალობებდნენ მიწებს, ანთავისუფლებდნენ ფეოდალური ბეგარათაგან და იურისდიქციისაგან⁴. ბენედიქტელთა მონასტრებში,—რომელთაც, როგორც ჩანს, ნიმუშად დაისახეს, თავისი მოთხოვნილებების დამოუკიდებლად დამკამყოფილებელი, რომაული ვილლა.—შრომა ყველა წევრთათვის სავალდებულო იყო. და აბატის უმთავრეს მოვალეობას, როგორც ჩანს, შეადგენდა ორგანიზაციის მოწყობისა და თემის შრომის განაწილების სამეწარმო ფუნქციები. საერო ძმათა რიცხვში, მართლაც, სპეციალურად ჩარიცხავდნენ ხოლმე მცოდნე ხელოსნების მნიშვნელოვან რაოდენობათ, რომლებსაც „სიტყვა შეუბრუნებელ ქრისტიანულ მორჩილებაში ზრდიდნენ“⁵. მაგრამ, მრეწველობისადმი ხელის შეწყობის გარდა, ეს სარწმუნოებრივი ახალშენები ვაჭრობასაც მისდევდნენ. თუმცა მათ შეეძლოთ მიზნად დაესახათ საკუთარი ძალღონით თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მაგრამ იყო ისეთი მოთხოვნილებანიც, რომელთა დაკმაყოფილება შეიძლებოდა მხოლოდ გარედან მიეღოთ და ამასთანავე მათ ყოველთვის რჩებოდათ ზედმეტი პროდუქტები, რომლის გაყიდვა მათთვის ხელსაყრელი იყო. ხოლო ვაჭრობა კი, თავის მხრით, ჰბადებდა ახალ-ახალ მოთხოვნილებებს და წარმოების ახალ-ახალ შესაძლებლობათ ჰქმნიდა. საეპრო ოპერაციათა გაძლიერება ჩვეულებრივად თავს იყრიდა სპეციალური თანამდებობათა პირის ხელში, რომელსაც negotiator ecclesiae (საეკლესიო შუამავალი) ეწოდებოდა. და „სარწმუნოებრივი დაწესებულებანი თანდათან აფართოებდნენ თავიანთ საეპრო ურთიერთობებს და ყიდულობდნენ საკონელს არა მარტო თავისთვის, არამედ აწარმოებდნენ ვაჭრობას ფართო მასშტაბით“⁶. მერვე საუკუნეში საფრანგეთის მონასტრების აგენტები ოპერა-

¹) M. Bateson, Mediaeval England, 395.

²) Cunningham, სენ. თხ. 95.

³) Cunningham, West. Civilization, 35—36.

⁴) Cunningham, სენ. თხ. გვ. 39.

⁵) Cunningham, სენებ. თხ. 38.

ციებს აწარმოებდენ ფლანდრიაში,—ყიდულობდენ მატყლს შემდგომი გადაქუ შაეებისათვის. ბურგუნდიის ღვინით ვაჭრობაში მნიშვნელოვან ცენტრებს მონასტრები წარმოადგენდენ, ხოლო ლუარასა და სენაზე სააბატოებს თავიანთი ვაჭრობის საწარმოებლად სამდინარო გემთა მთელი ფლოტი ჰქონდათ. ფლორენციაში,—როგორც ვადმოგვცემენ,—მატყლის მრეწველობა წარმოშობილა მაშინ, როდესაც იქ თავმდაბალთა (umiliati) სამონასტრო ორდენი დაარსებულა; და ამ შემთხვევაში მთელ შრომას მღვდელთა ზედამხედველობის ქვეშ ერისკაცები ასრულებდენ ¹. ინგლისში მინერალების მოპოება, როგორც ჩანს, პირველად დაუწყია ნოტინგემშიარში ნიუსტედის სააბატოს პრიორს ², ხოლო ცისტერიანელები მხურვალე მონაწილეობას ლებულობდენ მატყლის იმ ვაჭრობაში, რომელსაც ინგლისელები ფლამანდელ და იტლიელ ვაჭრებთან აწარმოებდენ. ინგლისში, ყველაზე ადრე ეტელრედის მეფობის დროს—რომ გერმანელი ვაჭრები დასახლებულან, როგორც ჩანს, ყოფილან ბერები, რომლებიც „კარგა ხნის განმავლობაში ხან ვაჭრობას მისდევენ, ხანაც სამხედრო ხელონობას; ისინი მრავალრიცხოვანი გემებით ჩავიდნენ ბილინგსგეტში და მეფის მფარველობა მოიპოვეს ³. არის ცნობები, რომ ბერკშირში მთავარ ბაზარს აბინელონის სააბატოს ბაზარი წარმოადგენდა, ამასთანავე სააბატოს გემები ვაჭრობას აწარმოებდენ ტემზას ქვემოთ, თვით ლონდონამდე. მეცამეტე საუკუნეში, არსებული ცნობების მიხედვით, სხენებული სააბატო ამავე დროს მაუდის მრეწველობის ცენტრიც ყოფილა ⁴. ლანკაშირის რკინეულობის წარმოება აღმოცენებულა ფურნესის სააბატოში, ხოლო ნახშირის მოპოება ამ მხარეში დაუწყიათ, როგორც ჩანს, მე-XIII საუკუნეში ბოლტონის სააბატოს ბერებს ⁵. იორკშირში რკინის მოპოებასა და გადაღობას მე-XII საუკუნეში აწარმოებდენ უმთავრესად რელიგიოზური დაწესებულებანი. და ჩვენ, მართლაც, ვიცით, რომ ფზუნტენის სააბატოს ბერები ვაჭრობით ისე გამდიდრებულან, რომ ჰენრიხ მე-II-ს მეფობისას როჯერ დე მობრეისთვის ფულის სესხება შესძლებიათ ⁶.

მაგრამ შეცთომა იქნებოდა დასკვნა იმისა, რომ სხენებული რელიგიოზური თემები იდეალურ კომუნისტური თემის ტიპს წარმოადგენდენ. საქმის პირველდაწყებითი ენტუზიაზმის დროს, როდესაც შრომა ყველა წევრთათვის სავალდებულო იყო, ზოგიერთები სხენებული დაწესებულებათაგან, მართლაც, ამის მსგავს რალაცას წარმოადგენდენ. ასეთნი იყენენ, მაგალითად, ბენდიქტელები, ხოლო როდესაც მათ ღვთისმოსაობას უღალატეს,—ამნაირსავე თემს წარმოადგენდენ პირველი კარტეზიანელები და ცისტერიანელები. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ისინი ფეოდალურ ინსტიტუტთა მხოლოდ სარწმუნოებრივ ასლს წარმოადგენდენ. როგორც პირველნი, ისე მეორენი ერთნაირად მდიდრდებოდენ მათზე დამოკიდებული მოსახლეობის სავალდებულო შრომის შემწეობით. მრავალ-

¹) E. Dixon, The Florentine Wool Trade, Trans. Royl. Hist. Socy, N. S. XII, 158.

²) Brémner, The Indus. of Scotland, 2. Vict. Count Hist., Notts, 2, 324.

³) G. Walford, Outline History of Hanseatic League, Royl, Hist. Soc., Transact., IX (1881), 33.

⁴) V. C. H., Berks., 2; 371 და 388.

⁵) V. C. H., Lancs., 2; 351, 356.

⁶) V. C. H., Jorks, 2; 342—343.

ვალ ფეოდალს თავის მამულში ჰქონდა სახელოსნოები, სადაც ყმები მუშაობდნენ, და აგრეთვე ვერეთწოდებული *granges*—ცალკე შენობები, სადაც ქალები ართავდნენ და ჰქსოვდნენ ფეოდალის მეუღლის მეთვალყურეობით¹. სწორედ ასეთსავე ყაიდაზე სააბატოებსაც ჰყავდათ თავიანთი ყმები და ჰქონდათ ჰინეკები. მეცხრე საუკუნეში ს. რიკიეს სააბატო ქალაქის ცენტრი იყო, სადაც 2500 კომლი ცხოვრობდა თავმოყრილი; იქ თავმოყრილი იყვნენ სხვადასხვაგვარი ხელოსნები; რომლებიც თავისი სპეციალობის მიხედვით ცალ-ცალკე ქუჩებად იყვნენ დაჯგუფებულნი,—ვაჭრები, მკედლები, ხაბაზები, ყასბები, მჩეკმენი და ასე შემდ. ყველა ეს ხელოსნები კოლექტიურად ვალდებულნი იყვნენ თავიანთი ნაკეთობანი მიეწოდებინათ სააბატოსთვის. მერვე საუკუნის დამლევისათვის ს. ჟერმენ დე პრეს სააბატოში არსებობდა ჰინეკეი², სადაც ამზადდებდნენ ტილოს, ნარმას; ამასთანავე სააბატოს ყმათა ცოლები ვალდებულნი იყვნენ განსაზღვრული რაოდენობის ნაქსოვი მიეწოდებინათ³. როდესაც ლუარისა და სენის სანაპიროების სააბატოებმა ფართო ვაჭრობის მოწყობას მოჰკიდეს ხელი, იმათ ეხმარებოდა ის გარემოება, რომ „მათ მამულებზე მოსახლე გლეხობას ბევრად ეღვა ან ხარ-კამეჩის გამოყვანა ტვირთის გადასაზიდად, ან ამის ნაცვლად ფულის გადახდა, რაც ბერებს საშუალებას აძლევდა საკუთარი ტრანსპორტი მოეწყათ“⁴. მეთერთმეტე საუკუნისათვის კონტინენტზე რელიგიოზურ დაწესებულებათა მფარველობის ქვეშ, როგორც ჩანს, უკვე არსებობდა საცებით ჩამოყალიბებული პრივილეგიანი ნახევრად ფეოდალური და ნახევრად ვაჭართა კლასი; კლასი, რომელიც მდიდრდებოდა ვაჭრობით, მევახშობით და ყმათა შრომის ექსპლოატაციით. იგი ვაჭრობდა საეკლესიო თანადრობებით და ყოველ ებრაელზე უფრო მეტად იყო გამდიდრების წადილით—*lucrifancies*-ით შეპყრობილი. მონასტრები „ბარონთა სასახლეებს დაემსგავსნენ“⁵, ხოლო „მდიდარ აბატებს, ერისკაც-მთავერებსავე, მრავალრიცხოვანი შინაყმები ჰყავდათ“⁶. ვ. ზო მ ბ ა რ ტ ის მოწმობით, სიმდიდრის მოხვეჭის ეს წყურვილი მეცამეტე საუკუნეში საყოველთაო გახდა და რეფორმაციის ხანაში ჩვენ გვესმის ერანზის ჩივილი: „*Pecuniae obediunt omnia*“ (ყველაფერი ფულს მორჩილებს)⁷.

¹) Usher, *Intro. to Indus. Hist. of England*, 55—56. „საშუალო საუკუნეთა აღორძნელი ხანის ეს დაწესებულებანი არსებითად სრულიად არაფრით განსხვავდებოდნენ კლასიკური პერიოდის „ფაბრიკებისაგან“, რომელნიც მონურ შრომაზე იყვნენ დაფუძნებულნი... იმუიათი გამოჩაგვლისის გარდა, ეს უკვეფები წარმოადგენდნენ ერთ ადგილას ქალთა უბრალო შენაკრებს. მათს შეაროვებას ერთ ჰერტვეშ არ მოსდევდა შრომის რაიმე ნამდვილი ორგანიზაცია. ისინი ერთმანეთის გვერდით მუშაობდნენ, შეიძლება მხოლოდ. ერთსა და იმავე ოთახში“ (იქვე, 57); იხ. აგრეთვე Bucher, *Industrial Evolution*, 102 და შემდეგ.

²) ჰინეკეი—სახლი სადაც მუშაობდნენ, იმყოფებიან, მხოლოდ ქალები (რედაქტ-შენიშვნ.).

³) Usher, *სხენებ თხზ.*, 56.

⁴) Cunningham, *Western Civilization*, 40.

⁵) A. Abram, *Social England in the 15-th Century*, 109.

⁶) W. Sombart, *Quintessence of Capitalism*, 29—30; იხ. აგრეთვე *სხენებ. თხზ.*, 101 და შემდეგში. მაგრამ ნუჯავინ იფიქრებს, თითქოს ეს ფეოდალური საწარმონი ჰგვანდნენ კაპიტალისტური ტიპის მერბინდელ საწარმოებს. პირველნი არსებითად ფეოდალური იყვნენ რჩებოდნენ და კონსერვატიული ხასიათი შეინარჩუნეს. ფეოდალური საწარმონი ძალიან დიდი სიფრთხილით

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად გამოითქმოდა მოსახრება, რომ ფეოდალური დაწესებულებათა ხელოსნები განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, რომლებიც შემდგომ ხანებში თავისუფლებას მოიპოვებდნენ და დამოუკიდებელ ქალაქურ თემს შეადგენდნენ ხოლმე. რასაკვირველია, ზოგი ამ ხელოსანთაგანი შეერეოდა ხოლმე სხვა ელემენტებს, რომელნიც გარედან იყვნენ მოსულნი და castrum-ის ირგვლივ დასახლებულნი; და ზოგიერთი ყმა, ალბათ, თავისუფლებას მიღწევდა და მიწის მესაკუთრე მოქალაქედ გადაქცეოდა. მაგრამ ეს არ შეიძლება სიმართლედ იქნეს მიჩნეული საზოგადოდ, ხოლო ინგლისის ქალაქთა შესახებ იგი არც თუ ბევრს რასმე აგვიხსნის. უფრო ხშირად კი ეს ხელოსნები ერისკაცი ფეოდალის ან აბატის ერისკაცთაგან მოიჯარადრეები იყვნენ და შეადგენდნენ მოქალაქეთაგან განსხვავებულ მინისტერიალების კლასს¹. და რამდენადაც ისინი მოქალაქეებად ხდებოდნენ, ხსენებული პროცესი, ჩანს, ძალიან ნელა წარმოებდა. ხოლო როდესაც ისინი ითქვიფებოდნენ ქალაქის უკვე არსებულ თემში, მაშინ იქ უფრო ხელქვეითთა მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე გაბატონებულები.

მაგრამ ამ ფეოდალურ საწარმოთა დიდი მნიშვნელობა საშუალებას გვაძლევს გამოვინახოთ მეორე ახსნა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, იგი ვასაგებად ხდის იმ გარემოებას, თუ რატომ იყო, რომ ასე ბევრი ადრინდელი ქალაქი ვითარდებოდა რომელისაზე რელიგიოზური დაწესებულების, ან რომელისაზე მთავრის ციხე-სიმაგრის მფარველობის ქვეშ. რელიგიოზური დაწესებულება, ან ციხე-კოშკი უკვე სავაქრო-ცენტრს წარმოადგენდნენ, რომლებიც ბუნებრივად იზიდავდნენ თავისკენ ეპოქებსა და ხელოსნებს, და საეკლესიო შესაძლებელია, რომ მერმინდელი ეპოქის სამრეწველო ხელოსნებისა და ვაჭრობის უნარი და გამოცდილება მემკვიდრეობად გადმოვიდა მათზე ქრისტიანულ თემთაგან. მეორე მხრით იგი გვიხსნის, თუ რატომ იყო, რომ ახლადწარმოშობილ ქალაქებს, განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე, თავიანთი დამოუკიდებლობის შესყიდვა ასეთი თავგამოდებული ბრძოლით უხდებოდათ. თავდაპირველად მოქალაქეებს განსაზღვრული ვალდებულებანი ჰქონდათ თავისი ბატონისადმი, და თუმცა მათ შეეძლოთ თავისად ევაქრათ, მაგრამ ყოველგვარ არსებით საკითხებში დამოკიდებულნი იყვნენ მათზე ზემდგომ დაწესებულებებზე. თუ მათ სადმე ბაზარი ჰქონდათ, მას ჩვეულებრივად ფეოდალი, აბატი ან ეპისკოპოზი უწევდა კონტროლს. ეს კონტროლი, ცხადია, ისე იქნებოდა მოწ-

განრიგოდნენ. მიზანი ჩვეულებრივად ის იყო, რომ სიმდიდრე დაეგროვებინათ, რათა ფუფუნებით ეცხოვრათ, ებარჯნათ ეს სიმდიდრე. კაპიტალისტური მეწარმეობის ფსიქოლოგია კი მისი სიკვამილისა სრულიად სხვანაირი იყო. იგი საწარმოსა და კომერციულ მიღწევებს უყურებდა როგორც თავისთავად ღირებულ საგანს. და გამდიდრებისაკენ მიისწრაფოდა მისი არა დაუყოვნებლად გამოსაყენებლად, არამედ ახალ საწარმოთა დასაარსებლად, და რთული პროცენტების მოთხოვნი შთანამშრომლობისთვის სიმდიდრის დასაგროვებლად. მომკირნებლამ შესცვალა ფუფუნება და მდიდრული ცხოვრება. როგორც ჩანს, ესაა განსხვავება თომას აქვინელისა და პურიტანთა ფსიქოლოგიის შორის, რაზედაც ლაპარაკობდა ზომბარტი (Quintessence, 242—250, 252, 259). უცნაურია, რომ ზომბარტი კაპიტალისტური საწარმოსათვის პირველი უფრო საკეთილად მიაჩნდა, ვიდრე მეორე:

¹) Ashley, ხსენებ. თხზ., 378; აგრეთვე Pirenne, ხსენებ. თხზ. 40—41.

ყობილი, რომ ვაქრობას უფრო ამ უკანასკნელთათვის მოეტანა სარგებლობა. საესებით ბუნებრივია, რომ როგორც კი ქალაქი თითქმის საესებით სავაჭრო ხასიათს მიიღებდა, იგი იწყებდა მეცადინეობას, რათა განეთავისუფლებინა თავისი თავი დამოკიდებულ მდგომარეობიდან. შესაძლებელია, ეს მომენტი მაშინ დგებოდა, როდესაც მოხეტიალე ვაჭრები მკვიდრად დასახლებოდნენ სადმე, და დაარსებდნენ ჰანზას ან გილდიას¹⁾, ვინაიდან ეს უკანასკნელნი, ვინმესაგან ბაზრისათვის კონტროლის მოთხოვნის დროს, ბუნებრივად მოქალაქეებს მეთაურობას უწევდნენ ხოლმე. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ განვითარების ამ ხანაში ქალაქთა მოქმედება სერიოზულ მუქარას წარმოადგენდა ყოველგვარი სავაჭრო მონოპოლიისათვის, რომლის უფლებაც შეეძლოთ ფეოდალებს, ან სარწმუნოებრივ დაწესებულებათ ჰქონოდათ. ამიტომ საესებით ბუნებრივია, რომ ეკლესია, რომელიც იმდენადვე კომერციული დაწესებულება იყო, რამდენადაც მეცნიერების აკადემია, დიდი თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა ამ უთვისტომო მეტონიკების ყოველგვარ მისწრაფებას, რომლებიც თავისი უხეში ყოყოობით უცერემონიოთ არღვევდნენ მონასტრის სიმშვიდეს და შეურაცხყოფდნენ ფაქიზ კულტურას.

მაგრამ ინგლისში ფეოდალებს თითქმის არავითარი ინტერესი არა ჰქონდათ თავისი სამფლობელოს ფარგლებს იქით, ხოლო ბაზარი მათ ეინტერესებოდათ მხოლოდ და მხოლოდ როგორც მომხმარებლებს, უმეტეს შემთხვევაში, ისინი უკულტურანი, სუსტნი და არც თუ იმდენად მდიდარნი იყვნენ. ისინი ხალისით თანხმდებოდნენ და ცდილობდნენ კიდევ ქალაქებისთვის მიეყიდნათ პრივილეგიები, რათა ლომბარდიელი ვაჭრებისაგან საფუფუნო და საცთუნებელი საგნების შესაძენად, თავის მსახურთათვის ჯამაგირის მისაცემად და ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის რიგიანი იარაღ-მოკავშულობის საყიდლად ფული ჰქონოდათ. მართლაც და, მთელს ევროპაში ისტორიის სხვა გამანადგურებელი ომების მსგავსად, სწორედ ჯვაროსანთა ლაშქრობებმა გამოუთხარეს ძირი გაბატონებულ კლასს და იძულებული ყვეს იგი თავისი ძვირფასი პრივილეგიები მიენიჭებინა იმ ამომავალი კლასისათვის, რომელსაც წილად ხვდა მისი ადგილი დაეპირა.

1) Pirenne, სენეზ. თხ. 24.

ბრძოლა ბაზარზე კონტროლისათვის.

საგულისხმოა ერთი ფაქტი, რომელსაც შეუძლია ჰეგელიანელს გული გაუხაროს: აღრიხდელი ქალაქები, როგორც ჩანს, ხელს უწყობდენ იმ კომერციული თაოსნობის დამახასიათებელი ნიშნების აღზრდა-განვითარებას, რომელნიც ახლა, უკანა რიცხვით, ჩვენ მიგვაჩნია სოციალური პროგრესის მიჯნებად მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მკაცრად უპირდაპირდებოდენ და ეჯახებოდენ ფეოდალურ ინსტიტუტებს. ამგვარ დაჯახებათაგან დაიბადენ ის ინსტიტუტები, რომელთაც დაამარცხეს ფეოდალიზმი. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე სხვანაირი გეზით მიიმართებოდა, ახლადწარმოშობილი ვაჭრობა განსხვავდებოდა განსაკუთრებული და რალაც მოდუნებული ხასიათით იქ, სადაც, როგორც იტალიასა და ესპანეთში, ქალაქელი ვაჭრები ითქვიფებოდენ ფეოდალ-ბატონებში, ან მათს მორჩილებაში იმყოფებოდენ—ვაჭრობას დამბლას სცემდა ფეოდალური კონსერვატიზმი და უძრაობა. აქ ვაჭრები ეგუებოდენ არსებულ ტრადიციებსა და საქმის მდგომარეობას, რათა სამსახური გაეწიათ მემამულე თავად-აზნაურობის გემოვნებისათვის, რომელიც ღროს უსაქმობასა და ფუფუნებაში ატარებდა. ამგვარ ვაჭრობას აქლდა კაბუჯის გაბედული ცეცხლიანობა. იგი ნაკლებ გასაქანს აძლევდა ჯერ კიდევ მოუშფიფებელ კაპიტალისტურ მეწარმეს, საშუალებას არ აძლევდა რა მას გაეკათა გზა თავისუფალი ფულადი გარიგებათა მეოხებით. ეს იყო ვაჭრობა, მოკლებული თაოსნობის სულს, რომელსაც სიცოცხლე უნდა შეთავებინა ცხოვრებისათვის და ამის მაგივრად მას უძლოდა და მართავდა ფეოდალური ტრადიცია.

საფუძველი იმ ანტაგონიზმისა, რომელიც ასეთ როლს თამაშობდა წარსულისაგან ახალი ქალაქების გამოთიშვისა და მათში მომავლის ჩანასახთა გაჩენის საქმეში,—იყო ბაზარზე კონტროლის საპირბოროტო საკითხები. და მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც მოქალაქეებმა საბაზრო ოპერაციების საქმეში საერთო ინტერესიანობა შეიგნეს; ჩნდება მათ შორის ის კავშირი, რომელიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ისინი *communitas*—თემად გადაექცია. როგორც კი ეს საერთო მოთხოვნილება შეიგნეს, საესებით ბუნებრივია, რომ მოქალაქეებს, რომელნიც, როგორც ვაჭარნი, ყველაზე მეტად იყვნენ დაინტერესებულნი საბაზრო ფასების მოძრაობის საქმით, უნდა დაეარსებინათ კორპორაცია თავისი ინტერესების დასაცავად. სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ მოთხოვნილებამ წარმოშვა ვაჭართა გილია¹. ამიტომ იყო, რომ გრეტტონმა სამართლიან-

¹) Gross, guild Merchant: „მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც თავი იჩინა შინა-შენიღობა ინტერესებმა, რომელნიც დაცვას მოითხოვდენ, მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ქალაქის მოსახლეობის შიგნით ვაჭრობამ და მრეწველობამ გადააკარბა სოფლის მეურნეო-

ნად უწოდა ამ ორგანიზაციას საბაზრო გილდია, რათა ხაზი გაესვა მისი ქალაქის ბაზართან კავშირისათვის¹. ეს გილდია ფუნქციონალური ორგანო იყო, და თუმცა იგი მთლიანად ვერ ჰფარავდა ქალაქის ორგანიზმს, მაგრამ წარმოადგენდა მის იმ უმთავრეს ფენებს, რომელნიც ამ ქალაქს კორპორაციად აქცევდნენ. იგი მოქალაქეთა ეკონომიური ორგანო იყო მსგავსად იმისა, როგორადაც შემდგომ საუკუნეებში ტრედ-უნიონი სწევდა დაქირავებული მუშათა კლასისათვის ეკონომიური ორგანოს როლს. და როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში, მისი წარმოშობის გამომწვევემა ეკონომიურმა მოთხოვნილებებმა მოვლენათა შემდგომი მსვლელობის დროს დაჰბადეს ფართოდ პატიესაცემი გვგებები პოლიტიკური გავლენის შესახებ.

რამდენადაც ქალაქი წარმოადგენდა ვაქრებისა და ხელოსნების ეკონომიურ ჯგუფს, ბუნებრივია, იგი ცდილობდა უზარუნველყო სასურველი პირობები თავის ალებშიცემობისათვის, როგორც უცხო ვაქრებთან, რომელნიც მათ ბაზარს ეწვეოდნენ ხოლმე,—ისე ახლო მდებარე სოფლებთან. მემამულე კი ბაზრით დაინტერესებული იყო, უმთავრესად, როგორც მომხმარებელი. ბაზარს მისთვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი იზიდავდა მის მხარეში მარაველ ვაქრებს ეკოტიური საქონელით, რომელსაც იგი იძენდა საკუთარი მამულის ნაქარბ პროდუქტებზე გაცვლით. შეიძლება მას იმის იმედიც ჰქონდა, რომ ასევე მიიზიდავდა ქალაქში დასასახლებლად ხელოსნებს, რომელთაგან იგი იაფად მიიღებდა საქონელს და რომელთაც იგი, ალბათ, ისევე უყურებდა, როგორც თავისი მამულის ყმებს, რომელნიც მისთვის ადათის მიხედვით ასრულებდნენ სავალდებულო სამუშაოს. ამიტომ საეცებით ბუნებრივია, რომ ქალაქებში, რომლებიც ექვემდებარებოდნენ საერო ან სასულიერო ბატონებს,—როგორც მყიდველ, ისე გამყიდველ მოქალაქეთა ინტერესების დაცვის საქმეში—ვაქართა გილდიების გამარჯვებას უქვევლად წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა.

მთავარი მემამულე მოქალაქეებს ზოგჯერ უარს ეუბნებოდა საერთოდ გილდიათა დაარსების უფლებაზე, სხვა შემთხვევებში კი ცდილობდა მისთვის ძველებურად კონტროლი გაეწია და შეინარჩუნებინა ბაზარსა და ბაზრობაზე თავისი იურისდიქცია. ასე მაგალითად, რიდინგის აბატი სარგებლობდა მეფისაგან ნაბოძებ უფლებით, რითაც თავისუფლებოდა ბაყებისა და გამოსაღებთაგან. ის ფლობდა მდინარეებსა და წისკვილებს და ქალაქისადმი იურისდიქციას. გილდია თუმცა უთითებდა იმ უფლებებზე, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა ელუარდ მეფის ქარტიით, მიუხედავად ამისა, მამასახლისსა ან ოსტატს აბატი ნიშნავდა და აბატისთვისე უნდა მიეცა მას ერთგულების ფიცი². ლინნში, რომელმაც 1268 წ. მიიღო მეფის ქარტიით ქალაქის მერის არჩევის უფლება, ეპისკოპოზმა შეინარჩუნა ქალაქზე მნიშვნელოვანი კონტროლი და მას საშუალება ჰქონდა მინიმუმამდე დაეყვანა მისი უფლება ვაქრობის მოწესრიგების საქმეში³.

ბას, შეიძლება ადმოცნებულიყო ვაქართა გილდიის მსგავსი მფარველობითი კავშირი". (გვ. 4) ვაქართა გილდია „ეს ის დამაკავშირებელი ძალა იყო, რომელიც დაბა-ქალაქის მოსახლეობის მრავალგვარ ელემენტებს აერთიანებდა" (გვ. 98).

¹) R. H. Grettton, Engl. Middle Class, 30 და შემდეგ.

²) C. Coates, Hist. of Keading, 49.246.

³) Mrs. J. R. Green. Town Life in the 15-th Century, 1, 285—286.

სტ.—ალბანში ვაისმოდა ჩივილი იმის გამო, რომ ბერები მოქალაქეებს ნებას არ აძლევდნენ საკუთარი წისქვილებით ესარგებლათ და ისე ექცეოდნენ მათ, როგორც „მოიჯარადრეებს, რომელნიც ვალდებულნი არიან მხოლოდ შემამულეთა წისქვილებით ისარგებლონ“¹. შემდგომ ხანებში ქალაქი იძულებული გახდა უარი ეთქვა იმ ქარტიანზე, რომელიც წინაღ მოეპოვებინა. ვინჩენსტერი ყოველი მხრით შევიწროებული იყო ეპისკოპოსის ხელისუფლების მიერ, ასე რომ მისი აყვავებული ვაჭრობა დაეცა და 1450 წ., როგორც გადმოგვცემენ, ქალაქში ათასამდე სახლი დაცარიელებული იყო. ქალაქის ალაყაფის კარს ეპისკოპოსი უწყვედა კონტროლს; მის ხელშივე იყო გადასახადთა და ბაჟების უმეტესი წილი, სამდინარო გემებზე დაწესებული გადასახადის თანხართვით, — ლოდი, რომელიც განსაკუთრებული სიმძიმით აწვა მოქალაქეებს. ბაზრობის დროს ეპისკოპოსის მოხელენი ხდებოდნენ ქალაქის სრული ბატონ-პატრონი და ბაზრობის შემოსავლის უმეტეს წილს სასულიერო დაწესებულებათა სასარგებლოდ ითვისებდნენ². პეტერბოროში წინამძღვარმა და კაპიტულმა თვით მე-19 საუკუნემდე შეინარჩუნეს ქალაქის თანამდებობის პირთა დანიშვნის უფლება³. ხოლო ნოტინჰემში, პენრიხ მე-III მეფობისას, მოსახლეობა ჩიოდა: ლორდთა სხვადასხვა მოურავები თვითნებურად აწესებენ ფასებს ბაზრებზე და იძულებით გვახდენიებენ გამოსალბებებსო⁴. ბიუროში ს.-ედმუნდის აბბატი განსაკუთრებული თავამოღებით იცავდა იმ საბაზრო პრივილეგიებს, რომელზედაც პრენტენზიას აცხადებდნენ მოქალაქენი. მეცა-შეტე საუკუნეში მას ჰქონდა უფლება გილდიათა მამასახლისების დანიშვნისა, ქალაქის ალაყაფის კარს იგი იცავდა და მასზე იურისდიქციაც მის ხელთ იყო; ხოლო 1304 წელს კი მან საზოგადოდ უარი უთხრა მოქალაქეებს ვაჭართა გილდიის უფლებაზე⁵. იმავე პერიოდში ექსეტერში ქალაქის ხელისუფლება ურთიერთშორის გაეყოთ ადგილობრივ ეპისკოპოსსა და დეკონშირის გრაფს; 1309 წლამდე იქაური მერი სხვა არა იყო რა, თუ არა „გრაფის მსახური, რომელიც ატარებდა ლიერას, როგორც ერთ-ერთი მისი შინაყმა“⁶.

ადრიდელ ქალაქებს წილად ხვდათ დიდის გაქირვებითა და ბრძოლით მიეღწიათ ამ პირობათა შეცვლისათვის. მთავრები ხელიდან არ უშვებდნენ თავიანთ უფლებებს ქალაქებზე; რადგან ამ გზით უზარუნველყოთ თავისთვის ბაზარი, რომელიც მათ აწვდიდა ხელოსანთა ნაკეთობას და უტხოვითიდან ჩამოტანილ ფუფუნების საგნებს საშინაო საჭიროებისათვის; ამიტომ ისინი, მთავრები, ძალიან დიდი ეჭვით და ბტრულად ეპყრობოდნენ ქალაქთა მხრით დამოუკიდებლობის სულ უბრალო მისწრაფების გამოჩენას. ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც ისინი ქალაქის ბაზარს უყურებდნენ არა მარტო, როგორც მომხმარებელნი და ბაჟების ამკრებნი, არამედ როგორც ვაჭრები, რომლებიც სხვა ქალაქებში კომერციული პრივილეგიებთი სარგებლობენ, — როგორც, მაგალითად, რიდინგის

1) Cunningham, Progress of Capitalism, 65.

2) Mrs. Green, სქნებ. თხზ., 324-326.

3) Lipson, Economic History (Middle Ages), 186.

4) V. C. H., Lotts, 2; 273-274.

5) Green, სქნებ. თხზ., 297.

6) Green, სქნებ. თხზ., 339.

აბბატი,—მამინ მათი მტრობა მეტიჩარა და ყოყოჩი მოქალაქეებისადმი კიდევ უფრო შეკაცრად აშკარავდებოდა. ამგვარ შემთხვევებში გილდიის წევრებს ჩვეულებრივ ბრძოლა უხდებოდათ შეკრების ელემენტარული უფლებებისათვის: ფეოდალური ხელისუფლება „დილის მასლაათის“ მათ ჩვეულებაში ხედავდა ისეთგვარ შეთქმულობასა და საფრთხეს, როგორადაც შეგდგომ ეპოქაში მიაჩნდათ მუშათა გაერთიანებანი (გილდიები და ამხანაგობანი ტიუდორთა ეპოქისა), ხოლო უფრო გვიან, მე-19 საუკუნეში—ტრედუნიონები. 1191 წ. ლონდონის კომუნის მიმართ—ეს, როგორც ფიქრობენ, იყო უცხო ვაჭრების მიერ რუანიდან შემოტანილი ფორმა¹,—ფეოდალური მსოფლიოს დამოკიდებულება ენერგიულად იყო გამობატული რიჩარდ დევიზელის მიერ: „Communia est tumor plebis, timor regni, tepor sacerdotis“².

ამიტომ საკვირველი როდია, რომ ყველაზე ადვილად ავტონომიას მოიპოვებდნენ ხოლმე ის ქალაქები, რომელნიც სამეფო დომენების ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც კონტროლი ბაზარზე უფრო იოლად იყო უზრუნველყოფილი, ვაჭართა გილდია, როგორც ვაჭარ-მოქალაქეთა ორგანიზაცია, დაარსებული ამ კონტროლის უზრუნველსაყოფად და განსახორციელებლად—ყველაზე ნაკლებ როლს თამაშობდა³. ამ ქალაქებს, რომელნიც მეფის დომენთა ტერიტორიაზე იყვნენ გაშენებულნი, საშუალება ჰქონდათ შეენარჩუნებინათ თავისი პრივილეგიური მდგომარეობა იმით, რომ ეკისრათ ვალდებულება, რათა ხარკის სახით ეხადნათ უმნიშვნელო თანხა, რომელსაც ერქვა *firma burgi*, რომლითაც ქალაქი იბეგრებოდა, როგორც მთელი კორპორაცია. კორპორატიული პასუხისმგებლობის ასეთი წესით შეწყნარებული (დაკანონებული) უფლება ქალაქს ავალუბდა თავისსავე ინტერესებისათვის ბაზარზე კონტროლი გაეწია. სხვა ქალაქებში, სადაც საქმე ისე იყო, რომ რომელსამე ფეოდალური ხელისუფლების წინააღმდეგობის დაძლევა იყო საჭირო, მოქალაქენი ჩვეულებრივად მიმართავდნენ ხოლმე მეფეს და უხვი ქრთამის საშუალებით ცდილობდნენ მიეღოთ ქარტია, რომელიც ქალაქის შიგნით გილდიებს ვაჭრობის მონოპოლიის უფლებას მიანიჭებდა. ასეთი ქარტიები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ჰენრი I და ჰენრი II მეფობის დროს. ისინი საბოლოოდ აღიარებდნენ, რომ ქალაქები ისეთს კორპორატიულ ერთეულებს წარმოადგენენ, რომელთა წევრები თავისუფალნი არიან იმ ფეოდალურ ვალდებულება-ბეგარისაგან, ყმებს, რომ აწევთ კისრად. მაგრამ როგორც ზემოხსენებული მაგალითები გვიდასტურებენ, ქალაქები ძალიან მალე დარწმუნდნენ, რომ მარტოოდნენ გილდიის დამტკიცება ჯერ კიდევ ვერ სწყვეტდა მათთვის პრობლემას. იგი მხოლოდ ნიჟადაგს უშუალებდა ახალ ბრძოლას, რათა მათი კონტროლი ნამდვილ კონტროლად ქცეულიყო. საეპრო გილდიის უფლებას მცირე სარგებელი მოქონდა, თუ ქალაქს არ ჰქონდა საქონელის კონფისკაციისა და იმ პირთა დასჯის უფლება, რომელნიც საბაზრო წესებს დაარღვევდნენ. მოქალაქეთა ხელისუფლება საკსებით ნორმალური იყო, თუ მათ არ შეეძლოთ თავისუფლად დაენიშნათ გილდიისა

1) G. K. Round, *The Commune of London*, 225 და შგმ.

2) Gross, ხსენებ. თხზ., 20.

3) იქვე, 91—92; Gretton, ხსენებ. თხზ., 30.

და ქალაქის თანამდებობის პირნი, და თუ გილდიასა და ქალაქის საზოგადოების წევრებად ახალ პირთა მისაღებად საჭირო იყო უმაღლესი ხელისუფლების თანხმობა. მოქალაქეთა კეთილდღეობა ძალიან ზარალდებოდა, თუ ლორდი ეპატრონებოდა ბაზრობათა შემოსავალს—როგორც ეს იყო ვინჩესტერში,—და თუ ვაქრობას მძიმე ტვირთად აწვა ის გადასახადები და გამოსაღებნი, რომელთაც ფეოდალური ხელისუფლება მოითხოვდა. ამიტომ ყველაზე ცხარე ბრძოლა, იურისდიქციის დამოუკიდებლობის საკითხის—ფეოდალური სასამართლოსა და სამართლის მაგივრად ქალაქის სასამართლოსა და სამართლის—გარშემო უნდა ამტყდარიყო იმისათვის, რათა თავისი ეკონომიური კონტროლისთვის მოქმედი ძალა მიეცათ. ბუნებრივია, რომ მოქალაქენი ცდილობდნენ მოეპოვებინათ პოლიტიკური უფლება, რომ ქალაქის ფარგლებში მომხდარი ყოველგვარი დანაშაული გაერჩიათ თვით ქალაქის და არა ლორდის ხელქვეით სასამართლოებს. ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, რომ კომერციული საჩივრების გასარჩევად ჰქონოდათ ტრიბუნალები, რომელნიც იხელმძღვანელებდნენ *lex mercatoria*-თი, ანუ სავაჭრო და არა ფეოდალური სამართლით¹. ეს იყო უმთავრესი შეტევის მიზანი. მაგრამ შეძლება იურისდიქციის ამ უფლების მოპოვებისა, ხშირად დადგებოდა ხოლმე კონფლიქტის მესამე სტადია, დაკავშირებული იმგვარ საკითხებთან, როგორცაა ქალაქის ტერიტორიის ფარგლები, კონტროლი მდინარისა თუ დიდმნიშვნელოვანი გზებისა, ლორდის უფლება მეზობლად მდებარე პატარა ქალაქში საკონკურენტო ბაზრობის მოწყობისა.

რ. გ. გრეტონმა გამოსთქვა ის მოსაზრება, რომ ხელისუფლებისათვისა და ეკონომიურნი სარაქონებისათვის ბრძოლაში ბრიტანეთის ვაჭართა კლასი არსებითად კონსერვატიულობითა და კონსტიტუციურობით განირჩეოდა. ვერ ჰმენდავდა რა ახალი და რევოლუციური მოთხოვნების წამოყენებას, იგი იმას ცდილობდა, რომ ძველებურ ადამიანურებებს ჩასკიდებოდა და ხელისუფლების მიერ წინად ნაბოძებ პრივილეგიებისთვის მიეთითებინა². ინგლისის მოქალაქეთა ხასიათის ეს თვისება, უეჭველია თვალში გეცემათ, მაგრამ იგი, რასაკვირველია საესებით აიხსნება აქ წარმოებული ბრძოლის პირობებით. ინგლისში ქალაქები უფრო პატარები და თანაც უფრო ლარიზნი იყვნენ ვიდრე კონტინენტზე, თავდაპირველად ბევრ ქალაქს სოფლური იერი ჰქონდა და ვაჭრობა ვითარდებოდა არა იმდენად იქ უცხოელთა დასახლების გამო, რამდენადაც ჰარბი პროდუქტების გასაღებისადმი მისწრაფებისა გამო³. გარდა ამისა, ინგლისში ფეოდალურ თავდაზნაურობაზე მეტის ძალაუფლება ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე

¹) Cunningham, *Western Civilization*, 91; იხ. აგრეთვე Mrs. Green, *სხენებ. თხზულება 197-198*, 301 და შემდეგ; Cunningham, *growth (Middle ages)*, 214-215. მ-ს გრეტონის სწორია: „თავისუფლების ქართველი ყოველგვარ მნიშვნელობას ჰკარგავდნენ, იუ რომელსაც გნებავთ სავაჭრო, პოლიციის, ფინანსების, საზოგადოებრივი ხასიათის საკითხში ჩაერწოდა საყველესო პრივილეგია, რომელიც ყოველგვარ მმართველობას აუქმებდა გარდა საკუთარისა. ყოველგვარი დავა დასაწყისიდან ბოლომდე მუდამ და ყოველთვის თავს იყრის ცენტრალურ პრობლემის—გარშემო ყადაღის დადების უფლებისა (სხენებ. თხზ. 364).

²) Gretton, *სხენებ. თხზ.*, გვ. 23.

³) Ashley, *სხენებ. თხზ.* 74.

კონტინენტზე¹. და მეფე ყოველთვის გულმოდგინედ ცდილობდა, დაეცვა თავისი ავტორიტეტი, დაჟინებით ითხოვდა რა სხვებსაც ეცნოთ მის მიერ გაცემული პრივილეგიები და თავისუფლებანი. მეფის კანონი და მოარული სასამართლოები ხელს უწყობდნენ მთელს ქვეყანაში მის ხელისუფლების განმტკიცებას. ხანდახან ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ მეფე მზად იყო ქალაქებს დახმარებოდა ლორდების წინააღმდეგ, იმის მაგივრად, რომ ლორდებისათვის ხელი შეეწყვა მისი ქვეშევრდომების მემამბოხური და ანარქისტული მისწრაფებათა ჩაქრობაში. ჯვაროსანთა ლაშქრობის დაწყებისა და თავისი სალაროს გაღარიბების შემდგომ—მეფე მზად იყო ხოლმე ქალაქებისათვის, რაც მათ სურდათ, ყველაფერი მიენიჭებინა, ოღონდ სანაცვალგებოდ მიეღო საკმაო ჩხრილა ფული, რომელიც მას ასე ნაკლებად ჰქონდა. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ მოქალაქეები მეფის ხელისუფლებას ისე უტკეპროდნენ, როგორც თავის მეგობარსა და დამცველს და ცდილობდნენ თავიანთი მდგომარეობის განმტკიცებას მეფის ქართიათა შესყიდვით. ერთხელ შეთვისებულმა ამ მეთოდმა განსახტვრა შემდგომ მთელი მათი ტაქტიკა. როდესაც ქართიით ნაბოძებ უფლებებს ლორდი ანგარიშს არ უწყევდა, მოქალაქენი მიმართავდნენ ხოლმე მეფის მოსამართლეებს; ხოლო იმისათვის, რომ სახიერო გადაწყვეტილებათათვის მიეღწიათ, მათ თავის ჰოწინააღმდეგეებზე უფრო უკეთესად უნდა სცოდნოდნენ ისტორია და კანონები, უფრო მოხერხებულად უნდა გამოეყენებიათ ტრადიციები და პრეცედენტები. არაკონსტიტუციურად მოქმედება, ეს ნიშნავდა იმას, რომ ძირი გამოეთხარათ იმ ხელისუფლებისათვის, რომლის იმედი ჰქონდათ, რომ იგი მათ სასარგებლოდ ჩაერეოდა საქმეში. სხვა შემთხვევებში მოქალაქეთა კონსტიტუციურობა შეიძლება ყოფილიყო უბრალო რეაქციონური გულგრილობა; ხოლო არსებულ გარემოებაში იგი ისეთი სტრატეგია იყო, რომელიც ჩინებულად ეგუებოდა ადგილისა და დროის გარემოებას. ხოლო მეფესა და მისი ხაზინის კანცლერს არა ედარდებოდათ რა იმით, რომ ამ მეთოდის რაობა იყო: „ქრთამის სულგრძელი სისტემა; ქრთამს აძლევენ გულუხვად და აშკარად, ქრთამი რეგისტრირდებოდა ოფიციალურ ანგარიშგებებში“².

მიუხედავად ყველა ამისა, ინგლისში ხელისუფლებისთვის ბრძოლა ხშირად ცხარე და რევოლუციონურ ფორმას ღებულობდა. ეს ყველაზე უფრო ხშირად ხდებოდა რომელსავე საეკლესიო დაწესებულების ხელისუფლებისათვის დაქვემდებარებულ ქალაქებში. ხშირად ქალაქები აშკარად არღვევდნენ ლორდის მიერ შემოღებულ შემზღვეველ წესებს, რასაც ამბობება მოპყვებოდა ხოლმე. 1309 წ. ექსეტერში მოქალაქეებმა მოახდინეს დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ გრაფი და ეპისკოპოსი აპირებდნენ ბაზარზე გამოტანილი მთელი თევზეულობის შესყიდვას. მოქალაქეთა საერთო მოთხოვნის გამო მერი იძულებული გახდა ბრძანება გაეცა, რომ შემოტანილი საქონლის ერთი მესამედი მოქალაქეთა საჭიროებისათვის გადაედგათ. ამგვარი საქციელის გამო გრაფთან დაბარებულმა მერმა თან წაიყოლა ბლომად მოქალაქენი და უარი სთქვა საგრაფო ლივირებაზე³.

1) Mrs. Green, ხსენებ. თხზ. 30, 255—256.

2) Mrs Green, ხსენებ. თხზ. 212 და შ.

3) იქვე, 339.

რიდინგში ხანგრძლივი შეტაკება წარმოებდა აბატთან, რომელიც შეჩერდებოდა ხოლმე მხოლოდ დროებითი შეთანხმების გამო. 1243 წ. მომხდარი არეულობის დროს მოქალაქენი „დღისით დღე ღამით უდარაჯგირდენ აბატის მოურავებს“, ხოლო შემდგომ საუკუნეში მერმა აშკარად უარი განაცხადა აბატის ბოქაულისათვის მორჩილებაზე¹. ნორვიჩში აშკარაში წარმოებდა ქალაქსა და ტაძარს შორის. მოქალაქენი ჩიოდენ—რომ ბერები ემხარებიან და თავშესაფარს აძლევენ ქალაქის კანონთა დამრღვევებსაო. 1272 წ. მომხდარი არეულობის დროს საკრებულო ტაძარი ძირიანბუდიანად გადაპბუგეს². ზოგიერთ შემთხვევაში ქალაქებს, როგორც ჩანს, ამბოხებისათვის აქეზებდენ ლონდონის მოქალაქეების მიერ დაგზავნილი ემისარები. ბიურის ს.—ელჟუნდსში 1327 წ. მოქალაქენი შევარდენ სააბატოში და იძულებული გახადეს აბატი, რათა მათთვის სავაჭრო გილდიის დაარსების ნება მიეცა. მათ ძალით გაიტაცეს სააბატოს სალარო და დოკუმენტები, დაითხოვეს აბატის მიერ დანიშნული მამასახლისი და ქალაქის მეკარენი³. ს. ალბანისის მოქალაქენი საშინლად გააბრაზა აბატმა, რომელმაც აუკრძალა მათი საკუთარი სათელი წისქვილებით სარგებლობა. ისინი იმავე წელს გარს შემოერთებენ მონასტერს და ათ დღეს ალყა არ მოუხსნიათ, რითაც ბოლოსდაბოლოს, იძულებული გახდა აბატი მიეცა მათთვის ქარტია, რომლითაც იგი აღიარებდა, სხვათაშორის, უფლებას, რომ მოქალაქეთ საკუთარი სასამართლო ჰქონოდათ. მაგრამ სამი წლის შემდეგ მომხდარ შეტაკების დროს, როდესაც მოკლულ იქნა აბატის მარშალი, მოქალაქენი იძულებულნი გახდნენ უკან დაებრუნებინათ თავიანთი ქარტია⁴. ამდენი ამბით აღსაყვებელი 1327 წელს წილად ხვდა ენახა ისიც, თუ აბინგდონში ხალხმა, რომელსაც შეუერთდენ ოქსფორდელი მოკავშირენი, როგორ შემოარტყა ალყა სააბატოს, დასწვა ალყაყდის კარები და აბატი ხელიდან გამოვლიოჯა თანხმობა, რომ ქალაქს საკუთარი მმართველების ყოლის უფლება ჰქონოდა⁵.

ასეთი შეტაკებები ხშირად გრძელდებოდა ხოლმე ქალაქებისათვის ავტონომიის მინიჭების შემდეგაც. კენტერბერიში მე-14-ს. ხშირად წარმოიშობოდა ხოლმე დავა ქალაქსა და არქიეპისკოპოსს და ქრისტეს ეკლესიის მონასტერს შორის. ქალაქი ჩიოდა, რომ მონასტერი არ ასრულებს საბაზრო წესებსო და არქიეპისკოპოსი ანხორციელებს,—ქალაქის საზარალოდ,—თავის იურისდიქციას მეზობლად მდებარე სოფელ უინჰემსა და ვესტპეტშიო. არქიეპისკოპოსის ხსენებულ სოფლებში დაეარსებინა ცალკე ბაზარი და მოქალაქენი ამტკიცებდენ, რომ უინჰემის მცხოვრებნი თავის ბაზრისათვის ეზიდებიან იმ საქონელს, რომელიც სხვა გარემოებაში, კენტერბერიისაკენ წარმოვიდოდაო. დავა ატყდებოდა ხოლმე აგრეთვე საზღვრების გამო, როდესაც ჩვეულებრივად—მერი და ქალაქის საბჭო გამართავდენ ქალაქის „საზღვრების დათვლიერებას“, სათანადო მიჯნებ-

¹) Coates, History of Reading 49 და შემდეგ; Mrs. Green, ხუნებ. თხზ. 300—301.

²) Cunningham, Growth (Middle Ages) 210; Lipson, Economic History (Middle Ages), 188.

³) N. M. Trenholme, Am. Hist. Review-ში, VI, 659.

⁴) იქვე, 652.

⁵) იქვე, 663.

თან ბავშვებს ლითონნულ ფულებს ურიგებდნენ და პროცესიას ამთავრებდნენ ფორდუიჩს ახლო მინდორში „წაქეიფებით“. ერთს შემთხვევაში შეტაკებამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ შეიარაღებულ ბრძოლად გადაიქცა და ანაფორას-ქეშ იარაღშორე ბერებმა დამარცხება განიცადეს. მოქალაქეებმა აპყარეს მდინაუზე გადებული ხიდი, რომელიც მონასტერს გაეკეთებინა, ხოლო უკანასკნელს ალყა შემოარტყეს და ბლოკადა გამოუტყბადეს¹.

ამგვარსავე ბრძოლას ადგილი ჰქონდა ბრისტოლშიაც. აქ უჩიოდნენ ლორდ ბერკლევებს, რომელნიც საკუთრად იჩემებდნენ მდინარეს, თავის სამფლობელოდ მიიჩნდათ იგი და საკუთარი ბაზარი ჰქონდათ გამართული რედკლიფ-სტრიტში. ქალაქს, მდინარეზე ლორდის მიერ დაწესებული კონტროლი თავისი ვაჭრობისათვის შემზღუდველად მიიჩნდა, ხოლო რედკლიფსში არსებული ბაზარი კონკურენციას უწყევდა ქალაქის ბაზარს—ამას მოჰყვა ის, რომ 1305 წ. მოქალაქენი თავს დაესხნენ და სახლში შეუტყვიდნენ მორის ბერკლეის. რის პასუხადაც ახალგაზრდა ლორდი თავს დაესხა ბრისტოლს „მრავალი ცხენოსნითა და ქვეითით“. ქალაქის მცხოვრებთა—შესაძლებელია გადაჭარბებული—ცნობით იგი ცხენებით ფეხქვეშ სთელავდა ქალებს, მან ხელთ იგდო საპყრობილე და სასამართლო, რომლებიც ბრისტოლელ ვაჭრებს ეკუთვნოდნენ. მხოლოდ 1332 წ. მოხერხდა დავის საბოლოოდ მოგვარება, როდესაც მეფემ სადავო უფლებანი ბერის მიანიჭა და სამაგიეროდ 40 გ. სტერლინგი მიიღო².

ქალაქების ამ ბრძოლასა და მებრძოლ კონსტიტუციონალიზმს,—რომელმაც თავი იჩინა ამ ბრძოლაში—ძალიან საინტერესოა შუქსა ჰენს ექსეტერის ისტორიის ერთი ამბავი. 1309 წ. გრაფის წინააღმდეგ მერის პირველი და მეამბოხური გამოსვლის შემდეგ გრაფსა და ეპისკოპოსთან ბრძოლა, როგორც ჩანს, უკურო ნაკლები დრამატიული სახით გრძელდებოდა. მთელი საუკუნის განმავლობაში მოქალაქეთა უფლებბრძოლი წარმატება უმნიშვნელო იყო. გრაფს ეკუთვნოდა ქალაქის მნიშვნელოვანი განაპირა უბანი, იგი კონტროლს უწყევდა მდ. ექსზე ნაოსნობას, ხოლო მერის იურისდიქცია მკაცრად იყო განსაზღვრული. მე-XV საუკუნეში მოქალაქეებს აერჩიათ მერად ვინმე ჯონ შილინგფორდი, ყოფილი მეამბოხე-ანაური, რის გამოც უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უფრო კარგად იცნობდა არსებული საზოგადოების ზნე-ჩვეულებებს, ვიდრე საშუალო მოქალაქენი. შილინგს კორდი პირველად უარობდა მერობის თანამდებობის სიმძიმის თავზე აღებას. მაგრამ 1445 წ. მოხდა შეტაკება ტაძართან იმის გამო, რომ ქალაქის ზოქაღმა ტაძარში დააბატონა მოსამსახურე კაპიტული. ამან თუ სხვა რამ მიზეზმა შილინგფორდში, როგორც ჩანს, მოქალაქის პატრიოტიზმი გააღვიძა. შედეგ ამისა საქციელში ქალაქის ინტერესების შესახებ იგი უკვე მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. 1446 წ., მისი ხელშეორედ მოურავად არჩევისას, მან იკისრა ხელშეკრულება ქალაქის შეტევისა ტურების წინააღმდეგ და აწარმოებდა მას სრატეგიის ყოველგვარი წესების დაცვით. საინტერესოა ამ სტრატეგიის ხასიათი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალაქს შიგნით ეკლესიასა და მოქალაქეთა შორის ამკარა ბრძოლა სრულიად არ წარმოებულა. შილინგფორ-

¹) Mrs Green, სუნებ. თხზ., 135-136, 370-377; Lipson, სუნებ. თხზ., 187.

²) Mrs. Green, სუნებ. თხზ., 313-314.

რდსმა სხვა მეთოდს მიმართა,—იგი ძალიან ხშირად დაიარებოდა ლონდონში, სადაც ცენტრულიად ეწაფებოდა ისტორიულ და იურიდიულ გამოკვლევებს. ლონდონში იგი დაუღალავი იყო, ხშირად ხვდებოდა და ებაძებოდა ცნობილ იურისტებს, მთავარ მსაჯულს, ხაზინის მოხელეებს და ლამბეზის სასახლეში იგი გამოჩენილ და გაელენიან პირთა მიმართ მრავალგვარ ფორმალობათა და ცერემონიათა აღსრულების მკაცრი სიზუსტის ნიმუშად ითვლებოდა. იმავე დროს იგი წერილობით ხელმძღვანელობდა ქალაქის მოქმედებას: დაწვრილებით აუწერდა, თუ რანაირ ტაქტიკას უნდა დასდგომოდნენ ქალაქის მოსამსახურეები ტაძრის მიმართ; ურჩევდა, ამა-და-ამ მოსამართლეებს კარგად გაუმასპინძლდით, კანცლერს ძღვნად გამოუგზავნეთ საუკეთესო თევზეულობა, „ზღვის ლოკოკინები, 400 ცალი გამზმარი მერლანი ან თევზი, რომელსაც კრაბი ეწოდებოდა“. ერთ წერილში იგი უსაყვედურებს მოსამსახურეებს იმის გამო, რომ მერლანებზე გვიან იქნა მიღებული, ის იმ დროსთვის ვერ მიუვიდა კანცლერს, როდესაც მასთან ფრიად საყურადღებო ბაასი მქონდაო¹.

ევროპის კონტინენტზედაც ვაჭართა კლასის ბრძოლის ფორმა არც თუ ძალიან განირჩეოდა ინგლისურისაგან, ვინაიდან მოძრაობას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა და იგი იყო „რასისა, ენისა თუ საზღვრებისაგან დამოუკიდებელი სოციალური პირობების შედეგი“². განსხვავებას მხოლოდ ის ჰქმნიდა, რომ კონტინენტზე ფეოდალური არისტოკრატია საერთოდ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ინგლისში, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება—საერთოდ ბევრად სუსტი. ამასთანავე ეკლესიის ძლიერებაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო: იგი წარმოადგენდა ისეთ ძალას, რომელსაც შეეძლო სახელმწიფოს დაპირდაპირებოდა. ევროპის კონტინენტზე იქ, სადაც ფეოდალების, რომელიმე არსებობის ინტერესებს დამეპყრებოდა ხოლმე ქალაქის ზრდა და გაძლიერება, მოქალაქენი მორჩილებდაში ჰყავდა ისეთ ძალას, რომლის დაძლევა არც თუ ისე ადვილი იყო უმაღლეს ხელისუფლებისადმი მიმართებით, როგორც ეს შეიძლებოდა ინგლისში. ამის შედეგი მსგავს შემთხვევებში იყო ის, რომ განვითარების გზაზე მდგარ ბურჟუაზიის ბრძოლას ძალმომრეობითი და რევოლუციური ფორმების მიღების ტენდენცია ჰქონდა. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. როგორც ინგლისში, ისე კონტინენტზე, ყველაზე უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა საეკლესიო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას; მაშინ როდესაც ბევრი საერო მფლობელი ხშირად მზად იყო მიეცადა მოქალაქეებისათვის პრივილეგიები³.

ასე, მაგალითად, ფლანდრიაში ქალაქების გაძლიერებას ფაქტიურად ხელს უწყობდნენ გრაფები. ამ შემთხვევაში მდგომარეობა ძლიერ წააგავდა ინგლისში არსებულს. უკვე მე-XI საუკუნეში გრაფი რომბერტ ფრიზელი იწყებს პრივილეგიების გაცემას: ანიჭებს ქალაქებს საბაზრო გადასახადთა აკრეფისა და დამოუკიდებელი იურისდიქციის უფლებას. გრაფები ერთს ადგლიას როდი ცხოვ-

¹) Mrs. Green, ხსენებ. თბზ., 340-348.

²) Pirenne, Belg. Dem., 34.

³) Pirenne, Histoire de Belgique, I, 190: „თითქოს საერთო წესი იყო, რომ საეკლესიო მთავრები ქალაქებისადმი მტრობას იჩენდნენ, ხოლო საერო მფლობელნი კი—ხელს უწყობდნენ მათ“.

რობდნენ. ისინი გადადიოდნენ რა ერთი ადგილიდან მეორეში, სარგებლობდნენ სხვადასხვა მამულის პროდუქტებით. რის გამოც ისინი არც თუ ასე ძალიან იყვნენ დაინტერესებულნი ამა თუ იმ ადგილობრივი ბაზრისათვის კონტროლი გაეწიათ. ამასთანავე მათ საკმაო ჭკუა ჰქონდათ, რომ დაენახათ, თუ რა მდიდარს შემოსავლის წყაროს წარმოადგენდნენ ქალაქები¹. თუმცა უნდა ითქვას კი, რომ ყველა ქალაქი როდი იყო ასეთ ხელსაყრელ მდგომარეობაში; მათ უხდებოდათ ბრძოლა ფეოდალ მფლობელთა და მისი ციხე-კოშკისა, ან ეპისკოპოსისა და მისი ტაძრის წინააღმდეგ. მეთერთმეტე საუკუნისათვის მრავალი ასეთი ქალაქთაგანი ახალ თემად ჩამოყალიბდა იმის გამო, რომ მათში დასახლდნენ გარედან მისული ვაჭრები; ეს ვაჭრები აარსებდნენ გილდიებს, ხშირად აშენებდნენ აგრეთვე გილდიის შენობას, რომელიც ქალაქთა გაღვიძებული გათვითცნობიერების დედაგულად იქცეოდა². მაგრამ როგორც ინგლისში, ისე ევროპის კონტინენტზეც მართა გილდიის არსებობა არ კმაროდა, თუ მის წევრებს არ ჰქონდათ უფლება ვაჭრობისადმი თავისი კონტროლი ნამდვილ და მომქმედ კონტროლად ექციათ. ამიტომ გაჩაღდა ბრძოლა ქალაქის ფარგლებში გილდიის იურისდიქციის უზრუნველყოფის მიზნით.

ფორმა, რომელშიც გამოიხატა ეს ბრძოლა გარემოების მიხედვით სხვადასხვანაირი იყო. იმ შემთხვევაში, როდესაც ქალაქს სერიოზული წინააღმდეგობა არ ხედებოდა, იგი ცდილობდა მთავართა ციხე-კოშკის ტრიბუნალის იურისდიქცია—მოქალაქეთა შორის ამორჩეული,—ეგრეთწოდებული ეშევენების იურისდიქციით შეეცვალა. ეს ეშევენები მაშინ ქალაქის წარმომადგენლებად იქცეოდნენ და თანდათანობით აფართოებდნენ თავიანთ ხელისუფლებას. ისინი წართლმსაჯულებას აწარმოებდნენ და განაგებდნენ ქალაქს „საქალაქო საზოგადოების ახალი კანონის მიხედვით; ისინი იკრიბებოდნენ უკვე არა ციხე-კოშკში, არამედ ქალაქის კედლებს გარეთ—საბაზრო შენობაში, ან სამრევლო სასაფლაოზე“³. წინააღმდეგ, ქალაქ ლიეჟში, კამბრესა და უტრეხტში, რომელნიც საეპისკოპოსო ქალაქებს წარმოადგენდნენ, ეპისკოპოსებს ეშევენები თავის მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყავდათ. ასე, მაგალითად, მეთერთმეტე საუკუნეში ლიეჟის ოლქში ქალაქებმა შეისყიდეს საკუთარი სასამართლოს უფლება. მაგრამ ეს სასამართლო იმავე საეპისკოპოსო სასამართლოდ დარჩა, რადგან მას ნიშნავდა ეპისკოპოსი და ისიც არა მოქალაქეთა, არამედ მინისტერი ალექს⁴ წრიდან. ამის გამო ამ ქალაქებმა მეთორმეტე საუკუნეში დაიარსეს საკუთარი საბჭოები, რომელთაც უწოდებდნენ *jures* (მოსამართლეებს, მსაჯულებებს) ანუ *jurati*-ს (ნაფიც მოსამართლეებს), რათა წინააღმდეგობა გაეწიათ გარეშე ძალის ჩარევისათვის. მართლაც ეს საბჭოები, რომლებშიც ეპისკოპოსები მომავალ საშიშროებას ჰხედავდნენ და რომელთა მოსპობას ცდილობდნენ—სავსებით გარკვეულ-

¹) Pirenne, Hist. de Belgique, I, 175; Belg. Dem. 33, 648.

²) „ოგი (გილდია) წესიერების, დისციპლინისა და პროგრესის ვლემენტს წარმოადგენდა“ (Pirenne, Hist. 188).

³) Pirenne, Belg. Dem., 48.

⁴) მინისტერი — მეფის, მთავრის ან და კიდევ, მაღალი სასულიერო წოდების. კარის მოსამსახურენი საშუალო საუკუნეებში (რედ. შენ.).

ლად რეგოლუციის იარაღად გადიქნენ¹. უკვე 1077 წ. ქალაქი კამბრე ეპისკოპოსს ეწერა მე-II-სთან ბრძოლის დროს აჯანყდა, ხელთ იგდო ქალაქის ალაყაფის კარი და გამოაცხადა პირველი კომუნა. ექვსი წლის განმავლობაში ქალაქი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახით არსებობდა. ამ შესანიშნავ მავალითს წაჰბაძა პიკარდიის საეპისკოპოსო ქალაქთა უმრავლესობამ—ნოიონმა, ბოვემ, ლაონმა, ამიენმა და სუასონმა². ექვსი წლის შემდეგ იმპერატორის ბრძანებით, კამბრეს კომუნა გაუქმებულ იქნა; მაგრამ მე-XIII-ს. ყველა საეპისკოპოსო ქალაქში ხელახალი აჯანყებები მოხდა იმ მიზნით, რომ ნათიცი მოსამართლეთა (jurati) სასამართლო ხელისუფლების აღიარება მოეპოვებინათ³.

ასეთსავე ბრძოლას ჰქონდა ადგილი ხსენებულ პერიოდში ჩრდილოეთ იტალიაშიაც, სადაც იგი თითქმის ორ საუკუნეს გრძელდებოდა მტკიცედ გამაგრებული თავდაზნაურობისა და ღლიდარისა და გავლენიანი ეკლესიის წინააღმდეგ. სადაც ეპისკოპოსებთან ბრძოლა, როგორც ჩანს, მოქალაქეთათვის გამარჯვებით გათავდა უფრო ადრე, ვიდრე სხვა ქვეყნებში: მე-XIII საუკუნის დამლევს ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ საეპისკოპოსო ქალაქებში მოქალაქეებს „პრელატების ხელისუფლება გაუქმებამდე მიეყვანათ და ქალაქები გვეხატებიან სრულიად თავისუფალ რესპუბლიკებად“⁴. მაგრამ ამ ბრძოლების შესახებ ძალიან ნაკლები ცნობებია დარჩენილი. დანარჩენ ქალაქებში ბრძოლის შედეგი დიდხანს გაურკვეველი და საეპეო რჩებოდა. მილანიდან თავდაზნაურობა განდევნილი იქნა მე-XI საუკუნეში და 1055 წ. მან ქარტია მიიღო იმპერატორისაგან. 1150 წ. კი ლომბარდიის არისტოკრატის უმრავლესობა იძულებული გახდა მნიშვნელოვან დომოებზე წასულიყო მოქალაქეებისადმი, ხოლო ზოგან ისინი სავსებით განდევნეს ქალაქიდან. მაგრამ საქმე აშით როდი გათავებულა, რადგან არისტოკრატია განაგრძობდა ინტრიგებს პრივილეგიების უკანვე დასაბრუნებლად; და როგორც ჩანს, მან მოახერხა კიდევაც ესარგებლნა მოქალაქეთა შორის ამტყდარი ბრძოლით, რათა თავისი დაკარგული ძალაუფლება აღედგინა. ამის შედეგი იყო, რომ ქალაქებში მე-XIII-ს. კვლავ ამბოხებანი და აჯანყებები ხდებოდა. პიაჩენცაში, მაგალითად, 1222 წ. მოქალაქეებმა მოიპოვეს უფლება, რომ საზოგადოებრივი თანამდებობათა ნახევარი თვითონ დაეკავებინათ, ხოლო შემდგომ ხანებში კი სავსებით ჩამოაშორეს არისტოკრატია ხელისუფლებაში მონაწილეობას⁵. მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე უფრო ხშირად კომპრომისით თავდებოდა. არისტოკრატისა ან, ყოველ შემთხვევაში, დაბალ თავდაზნაურობასა, (valvassori-ებს)—და უფრო მდიდარ ვაჟართა შორის. ასე მოხდა, მაგალითად, ფლორენციაში, სადაც თანამდებობანი გაინაწილეს არისტოკრატებამ და შეიღმა უმთავრესმა გილიამ⁶. მონოპოლიათა შემოსავლით ზიარად სარ-

¹) იქვე, 50, 51, 62.

²) Pirenne, Histoire, I, 192 და შემდ.; იხ. აგრეთვე Luchaise, Les Communes Francaises, 82, 135 და შემდ., 279.

³) Pirenne, Belg. Dem., 62; იხ. აგრეთვე Cunningham, West. Civilization, 91.

⁴) W. T. Butler, The Lombard Communes, 55.

⁵) W. T. Butler, The Lombard Communes, 61-83.

⁶) J. L. Sismondi, Hist. of Italian Republics (ed. Boulting), 238; იხ. აგრეთვე C. Hutchinson, „Oriental Trade and the Lombard Communes“, Quart. Journal of Econ., XVI, 425-424.

გებლობდენ ფეოდალები და მოქალაქენი. რის გამო არისტოკრატის ნაწილი ხელს იღებდა თავის საშუალო საუკუნოებრივ ზნე-ჩვეულებებზე და ვაქრობაში მონაწილეობას ლებულობდა; ამან მძლავრად იჩინა თავი, მაგალითად, ვენეციაში. ხოლო მეორე მხრით ვაქრებიც ცდილობდენ გარეგნობით ფეოდალებს დამსგავსებოდენ და თავადანაწარობის ცხოვრების შესახებ ფეოდალური შეხედულებანი შეეთვისებინათ. ისინი მკაცრად აღრჩობდენ თემის სხვა ჯგუფთა თაოსნობას და გამდიდრების ძველისა და ნაცად საშუალებათა დაცვაში დიდს კონსერვატიზმს იჩენდენ. გარდა ამისა, ისინი თავის ენერჯიასა და საშუალებებს ხარჯავდენ იმ ფეოდალურ ბრძოლა-ქიშობაში, რომელიც არ შენელებულა საშუალო საუკუნეთა იტალიაში. ამის შედეგი ის იყო, რომ მე-**XV**—**XVI**-სს. კომერციული თაოსნობა ნელინელ ჰქრებოდა. იმ ხანებში იტალიის ქალაქთა დიდება და სახელი უკვე წარსულს ეკუთვნოდა და როდესაც აღმოსავლეთის ძველი გზები დაკეტილი აღმოჩნდა და აღორძინება იწყეს ატლანტის ოკეანეს მეტოქე გზებმა, ლომბარდიის ნახევრადფეოდალურმა ვაქრებმა ახალი პირობებისადმი შეგუების სრული უუნარობა გამოიჩინეს. „თაოსნობა-საქმიანობის სული სადღაც გაჰქრა. მოგება-გამდიდრებისადმი მისწრაფება და ვაქრობის საქმით გატაცება შესცვალა ნახევრად არისტოკრატის, ნახევრად დამოუკიდებელი, მდიდარი კაცის წყნარმა და შვიდმა ცხოვრებამ... ფეოდალური აზოგადოებრივი წყობილებისადმი ამ მიდრეკილებას უწოდებდენ „ესპანური ყიდის ცხოვრებას“. მისი დამახასიათებელი ნიშანი იყო შრომისადმი ზიზღი და არისტოკრატიული ტიტულებისადმი მისწრაფება“.

ზემოაღსახელებული გზებით, საბაზრო უპირატესობათა შესახებ უბრალო ეკონომიური საკითხი თითქმის ყველგან პოლიტიკურ კონფლიქტად იქცეოდა, რომელშიაც ახალი ეპოქის ძალები ფეოდალური საზოგადოების ძალთა წინააღმდეგ გამოდიოდენ. ეს ბრძოლა კბადებდა ფსიქოლოგიურ კრიზისს და იქ სადაც ბრძოლა ახალი ელემენტების საკეთილდღეოდ თავდებოდა, იმარჯვებდა ახალი იდეოლოგია, რომელსაც ახალი ზენი და ახალი მორალური შეხედულებანი ახასიათებდა; რაც ვაეულნას ახდენდა სოციალურსა და ეკონომიურ განვითარებაზე. ბრძოლის შედეგზე იყო დამოკიდებული, თუ ვის დარჩებოდა კომერციული თაოსნობის ფუნქცია. ვის ხელში დარჩება იგი: ლორდის მოურავის, ებისკოპოსის შსახურ პირთა, აბატისა თუ საეკლესიო შუამავლებისა? ან, იქნებ, იგი ხელთ ჩაუვარდეს ახალ, გაუნათლებელსა და გამოუცდელ ხალხს, რომელიც ისეთს ელემენტებს შემოიტანს, რომელიც ძველმა საზოგადოებამ არ იცოდა, თუ როგორ მოეშორებინა თავიდან. მომხდარი ცვლილება, ხელს უწყობდა განსაკუთრებით ინგლისში, შემდგომი საუკუნეების კომერციულ აყვავებას. ქალაქთა გამარჯვებამ „განათავისუფლა კაპიტალისტური სული“, როგორც გამოთქვამს ვ. ზო მ ბ ა რ ტ ი. მან დაანგრია წოდებათა, სამსახურებრივ ურთიერთობათა, ტრადიციათა წინაშე ქედმოხრის ძველი, შეზღუდული სტრუქტურა და ამის მაგივრად დაადგინა ურთიერთობისა და გაცვლა-გამოცვლის ახალი საფუძველი და ახალი იდეები ეკონომიური ძრავის შესახებ. მაგრამ რასაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თემისათვის ეს ისაა, რომ იმან წინ წამოაყენა ახალი პარტიკულარული ხალხი, რომელიც თავისუფალი იყო გარეგანი ბრწყინვა-

ლებისა და კეთილშობილობის შესახებ ფეოდალურ წარმოდგენათაგან და ამრიგად მათი ოცნება მიმართული იყო იმნაირი გზით ამაღლების შესაძლებლობისაკენ, რომელიც ფეოდალიზმისათვის უცნობი იყო. ბუნებრივია, რომ ამ ადამიანებმა, იმის გამო, რომ ყოველთვის საქმე ჰქონოდათ ჩხრიალა ფულთან, გააუმჯობესეს ანგარიშისა და გამონანგარიშების სისტემა და მეთოდი, და რაოდენობრივი გაზომვიდან მათ შეჰქმნეს ახალი ეკონომიური ცხოვრების საფუძველი.

საქალაქო მოსოკოლია.

კონტინენტის მრავალ ქალაქმა თავისი ინდივიდუალობა მოიპოვა იმის გამო, რომ იქ დასახლდნენ ვაჭრები, რომელთაც თან მოჰქონდათ ჰანზა ან გილდია. ამ მოსულ ვაჭრებს ალბათ, ზოგიერთი საერთო თვისებები ჰქონოდათ, რომლითაც ისინი განირჩეოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან; უკანასკნელნი, ალბათ სისტემატიურ ვაჭრობას როდი მისდევდნენ; არამედ მხოლოდ მოსულ ვაჭრებზე ან ციხე-კოშკის პატრონებზე ჰყიდდნენ პროდუქტებს და ფეოდალური საზოგადოებაზე დამოკიდებული კლასის ფსიქოლოგია ჰქონდათ¹; მაგრამ მე-XII საუკუნემდე ქალაქთა შიგნით მოსახლეობის დაყოფა ფენებად საერთოდ მნიშვნელოვანი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში იგი ბევრად ნაკლები იყო იმ დაყოფაზე, რომელმაც მე-XIV საუკუნეში უკვე მძაფრად იჩინა თავი.

ინგლისში, სადაც ქალაქები უმეტეს წილად, და უფრო სოფლური თემებიდან წარმოიშვნენ, ვინემ უცხოელი ვაჭრების დასახლების გამო², აღრიდელი ქალაქები, როგორც ჩანს, უფრო დემოკრატიული იყვნენ და მცხოვრებთა შორის უფრო მეტი თანასწორობით განირჩეოდნენ ვიდრე კონტინენტის ქალაქები. არსებული უთანასწოების მიზეზი, ეს იყო საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მამულთა მფლობელობის უთანასწორობა—მემკვიდრეობად გადმოსული ფეოდალიზმისაგან—და, სრულიადაც არ წარმოშობილა, ან უშუალოდ არ ყოფილა დაკავშირებული სავაჭრო ურთიერთობასთან³. ჰერეფორდში რამდენადმე უმაღ-

¹) პროფ. პირენი შენიშნავს: „მე-XI სუკუნის ქალაქთა მოსახლეობაში, როგორც ჩანს, მობეტალე ვაჭრები უმაღლეს კლასს წარმოადგენდნენ“, (Belg. Dcm., 24); იხ. აგრეთვე Cunningham, West Civilization, 98.

²) უმთავრეს გამოჩაქლის ამ მხრით წარმოადგენდა ლონდონი, სადაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ვაჭრების დასახლება და სადაც უკვე მე-XII ს. ვაჰნეეთ კლასობრივი დაყოფის ზოგიერთ ნიშნებს ვ. გ. რაუნდი ფიქრობს, რომ ლონდონის პირველი ცდა თვითმართვლობის დაარსებისა, — 1191 წ. ლონდონის კომუნა, — უცხოური წარმოშობისა იყო. კომუნის იდეა ნასესხები იყო უცხოელთაგან, ისევე, როგორადაც ვშვენთა თანამედრობა, რომელიც იმ ხანებში გაჩნდა (The Commune of London 225 და შემდეგ). მეორე მხრით ბურჟოარი, პირველი ჩვენთვის ცნობილი ქალაქთაგანი, რომელმაც მიიღო ქარტია და ამით მიენიჭა გილდიის უფლება, — განირჩეოდა საესებით აგრარული ხასიათით, და ქარტია მოიპოვა მისთვის მისმა ფეოდალურმა მფლობელმა (იხ. Grettton, The Burford Records, 5 და შ.). სომერსეტში მრავალ დაბას უკერ კიდევ მე-XIII ს. სოფლური ხასიათი ჰქონდა და თანამედრობის პირთა შორის ჰყავდათ „მეველები“ და „მოჯამაჯირეები“; V. C. H. Somerset, 2, 228); იხ. აგრეთვე Lips on, 163.

³) ვ. ლ. ი: „მიწის მემკვიდრეობითი მფლობელობა უზრუნველყოფდა ძველი გვიანშვილების ეკონომიურ უპირატესობას, როდესაც ქალაქში ჩამოყალიბებებს იწყებდა უმიწაწყლო თავისუფალ მოსახლეთა კლასი“. (Early History of Engl. Wool Ind., Public. of Amer. Econ. Assoc., 1881, 18).

ლესი საზოგადოებრივი მდგომარეობა ენიჭებოდათ იმ მოქალაქეებს, რომელნიც მეფის ცხენოსან ამაღას შეადგენდნენ ხოლმე, როდესაც იგი ქალაქს ეწვეოდა; ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ ნოტინჰემის რაინდები; ვინჩესტერსა, ჰენტიנג-ლონსა, ნორვიჩსა და ღერბიში ღარიბი მოქალაქენი, რომელნიც ქალაქის გალავანს გარეთ ცხოვრობდნენ, როგორც ჩანს, დაბალი კლასის ადამიანებად ითვლებოდნენ¹. კენტერბერიის შესახებ გვაქვს ცნობები, რომ მასში უპირატესობით სარგებლობდნენ ძველი მიწათმფლობელი გვარიშვილები, თვით ქალაქსა და მის გარშემო². ს. ალბანსის აბატის წინააღმდეგ ბრძოლაში იხსენიება ის განსხვავება, რომელიც არსებობდა *majores* (ე. ი. მოქალაქეთა უმაღლეს ფენასა) და *minores*-თა, ე. ი. დაბალთა შორის. 1327 წ. ეს უკანასკნელნი რჩებოდნენ ძალმომრეობითი მოქმედებისადმი მიმართვას, პირველნი კი მხოლოდ საიდუმლოდ უწყობდნენ ხელს ამბოხებას და ცდილობდნენ აბატთან საქმე მოეგვარებინათ— უფრო შვიდობიანი, თუმცა უფრო ნაკლებად სწრაფი საშუალებისათვის— იურისტებისადმი მიმართვით³. ბქ საქმე გვაქვს კონტინენტალურ ქალაქებთან შედარებით საინტერესო კონტრასტთან, რომელსაც შეუძლია შეგვაძღვებინოს ძირითადი განსხვავების გაგება. კონტინენტზე მოქალაქეთა უმაღლესი ფენა საერთოდ ხელმძღვანელობდა ფეოდალური ხელისუფლებისადმი იერიშს, აერთიანებდა ქალაქის მოსახლეობის დანარჩენ მრავალფეროვან ელემენტებს⁴. მაგრამ ს. ალბანსში *majores*-ს, უმაღლეს წყებას, როგორც ჩანს, საკმარისად ჰქონდა ფესვები გადგმული, ფეოდალურ საზოგადოებაში, რათა კომპრომისის მომხრენი ყოფილიყვნენ.

საერთოდ კი ინგლისის ადრინდელ ქალაქებში, როგორც ჩანს, ეკონომიური ურთიერთობანი ისეთი ტიპისა არ იყო, რომელიც მკაცრი კლასობრივი დანაწილებით ხასიათდებოდა. ვაქართა გილდიამ, როგორც ჩანს, თავის წრეში შეიყვანა მოქალაქეთა მხოლოდ ერთი ჯგუფი— ისინი რომელნიც ვაჭრობას მისდევდნენ—საქმაროდ ფართო ზომით. მაგრამ გილდიის კარი დახშული არ იყო ხელოსნებისათვის და თვითეულ მოქალაქეს, რომელიც ვაჭრობას მისდევდა და შეეძლო შესასვლელი გადასახადი გადაეხადნა, შეეძლო მისი პრივილეგიებით ესარგებლა⁵. მრავალ ქალაქში გილდიის წევრები ჯერ კიდევ უმთავრესად მიწათმომქმედნი იყვნენ, ხოლო ვაჭრობას მხოლოდ შემთხვევით მისდევდნენ და მოქალაქეობის უფლება დაკავშირებული იყო მიწის ანუ სახლის ქონასთან ქალაქის ფარგლებში. რასაკვირველია, ყოველთვის არსებობდა მოსახლეობის ისეთი ნაწილი, რომელიც ისე ღარიბი იყო, რომ შეძლება მიწის სყიდვისა არ ჰქონდა; ამიტომ ეს მცხოვრებნი ქალაქის სწორუფლებიან მოქალაქეებს როდი წარმოად-

1) C. W. Colby, „The Growth of Oligarchy in Engl. Towns“. Engl. Historical Review, XX, 634.

2) Brentano—„Engl. Guilds“-ში, 2.

3) N. M. Trenholme, Am. Hist. Review-ში, 652—653.

4) Pirenne, Belg. Dem. 31, 32, 54.

5) Gross, ხსენებ. თხზ. 107. თუმცა ესლი იმ აზრისაა, რომ ხელოსნებისათვის, მდიდართა გარდა, ფაქტიურად გილდიის კარი დახშული იყო, ვინაიდან შესასვლელი გადასახადები ძალიან დიდი იყოთ. (Surveys, 216—217).

გენდენ, როგორც, მაგალითად, ვინჩესტერის, ჰენტიგდონის, ნორვიჩისა და დერბის ლარები მოქალაქენი, გალავანს იქით რომ ცხოვრობდნენ. როგორც ჩანს, ამ პირებს საშუალება არ ჰქონდათ მოწყობილიყენენ თავის ხარჯზე მომუშავე, დამოუკიდებელ ხელოსნებად. მაშასადამე, მათ დღრურად უნდა ემუშავნათ, ან მოსამსახურედ დამდგარიყენენ უფრო შეძლებულ მოქალაქეებთან. მაგრამ მოქალაქის უფლების მოპოება საზოგადოდ არც თუ ისეთი ძნელი იყო. ყმებს შეეძლოთ მოქალაქეებად გამხდარიყენენ და მართლაც ხშირად იქცეოდნენ ხოლომე ქალაქის სრულუფლებიან მოქალაქეებად მას შემდეგ, როდესაც ქალაქში იცხოვრებდნენ, „per unum annum et unum diem“, ერთს წელსა და ერთს დღეს¹.

ამრიგადვე ოსტატ-ხელოსნებთან მომუშავე მუშებს ყოველთვის საკმარისი შანსები ჰქონდათ დამოუკიდებელ ხელოსნებად ქცეულიყენენ: ისინი საკუთარ ინტერესებს სრულიად არ ანსხვავებდნენ თავის ოსტატთა ინტერესებისაგან, ნაცვლად იმისა, რომ ფრძნოთ ინტერესთა წინააღმდეგობა. როგორაც შეიძლება ვიფიქროთ, მათში ხელფასის განსხვავება დიდი არ იყო², რადგან მუშა სახელოსნოში მეპატრონის გვერდით მუშაობდა და ხშირად მასთანვე სვამდა და სკამდა, ამიტომ მისი მდგომარეობა უფრო მუშა-თანამშრომლისას ჰგავდა, ვიდრე დაქირავებული მუშისას³. როდესაც მუშა ან შეგირდი იმდენ ფულს შეაგროვებდა, რომ სახლს შეიძენდა, ან შესძლებდა დამოუკიდებელ ოსტატად და სრულუფლებიან მოქალაქედ გახდომას, მას ნება ჰქონდა აგრეთვე გილდიაში წვერად შესულყო, დაეწყო წვრილმანი ვაჭრობა, თუკი მოისურვებდა და შესასვლელ გადასახადს გადიხდიდა. ახალი ოსტატები ადვილად მრავლდებოდნენ და ამიტომ შეუძლებელი ხდებოდა ძალიან დიდი მოგების გამოწურვა დაქირავებულ მუშათაგან; ხოლო ვინაიდან მოქალაქისათვის იოლი იყო ვაჭართა გილდიის პრივილეგიებით სარგებლობის უფლების მოპოება, ამ პრივილეგიებს არ მოჰყვებოდა ხოლმე კარჩაკეტილი მონაპოლის გაჩენა. უეკველია, არსებობდა უთანასწორობა მფლობელობისა, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და პატივდების მხრით. პოლიტიკური ინიციატივა, როგორც ჩანს, საზოგადოდ, არამრავალრიცხოვან, ცოტაოდენად უფრო მდიდარსა და პატივეცემულ მოქალაქეებს ეკუ-

¹) Colby, ხსენებ. თხზ., 639.

²) Mrs Green, Town Life, II, 64; „ხელოსანთა შორის კონებრივი უთანასწორობა, ჩანს, ძალიან იშვიათი იყო და ამ ორგანიზაცია სარაკაპიტალისტური უნდა ეწოდოს“, Pirenne, ხსენებ. თხზულ., 90; Townsend Warner, Landmarks, 61 და სხვ.

³) გ. რ. ა. სელიგმანი: „ინტერესთა შეტაკებას თითქმის ადგილი არ ჰქონია, რამდენადაც მუშები ყოველთვის იმის მოლოდინში იყვნენ, რომ საკუთარ ხელობას დამოუკიდებლად დაადგებოდნენ. საზოგადოდ ეს ძნელი საქმე როდი იყო; ასე თუ ისე ხერიიანი ხელოსანისათვის... ეს იყო პერიოდი შრომის უპირატესობისა კაპიტალურ და ხელოსანი, თუმცა ნომინალურად ასეთად ითვლებოდა, იმდენადვე მწარმოებელი იყო, რამდენადაც ერთ-ერთი მუშათაგანი... ურთიერთობა საერთოდ სავსებით მშვიდობიანი იყო და ამნაირად, არ არსებობდა დაქირავებულ მუშათა ცალკე კლასი, დაპირდაპირებული მწარმოეთა ან კაპიტალისტებისადმი და მათდამი მტრულად განწყობილი“ „Two Chapters on the Medieval and the Amer. Econ. Assoc., 1887—1890). რ. გ. გრეტონი ამბობს, რომ ადრინდელ გილდიებში „შეუძლებელია რაიმე განსხვავების აღმოჩენა ვაჭრისა, ოსტატისა და მუშის მდგომარეობის შორისო“ (Engl. Middle Class, 65).

თვნოდან, რომელთა აზრსაც მათზე დაბლამდგარი მოქალაქენი, ჩვეულებრივად, წინააღმდეგობას ვერ უბედავდნენ. მაგრამ ეს უთანასწორობანი ბევრად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე თანამედროვე ქალაქებში; და არსებული განსხვავება, როგორც ჩანს, იმდენად დიდი როდი იყო, რომ კლასობრივ ინტერესთა რაოდენადმე მნიშვნელოვანი სხვაობა გამოეწვია. ინგლისის ადრინდელი ქალაქები—ფეოდალიზმთან, რომლისგანაც ისინი წარმოიშვნენ და იმ კლასობრივ დაყოფასთან შედარებით, ორი საუკუნის შემდგომ რომ არსებობდა ქალაქებში—უფრო უახლოვდებოდნენ თავისუფალ და საერთო თანასწორობის მქონე თემებს, რომელთა მსგავსი იშვიათად თუ მოინახება.

ამიტომ ბაზარზე კონტროლი, რომლისაკენაც მიისწრაფოდნენ ქალაქის გილდიები, ხორციელდებოდა ქალაქის ყველა მცხოვრებთა ინტერესების სასარგებლოდ. ზოგიერთი მაღალმდგარი მოქალაქენი უფრო მეტს სარგებლობას ღებულობდნენ გილდიათა პრივილეგიებისაგან, ვიდრე მათი თანამოქალაქენი; მაგრამ პირველ ხანებში მანაც ქალაქის საბაზრო სისტემის ნაყოფი—საერთოდ, თითქმის ყველა მოქალაქეთა შორის ნაწილდებოდა. მხოლოდ შემდგომ ხანებში, როდესაც ქალაქები განვითარდნენ და აყვავდნენ, აღმოცენდა კლასებად დაყოფა და ქალაქის პოლიტიკის მოკარნახენიც ერთი მუქა მოქალაქენი შეიქმნენ.

ქალაქის ეს პოლიტიკა უმთავრესად შეეხებოდა ქალაქის ბაზარზე კონტროლის საკითხებს; ეს პოლიტიკა იყო ის დიდი ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო ქალაქთა გამდიდრებასა და აყვავებას და, მაშასადამე, ახლად წარმოშობილ კომერციულ თაოსნობასაც. უამისოდ ძნელად საფიქრებელია, რომ ქალაქებს მოეხერხებინათ საკუთარი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება. ისინი რომ სუსტნი, ღარიბნი და დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ, ვერც თუ შესძლებდნენ სოციალისტური ცხოვრების ახალი ფულადი სისტემისათვის საფუძველი ჩაეყარათ. ჩვეულებრივად ყურადღებას აქცევდნენ საქმის მხოლოდ ერთ მხარეს, სახელდობრ იმ ფაქტს, რომ ბაზარზე კონტროლი საბაზრო ბაჟებისა და გადასახადთა აკრების უფლებას იძლეოდა. ქალაქის შემოსავლის ამ წყაროთა წყალობით მოქალაქენი ნაწილობრივ თავისუფლდებოდნენ ადგილობრივ გადასახადთა (scot and lot) მძიმე ტვირთისაგან; რომელსაც ისინი ყველანი უკლებრივ იხდიდნენ—*firma burgi*-ს ან ქარტიებისა და პრივილეგიებისათვის. ამას არც თუ ისეთი პატარა მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ საქმის მეორე მხარეც, რომელსაც ყოველთვის სათანადო ყურადღებას როდი აქცევდნენ. ბაზარზე კონტროლი იმ პირთათვის, რომელნიც მას ანხორციელებდნენ, უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო მონოპოლიათა დასადგინებლად. იგი იძლეოდა რა უფლებას, გამოეცათ წესები და განკარგულებანი—იმის შესახებ; თუ ვის ეძლეოდა ნება ვაჭრობისა და რა დროს,—უზრუნველყოფდა ქალაქისათვის იმას, რომ უკანასკნელს ყველა საბაზრო გარიგებათა ბალანსი თავის წევრთა სასარგებლოდ გადაეხარა. ცხადია, ქალაქს არ შეეძლო ამ შემთხვევაში თვითნებურად ემოკმენდა: მას შეეძლო ემოკმენდა მხოლოდ გაცვლა-გააოცვლის ბალანსზე—იმ საქონელთა მოწოდებისა და მოთხოვნის პირობებზე, რომლითაც ქალაქი ვაჭრობდა,—ზეგაუელენის საშუალებით.

თუ ქალაქს შეეძლო ზოგიერთ გარიგებათა შესრულების ნება მიეცა მხოლოდ თავის მოქალაქეთათვის, 'თუ მას შეეძლო მინიმალური ფასი დაედო იმ საქონელზე მოქალაქეები რომ ჰყიდდენ და მაქსიმალური ფასები დაედგინა იმ საქონელზე, რომელთაც ისინი ყიდულობდენ; თუ მას შეეძლო ხელი შეეშალა უცხოელ ვაჭრებისათვის, რომ უკანასკნელთ მოეხდინათ შეთანხმებანი, ყოველმხრივად შეესწავლათ ბაზრის პირობები და დაებრკოლებინათ მოტანილი საქონელის ნაწილის გაყიდვა,—ხოლო ამავე დროს თავისი მოქალაქეებისათვის კი ყოველივე ამისი სრული შესაძლებლობა მიეცა,—აქედან საცხებით ცხადია, რომ ქალაქს შეეძლო მნიშვნელოვანი ზეგავლენაც მოეხდინა გაცვლა-გამოცვლის ბალანსზე თავის სასარგებლოდ. ქალაქს საშუალება ჰქონდა თავის საეაქრო მოღვაწეობისათვის უპირატესი მდგომარეობა უზრუნველყო, ხოლო ისინი, ვინც მასთან ვაჭრობდენ, არახელსაყრელ პირობებში ჩაეყენებინა. რაკი ქალაქს საშუალება ჰქონდა საზღვარი დაედო იმ საქონლის გამყიდველთა კონკურენციისათვის, რომლითაც ადგილობრივი მოქალაქენი ვაჭრობდენ, რაკი საშუალება ჰქონდა, შეძლებისამებრ, გაედიდებინა იმ საქონლის მიწოდება, რომელზედაც ადგილობრივი მოქალაქეებში მოთხოვნა არსებობდა; ყოველივე ეს კიდევ უფრო აღიძვბდა იმ მონოპოლიურ უპირატესობას, რომლითაც ქალაქი სარგებლობდა. ამიტომ ქალაქთა პოლიტიკა,—რომელიც თავდაპირველად, ალბათ, წარმოადგენდა გილიის, რომელისამე უსტაბაშის, ან ქალაქის მოურავის გამოგონილ უთანამიმდევრო, ნაკლებად მოფიქრებულსა და ხშირად უხეირო სისტემას,—არსებითად წარმოადგენდა მონოპოლიის პოლიტიკას. მისი მიზანი იყო ქალაქელების საქონელთა მომხმარებლებისათვის ფასის აწვევა და ფასის დაწვევა იმ საქონელზე, რასაც ქალაქი თვითონ ყიდულობდა¹. ფეოდალთა ხელისუფლებასთან ქალაქის ბრძოლის უმთავრესი მიზანი ამ მონოპოლიის მოპოება იყო, ხოლო უკანასკნელი ის უმთავრესი ფაქტორი, რამაც ახალ თემებს სიმდიდრე და სოციალური გავლენა მიანიჭა.

თავიანთ საეაქრო ოპერაციებს მოქალაქენი მოსახლეობის ორ ჯგუფთან აწარმოებდენ. პირველ ჯგუფს შეადგენდენ სურსათ-სანოვავის მომწოდებელი ახლობელ სოფელთა და მიდამოთა მცხოვრებნი, ესენი ან ყმა-გლეხები იყვნენ, რომელთაც გასაყიდად მოჰქონდათ ნაქარბი პროდუქტები, ან წვრილი, თავისუფალი ფერმერები, ან კიდევ მეორე მამულიანი ფეოდალური თავადაზნაურებიც და სკვადრები და მამულის მფლობელები. მეორე ჯგუფს შეადგენდენ უცხოელი ვაჭრები, რომელნიც ქალაქში ჩადიოდენ უცხოეთის საქონელთა გასაყიდად და სამაგიეროდ ქალაქელი თუ სოფელი ხელოსნების პროდუქტთა შესაძენად.

¹) შ მ ო ლ ე რ ი: „ამ პოლიტიკის არსებითი მხარეა—თავისი თანამოქალაქეებისათვის უპირატესი მდგომარეობის უზრუნველყოფა და გარედან მოსულ კონკურენტთათვის არახელსაყრელი პირობების შექმნა. საბაზრო ვაჭრობისა და საქონლის შესყიდვის შესახებ წესთა მივლი ეს რთული სისტემა სხვა არა ყოფილა რა, თუ არა მოხერხებული ცდა: მყიდველი მოქალაქისა და გამყიდველი სოფელის მოთხოვნა და მოწოდება ისე მოეწყვთ, რომ გარიგების დროს პირველი, რაკ შეიძლება ხელსაყრელ პირობებში ყოფილიყო, ხოლო მეორე—რაც შეიძლება საზარალოში, ქალაქის ფარგლებში ფასების რეგულირება—ეს არის ერთნაირი იარაღი სოფლიდან მოტანილი: პურის, შუმის, ნანადირების, ბოსტნეულის გამყიდველის წინააღმდეგ“ (Mercantile system 8-9); იხ. აგრეთვე Ashley, Introd., გვ. 7 და შემდ.

ამიტომ ბაზრის მოწვესრებიც უმთავრესი მიზანი იყო ამ ორსავე ჯგუფთან ვაჭრობის საქმეში მოქალაქეთათვის უპირატესი მდგომარეობის შექმნა.

ამ მიზნით, პირველ რიგში გამოიციმოდა ხოლმე წესები, რომლებიც დაადგენდნენ პურის, ლუდისა და ლენის ფასთა ნიხრს. „პურის ფასის მხრით ქალაქი უმთავრესად იმისათვის ზრუნავდა, რომ დაინტერესებულ მხარეებს ფასები არ აეწიათ. ფაქტიურად კი ეს მისწრაფება ედვა საფუძვლად ყოველგვარ წესსა და შეზღუდვას¹, ხანდისხან ინიხრებოდა აგრეთვე შეშა, ნახშირი, ქონი და სანთელიც. რათა ამ საქონლებით მომარაგება იაფად დასჯდომოდათ, ნიხრით განსაზღვრული იყო მაქსიმალური ფასები; და ინიშნებოდნენ განსაკუთრებული „ზედამხედველები“, რომელნიც სახლებსა და დუქნებს ათვალეიერებდნენ და გამოცემული წესების ასრულებას თვალყურს ადევნებდნენ. ზედამხედველობის გასაადვილებლად სასტიკად აკრძალული იყო რისამე გაყიდვა ბაზარს გარეშე; ჩვეულებრივად ისე ხდებოდა, რომ ცალკე უბნებსა თუ ქუჩებში იყიდებოდა ხოლმე მხოლოდ განსაზღვრული საქონელი.

გარდა ამისა, არსებობდა მკაცრი წესები, რომლებიც კრძალავდა საქონლით ყოველგვარ ჩარჩობისა და გადაყიდვის მიზნით შესყიდვას. არც ერთ უცხოელს ნება არ ჰქონდა, რაიმე სურსათ-სანოვავე ეყიდნა მანამდე, ვიდრე მოქალაქენი არ შეიძენდნენ თავისთვის საკმარ რაოდენობას და არავის არ ჰქონდა ნება ეყიდნა იმაზე მეტი, რაც პირადად მისი მოხმარებისათვის იყო საჭირო. ტიუდორთა დრომდე და შემდგომ ეპოქაშიაც კი, ბითუმად სურსათ-სანოვავის შესყიდვა მისი ხელახალი გაყიდვის მიზნით საზოგადოებრივი ზნეობის ყველაზე მუხანათურ დარღვევად ითვლებოდა². ის ზიზღი, ამჟამადაც კი რომ არსებობს ხალხში განტყევის აუცილებელი ვაცის, — „სპეკულიანტის“ წინააღმდეგ, უეკველად ენათესაება მე-XIII საუკუნის ამ ზნეობრივ კოდექსს.

უცხოელებთან ურთიერთობის საქმეში მოქალაქენი ესწრაფოდნენ აეკრძალათ მათთვის სხვა ვისთანმე ვაჭრობა, გარდა თვით მოქალაქეებისა. უცხოელი ვაჭრების მიერ მოტანილი საქონელის უმეტესი ნაწილი არისტოკრატიისა და მემამულე თავადაზნაურობის გემოვნებასთან შეთანხმებული ფუფუნების საგნები იყო. მოქალაქეთათვის ცხადია ხელსაყრელი იქნებოდა, თუ ისინი შუამავლობის როლს დაიმიკვიდრებდნენ და ამნაირად ამ მომგებიანი ვაჭრების მონოპოლიას ხელთ იგდებდნენ. ამნაირი მდგომარეობის დროს მათ შეეძლოთ დაეწიათ ფასი საქონელზე, როცა უცხოელი ვაჭრებიდან ყიდულობდნენ და აეწიათ ფასი მემამულე თავადაზნაურობისათვის მიყიდვის დროს, რომელთაც სხვა არჩევანის საშუალება არ ჰქონდათ. ამ მიზნით უცხოელს ეკრძალებოდა გილდიის არა წევრებთან ვაჭრობა და მას ნება ჰქონდა მხოლოდ წვრილმანი ვაჭრობისა ბაზრობის დროს. „გარედან მისულ ვაჭრებს სიამოვნებით უშვებდნენ ხოლმე ქალაქში, როდესაც მათ მოჰქონდათ უცხო საქონელი, რომლის ცალობით გაყიდვა ქალაქელ ვაჭრებს მოგებას მისცემდა, ან როდესაც უცხოელი ვაჭრები გასატანად ყიდულობდნენ ისეთ პროდუქტებს, რომელსაც მოქალაქენი ამ მიზნით ყი-

¹) N. S. B. Gras, Evolution of English Corn Market, 68.

²) Ashley, Introduction, Bk. 11, 30-31; Mrs Green, Town Life, II, 35-39; Pirenne, Belg. Dem., 80-81; Gretton, English Middle Class, 42.

დულობდენ ინგლისელი ხელოსნებისა და მიწათმოქმედთაგან. მათ სიამოვნებით ლეზულობდენ, რამდენადაც ისინი მზად იყვნენ მოქალაქეთა ინტერესებისათვის ემსახურნათ; ხოლო როდესაც ისინი შეეცდებოდნენ ხოლმე მოქალაქეთა შუამავლობისათვის გვერდი აეხვიათ, მაშინ ჩაითვლებოდნენ იმ წესების დამრღვევებად, რომელთა შესრულების პირობის ქვეშ ქალაქში შემოეშვათ ისინი¹. ამ წესთა და შეზღუდვათა დასაცველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველგვარი გარიგებათა დადების აკრძალვას ბაზრობის გარეშე, ე. ი., როგორც დროის, ისე ადგილის მხრით. გარდა ამისა, დაწესებული იყო, რომ ქალაქში ჩასული უცხოელი უექველად უნდა ჩამომხტარიყო, უსათუოდ სახლის პატრონ ადგილობრივ მცხოვრებთან, რომელსაც უნდა ეკისრნა თავდებობა, რომ მოსული ვაჭარი რიგიანად მოიქცეოდა და ქალაქში ყოფნის დროს არსებულ წესებს ასრულებდა. წესები კი ისეთი იყო, რომ მინიმუმამდე დაჰყავდა ქალაქის მოსახლეობის დამაზარალებელი საბაზრო შეთანხმებანი თვით უცხოელთა შორის. ლონდონში უცხოელი ვაჭრების „ფოლადის ქარავასლის“ წინააღმდეგ უქმყოფილება უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ ამ უცხოელ ვაჭრებს საკუთარი პრივილეგიური ორგანიზაცია ჰქონდათ; აქ მათ შეეძლოთ დაუბრკოლებლივ მოეწყოთ ინტრიგები და შეჯახებანი, რადგან ლონდონელი ვაჭრები უმწიონი იყვნენ, რომ მათთვის ხელი შეეშალათ.

მაგრამ მოქალაქეთა ურთიერთშორის არსებული კონკურენცია ამცირებდა ყველა იმ სარფიანობას, რის მიღებაც ერთ-ერთი ზემოხსენებული საშუალებით ქალაქს შეეძლო და რასაც იგი ანმტიციებდა სოფლის მცხოვრებთა თუ უცხოელ ვაჭრებთან ურთიერთობის დროს. ამის თავიდან ასაცილებლად თვით მოქალაქენიც უნდა დამორჩილებოდნენ განსაზღვრულ წესებსა და შეზღუდვას. ამ წესების შესრულებას თვალყურს ადევნებდნენ განსაკუთრებული პირები და გილდიები. დაწესებული იყო იმ საქონლის მინიმალური ფასები, რომელსაც მოქალაქენი ჰყიდდნენ. დიდად ცდილობდნენ რათა კონკურენცია უკანა კარით არ გაპარულიყო საქონლის ღირსების გაუარესების საშუალებით, რადგან ეს ავნებდა და სახელს გაუტეხდა ქალაქის ვაჭრობას². ნაკლებად სინდისიერ ხელოსანს შეეძლო ოფიციალური „ზედამხედველობის“ მეთვალყურეობას დაჰმალვოდა და არსებული წესებისთვის გვერდი აეხვია, უმთავრესად ღამე მუშაობით, რის გამოც მუშაობა ღამით აკრძალული იყო³. ზოგიერთ შემთხვევაში მოქალაქეებს ენიჭებოდათ ამა თუ იმ საქალაქო ხელობისათვის, საჭირო ნედლეულის შესყიდვის მონაპოვლია. „რათა ის მოგება, რომლის მიღებაც ქალაქს შეეძლო, ხელთ არ ჩავარდნოდათ ახლობელი ოლქების მცხოვრებთ, ხანდახან დაადგენდნენ ხოლმე, რომ ზოგი საქონელი საზოგადოდ არ მიეყიდათ ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის“⁴. ასე, მაგალითად, ქალაქელ ყასბებს ხანდახან აუკრძალავდნენ ხოლმე, რომ ქონი, გარდა ქალაქში მცხოვრები მესანთლეებისა სხვა ვის-

1) Ashley, ხსენებ. თხზ., 14; იხ. აგრეთვე Mrs Green, ხსენებ. თხზ., 37-40; Sch moller, ხსენებ. თხზ., 11; Gross, ხსენებ. თხზ., 46-48.

2) Ashley, Introduction, Bk. 1,75; Pirenne, ხსენებ. თხზ., 86-88.

3) Ashley, ხსენებ. თხზ., 91.

4) იქვე, წ. II, 20.

თვისმე მიეყიდათ. გარკვეულ შემთხვევაში ქალაქი შემოიღებდა ხოლმე საბითუმო შესყიდვის სისტემას, განსაკუთრებით მოუსალობის დროს; რომელიც შეეხებოდა ყველაზე მნიშვნელოვან ნედლეულს¹. მაგალითად, ლივერპულში შემოტანილი საქონელი შესაძენად ჯერ ქალაქის მოურავისათვის უნდა წარედგინათ, როგორც ქალაქის წარმომადგენლისათვის. თუ მას მიზანშეწონილად მიაჩნდა, ბითუმად შეესყიდა მთელი საქონელი, შეიძენდა მას და შემდგომ მოქალაქეებსვე მიჰყიდა ხოლმე ზომიერ ფასად.

თუ სათანადო ყურადღებით შევაფასებთ ყველა ზემოხსენებულ გარემოებას, ძნელი როდი-ლა იქნება იმის მიხედვრა, თუ რატომ იყო, რომ ქალაქებს ეს საბაზრო წესები და პრივილეგიები ასეთი მედგარი ბრძოლისა, ესოდენი ფულადი ხარჯისა, სისხლისღვრისა და მსხვერპლთა გაღების ღირსად მიაჩნდათ. ანგვარი უპირატესობის ქონა ჩვეულებრივ უზრუნველყოფდა ხოლმე ქალაქის აკვავება-გამდიდრებას. თუ ქალაქი თავის უფლებებს დაჰკარგავდა, ბაზარზე კონტროლის ეს საშუალებანი მისსავე წინააღმდეგ შეიძლებოდა მიმართულიყო; ამით შესაძლებელია მისი მოქალაქენი იძულებულნი გამსდარიყვენ ემუშავნათ, როგორც დამოკიდებულ ხელოსნებს, ან, საუკეთესო შემთხვევაში, როგორც მოხეტიალე მეწვრილმანეებს, რომელნიც თავადაზნაურულ მომხმარებლებზე იქნებოდა დამოკიდებული და მერყვე მდგომარეობაში მყოფი ბაზრის კაპრიზების ეს მსხვერპლნი იძულებულნი იქნებოდენ თავისი ნაწვავ-ნადაგი, და ბრძოლით ნაპოებული უფლებანი სხვებისათვის დაეთმოთ.

ამ მონოპოლიისათვის ბრძოლაში, — როგორც ეს უკანასკნელ თავშია აღნიშნული უნდა განვაგისხვათ ორი უმთავრესი ფაზა. ჯერ ერთი, ბრძოლა წარმოებდა საბაზრო უფლებებისათვის, რომელიც, ჩვეულებრივად, ვაჭართა გილდიების დაარსების ნებართვის მოთხოვნაში გამოიხატებოდა. მეორე მხრით თვით ქალაქების შიგნით წარმოებდა პოლიტიკური ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რათა უზრუნველყოთ ბაზარზე ნამდვილი კონტროლის გაწევა. დავის საუფუძველი იყო იურისდიქციისა და დაპატონების უფლება². მაგრამ საქმე ამით როდი თავდებოდა. საჭირო ხდებოდა მხედველობაში მიეღოთ ქალაქის ტერიტორიის გარეშე არსებული სხვა ფაქტორებიც, რომელთაც ძალიან არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ მოქალაქეთა ყოველგვარი მონოპოლიისათვის. ამის გამო მათ შემდეგ, რაც ქალაქი მოიპოებდა ხოლმე საბაზრო და პოლიტიკურ უფლებებს და განამტკიცებდა თავის დამოუკიდებელ მდგომარეობას, ქალაქის განვითარებაში დგებოდა მესამე ფაზა. ეს მესამე ფაზა მიმდინარეობდა ქალაქთა მონოპოლიების განმტკიცებისა და გაფართოების ნიშნის ქვეშ. აქ ლაპარაკი იყო უკვე არა ქალაქთა საზღვრების შიგნით ავტონომიაზე, არამედ გარედან მოსულ კონკურენტთა შეტევისაგან ქალაქის პრივილეგიათა განმტკიცებაზე.

აქ, უწინარეს ყოვლისა, დგებოდა მეტოქე ბაზრების საკითხი. თუ მოცემული ქალაქის მეზობლად, მის გვერდითვე არსებობდა სხვა ბაზრებიც, ცხადია,

¹) აქვე, 333-39; Cunningham, Progress of Capitalism, 67; Gross, სხენბ. თბზ, 135-137.

²) ხანდახან, რასაკვირველია, საქმე უზრუნველყოფის წესითაც ხდებოდა, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო.

მ. დობოი, კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება.

მნიშვნელოვანად მცირდებოდა ის სარგებლიანობა, რომელსაც ეს ქალაქი ღებულობდა. მცირდებოდა არა მარტო მოქალაქეებთან ვაჭრობა, არამედ სოფლის მცხოვრებთ და უცხოელებს გვერდით უზნდებოდათ სხვა ადგილი, სადაც მათ შეეძლოთ ეყიდათ და გაეყიდათ საქონელი და ამ რიგად ძირი ეთხრებოდა მოქალაქეთა მონაპოლიურ მდგომარეობას. ბრისტოლსა და ლორდ ბერკლის შორის ატეხილი დავის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩვენ დავინახეთ, იყო ლორდის მისწრაფება—ცალკე ბაზარი დაეარსებინა რედკლიფსტრიტზე. კენტერბერისი პროტესტს იწვევდა ბაზრები, რომლებიც არქიეპისკოპოსს ჰქონდა ვესტგეტსა და უინჩმეში. ფეოდალურ ეპოქაში მეტოქე ბაზრებისადმი ასეთი დამოკიდებულება ყველაზე უხურო მეტად ადასტურებს იმ მიზანს, რომლის გამოც ასეთს მნიშვნელობას აწერდენ ბაზარზე კონტროლს. ჩვენ დავინახეთ, რომ ს. ედმუნდსის აბატი გადაჭრით პროტესტს აცხადებდა, როდესაც ბერები ელიდან ლიკენჰიზში ბაზარს მართავენ. პროტესტებს მოჰყვა მუქარა, რომ ის მოვა „ცხენოსანი და ქვეითი ჯარით ბაზრის გასანადგურებლად“. და აბატმა ეს თავისი მუქარა შეასრულა კიდევაც, როცა შუალამისას თავს დაესხა ხსენებულ ბაზარს 600 კაცისაგან შემდგარი რაზმით¹. ლიაიმის ბაზარი გაუქმებულ იქნა, როგორც ბრიდმორტთან ძალიან ახლოს მდებარე. რუფორდის პრიორს 1302 წ. აუკრძალეს ტემის საზარალოდ ბაზრის გამართვა ჰედემგაშში². ლონდონი ცდილობდა თავისი მოქალაქეებისათვის აეკრძალა ქალაქის ფარგლებს გარეშე არსებულ ბაზრობასა და ბაზრებზე სიარული³.

ძალიან ხშირად ქალაქები თავიანთ ხელისუფლებას აერცვლებენ ირგვლივ მდებარე რაიონზე; რითაც ისინი სარგებლობდენ იმისათვის, რომ სოფლისმცხოვრებნი იძულებულნი გაეხადნათ, რათა მათ ევაკრნათ მხოლოდ ქალაქის ბაზარზე⁴. ჩვენ ვხედავთ, რომ იტალიის კომუნებს, გერმანიის საიმპერიო ქალაქებს, შვეიცარიისა და ზოგიერთ პოლანდიურ ქალაქებს აქვთ ამგვარივე ტენდენცია, რომ თავისი ხელისუფლება გაავრცელონ ახლო-მახლო სოფლებზედაც, მამულებსა და პატარ-პატარა დაბებზე და ამნაირად მოზრდილ სახელმწიფოებად იქცნენ⁵. ულში და ფლორენცია, მაგალითად, ახლო-მახლო ოლქებს იძულებულს ხდიდენ, რომ მათ მთელი თავისი გასაყიდი შინაური ჯოგი მათ ქალაქში მოერეკათ⁶. ვენეცია ცდილობდა აეკრძალა სხვა ქალაქისათვის ურთიერთობა იმ ქვეყნებთან, რომლებიდანაც მას შემოჰქონდა საქირო სურსათ-სანოვავე და თავის ხელქვეითი ქალაქებს ვალდებულს ხდიდა, რომ ევაკრნათ მხოლოდ ვენეციელ ვაჭრებთან⁷.

მეორე მხრივ იბადებოდა მისწრაფება, რომ თავის ბაზრისაკენ მიეზიდათ რაც შეიძლება მეტი ერთმანეთს შორის მეტოქე ვაჭრები, ან მყიდველები, რომლებთანაც მოქალაქეებს შეეძლოთ ევაკრნათ. ამ მიზნით, სპეციალური ბაზრო-

¹) Lipson, ხუნებ. თხზ., 213.

²) H. Liddell, History of Oxford, 553.

³) Lipson, ხუნებ. თხზ., 212.

⁴) Mrs Green, Town Life, 1, 3.

⁵) Schmoller, Merc. System, 13-14; Keutgen—Encyclopedia Britannica-ში.

⁶) Schmoller, ხუნებ. თხზ., 31.

⁷) J. L. Sismondi, Hist. of Ital. Republics (ed Boul'ting), 244.

ბის დროს ქალაქი ზოგიერთ მის მონოპოლისტურ შეზღუდვასაც კი არბილებდა. ამას იმიტომ სჩადიოდენ, რომ ამგვარი ბაზრობა ქალაქისათვის ერთნაირი რეკლამა იყო: ისინი ყველა კუთხეებიდან იზიდავდნენ თავიანთ ქალაქში ვაჭრებსა და მყიდველებს. ამიტომ ხიდის ან ქალაქს ახლო შარავზის ფლობა ძალიან სახეირო იყო, რამდენადაც ეს მოქალაქეებისათვის ვაჭრებისა და საქონელთა უხვად მოზღვაებას უზრუნველყოფდა. ადვილად შესაძლებელია, სწორად ამით აიხსნებოდეს ის დიდი შიში, რომელიც ჰქონდათ მოქალაქეებს: მეზობელ ხიდზე ან მდინარეზე, რომ ბაეს ლებულობს რომელიმე სხვა ხელისუფლება, ვაი თუ ეს გარემოება მან ქალაქის ვაჭრობის საზარალოდ გამოიყენოსო. ეს იყო მიზეზი, რომ ქალაქები ბევრ ფულს ხარჯავდნენ საბაზრო თუ სასაწყობო უფლებათა შესასყიდად. „მუნციპალური დიპლომატიისა და, უკიდურეს შემთხვევაში, ძალმომრეობითი პოლიტიკის ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ, რათა შემოემტკიცებინათ სავაჭრო გზებზე კონტროლი და მიეღოთ საბაზრო უფლებები, — ამბობს შმოლერი. ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი გზა ყოფილიყო ქალაქისაკენ მიმავალი და რაც შეიძლება ნაკლები გზა ასცდნოდა მას, რათა სატრანზიტო სავაჭრობას, ქარავნებით იყო ის თუ გემებით. სწორად აქ ჰქონდათ შეჩერების სადგური და გზად მიმავალი საქონელი აქ გამოეფინათ და ქალაქის მცხოვრებთათვის შეეძლიათ¹.

ბოლოს, მოქალაქეთათვის ხელსაყრელი იყო საქონლის გასასაღებელი ბაზრის გაფართოება სხვა სავაჭრო ცენტრებში განსაკუთრებული პრივილეგიების შექმნის გზით. ზოგიერთ ქალაქებს ჰქონდათ ქარტია, სადაც განსაკუთრებულ მუხლად იყო შეტანილი რომ ამ ქალაქის მოქალაქენი მთელ სახელმწიფოში თავისუფალნი არიან ყოველგვარი ბაჟისაგან. ქალაქები ძალიან ცდილობდნენ სხვა ქალაქთა ბინადარ მცხოვრებლებთან ვაჭრობის უპირატესობის მოპოებასაც. ამ მიზნით ხშირად შეთანხმებები შეიკვრებოდა ხოლმე, რითაც ერთი ქალაქის ვაჭრებს მეორე ქალაქში ვაჭრობის სპეციალური უფლებები ენიჭებოდათ. ხოლო ბევრჯან არსებობდა დიფერენციალურ ბაჟთა რთული სისტემა, რომლის მიხედვითაც ერთი რომლისაზე ქალაქის ვაჭრებს შელავათს აძლევდნენ, მეორისას კი გაძლიერებულად ბევრავდნენ.

ამგვარი მისწრაფება ჰბადებდა სხვადასხვა ქალაქთა, აგრეთვე ქალაქთა და მეზობელ ლორდთა შორის მეტოქეობასა და შეტაკებას². ჩვენ ვხედავთ, რომ „ერთისა და იმავე ქვეყნის საშუალო საუკუნოებრივი ქალაქები, მერკანტილისტური თვალსაზრისის გამო ერთმანეთს ბევრად უფრო მტრულად და სიხარბით ექცეოდნენ, ვიდრე თანამედროვე სახელმწიფოები ერთმანეთს ექცევიან³. „ელი შურით შესცქეროდა კემბრიჯს, ბატი — ბრისტოლს, ლინნი — მოსტონს, ოქსფორდი

1) შმოლერი, ხსენებ. თხზ., 10.

2) „ურთიერთ ქიშპობასა და შეტაკებას იწვევდა ხშირად თვითივე ქალაქის სურვილი — საკუთარი მონოპოლია შეენარჩუნებინა, განსაკუთრებით კი უზრუნველყო თავისთვის, რომ უფრო მნიშვნელოვანი გზების ნათესადგურებში შესვლის ნება მართლ მას ჰქონოდა“ Cunnigham, West. Civilization, 127).

3) Gross, ხსენებ. თხზ. 51.

და ვინჩესტერი და ფაქტიურად 'ყველა დანარჩენი ქალაქები—ლონდონს' 1. სტრატფორდი კოვენტრის ებრძოდა, ხოლო ლეისტერი—ემშისა და ლოფბროს 2. ანტვერპენის მაუდის ბაზარი მთელი საუკუნის განმავლობაში გაცხარებული ბრძოლას აწარმოებდა კალეს მატყლის ბაზართან, ხოლო ჰანზის მეტოქეობას კოპენჰაგენის ვაჭრებთან—1546 წ. დანიასა და ლიუბეკს შორის ექვსწლოვანი ომი მოჰყვა 3. იტალიაში მდიდარი კომუნები დაუძღურდნენ მეთორმეტე და მცამეტე საუკუნის განმავლობაში ურთიერთ ბრძოლისა და დავის გამო; ამას დაემატა გამანადგურებელი ფეოდალური ბრძოლა, რამაც ძალიან შეასუსტა მათი პოზიცია ეკლესიისა და თავადაზნაურობის მიმართ.

ქალაქთა მონოპოლიისათვის ბრძოლის ამ მესამე ფაზის დროს გერმანიაში როგორც ჩანს, დაიწყო ფეოდალ-მფლობელთა წინააღმდეგობა, რასაც უმრავლეს შემთხვევაში ფეოდალიზმის გადამწყვეტი გამარჯვება მოჰყვა. ეს მოხდა განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ გერმანიაში, სადაც ფეოდალიზმი მძლავრი იყო მე-**XIV—XV** საუკუნეთა განმავლობაში. მემამულეთა მედგარი წინააღმდეგობა, როგორც ჩანს, გამოუწვევია ქალაქთა ცდას—გაეფართოებინათ მონოპოლია. ჩიოდენ იმის შესახებ, რომ სოფლელებს—როდესაც ქალაქებში მათ ჩააქვთ გასაყიდად პური, მატყლი, ან ოთხფეხი საქონელი ჩაჰყავთ—ატყუებენ, ნიბრს თვითნებურად აწესებენ, მის შედგენაში მიწათმოქმედთა ინტერესების წარმომადგენელი ვერავითარ მონაწილეობას ვერ ღებულობენო. ამის პასუხად ქალაქებს სჩიოდენ: მემამულეები თავიანთ საკუთარი საშუალებებით ეწევიან ვაჭრობას და ამნაირად ქალაქთა საბაზრო წესებს არღვევენო. ამ ბრძოლაში პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება, როგორც ჩანს, მოიპოვეს ბრანდენბურგში მე-**XV** საუკუნეს, როდესაც მემამულეებმა მიიღწიეს იმას, რომ მიიღეს თავისი პროდუქტების დამოუკიდებლად გაყიდვის უფლება, ხოლო სოფლის მცხოვრებთათვის საზოგადოდ—უფლება იმისა, რომ თავისუფლად აერჩიათ ესა თუ ის საბაზრო ქალაქი. შემდგომ ხანებში რამდენსამე დიდ და გავლენიან ქალაქს წაართვეს საბაზრო პრივილეგიები და ფულის მოჭრის უფლება, ხოლო ადგილობრივმა მთავრებმა მიითვისეს ბაჟის დადებისა და ხელოსნობისადმი მეთვალყურეობის უფლება. ამ თავადებმა თავიანთი მამულები ახალ ეკონომიურ ერთეულებად გადააქციეს, სადაც ქალაქთა ხელისუფლება სასტიკად ემორჩილებოდა ფეოდალ-მფლობელს. ქალაქები გართულნი იყვნენ უფრო ფართო ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში, რომლის დროსაც ვაჭრობაზე მერის კონტროლი შეცვალა ადგილობრივი მფლობელ-ფეოდალის კონტროლი 4.

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც **XVI** ს. გერმანიაში სავაჭრო საქმიანობა დაეცა და ფეოდალური ფსიქოლოგია, ფეოდალური ყოფა-ცხოვრება აღორძინდა 5. იმ დროს, როდესაც ბრიტანე-

1) A. La w, English Nouveaux-Riches of the 14 th Cent. Royl. Hist Society Transact., IX, 51.

2) G. Unvin, „Commerce and Coinage“, Shakespeare's England-ში, I, 315.

3) C. Walford, Royal Hist. Soc. Trans., N. S.-ში, IX, 114.

4) Schmöller, სენ. თხ., 16—37.

5) ზომბარტ: ფეოდალიზაციის პროცესმა თავი იჩინა გერმანიაში ჯერ კიდევ მე-**XV** საუკუნის დასაწყისში (Quintessence, 142).

თი უახლოესი სამი საუკუნის განმავლობაში უნდა გადაქცეულიყო ფრიად მტკიცე და მდგრადი კომერციულ სულის სამშობლოდ, გერმანიაში კაპიტალისტური თაოსნობის პირველივე ნაბიჯი ყინვამ დააზრო. კომერციული საქმიანობა გერმანიაში ფეოდალურ გარსში მოემწყვდა და ინდივიდუალური თაოსნობა-ინიციატივის სულმა ვერ მოახერხა ტრადიციებისა და ფეოდალური პატრიარქალობის ხუნდებისაგან განთავისუფლება.

როგორც ჩანს, ესაწინათვითაც კაპიტალისტური თაოსნობის განვითარება ამრიგადვე იქნება შეთერხებული. „თაოსნობის სული გაჰქრა. ეკონომიური განვითარების მაგიერად ერი ჩაეფლო რელიგიასა, სამეფოს კარის ცხოვრებასა და სარაინდო გასართობებში. სავაჭრო მოღვაწეობას იგივე თვისებები ახასიათებდა, რაც მიწათმოქმედებას“¹. მეფის ხელისუფლება ფრიად ძლიერი იყო, ხოლო ეკლესია თითქმის მასზე უფრო ძლიერი; მომთაბარე მეცხვარეობის ფეოდალურ საქმეს ჯერ კიდევ ჰქონდა მძლავრი ორგანიზაცია სახელგანთქმულ მესტ-თა² სახით. პირველ ხანებში, განსაკუთრებით მავრებთან ომიანობის დაუწყწარებულ პერიოდში, მეფის ხელისუფლება ხელს უწყობდა ქალაქებს და ცდილობდა მათ გაძლიერებას და განვითარებას. მაგრამ მესტ-თა სახით, რომელნიც მატყლის ეაქრობით გამოდიდრებულიყვნენ, მას ჰყავდა მდიდარი ფეოდალური მოკავშირე, რომლისაგანაც შეეძლო ფინანსიური დახმარების მიღება. ამიტომ როდესაც „მესტს“ (mest) ქალაქებთან შეტაკება უხდებოდა, ყოველთვის შეეძლო მეფის მოხელეების დახმარების იმედი ჰქონოდა³; ამიტომ ბრძოლა დამთავრდა არა წარმოშობის გზაზე შემდგარ ეაქართა კლასის გამარჯვებით, როგორც ინგლისში, არამედ ებრაელ ბანკირთა განდევნითა და ინკვიზიციის, ამ საოცარისა და, შეიძლება ითქვას არა სწორად გავებული დაწესებულების ზემოთ⁴.

ამიტომ ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ბაზართა გამო ბრძოლასა და ქალაქთა პროტექციონისტულ თუ მონოპოლისტურ პოლიტიკას კომერციულ თაოსნობა-საქმიანობაში პირველობარისხოვანი მნიშვნელობა მივაწეროთ. ფორმები, რომლითაც გამოიხატებოდა ეს საქმიანობა და ის ადგილები, სადაც იგი ყველაზე ადრე და ყველაზე წარმატებით ვითარდებოდა, ფრიად მნიშვნელოვანად იყო დამოკიდებული ამ ბრძოლის შედეგებზე. მე-XV საუკუნიდან ინგლისის ეაქრობის წარმატებას, ხოლო გერმანიისა და იტალიის ეაქრობის დაკეპას, ჩვეულებრივად იმით ხსნიან, რომ აღმოჩენილ იქნა ახალი სავაჭრო გზები ატლანტიკის ოკეანეზე და მნიშვნელობა დაეკარგა ბალტიის ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის სავაჭრო გზებს⁵. მაგრამ შემოხსენებულზე ნაკლებად მნიშვნელოვანი მი-

¹) Sombart, ხეწებ. თხზ. 135.

²) რიცხვობრივად „mest-ებში“ წერილი მეცხვარეები სპარბობდნენ, მაგრამ სინამდვილეში მის ხელმძღვანელ ორგანოებში უმაღლეს არისტოკრატასა და მონასტრებს, უეჭველია, გაბატონებული ადგილი ეკირათ.

³) Klein, The Mesta, 352 და შემდეგ.

⁴) F. List, Nation. System of Political Economy, 58-59. ესაწინათა კოლონიზაციის უმთავრესი მიზანი იყო ოკროს მიღება.—წმინდა ფეოდალური თვალსაზრისი. ინგლისი და პოლანდია კი, როგორც ლისტის აღნიშნავს, სარკებლობდნენ კოლონიებით, როგორც საქონლის გასასაღებელი ბაზრითა და ნედლეულის მომწოდებლით.

⁵) ეს განმარტება მკაცრად გააკრიტიკა ზომბარტმა თავის „The Jews and Modern Capitalism“-ში, 11.

ზეზი ამისა არ ყოფილა აგრეთვე ახალი კომერციული თაოსნობის გამარჯვება-
ფეოდალიზმთან ბრძოლაში; მართლაც და, ვინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ
ახალი ქვეყნის აღმოჩენა იმდენადვე შედეგი არ იყო, რამდენადაც მიზეზი ახალი
კომერციული სულის გაჩენისა, რამაც ასეთი სიბალისე და ბრწყინვალეობა შეჰმა-
ტა ტიუდორთა „მზიარულ ინგლისს“? ინგლისში ფეოდალურ იდეებსა და ზნე-
ჩვეულებას ისეთივე ბატონობა რომ შერჩენოდა, როგორც ეს იყო ესპანეთ-
ში, ინგლისის ვაქრობა ისეთისავე ხასიათისა იქნებოდა, როგორც ესპანეთის
კოლონიალური პოლიტიკა, რომელიც ფეოდალური არისტოკრატისა ან ეკლე-
სიის სალაროების ასავსებად ოქროს გამალებულ და მტაცებლურ ძიებაში გა-
მოიხატებოდა. მაგრამ ამის მაგივრად ინგლისის ოკეანეს იქითა ვაქრობა რევო-
ლუციონურ და შემომქედ ძალას წარმოადგენდა. უფრო მეტიც: საბაზრო და
სასაწყობო მონოპოლიის მომგებიანობას ინგლისელი ვაჭრებისათვის მადა რომ
არ აღეძრა, საეჭვოა, რომ უცნობსა და გადაკარგულ ინდოეთში მათ ასეთი რის-
კისა და თავგადასავალთა ატანის გამბედაობა გამოეჩინათ.

თავი მეოთხე

კაპიტალისტური მემურობის წარმოშობა.

საშუალო საუკუნოებრივ კლასებს დიდხანს როდი შერჩენიათ უკლასო ინდივიდუალიზმის თვისებები. მალე იჩინა თავი იმ გარემოებამ, რომ ქალაქთა პოლიტიკის ნაყოფი უკვე თანაბრად აღარ ნაწილდებოდა თანასწორუფლებიან მოქალაქეთა მთელ მასას შორის. მით უფრო ნაკლებად ერგებოდა ხოლმე ეს ნაყოფი მთელი ქალაქის ყველა მცხოვრებთ. მალე გაჩნდა მონოპოლიის ახალი სახე, რომელსაც ქალაქებში გარკვეული კლასობრივი დანაწილება მოჰყვა და რომლის შეხებითაც საეპქრო მოგებათა უმეტესობას პრივილეგიანი უმცირესობა ღებულობდა. უმეტესი ქვეყნების უმთავრეს ქალაქებში მომხდარ ამ ცვლილებას ორგვარი ტენდენცია ახასიათებდა. მუნიციპალურ მართველობაში ბატონდებოდა ყველაზე მდიდარ და გავლენიან ვაჭართა გჯგუფი, რომელიც იმავე დროს ცდილობდა, რომ საკუთრად დაჰპატრონებოდა საბითუმო ვაჭრობის მონოპოლიას. ეს ცვლილება მომასწავებელი იყო ქალაქთა ადრინდელი ეკონომიკის აღსასრულისა, რომლისათვისაც კლასებად დაყოფა უცნობი იყო. ამიერიდან ჩვენს წინაშე არა უბრალო საქალაქო მემურობა, რომელიც ცდილობს თავი დაიკვას საცხოვრებო საშუალებათა მოპოებისათვის ბრძოლაში, დამოუკიდებელი შეიქნას ფეოდალური ზღუდეებისაგან; ამრიგად ჩვენს წინაშეა—საკუთარ თავში დაიმედებული და ფულის ძლიერების შეგნებით აგრესიული,—დასაწყისი კაპიტალისტური საწარმოთა, რომელიც ოცნებობს თავისი ბატონობის გაფართოებაზე. განვითარებისაკენ რომ ეს შემდგომი ნაბიჯი არ ყოფილიყო, ქალაქები შესაძლებელია მხოლოდ მარჯვე და მოხერხებულ საეპქრო ახალშენებად დარჩენილიყვნენ დანარჩენი მხრით ყოველგვარად საშუალო საუკუნოებრივ ჩამორჩენილ მსოფლიოში. მაშინ შეუძლებელი იქნებოდა გადასვლა ადგილობრივი ვაჭრობიდან ნაციონალურზე და ოკეანის იქითა მოგზაურობაზე, რომელსაც მოგების მძძივითი ვაჭართა მაგნატები ხელმძღვანელობდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონტინენტის ქალაქებში მოქალაქეთა მდგომარეობას შორის ყოველთვის დიდი განსხვავება არსებობდა. ფეოდალიზმთან ბრძოლის პერიოდში ეს განსხვავება საერთოდ თითქოს მივიწყებული იყო, რადგან აქ ბრძოლა წარმოებდა ქალაქის მთელი მოსახლეობის ინტერესებისათვის. მოქალაქეთა უმადლესი წრეები უფრო მეტად იმით იყო დაინტერესებული, რომ ქალაქის პრეტენზიები დაკმაყოფილებული ყოფილიყო, და თანამოქალაქეებს მათთვის მხარი დაეჭირათ,—ვიდრე თავისი საზოგადოებრივი უპირატესობათა რეალიზაციით, მაგრამ საკმარისი იყო ქალაქებს თავისი მიზნებისათვის მიეღწიათ, რომ მოქალაქეთა შორის თავდაპირველად არსებული უთანასწორობას გაძლიერების ტენდენციები გამოეჩინა;

ამას თან ერთვოდა კიდევ ის ახალი უპირატესობანი, რომელსაც მოქალაქეთა უმაღლესი წრეები მოიპოვებდნენ ხოლმე.

ნიდერლანდების ქალაქებში ეს პროცესი დაიწყო უკვე მეთორმეტე საუკუნის დამლევს. დიდი ქალაქების გილიები,—რაკი მათ თავადაზნაურობასა და ეკლესიასთან ბრძოლაში გაიმარჯვეს,—უფრო მდიდარ ვაჭართა კარჩაკტილ კორპორაციებად გადაიქცნენ. ეს უკანასკნელნი, როგორც ჩანს, ყოველგვარად ცდილობდნენ თავის მონოპოლიად გაეხადათ საბითუმო ვაჭრობა, რისთვისაც ესენი იმდენ ვადასახადს თხოულობდნენ გილიაში შემსვლელთაგან, რომლის გადახდა „ნაკლებად შეძლებული ადამიანთა ღონეს აღემატებოდა“ და თავისი რიგებიდან აშკარად რიცხავდნენ ყველა იმას, ვინც საქონელს სწონიდა საქალაქო სასწორის „ტახტზე“, ე. ი. ცალობით მოვაჭრეებს და ყველას ვისაც „ჩაშავებული ფრჩხილები ჰქონდა“. ე. ი. ხელოსნებს¹. რაკი ამ მონოპოლიით ხელოსანს საშუალება წაერთვა ბითუმად ევაჭრნა თავისი პროდუქტებით და ეყიდნა საჭირო ნედლეულობა, იგი ჩავარდა დამოკიდებულ მდგომარეობაში. წინად ქალაქის წესები და შეზღუდვანი იცავდნენ მას (თუ იგი სრულუფლებიანი მოქალაქე იყო) ბითუმად მოვაჭრეთა წინაშე; ახლა კი ვაჭრობის მომწესრიგებელ ქალაქის სავაჭრო წესების მფარველობის ქვეშ მოკალათებული მებითუმეთა მონოპოლია მის წინააღმდეგ იყო მიმართული. და თუ ხელოსანი არ კმაყოფილდებოდა ადგილობრივ ბაზარზე თავის ნაკეთობათა წვრილად გაყიდვით და ხელს არ იღებდა თავისი ბრუნვის გაღრმობისადმი მისწრაფებაზე, მისი ერთადერთი მომხმარებელნი იყვნენ იგივე გილიებილი მონოპოლისტები, რომელთათვისევე იგი იძლეობდა იყო მიემართა თავისი ხელობისთვის საჭირო ნელ მასალის შესაძენად. იქ, სადაც უმთავრესი თვინურობა ადგილობრივ ბაზარს ჰქონდა,—როგორც მაგალითად გენევაუსა, ნამიურსა და ლიეჟში,—ხელოსანთა ინტერესები სერიოზულად არ ზარალდებოდა. მაგრამ ფლანდრიის მატყლის სარეწაოებზე აგრეთვე დინანსა და მასის ველზე სპილენძის მოპოებისას.—სადაც საჭირო იყო ნედლეულის შემოზიდვა საზღვარგარეთიდან და სადაც საქონლის გასაღების ბაზრები ძალიან ფართო იყო,—ხელოსნები სავსებით დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩაქვიდნენ.

ამის შედეგი იყო ის, რომ გაჩნდა მსხვილ მეწარმე-ვაჭართა მიერ ორგანიზირებული დამოკიდებული მრეწველობის სისტემა. ამ სისტემის დროს მეწარმენი ხელს მასალას ურიგებდნენ მრავალ წვრილ ხელოსნებს, რომელთაც საკუთარი სახელოსნოები და ხელსაწყო ჰქონდათ და დასახმარებლად რამდენსამე მუშას ქირაობდნენ. ანგარიშის გასწორების დროს ეს ხელოსნები ლებულობდნენ იმ განსხვავებას, რომელიც მათი პროდუქტის ღირებულებასა და ნედლეულის ფასთა შორის არსებობდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ იყო არსებულ ურთიერთობათაგან დამოუკიდებელი „ბუნებრივი ღირებულება“; მას განსაზღვრავდა უმთავრესად—ხელოსანთა დამოკიდებული მდგომარეობა. ამ ფასის ოდენობაზე გავლენას ახდენდა შემდეგი გარემოება: ვინაიდან სხვა წყარო არ არსებობდა და შექლებელი იყო ნედლეულის თავისუფლად შექენა, ხელოსნის ნედლეულზე მოთ-

¹) Pirenne, ხუნებ. თხ. 112; აგრეთვე ბრენტანო, „Fngl. Guilds“-ში, CVII.

ხოენილების ფასი შედარებით დიდი იყო; ხოლო ვინაიდან თითქმის სხვა მყიდველი არაყინ იყო ისეთი, ვიზედაც ხელოსანი თავის პროდუქტებს გაასაღებდა, ამიტომ ხელოსნის ნაკეთობათა მიწოდების ფასი შედარებით დაბალი იყო. ამ ორ ფასს შორის არსებული განსხვავება, — ხელოსნის მოგება, — ამნაირ პირობებში უუქველად იმაზე დაბალი იყო, რასაც იგი მიიღებდა მაშინ, როდესაც თვითონ ჰქონდა ბითუმად ვაჭრობის საშუალება¹. ხელოსნები რომ ფასს ლებულობდნენ, ნამდვილად ეს იყო შესრულებული სამუშაოსთვის ერთგვარი საკომისიო ჯილდო, პროტოტიპი, თანამედროვე სამუშაო ხელფასისა.

ეს კლასობრივი დაყოფა თუმცა ყველგან ერთნაირი ძალისა არ ყოფილა. მაგრამ მან ცხადად თავი იჩინა მე-**XIII**-ს. მსხვილ ქალაქებში, სადაც მატყლისა და სპილენძის მრეწველობა იყო აყვავებული. კაპიტალისტ-მეწარმის ადრინდელი ტიპის დამთავრებულ ნიმუშს წარმოადგენდა ჟან ბოინ-ბრაკი, მემბლუდე და შერიფი დუეში. იგი ყიდულობდა ნედლეულობას და ურიგებდა მას მრავალ ხელოსანს, რომელთაც ამ ნედლეულისაგან მაულის დამზადებაში უზღიდა საკომისიო ჯილდოს და ხანდახან ამ საქონელს აფაჭიზებდა საკუთარ სახელოსნოში. „მან თავისი მომუშავენი სრულიად დამოკიდებული გახადა. ხელოსანთა უმრავლესობა მის წინაშე დავალიანებული იყო და ცხოვრობდა მისგან დაქირავებულ სახლებში; მან შემოიღო რაღაც truck-system-ის² მაგვარი წესი ხელფასის საქონლით გასტუმრებისა³. თუმცა ხსენებული ვაებატონის სახელი ყველაზე განთქმული იყო, მაგრამ მისი მსგავსნიც ძალიან ბევრი იყვნენ: იმათი საქმენი ჰკევოდა დინანსა, ლილსა, ბრიუგეს, გენტსა, სტ. ომერსა, ბრიუსელსა და ლუენ-ში. მათ ყოველგვარი შესაძლებლობა ჰქონდათ გამდიდრებულ იყვნენ და სახელი მოეხევათ, რამდენადაც ფლანდრია მე-**XIII**-ს. ჩრდილოეთ ევროპაში ვაჭრობის მსხვილ სასაწყობო პუნქტს წარმოადგენდა. საკმაო იყო ვაჭარს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მისცემოდა, რომ ხელად სიმდიდრე შეეძინა, თუ კი ნამეტნაეად ყუყრო, ან უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული არ იყო. ფული იოლი საშოვარი გახდა და სწრაფად შეიძლება ფრიად ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა მისთვის, ვინც საბითუმო ვაჭრობას ფართოდ აწარმოებდა. „მათ იმდენი ფული ჰქონდათ, რომ შეეძლოთ ერთბაშად შეესყიდათ მთელი ასეული კვარტერი ხორბალი, ას კასრობით ღვინო, ათასობით ბარდანი მატყლი... მხოლოდ მათ ჰქონდათ შეძლება ეყიდნათ ის ძვირფასი ინგლისური მატყლი, რომლის სიფაჭიზემ ასე გაუთქვა სახელი ფლამანდურ მაულს; და როგორც ნედლეულის შეძენის საქმეში ფაქტიურად მონაპოვლიურ მდგომარე-

1) ანდა, თუ მებითუმეთა შორის კონკურენცია იმდენადვე ძლიერი ყოფილიყო, რამდენადაც ხელოსანთა შორის.

2) Truck-system (truck—გაკვლა), იმაში მდგომარეობდა, რომ მეშვებს ხელფასს აძლევდნენ არა ნაღდ ფულად, არამედ საქონლის სახით. (სასურსათო პროდუქტები, მანუფაქტურა, ნაკეთობანი და სხვა, რასაც ჩვეულებრივად თან სდევდა ბოროტმოქმედებანი და მუშათა გაორჯავებული ექსპლოატაცია. ხელფასის გაცემის ასეთი სისტემა ინგლისში აიჭრდა კანონით 1831 წელს, ხოლო რუსეთში კი უფრო გვიან—1886 წელს. (რედაქტ. შენიშვნა).

3) A. H. Johnson, Hist. of the Company of Drapers of London, Vol. I, 76—77 აგრეთვე Pirenne ხსენებ. თხზ., 97, 100.

ობაში მყოფნი, ისინი უდაოდ ბატონობდენ სამრეწველო შრომის ქვეყანაში¹. ხოლო ნედლის მეორე მხარე ნაკლებად სასიამო იყო. ბოინ-ბროკისა და „მომბათა“ მოგება — ეს იყო შედეგი მომუშავეთა საესებით დამოკიდებულ და მონურ მდგომარეობამდე მიყვანისა. ედუარდ მე-III-ის რწმუნებული მკაცრად აკრიტიკებს მუშათა მდგომარეობას. ის გააოცა „ამ უბედურ მსახურთა მონურმა მორჩილებამ, რომელთაც მათი დამჭირავებელნი უფრო ისე ეპყრობიან, როგორც წარმართებს, ვიდრე ქრისტიანებს, თითქმის ისე როგორც ცხენებს, ვიდრე ადამიანებს. ისინი აღრიანად დგებიან და გვიან წვებიან; მთელი დღე მძიმე შრომაში არიან, უხეირო და ცოტა საკმელს ღებულობენ (გამზმარ თევზიულსა და დაობებულ ყველს), და ყველაფერი ეს იმისთვის კეთდება, რომ მათი გაუმძღარი ბატონები გაამდიდრონ, საკუთარი თავისთვის სრულიად უმნიშვნელო სარგებლობის მოუტანელად“².

მუნიციპალური წესები, რომელთა მიზანი იყო უცხოელი მებითუმეებისგან ადგილობრივ მოქალაქეთა ინტერესების დაცვა და რითაც სარგებლობა ხელოსნებს შეეძლოთ, ვაჭრებმა მალე არარად აქციეს. უკვე მე-XII საუკუნეში თავი იჩინა მოძრაობამ უმთავრეს ქალაქთა მებითუმე ვაჭართა შორის თანამშრომლობის დასამყარებლად. იღებოდა ხოლმე ხელშეკრულებები მათი პრივილეგიათა საერთო სარგებლობის შესახებ; ამის გამო უფრო ძველი გილდიების ადგილობრივი შეზღუდულობა და კარჩაკეტილობა შესცვალა ჰანზის უფრო ფართო ნაციონალურმა გაერთიანებამ — ნიდერლანდთა უმთავრესი ქალაქების მებითუმე ვაჭრების სახით. ჰანზა — შეიქმნა გარკვეული კლასიურ ორგანიზაცად; იგი შედგებოდა სხვადასხვა ქალაქთა მდიდარი მოქალაქეების უმაღლესი ფენებისაგან; და მიზნად ისახავდა ჰანზაში გაერთიანებული ვაჭრებისათვის განემტკიცებინა განსაკუთრებული პრივილეგიები „უცხოელთა“ და სხვა ქვეყნიებიდან მოსულ ვაჭართა კონკურენციის წინააღმდეგ. ლონდონის ჰანზა, რომელიც შედგებოდა ინგლისის მატყლით ვაჭრებისაგან, სარგებლობდა ინგლისის მეფეების სპეციალური მფარველობით³. ინგლის-ფლანდრიული მატყლის ამ ვაჭრობაში ჩაბმულნი, ძლიერ სწრაფად, დიდძალ ქონებას იძენდენ.

ამასთან ერთად ძველი საქალაქო სისტემის ადგილობრივი კარჩაკეტილობა მისპო იმ პოლიტიკურმა ცვლილებამ, რამაც ქალაქთა ცხოვრება დაუმორჩილასაერთო ცენტრალიზებულ ტენდენციას, რომელსაც ხელს უწყობდა ახალი ჰანზა და კაპიტალისტური მეწარმენი. პოლიტიკურ ხელისუფლებამ იწყო გადასვლა მდიდარ მოქალაქეთა ხელში; რომელთაც ამიერიდან უწოდებდენ, — კლასიკური მსოფლიოდან ნასესხები უხეირო ანალოგიით — „პატრიციატს“. ეშვენებს, რომელთაც წინად ყველა სრულუფლებიანი მოქალაქენი ირჩევდენ, ახლა პატრიციები მხოლოდ თავისი საკუთარი წრიდან ნიშნავდენ. ისინი ანხორციელებდენ მეთვალყურეობას ხელოსნებზე, აწესრიგებდენ ხელფასს და საერთოდ ქალაქისა და მისი ბაზრის საქმეებს განაგებდენ ახალი კაპიტალისტური კლასის ინტერესების მიხედვით. „Majores“, divites, „თავკაცები“ (great men) ამიერიდან

1) Pirenne, ხს. ნებ. თხ., 98—99.

2) ციტირებულია Ashley-დან, Early Hist. of Engl. Wool Ind. Public. A. Econ. Assoc (1887), 43.

3) Pirenne, Histoire de Belgique, I, 271.

განაგებდენ—minores, pauperes, plebei-ებს—„უბრალო ხალხს“... მათ მონოპოლიურად ხელთ იგდეს მუნიციპალური მმართველობა... და ეს უკანასკნელი კლასიური მთავრობა იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით¹. გერმანიის ქალაქებშიაც იგივე მოხდა. ზოგიერთ შემთხვევაში პატრიციები გადასახადთა უდიდეს სიმძიმეს ხელოსნებს აკისრებდენ; ხოლო სტრასბურგში „მმართველი გვარების ზოგიერთი წარმომადგენელი ხელოსნებს ართმევდენ ყოველწლიურ რენტას 300—400 კვარტერი ქერის რაოდენობით“, მაშინ როდესაც კილონში „ხელოსნები, პატრიციების, თითქმის ყმებს წარმოადგენდენ“².

ეს მდიდარი ვაჭრები ეკლესიასა და თავადაზნაურობას მაინც სავსებით დაშორებულნი იყვნენ; ხოლო მეფეები, რომელთაც სულ უფრო და უფრო ხშირად უხდებოდათ ფულისათვის ვაჭრებისადმი მიმართვა, მუდამ იმას ცდილობდენ, რომ ვაჭრები მიემხროთ და მათი გავლენა გაეძლიერებინათ. ამიტომ აქ ნაკლებად იჩენდა თავს ფეოდალიზმის მიმართ ის კომპრომისული პოლიტიკა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იტალიის ბევრ ქალაქში: ვაჭართა კლასი საკმაოდ ძლიერი იყო, რომ უმტკივნელოდ შეენარჩუნებინა თავისი მდგომარეობა. მაგრამ ქალაქის პატრიციატის ნაწილი იჩენდა მისწრაფებას—საქმიანობისათვის თავი დაენებებინა და ეყიდა მამული. ამას იგი ერთის მხრით იმიტომ სჩადიოდა, რომ მამული კაპიტალის დასაბანდებლად სახეირო საქმეს წარმოადგენდა; მეორე მხრით ამას სჩადიოდა იმიტომ, რომ მეტოქეობა გაეწია არისტოკრატიისათვის უქმი ცხოვრების სიამ-ტკბილობით სარგებლობაში. მის შესახებ ვერიბოლდი ამბობს: „Census accrescunt censibus, et munera muneribus“³. პატრიციატის ამ უქმადმოყოფ ნაწილს უწოდებდენ viri hereditarii, boni homines ანუ otiosi, როგორც მათ ხალხი ეძახოდა. ნამდვილი თავადაზნაურობის მსგავსად იგი ქედმაღლურად დასცქეროდა ქალაქის მოსახლეობის მასას, როგორც დაბად ხალხს და მოითხოვდა, რომ მიმართვის დროს მათთვის „სერ“-ი და „ლორდ“-ი ეწოდებინათ⁴. მაგრამ თავადაზნაურობის ზნეჩულებლისადმი ეს წაბაძვა ვაჭართა კლასისა მაინც მხოლოდ უბრალო დროსტარება და მცირეხარისხოვანი ინტერესი იყო. მას არ შეეთვისებია თავადაზნაურობის ზნეჩულებანი და მორალური წარმოდგენანი, როგორც ამას ცდილობდენ ვაჭრები იტალიისა და ესპანეთში; ამ უკანასკნელ ქვეყნებში ფეოდალური ადათ-ჩულებანი შეითვისეს იმ დრომდე, ვიდრე სავსებით მომწიფდებოდა და გაიმარჯვებდა კაპიტალისტური თაოსნობა-საქმიანობის ახალი სული. ეს იყო ახალი პირობებისადმი ზოგიერთ ფეოდალურ წარმოდგენათა უფრო შეგუება, ვიდრე ფეოდალიზმის წინაშე ახალი სულისკვეთების კაპიტულაცია. კაპიტალისტური სული ჯერ კიდევ ცოცხლობდა პატრიციების მნიშვნელოვან ნაწილში და არასოდეს არ გამოუწვევია ამ ორი ჯგუფის ერთმანეთისაგან რაოდენადმე მკაცრი გამიჯვნა. „ყოველი პატრიციის ოჯახში იყვნენ წევრები, რომლებიც ორსავე კატეგორიას ეკუთვნოდნენ. პირველ ჯგუფს გამუდმებით აესებდა მეორე, ხოლო უკანასკნელი, თავის

1) Pirenne, Belg. Dem., 110, აგრეთვე 115, 129; იხ. აგრეთვე Pirenne, Hist., vol. I, 369 და შემდ.
 2) Brentano, ხუნებ. ობზ., CIX, CX, აგრეთვე Keutgen, Encycl. Brit.-ში, VI. 787.
 3) „ცნუები ემატება ცნუებს და მოვალეობანი მოვალეობებს“ (რედ. შუნ.).
 4) Pirenne, Belg. Dem., 110-111, 114.

მხრით, ფართოდ უღებდა კარს ინიისი-ების შეიღებს, რომელთაც სურდად კორმეციული მოღვაწეობის გზას დასდგომოდნ¹

ქალაქთა ამ ძველებური ლოკალიზმისა და მისი უმნიშვნელო მრეწველობის დანგრევა—ეკონომიურად პროგრესიული მოვლენა იყო. კაპიტალისტი-მეწარმე და მისი ჰანზა, შეიძლება ითქვას, უფრო რევოლუციური ძალა იყო, ვიდრე ფეოდალიზმთან ბრძოლის დროს ვაჭარი თავისი გილდიით. უკანასკნელმა დაამსხვრია საშუალო საუკუნოებრივი ხუნდები, ხოლო პირველმა საძირკველი ჩაუყარა თანამედროვე მსოფლიოს. პატრიციების ხელმძღვანელობით ფლანდრია აყვავდა და მდიდრდებოდა იმ დროს, როდესაც ინგლისის ქალაქები ჯერ კიდევ გართულნი იყვნენ აბატებთან და მემამულეებთან წვრილმანს ბრძოლაში, როდესაც ყველაზე მდიდარი ინგლისელი ვაჭარი ჯერ კიდევ არაფრით განსხვავდებოდა უბრალო ხალხისაგან და პრინციპულ პირობებში ცხოვრობდა პატარა და ბინძურ ქოხში. პატრიციებმა ერთგვარი სპეციალიზაცია შეიტანეს წარმოებაში. მათ დაიწყეს ფართო ბაზრისათვის წარმოება, რითაც ისინი განსხვავდებოდნენ წინანდელი ქალაქების ეკონომიკისაგან, რომელსაც ჩვეულებრივად ახასიათებდა მონუმენტებელთან ხელისნის უშუალო კავშირი. სპეკულაციის ხელოვნება მათ განათავისუფლეს იმ ცუდი რეპუტაციისაგან, რომელიც საშუალო საუკუნეებში ჰქონდა მას და აგრეთვე „სყიდვა-გადაყიდვის“ ყოველგვარ სახეს. ამნიარად ისინი პირველნი იყვნენ, რომელთაც შემოიღეს წესი—მაკარად გაეზომათ ეკონომიური სიდიდეები თვითღირებულებისა და მოგების შედარების მიხედვით. მათი წყალობით იწყო მოქმედება განვითარებული მეურნეობის დიადმა სუბსტიტუციის (შენაცვლების) პრინციპმა, რომელიც პირველ ხანებში უხეიროდ და უხეზად მოქმედებდა, მაგრამ თანდათან უფრო წარმატებითა და გამუდმებით იხმარებოდა იმისდამიხედვით, თუ რაოდენად ფართოდებოდა ეკონომიური მოღვაწეობის ასპარეზი. როგორც შემოქმედების საუკუნეს, პატრიციების ბატონობის ამ ხანას საშუალო საუკუნეებში ბადალი არა ჰყავს და ამ მხრივ ბევრად ვერც სხვა შემდგომი საუკუნე აღმატებია მას. ეს იყო საუკუნე საბაზრო შენობების აგებისა და წყალსადენების გაყვანისა, საქონლის საწყობთა და გემთსაშენების, შლიუზებიანი რეზერვუარების აგებისა და არხების გაყვანისა; სწორედ ამ ხანას შეიძლება მივაკუთვნოთ დიკებოშში რეზერვუარის გაკეთება და იპრში მაულის სასახლის აგება². ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ახალმა კლასმა თან მოიტანა განათლების ახალი ტიპისა და ახალი მეთოდების მოთხოვნა; ვაჭართა ახალი კლასის მფარველობით იხსნებოდა ეკლესიისაგან დამოუკიდებელი ახალი სკოლები. მრავალ ადგილას ამის გამო სამღვდლოებასთან სერიოზული შეტაკებები ხდებოდა და არა რაიმე თეორიული ხასიათის უთანხმოების გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მოქალაქეებს მათი ახალი მოთხენილებებისათვის შეთანხმებული განათლება ესაჭიროებოდათ და არა ის განათლება, რომელიც საეკლესიო სწავლების მოძველებული პრინციპებით იყო განსაზღვრული³.

¹) Pirence, Belg. Dem., 120-121.

²) იქვე, 113-114.

³) Pirence, Belg. Dem., 121-123.

მაგრამ არც ისე დიდხანი დასკირებით ხელოსნებს, რომ ახალი გარემოების წინააღმდეგ დარაბზმულიყენენ. სულ ცოტა ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ისინი დამოუკიდებელნი და თავისუფალნი იყვნენ; და მოხუცებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ იმ ნეტარი რეჟიმის დრო. ისინი ოცნებობდნენ რა წარსულზე, იბრძოდნენ კიდევაც ამ წარსული დროის მოსაბრუნებლად. ამ ბრძოლაში უმეტეს წილად მათი მეთაურები იყვნენ ნაულის სარეწაოების წარმომადგენელი, რადგან ახალი კაპიტალისტური მრეწველობა ყველაზე ძალუნად სწორედ მათ შეეხო. ხელოსან-შეპატრონეებს მხარს უჭერდნენ მათი მუშები, რომელთაც ისინი საშუალო საუკუნოებრივი ჩვეულების მიხედვით, უყურებდნენ, როგორც მუშაობაში თანამშრომლებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეკლესიაცა და თავადაზნაურობაც კი მხარს უჭერდნენ ხელოსნებს თავის საქმლველ მეტოქეებთან ბრძოლაში. ამის შედეგი იყო ის დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-XIII საუკუნის შუა წლებში. 1225 წ. იფეთქა აჯანყებამ ვალანსიენში. სადაც გადააყენეს მაგისტრეტი, რომელიც შედგებოდა პატრიციებისაგან, და გამოაცხადეს კომუნა. მაგრამ ქალაქს ალყა შემოარტყეს, კომუნა დათრგუნეს და მოძრაობა მინელდა 1245 წლამდე, როდესაც ფლამანდურ ქალაქებს მოედო takehans-ის, ანუ გაფიცების ეპიდემია. 1254 წ. მიპადა ამბოხება დინანში; როგორც ლიეჟის ეპისკოპოსმა ჩააქრო; 1274 წ., გენტში უშედეგო ამბოხებათა შემდეგ, ხელოსნები გავიდნენ ქალაქიდან, რათა ბრძანდნენ ცალკე კომუნა დაეარსებინათ. პატრიციატს ჯერ კიდევ შეეძლო ბატონობა შეენარჩუნებინა. „17 ქალაქისაგან შემდგარ ჰანზას... როგორც ჩანს, სხვა მიზანი არა დარჩენილა რა, თუ არა პატრიციების მთავრობის ინტერესების დაცვა მუშათა მოთხოვნის წინააღმდეგ“¹. ფეიქრებსა და მთელავეს აკრძალული ჰქონდათ იარაღის ტარება, ან შეიდ კაცზე მეტი ერთად შეკრება. გაფიცულთ სასტიკად სჯიდნენ. მაგრამ მეთოთხმეტე საუკუნეში ბრძოლა ხელახლა გაჩაღდა, რაიც გავრთულა იმან, რომ ფილიპე ლამაზმა დახმარება აღმოუჩინა ფრანგ პატრიციებს; ხოლო მეორე მხრივ იმ გარემოებამ, რომ ხელოსნებს ფლანდრიის გრაფის დახმარების იმედი ჰქონდათ და შეიძულეს ფრანგული ფილიპე, როგორც თავიანთი მჩაგვრელების ემბლემა. ამის გამო ატყდა კლასობრივი ბრძოლა, რომელმაც ფლამანდრელებისა და ფრანგების ეროვნული ომის ხასიათი მიიღო და რომელიც ფრიად მკაცრი და დაუნდობელი იყო. ეს ბრძოლა დაიწყო 1302 წელს, როდესაც მთელ ფლანდრიას მოედო საკოველთაო აჯანყება და ბრიუგეში ფრანგები და პატრიციები შეუბრალებლად ამოვიტყეს. ბრძოლა დამთავრდა 1320 წ., როდესაც ფლამანდრელებმა დაამარცხეს ფრანგები კურტრესთან მომხდარ ბრძოლაში².

ბრძოლა ჩვეულებრივად მთავრდებოდა ხელოსანთა გამარჯვებით და ვაჭრების ხელისუფლება სერიოზულად იზღუდებოდა. ლიეჟში, სადაც ტაძრის კაპი-

1) Pirenne, Belg. Dem., 132.

2) ლილია—Lilium, ერთლებოვანი მცენარე, დიდი, თეთრი ყვავილებით; ზამბახი. აქვს 4x სახე თეთრება სიდიდის სიმბოლოდ. გამოხატული იყო საფრანგეთის მეფეების ღვრბზე (რედ. შენიშვნა).

3) Pirenne, Histoir, vol. I, 405 და შემდეგ; იხ. აგრეთვე Brentano, ხსენებ. თხზ. CX—CXI.

ტულმა ხალხს დაუქირა მხარი, ქალაქის მართველობის თანამდებობანი 1330 წ. თანაბრად გაინაწილეს ვაჟრებმა და ხელოსნებმა. უტრეხტში დაამყარეს დემოკრატია, ხელოსანთა უფლებრივად გათანასწოების საფუძველზე. დინანში მართველობა გაინაწილეს ვაჟრებმა, მესპილენძეთა მრავალრიცხოვანმა ამქარმა და ცხრა უფრო მომცრო ხელობათა ჯგუფმა. ბრიუგესა და გენტში ხელოსნებმა ხელახლა მოიპოვეს ეშვეენებზე ნაწილობრივი კონტროლის უფლება, ხოლო თავით საამქროებმა მიიღეს ავტონომია იმის მაგიერად, რომ მაგისტრატს დამორჩილებოდნენ¹.

მაგრამ დემოკრატიული მოძრაობის ამ გამარჯვებამ შეაფერხა ის კაპიტალისტურ ტენდენციათა განვითარება, წინა საუკუნეში რომ იჩინა თავი. აღდგენილ იქნა ადგილობრივი ბაზრის უპირატესი მნიშვნელობა და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ დაეცვათ ადგილობრივი მრეწველობის მონაპოვლი; რომელიც თავის ხელისუფლებას ანხორციელებდა ხელოსანთა გილდიების მეშვეობით. ხელახლა თავი იჩინა ქალაქთა დავამ და მეტოქეობამ სასაწყობო პრივილეგიათა უფლების გამო. ამრიგადვე ქალაქთა ხელისუფლება გავრცელდა მის გარშემო მდებარე რაიონზედაც. მაუდის დამუშავება აკრძალეს გენტის, ბრიუგესა და იპრის ახლო რაიონებში. პოპერიინგი საბოლოოდ დაუმორჩილეს იპრს, ხოლო გრამონი, გუდენარდი და ტერმონდი—გენტს. ჰანზელ ვაჟრებს ზოგიერთი პრივილეგია ჩამოართვეს, ხოლო ზოგიერთ წვრილ ხელოსნებმა საშუალება მიიღეს ბითუმად ვაჭრობისათვის მოეკიდნათ ხელი და გამდიდრებულ იყვნენ².

თუმცა უნდა ითქვას, რომ ხელოსნებმა მაინც ვეღარ მოახერხეს საესებით აღდგინათ თავისი საშუალოსაუკუნოებრივი დამოუკიდებლობა; მათი გამარჯვება ნაწილობრივი იყო. მან შეაფერხა კაპიტალისტური საწარმოთა განვითარება, მაგრამ ვერ შესძლო მისი მოსპობა, მაუდისა და სპილენძის ვაჭრობის დიდ ცენტრებში, როგორც იყო ბრიუგე და დინანი, ხელოსნების მიერ მოპოებული ხელისუფლება სრულიად არ იყო საკმარისი. მეწარმეებმა იწყეს ქალაქთა მონაპოვლისათვის გვერდის ახვევა; ისინი ხელოსნებს ქირაობდნენ სოფლებში, იმ ტერიტორიის გარეშე, რომელზედაც ქალაქთა ხელისუფლება ვრცელდებოდა. ამის გამო მატყლეულის შინა მრეწველობამ სოფლის ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიჭირა და ახალი ნავთსადგურები, ამსტერდამი და ანტვერპენი, გამდიდრდნენ და სახელი გაითქვეს, როგორც ამ ახალი მრეწველობის ცენტრებმა, ხოლო ბრიუგე, რომლის განვითარება ანტიკაპიტალისტურმა შეზღუდვებმა შეაფერხა, დაცემის გზას დაადგა. ხოლო შემდგომ, მეხუთმეტე საუკუნეში, კაპიტალისტურ-საწარმომ კვლავ დაიბრუნა დაკარგული გავლენა და თავისუფლება. ბურგუნდთა გვარეულობამ, ფილიპე გულკეთილის სახით, მტკიცედ გააერთიანა თავისი ხელისუფლების ქვეშ ნიდერლანდთა უმეტესი ნაწილი, და ამ ახალ რეგიმს შეგნებული ჰქონდა, რომ მისი ინტერესები ქვეყნის სამრეწველო წარმატებას მოითხოვდა. განაგებდა რა მძლავრ ადმინისტრაციას, მან მოისურვა თავისი მდგომარეობის განმტკიცება პოლიტიკური ცენტრალიზაციის პროცესით; ამ

¹) Pirenne, Belg. Dem., 162-163.

²) იქვე, 164, 166-171.

პროცესს მხარს უჭერდა სამღვდლოება და არისტოკრატია, ასევე otiosi—უცუ-
თესნი, რომელთა შვილებს იმედი ჰქონდათ, მეუღის სამსახურში კარგ ადგილე-
ბის მიღებისა, აგრეთვე ვაჟარ-ექსპორტერები, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას
სწევდნენ ხელოსნები და ადგილობრივი ვაჭრები, რომელთაც იგი თავის საქა-
ლაქო პრივილეგიათათვის საშიშრად მიაჩნდათ. მიუხედავად ამისა ნაციონალურ-
მა პარტიამ გამარჯვება იოლად მოიპოვა. ქალაქებმა თავიანთ ინტერესთა და
ფსიქოლოგიის სხვადასხვაობის გამო ვერ მოახერხეს გაერთიანება; გარდა ამისა,
მათ ასუსტებდათ შინაური განხეთქილება, რადგან უფრო მდიდარი ვაჭრები
მეუღს ემხრობოდნენ. ყველაზე მედგარი წინააღმდეგობა გააუწია ლიეჟმა, რომე-
ლიც გმირულად იგერიებდა თავდამსხმელებს, მაგრამ, ბოლოს, ფილიპემ ისიც
დაამარცხა; ურჩობისათვის ეს ქალაქი სასტიკად დასაჯეს და დაუნდობლად
გაძარცვეს. დამარცხებულ იქნენ აგრეთვე მენტი და ბრიუგეც. ამიერიდან ქალა-
ქის მართვა-გამგებლობა მეფის მოხელეების ხელში გადავიდა, რომელთაც უპ-
თავრესად ვაჟართა კაპიტალისტური კლასის წრეებიდან ნიშნავდნენ. მაგისტრა-
ტის დანიშვნაში მონაწილეობას ლებულობდა ცენტრალური მთავრობა. შემოი-
ღეს უფლება, რომლის ძალითაც ქალაქისათვის შეეძლოთ ეჩივლათ ეროვნულ
ტრიბუნალში. გაუქმებულ იქნა ქალაქთა იურისდიქცია. თანამდებარე ქალაქებსა
და სოფლებზე. გარდა ამისა, გაბათილებულ იქნა სპეციალური სასაწყობო პრი-
ვილეგიები. ახალ კომერციულ მეწარმეებს,—ეყრდნობოდნენ რა მძლავრ ნაციო-
ნალურ ადმინისტრაციას,—შეეძლოთ თავისუფლად მიემართნათ მოლვაწეობის
ახალი სფეროებისადმი და ახალ წარმატებათა და მიღწევათა მწვერვალებზე
ასულიყვნენ¹.

მდგომარეობა ჩრდილო იტალიის ქალაქებში, როგორც ჩანს, ბევრად უფ-
რო რთული იყო, ვიდრე ნიდერლანდებში. მართლაც და, აქ უკვე მერვე საუ-
კუნეში ლომბარდიის ზოგიერთ ქალაქში არსებობდა ვაჟართა სავისებით ჩამოყა-
ლიბებული უმალღესი ფენა, majores et potentiores, რომელთაც უნდა ჰყოლო-
დათ საკუთარი ცხენი, ჰქონოდათ შუბი, ფარი და აბჯარი². შეიძლება ისინი
იმაზე მეტად განცალკევებულ კლასს არ წარმოადგენდნენ, ვინემ ინგლისის ზო-
გიერთ ქალაქთა ცხენოსანი მოქალაქენი და მთელი განსხვავება, უპიკელია,
წმინდა ფეოდალური ხასიათისა იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი იმას
მოწმობს, რომ ეს ქალაქები ბევრად უფრო შორს იყვნენ დემოკრატიისა და
თანასწორობისაგან, ვიდრე ქალაქები ყველა სხვა დანარჩენ ქვეყნებში. ეს გარე-
შობა იყო, ნაწილობრივად, იმის მიზეზი, რომ მე- XIII საუკუნეში ფეოდალიზ-
მის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა მოქალაქეთა უმალღეს კლასსა და თა-
ვადანაურობას შორის კომპრომისით დამთავრდა. ამ კომპრომისის შედეგად
შეიქმნა ფრიად თავისებური მდგომარეობა. ვაჭრები ცდილობდნენ გათქვეუი-
ლიყვნენ ფეოდალიზმში ნაცვლად იმისა, რომ მისი მაგივრობა გაეწიათ, რო-
გორც ამას სხვა ქვეყნებში ცდილობდნენ. მდიდარ ვაჭართა და თავადანაურობ-
ის ამ კავშირმა უფსკრული გათხარა მათსა და მოქალაქეთა მასას—წვრილ ვა-
ჭართა და ხელოსანთა შორის. ბანკირებმა და ვაჟარ-ექსპორტერებმა, რო-

¹) Pirenne, Belg. Dem., 188-209; Histolre, vol. II, 347 და შემდ.

²) Keutgen, Encycl. Brittan-ში, vol. IV, 788.

მელნიც მატყლით, მათდითა და აბრეშუმით ვაჭრობდენ საფრანგეთსა და გერ-
მანიიდან მოყოლებული თვით ლევანტამდე, მოახერხეს თავადაზნაურობასთან
წერათება, ქალაქთა მართველობისა და გილდიებზე კონტროლის ხელში ჩაგ-
დება. „მოსახლეობის ძირითადი მასა,—ხელოსნები, ვაჭრები, სრულიად ჩამო-
წორებული იყო“¹ ქალაქის მართვა-გამგებლობას. მრავალი ხელოსანი, რო-
გორც ჩანს, ეპისკოპოსის ან თავადაზნაურთა ნახევრადფეოდალურ სამსახუ-
რებოივ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ამნაირად ვაჭრობის საქმეებში, მო-
ქალაქეთა ოლიგარქიას გადამწყვეტი ხმა ეკუთვნოდა. ვაჭარ-ექსპორტიორთა
მსხვილ ვილდიებს თავთავიანთ ვაჭრობის დარგში მონოპოლია ჰქონდათ; ხოლო
თავისზე დამოკიდებულ უფრო მომცრო ვილდიებს ათასგვარ შეზღუდვასა და
პირობებს უწესებდენ. ეს უკანასკნელნი, თავის მხრით, სპეციალური წესებითა
და შეზღუდვებით აფერხებდენ შეგირდების დამოუკიდებელ ხელოსან-ოსტატე-
ბად გახდომას, ხოლო შემდგომ აწესებდენ მუშათათვის მაქსიმალურ ხელფასს.
აპასთანავე მუშებს აკრძალული ჰქონდათ გაერთიანებაც. „ფაქტიურად, მუშა
თავისი დამქირავებლის ყმას წარმოადგენდა“². ამნაირად, ქალაქის მთელი
სტრუქტურა წარმოადგენდა დაწერილებით ჩამოყალიბებულ მონოპოლიის სის-
ტემას; დაქირავებული მუშები დამოკიდებულნი იყვნენ ხელოსან-ოსტატებზე,
ოსტატები ვაჭრებზე, ვაჭრები—ქალაქის მდიდარ არისტოკრატიაზე, რომელიც
პიზამიდის მწვერვალს წარმოადგენდა.

მონოპოლიის ამ სისტემას ის მოჰყვა, რომ ნახევრადფეოდალურმა ქალა-
ქის არისტოკრატია იკისრა როლი კაპიტალისტ-მეწარმეებისა, როგორც ეს
ჩაინდნეს ფლამანდურ ქალაქთა პატრიციებმა. უკვე მე-XIV საუკუნის დამდეგს
მეწარმეობის ამ ტიპმა,—ნახევრადკაპიტალისტურმა და ნახევრადფეოდალურმა,
—თავი იჩინა მატყლის მრეწველობაში. საფიქრებელია, რომ ეს მეწარმენი არა
მარტო სამუშაოს შრიგებდენ წვრილ ხელოსნებს საკომისიო საფუძვლელებზე,
არამედ ფაქტიურადაც ჰქონდათ საკუთარი სახელოსნოები. ასე მაგალითად
ფლორენციაში 1338 წ. იყო 200 სახელოსნო, რომელიც მაუდს ამზადებდა და
რომელშიც, როგორც გადმოვცემენ, ჩაბმული ყოფილა დაახლოებით 30.000
მუშა³. ამ მუდლით ფლორენციელები ვაჭრობდენ ალპების იქითა მხარეს, და-
საუღეთ და ჩრდილო ევროპაში, აგრეთვე აღმოსავლეთ ქვეყნებში და, როგორც
ანტიციტებენ, ჩინეთამდეც კი მიდიოდენ⁴. პაპისაგან მის გადასახადთა აკრების
იჯარით აღებაც ფრიად ხელსაყრელი საქმე იყო მდიდარი მოქალაქეებისათვის,
ხოლო საბანკო საქმეს და თანხების გასესხებას ისეთ ქალაქში, როგორიც ფლო-
რენციაა, ვაჭრობასთან შედარებით, პირველი ადგილი ეკირა. მაგრამ ნუ დავი-
ვიწყებთ, რომ შეზღუდული ოლიგარქიისა და უსირცხვო ექსპლოატაციის ეს
პერიოდი იმავე დროს იყო იტალიის დიდებისა და აყვავების პერიოდიც.

¹) W. F. Butler, *The Lombard communes*, 80; აგრეთვე E. Dixon, *Trans. of Royl' Hist. Soc.*-ში (N. S.) XII, 160.

²) J. L. Sismondi, *Hist. of Ital. Redublics*, 242 და შემდ.; აგრეთვე E. Dixon, სხენებ. თხზ., 163-169.

³) Cunnigham, *West. Civiliz. (Mod. Times)*, 165.

⁴) Sismondi, სხენებ. თხზ., 237, 239.

ჩრდილო იტალია შეიძლება, მსგავსად ნიდერლანდებისა, ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებულიყო კიდევაც, რომ შემდგომი განვითარება¹ ამ მიმართულებით არ შეეჩერებინა ფეოდალიზმის სეპერატისტულ ტრადიციებს,—რომლებიც კვლავ მტკიცე იყო— და იმ განადგურებას, რაიც გველფებისა² და გიბელინების³ ომიანობას შედეგად მოჰყვა.

მაგრამ კაპიტალისტური მეწარმოების განვითარება და გაძლიერება დაუბრკოლებლად წარმოებდა. მისმა გაძლიერებამ გამოიწვია ქალაქთა დამოკიდებული მოსახლეობის, წერილი ვაჭრების, ხელოსნებისა და დაქირავებული მუშების გაშმაგებული წინააღმდეგობა. მეთოთხმეტე საუკუნეში მრავალ ქალაქში ოლიგარქიის საწინააღმდეგო აჯანყებები მოხდა და მოკლე ხნით დამყარდა უფრო დემოკრატიული რეჟიმი. 1371 წ. სიენაში აჯანყებამ იფეთქა, რითაც ქალაქის მართველობა ხელოსნების-ხელში გადავიდა. ფლორენციაში მსგავსივე რევოლუცია მოხდა 1373 წ., როდესაც ხელისუფლება „მომცრო ხელოსნობამ“ ჩაიგდო. მაგრამ ამ ხელოსნობაზე უფრო დაბლა იდგა დიოურ-მუშათა მრავალრიცხოვანი კლასი; ისინი უშეტეს წილად მაუდის მრეწველობის მუშებისაგან შედგებოდნენ, და „ჩომპიების“ სახელით იყვნენ ცნობილნი. ეს უკანასკნელნიც აჯანყდნენ და მოისურვეს თავის საკუთარი გემოვნების რეჟიმი დაემყარებინათ. მაგრამ საერთო. წესით მნიშვნელოვანი გილიების მდიდარი ვაჭრები ეპატრონებოდნენ ხოლმე მდგომარეობას. ამ უკანასკნელებს იმედი ჰქონდათ არისტოკრატის დასმარებისა, აგრეთვე მასზე დამოკიდებული ელემენტებისა და ფეოდალური კავალერიისა. ამიტომ საქმე ჩვეულებრივ თავდებოდა დემოკრატიული ელემენტების დათრგუნვით². ბოლოს და ბოლოს, ქალაქთა მართველობა გადავიდა წარჩინებული ნახევრადფეოდალური, ნახევრადმოქალაქური გვარების ხელში, როგორც იყვნენ ბორჯია, ან მედიჩები. იტალიის ქალაქებს მოელოდათ ახალი მეცნიერებისა და ტიციანის, ბოტიჩელისა და მიქელ-ანჯელოს ხელოვნების კერად გადაქცევა. მაგრამ საკომერციო პირველობა მათ უნდა დაეთმოთ ინგლისისა და ნიდერლანდების ძლევამოსილი კაპიტალიზმსათვის.

1) და 2) გველფები (Guelph)—პაპის მომხრე დასის წევრები იყვნენ იტალიაში, რომლებიც იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ; ხოლო გიბელინები იმპერატორის მომხრეთა პარტიას წარმოადგენდნენ. გველფებსა და გიბელინებს შორის ბრძოლა გრძ. ლდებოდა მე-XII საუკ. მე-XIV საუკუნემდე, რასაც თან სდევდა გამონადგურებელი სამოქალაქო ომები იტალიაში. (რედ. შენ.)

3) S i m o n d i, დასახ. თხზ. 443-564 და შემდ.; აგრეთვე N. G. B. G r a s s, Introd. to Econ. Hist., 147-148.

4) მ. დო ბ ბ ი, კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება.

ბარდამავალი ეპოქა ინგლისში.

ინგლისურ ქალაქებში კლასობრივ მონოპოლიაზე გადასვლა დიდის თანდათანობით განიჩნეოდა და მას არ სდევდა თან ისეთი ძლიერი არეულობანი, რითაც ხასიათდება კაპიტალისტურ საწარმოთა წარმოშობა სხვა ქვეყნებში. ინგლისში საექსპორტო ვაჭრობა თვით მე-XIV საუკუნემდე უმთავრესად უცხოელი ვაჭრების ხელში იყო, ამიტომ ებრაელებსაც და ლომბარდიიდან გამოსულებსაც პირველი ადგილი ეკირათ როგორც მეფისა და დიდებულთათვის სესხის მიწოდების, ისე მეფის წყალობათა მიღების საქმეში. ამის გამო უფრო მდიდარ ადგილობრივ მოქალაქეებს აქ არა ჰქონდათ ისეთი ადგილი შესაძლებლობა, როგორც ფლამანდურსა და ლომბარდიის ქალაქებში—სწრაფად შეეძინათ დიდი შეძლება უცხოეთის ვაჭრობაში და კრედიტის საქმეში. ინგლისელ ვაჭრებმა უპირატესობის მოპოება შინაურ ნაციონალურ ბაზარზე შესძლეს მხოლოდ მას შემდეგ როცა მათ მოახერხეს და მეფის ხელისუფლებას გააუქმებინეს უცხოელ კონკურენტთა პრივილეგიები. მიუხედავად ყოველივე ამისა, მე-XIV საუკუნის დამლევამდე უკვე იყო აშკარა ნიშნები ადგილობრივ მოქალაქეთა მალალი კლასის წარმოშობისა, რომელსაც თვალსაჩინო უპირატესობანი მოეპოებოდა და რომელმაც ხელთ ჩაიგდო კონტროლი ქალაქის მართვა-გამგეობისა.

კლასობრივ ფენებად დაყოფის ამ ტენდენციის ასახსნელად შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი. უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა უფრო ძველი გვარები, რომელნიც თაობიდან თაობამდე ფლობდენ მიწას, აშკარაა ცდილობდენ ამოეღოთ მეტი სარფა ამ მფლობელობიდან და ხელთ ჩაეგდოთ იმ გაუმჯობესებული მიწის შემოსავალი, რომლის ღირებულებაც თანდათან მატულობდა. შემდეგ მოსახლეობის ზრდასთან ერთად,—რასაც ხელს უწყობდა უმთავრესად სოკლებიდან ვილანების ლტოლვა—უფრო და უფრო იზრდებოდა იმათი რიცხვი, ვინც დაეძებდა სამუშაოს, დაქირავებული მუშისა და შინამოსამსახურის სახით. ამ უკანასკნელთა უფრო და უფრო დიდ ნაწილს აღარ შეეძლო,—ყოველ შემთხვევაში, მრავალი წლის განმავლობაში,—მოწყობილიყო ხელოსნად დამოუკიდებელი მეურნეობით და საკუთარი სახელოსნოთი და ამრიგად გამხდარიყო ქალაქის სრულუფლებიან მოქალაქედ. ყველა ის დაბრკოლება, რომელიც ელოებოდა ახლადმოსულებს, იმათ, ვინც ცდილობდა გზის გაკვლევას ოსტატებისა და ვაჭრების რიგებისკენ,—ხელშემწყობი პირობების სიმციროს გამო—თვალსაჩინოდ გაძლიერდა კონკურენტის გაძლიერებასთან ერთად. დასასრულ, ვაჭართა გილდიის წრიდან ზოგიერთი ვაჭარი ახერხებდა, ალბათ ზენორმალური მოგების მიღებას და ამგვარად მოპოებული ფულადი სახსრებით ახალი საქმის დაწყებას, რაც მიუწოდებელი იყო მისი თანამოქალაქეების ნაკლებად იღბლიანთათვის.

მაგრამ მარტო ეს ფაქტორები მაინც არ არის საკმაო კლასობრივ ფენებად დაყოფის გაძლიერების ასახსნელად. გავლენას ახდენდნენ რა ყველა არსებულ უთანასწორობათა გახანგრძლივებასა და გაძლიერებაზე, მათ ეპევი არ არის, დროთა განმავლობაში უნდა მოეპოვებინათ საკმაო ძალა იმისთვის, რომ შეექმნათ მაღალი კლასები იმ ელემენტებისაგან, რომელთაც საამისოდ უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობანი ჰქონდათ. მაგრამ ის ცვლილება, რომელიც 1200 წლიდან 1400 წლამდე წარმოებდა მეტად სწრაფი და მკვეთრი იყო და ამიტომ მოითხოვს რაღაც დამატებით განმარტებას. „მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნის და მეცამეტე საუკუნის დასაწყისის უმნიშვნელო მოხეტიალე ვაჭრების“ გადაქცევა „მეთოთხმეტე საუკუნის ძლიერ პოლიტიკურ პლუტოკრატიად“¹ და დამოკიდებულ მუშათა კლასის ჩასახვა—ნამდვილ რევოლუციას წარმოადგენდა. „ზენორმალური“ მოგება, რომელმაც, როგორც საფიქრებელია, მეტად დიდი როლი ითამაშა ამ განვითარებაში, ალბათ, ბევრად უფრო ნაკლები რაოდენობისა იყო ინგლისში, ვიდრე ნიდერლანდებში, ან ლომბარდიაში; ესეც არ იყოს, დიდი მოგების მიღება ინგლისელმა ვაჭრებმა იწყეს მეთოთხმეტე საუკუნის დამლევისათვის და არავითარ შემთხვევაში ამაზე ადრე. ამასთან, რაკი ადგილი არ ჰქონდა სერიოზულ შეზღუდვას,—რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სხვა მოქალაქეებისათვის—ესარგებლათ შემთხვევებით და შეეძინათ ქონება, ეს მოგება, უნდა ვიფიქროთ, თანასწორად ნაწილდებოდა და არ უვარდებოდა ხელში მოსახლეობის მარტო მცირე რაოდენობას. მხოლოდ შემდეგში თუ ამ შემთხვევითი მოგების მიმღებნი მოახერხებდნენ გამოჯენას თავიანთი თანაამხანაგების კონკურენციისაგან, ამ მიზნზე შეეძლო ეთამაშა ის თელსაჟინო როლი, რომელსაც მას მიაწერენ².

საფიქრებელია ამიტომ, რომ იმ პროცესში, რომლის დროსაც ხდებოდა ქალაქების გადაქცევა კაპიტალიზმის აკნებად, მთავარი როლი ითამაშა ორმა სხვა მოვლენამ. პირველი მათგანი იყო ის ერთგვარი ცვლილება, რომელსაც შედეგად მოჰყვა ქალაქის საზოგადოებრივი კიბის ქვედა საფეხურზე დამოკიდებული და საკუთრებას მოკლებული კლასის წარმოშობა. ეს ცვლილება ამ პერიოდში გამოიხატა სხვადასხვა შეზღუდვით, რომელიც ოსტატის წოდების მისაღებად შეზღოილეს; ასეთი ღონისძიებანი, აშკარაა, გამოიწვია იმ შიშმა, რომელიც სრულყოფილებიან მოქალაქეებს დაუბადა სოფლიდან ქალაქში ახალ მცხოვრებთა უხეშად დენამ. სხვადასხვა ხელოსნობამ ძალიან ადრე გამოიჩინა საშუალება თავისი ინტერესების დასაცავად. ასეთ საშუალებას წარმოადგენენ ხელოსანთა სპეციალური გილდიები, რომელთა უმრავლესობაც აღწევდნენ იმას, რომ ქალაქის ხელისუფალთ ეცნოთ ისინი. ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ეს ფიქრების საქმეში მოხდა, პირველ ხანებში ქალაქის ხელისუფალნი, ეტყობა, მტრულად მოგპყრენ მათ, მაგრამ შემდეგში დადებული კომპრომისი ითვალისწინებდა მათ

¹) A. Law, Engl. Houveaux-Riches in the 14-th Century; Transact. Royl. Hist. Soc. (N. S.), IX, 49.

²) თუ სპეციალურ ენას მივმართავთ, ზენორმალური მოგება თავისი ბუნებით ემსგავსება „ზემოვებას“, რომელიც ბოლოს და ბოლოს, ახალ მეწარმეთა კონკურენციის შედეგად, უნდა დანაწილდეს და შემცირდეს.

ცნობას, იმ პირობით კი, რომ გილდიები მერს. დამორჩილებოდნენ. მნიშვნელოვან უპირატესობას, რასაც შეეძლო ხელოსანთა ამ გილდიების უზრუნველყოფა, წარმოადგენდა ის, რომ ქალაქში მოქალაქეობის უფლების მისაღებად დაწესებული იყო თავდებობა: ამ უფლების მაძიებელს თავდებად უნდა დასდგომოდა მისი ხელობის ექვსი პატივეცემული წევრი; შემდეგში კი ამისათვის საკმაო იყო. ხელოსანთა გილდიის მამასახლისის თანხმობა. იმავე დროს არავის არ ეძლეოდა ხელოსან-ოსტატად გახდომის ნება, თუ წინასწარ არ მიიღებდა მოქალაქეობის უფლებას¹. ეს წესები ხელოსანთა გილდიას ანიჭებდნენ ვეტოს პრაქტიკულად განხორციელების უფლებას ახლადმოსულთა მიმართ, და ამრიგად, შესაძლებელი ხდებოდა ახალი ოსტატების კონკურენციის მოწესრიგება. თუმცა გილდიებმა ნომინალურად თავიანთ შემადგენლობაში ჩარიცხეს ხელობის ყველა წევრი, თვით მუშებიც კი, მაგრამ პრაქტიკულად მუშების ხმა გილდიებში სულ არ ისმოდა²; ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ხელოსანთა გილდიები თავიანთ ძალა-უფლებას იყენებდნენ იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ მუშებისათვის ამაღლებულიყვნენ ოსტატისა და სრულუფლებიანი მოქალაქის მდგომარეობამდე. „მეთოთხმეტე საუკუნის ნახევრამდე აშკარად მოჩანს სურვილი—შეზღუდონ კონკურენცია ახლადმოსულთა რიცხვის შემცირებით“³. 1321 წელს ლონდონის ფეიქრებს წაუყენეს ბრალდება, რომ ისინი დიდ შესასვლელ გადასახადს ახდევინებენ პირებს, რომელთაც სურდათ მათი ხელობის ოსტატად გახდომა. ასეთი პრაქტიკა საყოველთაოდ გავრცელებული იყო ამ საუკუნის მანძილზე⁴. მან იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ 1531 წელს ჩიოდნენ—გილდიები თავიანთი შევირდებისაგან მოითხოვენ „თითქმის ამკრძალველს გადასახადს გილდიის წევრებად გახდომის უფლებისათვის“⁵. გრინი უფრო შორსაც მიდის. იგი ამტკიცებს, რომ „როდესაც მუშა თავისი შევირდების ვადას ათავებდა, მიმართავდნენ ეშმაკურ ხრიკებს, რათა იგი უკან დაეწიათ, და დაქირავებულთა რიგებში მოექციათ“⁶. მართლაც, კონტინენტზე კანდიდატისაგან ხშირად მოითხოვდნენ ძვირად ღირებულ სანიმუშო სამუშაოს წარდგენას, ან ხუთი წლით ხეტიალს,—ისეთ პირობას, რომლის შესრულებისაგან ოსტატების შეილებს ანთავისუფლებდნენ⁷. ჰენრი IV-ის მმართველობის დროს გამოიქცა კანონი, რომელიც ზღუდავდა სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდების შევირდად მიღებას⁸. ხოლო 1387 წელს ლონდონში ვილანებს აუკრძალეს სრულუფლებიან მოქალაქეებად გახდომა; ამ მაგალითს, მიჰბაძეს იორკმა და ზოგიერთ სხვა ქალაქმა. დასასრულ, მე- XV საუკუნეში განსაზღვრულ იქნა შევირდების ის რიცხვი, რო-

¹) Ashley, *Introduct.*; vol. I, Bk. II, 77.

²) Mrs Green, *Town Life* vol. II, 119-120.

³) Ashley, *დასახ. თხზ.*, 75; Gretton, *დასახ. თხზ.* 69-70.

⁴) Ashley, *დასახ. თხზ.* 75, 98, 105; Brentano, *დასახ. თხზ.*, CXXXVIII.

⁵) S. Kramer, *Crafts Guilds and the Govt.* 78-79.

⁶) Mrs Green, *დასახ. თხზ.* 102; *ob. A. Abram, Social. Engl. in 15-th Century*, 121.

⁷) Frenano *დასახ. თხზ.*, CXXXIVIII.

⁸) G. Unwin, *Industr. Organiz.*, 48; Cunningham, *Growth (Mod. Times)*, 36.

შელიც შეეძლო ჰყოლოდა ოსტატს, და ჩაიდინეს ეს იმისათვის, რათა „შეემცი-რებინათ დამოუკიდებელი ოსტატების რიცხვი“¹.

შემზღუდველი წესები შიში ტვირთად აწვებოდა განსაკუთრებით ქალაქის დაქირავებულ მუშებს; მუშების მოქმედება ისე სასტიკად იყო შევიწროებული, რომ ისინი მეტად არახელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ ოსტატ-ხელოსანთა წინაშე. შრომის ხელფასს აწესრიგებდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ მისი გა-დიდება ჩვეულებრივ ხელფასზე მეტად. მუშებს აკრძალული ჰქონდათ გაერთიან-ნება და ურთიერთთან შეთანხმება; მათ ნებას აძლევდნენ სამუშაოს საძებნელად დამდგარიყვნენ მხოლოდ ბაზრის ჯვართან, სადაც მათი დაქირავება აშკარად უნდა მომხდარიყო; ამასთანავე მათ აკრძამებდნენ, თუ კერის განმავლობაში იქ ერთ დღეზე მეტხანს იდგებოდნენ. ოსტატის უფლება მუშის მიმართ თით-ქმის განუსაზღვრელი იყო, და „შფოთიანსა და ქირვეულ მუშებს“ მკაცრად სჯიდნენ².

შემდეგ, არის საბუთები, რომელნიც ცხადად გვიჩვენებენ, რომ ამავე დროს უფრო მდიდარ ვაჭრებმა იწყეს კარჩაკეტილ ჯგუფებად განკერძოება და სა-ბითუმო ვაჭრობაში სხვების მონაწილეობის შეზღუდვა. ამ მდიდართა წრიდან სხვებზე უფრო დიდი ვაჭრები. უცხოელ ვაჭართა ნაწილთან ერთად, გაერთიან-დენ სავაჭრო ბირჟებში და ამ გზით მონაწილენი გახდნენ მატყლის სავაჭრო ვა-ჭრობის მონაპოლიაში. ზოგიერთ შემთხვევაში სავაჭრო გილდიები, — რომელნიც წარმოშობის დროს მეტწილად, ალბათ, სრულუფლებიანი მოქალაქეებისაგან შე-დგებოდნენ — ხელოსნების ჩარიცხვის დროს ცდილობდნენ მიეღოთ კარჩაკეტილი ხასიათი და შეეზღუდათ ახალი ხელოსნების კონკურენცია მათი სავაჭრო პრი-ვილეგიების სფეროში³. ასე, ჩვენ ვხედავთ, რომ 1363 წელს მუშები შრიუსბიურში ჩამოაშორეს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობას⁴. ნიუკესტლის გილდია თავის შემადგენლობაში არ ღებულობდა ისეთ პირებს, რომელთაც „ჩაშავებული ფრჩხი-ლები“ ჰქონდათ, ან რომელნიც ქუჩაში გაჰქიოდნენ და ისე ჰყიდდნენ საქონელს⁵. კოვენტრში სავაჭრო გილდიამ, რომელიც შედარებით გვიან წარმოიშვა, ხელოს-ნები საბოლოოდ გამორიცხა თავის შემადგენლობიდან და მმართველ ორგანოდ გადაიქცა ქალაქში⁶. ვინჩესტერში, ოქსფორდში, ბევერლში, მალბოროში და ზოგიერთ სხვა ქალაქში, შედარებით ადრე მოხდა ნაწილად გამიჯვნა იმ სრულ-უფლებიან მოქალაქეების, რომელთაც ვაჭრობის უფლება ჰქონდათ, და ფეიქრებს შორის, რომელთაც არ გააჩნდათ მოქალაქეობის უფლება და აკრძალული ჰქონ-დათ ვაჭრობა; ხოლო ლეისტერში მე-XIII საუკუნეში გილდიამ ფეიქრებს აუ-კრძალა მიეყიდათ თავიანთი ნაწარმოები, ქალაქის სრულუფლებიან მოქალაქე-

¹) Ashley დასახ. თბზ. 89, 91-93; იხ. აგრეთვე Schmollen, Principes d'economie politique vol. II, 494.

²) Mrs Green, დასახ. თბზ., 120-121.

³) Ashley Introd. Bk. I, 80.

⁴) Cunningham, Guild Merch. of Shrewsbury, Trans. Royl. Hist. Soc. (N. S.) IX, 103.

⁵) Gretton, დასახ. თბზ. 65.

⁶) M. D. Harris, Life in an Old Engl. Town, 88.

ებს გარდა სხვა ვინმესთვის¹. 1330 წელს დერბიში უჩიოდნენ გილდიას იმისთვის, რომ მან შესასვლელი გამოსაღების გადიდების მეოხებით, გამოირიცხა გილდიიდან მოქალაქეთა უმრავლესობა და აუკრძალა ამ მოქალაქეებს მიეყიდათ საქონელი სხვა ვინმესთვის, თუ არა გილდიის წევრებისათვის². შოტლანდიაში სავაჭრო გილდია, როგორც ეტყობა, ძალიან ადრე გადაიქცა უფრო მეტად კარჩაკეტილ ორგანიზაციად, ვიდრე ინგლისში. მეთორმეტე საუკუნეში გილდიაში არ ლებულობდნენ მღებრებს, ყასბებს და მჭეჭემებს, თუ თვითონ ისინი მუშაობაზე ხელს არ აიღებდნენ და მას თავიანთ მუშებს არ მიანდობდნენ, ხოლო XIII საუკუნეში ებერდინსა, სტირლინგსა და პერტში არ ლებულობდნენ აგრეთვე მთელაგებსა და ფეიქრებს³.

მაგრამ, როგორც საერთო წესი, სავაჭრო მონოპოლიის წარმოშობის პროცესი უფრო რთული იყო ინგლისში, ვიდრე კონტინენტის ქალაქებსა და შოტლანდიაში; და საექვოა, ამ მონოპოლიის იარაღად ძველებური სავაჭრო გილდია გამხდარიყოს, როგორც ამას ბრენტანო ჰვულისხმობს. პირიქით, სავაჭრო გილდია ქალაქების უმრავლესობაში, როგორ ჩანს, უკვე მკვდარი იყო იმ დროისთვის, როდესაც ამ მონოპოლიამ იწყო განვითარება. მე-XIII და მე-XIV საუკუნეებში მან დაპყრობა თავისი პირველადწყობითი ფუნქციები და თუ არსებობდა, ამ არსებობას მხოლოდ სახელით განაგრძობდა⁴. ვაჭრობის მონოპოლიზაცია ვაჭართა განსაზღვრული კატეგორიის მიერ უზრუნველყოფილი იყო, როგორც ჩანს, ახალი „მისტერიების“ ან ვაჭართა გილდიების შექმნით, რომელნიც ცდილობდნენ განემტყიცებინათ თავიანთი განსაკუთრებული უფლებანი ვაჭრობის ცალკე დარგებზე⁵.

ზოგიერთ შემთხვევაში ძველებური გილდია საბოლოოდ ირღვეოდა და ნაწილდებოდა რამდენიმე ახალ კომპანიად. ენდოვერში ერთი გილდიიდან სამი ჯგუფი წარმოიშვა—მემალდეები, საგალანტერეო საქონლითა და ტყავით მოვაჭრეები, ხოლო დივიაზში—მემალდეები, წვრილი საქონლით და ტყავით მოვაჭრეებად დანაწილდნენ⁶. ჩვეულებრივ კი არსებობდა ხელოსანთა რამდენსამე გილდიად დანაწილება, რომელთაგან ზოგს ხელოსნობის განსაკუთრებული უფლება ჰქონდა, ხოლო სხვები მარტო ვაჭრობას მისდევდნენ; როგორც, მაგალითად, რედინგის გილდია, რომელმაც თავისი ფუნქცია ხუთ კომპანიას გადასცა⁷. ხშირად მე-XIV საუკუნის ქალაქებში ჩნდებოდნენ ვაჭართა საერთო კომპანიები. ლონდონში პირველად ეგრეთწოდებულ კორპორატიულმა კომპანიებმა მოიპოვეს

¹) Ashley, დასახ. თხზ. 83; ვ შლი ფიჭრობს, ეს უნდა გამოეწვია იმ გარემოებას, რომ ფეიქრები უცხოელები იყვნენ. იგი აღნიშნავს, რომ შემდეგში ის შეხლუფვა თანდათან ისპოდა; თუმცა ლიქსონი უარყოფს ამ განმარტებას (Econ. History, 223-324).

²) G. Unwin, Finance and Trade under Edward, III, 234.

³) Gross, დასახ. თხზ. 213; იხ. აგრეთვე Gunningham, Growth (middle Ag.) 348.

⁴) Gross, დასახ. თხზ. 116; Kramer, დასახ. თხზ. 24; Cunningham, დასახ. თხზ. 225; Kramer, Engl. Hist. Review“-ში XXIII, 25; Usher, დასახ. თხზ., 181.

⁵) Gross, დასახ. თხზ. 127-129; Gretton, დასახ. თხზ. 67; Ashley—„Publications“-ში.

⁶) Gross, დასახ. თხზ. 118-120; Am. Econ Assoc. (1887), 36-37, 58-59.

⁷) Gretton, დასახ. თხზ.

ქართველები ეღუარდ III-ის მმართველობის დროს, მიიღეს რა ამ გზით მონაპოვ-
ლია ვაქრობის თავიანთ სპეციალურ დარგში. ესენი მეტ წილად იყვნენ ვაჭრე-
ბისაგან შემდგარი კომპანიები, მათში შედიოდნენ ოქრომჭედლები, მემადლეები,
საგალანტერეო და კოლონიალური საქონლით ვაჭრები; მაგრამ იმ კომპანიებ-
შიაც კი, რომლებშიაც ხელოსნები შედიოდნენ, უმრავლესობას მაინც ვაჭართა
მდიდარი ელემენტები შეადგენდნენ¹. მათი ცნობა და ქართველებით დაჯილდოვე-
ბა დიდად აღულებდა ლონდონელ ვაჭრებს, რომელნიც ჩიოდნენ, რომ ფასები
ამის შემდეგ ერთი მესამედით აიწიო. ამის შედეგად მე-XIV საუკუნეში „ლონ-
დონსა და პროვინციალურ ქალაქებში ხელოსანთა მასებიდან გამოიყო ვაჭართა
განსაკუთრებული კლასი“². როგორც მოხერხებულად შენიშნა რ. გ. გრეტონმა,
— ქალაქის ვაჭრებმა ამოსთხარეს სანგარი, რომელსაც უნდა დაეცვა მათი პო-
ზიცია მიწათმფლობელისაგან, მოატრიალეს თავიანთი ნიჩბები ზურგისაკენ და იქ
გამართეს სხვა სანგარიც³.

ამავე დროს ქალაქებში პოლიტიკური ძალაუფლებაც ოლიგარქიის ხელში
გადადიოდა. თვით დემოკრატიული დღეების პირველ ხანებშიც ჩვეულებად იყო,
უფრო მდიდარ და უფრო გავლენიან მოქალაქეების არჩევა თორმეტთა კომი-
ტეტში, — რომელიც მართვა-გამგეობის საქმეს უძღვებოდა, — მაგრამ მათ ირჩე-
დნენ და მართვა-გამგეობას ანდობდნენ, ყოველ შემთხვევაში დანარჩენ მოქალა-
ქეთა თანხმობით. და აი „არისტოკრატის პატარა ჯგუფმა თანდათან მიისაკუთ-
რა მოქალაქეთა საერთო დემოკრატიული საბჭოს ადგილი“⁴. ბევრლიში და
იორკში ოლიგარხია წარმოიშვა დაახლოებით მე-XIV საუკუნეში⁵. ვინჩესტერ-
ში გაიხშადა საჩივრები „იმის გამო, რომ ოცდაათნი უპირველესი მოქალაქე
აეიწროვებდა ხალხს“, რომელნიც როგორც ეტყობა, ნიშნავდნენ თანამდებობის
პირებს⁶. უფრო ადრე, მე-XIII საუკუნეში, გლოსტერსა და ოქსფორდში ამბობ-
დნენ: „მდიდარნი და საუკეთესონი“ მოქალაქეთა რიცხვიდან თვითნებობით აგრო-
ვებენ ბაიებს და უსამართლოდ ბეგრავენ ლარიბებს მდიდართა სასარგებლოდო.
ლინსა და შრიუსბერში თორმეტნი განაგებდნენ, ხოლო განსხვავება საზოგადო-
ებრივ მდგომარეობაში „საუკეთესოთა, საშუალოთა და დაბალთა“ (Potentiores.
mediocres inferiores) შორის საერთო მოვლენად ხდება, ამასთან იგი, ალბათ
შეესაბამებოდა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა ვაჭრების, უფრო მსხვი-
ლი ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების და, დასასრულ, წვრილი ხელოსნების
მდგომარეობაში⁷. ლონდონში საესებით გარკვეული მიჯნა იყო გავლებული
თორმეტ „დიდ“ კომპანიასა და ხელოსანთა ორმოცდაათ ან უფრო მეტ პატარა
კომპანიას შორის; ამავე დროს ეშლინ გამოსთქვა ის აზრი, რომ პირველნი ისე-

¹) Lipson, დასახ. თხზ., 379—381, აგრეთვე W. C. Hazlitt, Livery Coys. of London, 68

²) Lipson, დასახ. თხზ., 383—384.

³) დასახ. თხზ., 72.

⁴) Colby, „Engl. Rist. Review“-ნი, XX, 643; იხ. Mrs Green, დასახ. თხზ., 249
Ashley, Introd., BK., II 26, 48.

⁵) U. C. H. Jorks, 3, 442, 445.

⁶) Colby, დასახ. თხზ., 648.

⁷) Ashley, დასახ. თხზ., 133—134; იხ. აგრეთვე Hazlitt, დასახ. თხზ., 69.

თივე უპირატესობით სარგებლობდნენ, როგორც *Arti Maggiores*-ი—ფლორენციაში. *Six Corps de Metier*-ი—პარიზში და *Herrenzunft*-ბაზელში¹.

მაგრამ მაინც არ უნდა ვიფიქროთ, რომ ოლიგარხია ყველა შემთხვევაში აუცილებლად ქალაქის ვაჭრებისაგან შედგებოდა. ან, რომ პოლიტიკური ხელისუფლებით, — მდიდრები და საუკეთესონი“ (*divites et potentes*), — სარგებლობდნენ კომერციული მონოპოლიის მისაღებად. მასში შეიძლება ყოფილიყო ვაჭართა ერთი ჯგუფი, რომლის ბატონობას უქმეაყოფილება გამოეწვია როგორც დანარჩენი ვაჭრების, ისე ხელოსნებს შორის². ზოგ შემთხვევაში ოლიგარქია, როგორც ეტყობა, შედგებოდა ქალაქის ძველ არისტოკრატიულ მიწათმფლობელი ელემენტებისაგან და არა ახალი პროგრესიული კომერსანტებისაგან. მაგრამ თავისთავად ცხადია, ამ ცვლილებას მოჰყვა ის შედეგი, რომ ქალაქის მიერ ვაჭრობის მოწესრიგება აღარ იცავდა ქალაქის ხელოსნებს მათთვის საჭირო ნედლეულის გამყიდვისაგან და მათი პროდუქტების ბითუმად შემსყიდველისაგან. იგი, პირიქით, ხელფხვს უბორკავდა მათ სხვადასხვა შეზღუდვით, რაც ბითუმად მოვაჭრებზე არ ვრცელდებოდა³. როგორც ეტყობა ბშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალაქის ოლიგარხია ნებას არ აძლევდა ხელოსნებს რათა მათაც გამოეყენებინათ კომერციული პრივილეგიები. ეს გვაძლევს უმნიშვნელო ფაქტორად არ ჩავთვალოთ იგი კლასობრივი მონოპოლიის წარმოშობის საქმეში. იარმუტში, მაგალითად, „ლარიბმა თემებმა“ (*pour communes*) 1376 წელს პეტრია შეიტანეს იმის შესახებ, რომ „მათ ნება მიეცეთ თავისუფლად იყიდონ და გაჰყიდონ თავიანთი საქონელი“⁴. ედუარდ I-ის მმართველობის დროს მოქალაქეთა მმართველი ნაწილი გარიშხბიში „ნებას არ იძლეოდა, რომ გარიშხბის ლარიბ ხალხს ამ მოქალაქეებთან თანასწორად მონაწილეობა მიეღოთ ყიდვასა და გაყიდვაში, იმ უფლებების თანახმად, რომლებიც მათ ჰქონდათ მინიჭებული“⁵. 1317 წელს ბრისტოლში მღელვარება გამოიწვია იმან, რომ თოთხმეტმა კაცმა *majoris*-ის რიცხვიდან უპირატესობა მოიპოვა საზღვაო ნავთსადგურში და ბაზარზე⁶. მეტ წილად პირები, რომელთაც მართვა-გამგეობის სადავე ეჭირათ, როგორც ჩანს, ეკუთვნოდნენ ქალაქის იმავე მაღალ კლასს, რომლის წრიდანაც გამოიყენენ შემდგომი საუკუნის მდიდარი ვაჭრები. „არც ერთ ადამიანს ხალხიდან არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ იგი მიიღებს თანამდებობას მმართველობაში. მერისა და შერიფის წოდება იძლეოდა პატივს და კარგ მდგომარეობას. ასეთივე შედეგი მოსდევდა სახელოვან და შეძლებულ ადამიანთა წოდებას⁷. კოვენტრიში ქალაქის სამართველოს სათავეში იდგნენ მეზუღენი და საგალან-

¹) იქვე 664—665, 647—651.

²) ბვევრლოში მართველი წრეების წინააღმდეგ მიმართულ 1380 წლის აჯანყებას მეთაურობდნენ მეზუღეები მკერავებთან, ყასბებთან და ფესაცმლის მკერავებთან ერთად (*V. C. H. Jorks*, 3, 443).

³) ანუ მაგალითად, ხელოსანთა საქონლის ფასს ხშირად ნიბრავდნენ (*Salzman, Indus. in Middle Ages*, 201—210),

⁴) *Lipson*, დასახ. თხზ., 321.

⁵) *Cotter*, დასახ. თხზ., 645.

⁶) იქვე, 650.

⁷) *Mrs Green*, დასახ. თხზ., 249.

ტერიაო საქონლით მოვაჭრენი, ბრიუსტერიში—მემაუდენი. იორკში, 4020 წელს მეგალანტერეებმა ხელთ ჩაიგდეს ქალაქის მართვა-გამგეობა¹. ლონდონში მერს და ხშირად ოლდერმანსაც და შერიფსაც ჩვეულებრივ ირჩევედნ მეგალანტერეების, ლეინის და კოლონიალური საქონლის ვაჭართა, ოქრომჭედელთა და მემაუდელთა წრიდან².

თითქმის უდაოა, რომ მეთოთხმეტე საუკუნის დამლევისთვის ქალაქებში საესებით დამყარდა ბატონობა ვაჭრებისა, რომელთაც ვაჭრობა თავიანთ მონოპოლიად გადააქციეს და რომელნიც ხშირად მხოლოდ სავაჭრო კომპანიებში იყვნენ გაერთიანებულნი. „ვაჭართა ორგანიზაცია ან გილდია მმართველობაში მონაწილეობიდან ხელოსანთა ჩამოშორების გზით მიისწრაფოდა მთავრობის თუნქციების მონოპოლიზაციისაკენ³. ნიუკესტლში ვაჭარ-ექსპორტერთა (merchant-adventurers) კომპანიამ 1480 წელს ბელსონებს ვაჭრობის უფლება ჩამოართვა; შემდეგ ასეთივე ამბავი მოხდა გულში, ეკსეტერში ეს შეზღუდვა გამოიყენეს „უცხო ქვეყნებთან ვაჭრობის“ მიმართ, რომლის წინააღმდეგაც თავგამოდებით იბრძოდა მკერავთა გილდია. ასეთივე მონოპოლიები იყო ბრისტოლსა და ჩესტერში, სადაც „ხელოსან ხალხს“ და ცალობით მოვაჭრეებს აკრძალული ჰქონდათ ბითუმად ვაჭრობა⁴. მაგრამ იქაც, სადაც ასეთი გარკვეული შეზღუდვა არ იყო, არ არსებობდა თავისუფალი ვაჭრობის ნასახიცი კი. თვით ფაქტი ისეთი სპეციალური სავაჭრო გილდიების დაარსებისა, როგორც იყო ვალანტერეის, კოლონიალური საქონლისა და მაუდის ვაჭართა გილდიები, მოწმობს იმას, რომ უკვე არსებობდნ მომგებიანი ვაჭრობის დარგები. ვაჭართა გუფუებმა მოახდინეს ამ დარგების მონოპოლიზაცია; თუმცა იმავე დროს არსებობდნ სხვა დარგები, სადაც ხელოსნებმა შეინარჩუნეს თავიანთი საქონლით თავისუფალი ვაჭრობა. პრინციპი „ყოველი ადამიანი ერთ საქმეს უნდა მისდევდეს“ (one man. one trade),—დადგენილი 1363 წლის კანონით და, უთუოდ, წამოყენებული, ფეოდალური წრეების მიერ, კოლონიალური საქონლით ვაჭრობის კონცენტრაციის შესაფერხებლად,—ძალიან მალე დაიხვიეს ხელზე ისეთ ვაჭართა ხელობებმა, როგორნიც იყვნენ მემაუდენი, რომელნიც ამ პრინციპზე მიუთითებდნ „სხვადასხვა ხელოსნობის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“⁵. და, მართლაც, მეფემ შემდეგ წელს სათანადოდ განმარტა კანონი, აღუჭურვა ქარტიებით ბითუმად მოვაჭრე მდიდარი კომპანიები (როგორც მაგალითად, ლეინით, მაუდით და თევზით მოვაჭრენი) და ამით მიანიჭა მათ მონოპოლია ვაჭრობის თავიანთ დარგებში⁶.

მაგრამ ოლიგარხიას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა მაშინ, როცა ვადიდრდენ ხელოსანთა მეტად თვალსაჩინო გილდიების უფრო მსხვილი ხელოსნები. მაშინ აღმოჩნდა, რომ ეს ელემენტები ცდილობდნ საწარმოო სამუშაოს უმეტესი ნაწილი დაჭირავებული მუშებისათვის დაეკისრებინათ, ხოლო თავიან-

¹) M. Sellers, York Mercers and Merch. Adventurers (Public. of Surtees Soc.), XIII.

²) A. K. Johnson, დასახ. თხზ., 52.

³) Unwin, Industr. Organiz., 73—74.

⁴) S. Kramer, Engl. „Hist. Review“-ში, XXIII, 28—30.

⁵) Unwin 'Finance and Trade under Edward, III, 249—250.

⁶) იქვე, 247.

თი კაპიტალი ვაქრობაში დაებანდათ. მაგრამ ამ საქმეში ხელოსნებს ხელს უშლიდა ვაჭართა მონოპოლია. ალბათ ეს იყო მთავარი მიზეზი იმ შეტაკებებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბევრგან—ხელოსანთა გილდიებსა და ქალაქის თვითპარტველობებს შორის. ოლიგარხიის წინააღმდეგ აჯანყების დროშას ჩვეულებრივ აღმართავდა ხოლმე ხელოსანთა ერთი ან ორი უფრო მეტად ძლიერი ორგანიზაცია, და იმ შემთხვევაში, თუ ამით არ ილაზხებოდა განსაკუთრებით თვალსაჩინო ინტერესები, მოქალაქენი, როგორც ჩანს, მაინცადამაინც არ იჩენდნენ დიდ მისწრაფებას დემოკრატიისაკენ¹.

ეკსტერში, მაგალითად, მკერავთა გილდიის ოსტატ-მკერავებს, რომელთაც მე-XIV საუკუნის დამლევისათვის სიმდიდრე და გავლენიანი მდგომარეობა მოიპოვეს, სურდათ,—როგორც მოსალოდნელი იყო,—გამხდარიყვნენ მკერავვაჭრებად, რათა შესძლებოდათ თავიანთი საქონელი უცხოელი ვაჭრებისათვის თვითვე მიეყიდათ. ამისათვის მათ მიმართეს მიღებულ ჩვეულებას და მეფისაგან იყიდეს ქარტია. მერმა, ამას მტრული თვლით შეხედა და მკერავებს მოქალაქეობის უფლება ჩამოართვა. საქმე ვათავდა კომპრომისით: მკერავებმა სურვილისამებრ მიიღეს ხელისუფლებაში მონაწილეობის უფლება, ხოლო დამარცხების საშარცხენო შედეგის ზიდვა მდაბიო ხალხს დაეკისრა². ამგვარი კომპრომისები ეტყობა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო მე-XV და მე-XVI საუკუნეებში: ვაჭართა ოლიგარხია ინარჩუნებდა თავის პოზიციას იმით, რომ ხელოსანთა უფრო მდიდარ გილდიებს უფლებას აძლევდა გამოეყენებინათ მათი პრივილეგიები და ხელისუფლება.

ვაჭართა კომპანიების რეგიმის სასარგებლოდ მიმართული ამ ცვლილების მნიშვნელობას ყველაზე უკეთ ახასიათებს ის ფაქტი, რომ ამიერიდან აღარ იყენებდნენ ქალაქის იმ ძველებურ წესებს, რომლებიც მიმართული იყო საქონლის საბითუმო შესყიდვისა და გადაყიდვის წინააღმდეგ. ერთი ქალაქის მდიდარი მოქალაქენი ხშირად ხდებოდნენ სხვა ქალაქის გილდიების წევრებად, რის წყალობითაც მათ შეეძლოთ ფართო მასშტაბით ეწარმოებინათ საბითუმო ვაჭრობა, რამდენადაც მათზე არ ვრცელდებოდა სხვა ქალაქების მკვიდრთა წინააღმდეგ მიმართული სპეციალური შეზღუდვანი. ამასთან ერთად ძალა დაჰკარგა ნიხრმა; მდიდარმა „ბანკირებმა და სურსათ-სანოვავის ვაჭრებმა, რომელნიც იზდენად ამაღლდნენ, რომ მუნიციპალურ თანამდებობებს მიაღწიეს, ნიხრი პურზე და მეთვალყურეობა სასადილოებზე ცარიელ ლაყბობად აქციეს“³. სინამდვილეში მომხდარი ცვლილება სასარგებლო გამოდგა მდიდარ, ბითუმად მოვაჭრეთათვის, რომელნიც შესყიდვას და გადასყიდვას ფართოდ აწარმოებდნენ, რადგან შემზღუდველი წესებით დადგენილი ჯარიმა ამ წესების დარღვევისათვის ახლა მიაჩნდათ მხოლოდ ვაჭრობის ნებადასართველ გადასახადად ან საურავად

1) Colby, დასახ. თხზ., 645, აგრეთვე ვ შ ლ ი: „ძველი მტრობა ხელოსნობისა და კომუნას შორის გაჰქრა მანძი, როდესაც გილდიების ხელშეღწეულია წევრებმა როიპოვს გაველენა კომუნის მართვა-გამგებოაში“.

2) Mrs Green, დასახ. თხზ., 173—181.

3) Mrs Green, დასახ. თხზ., 49.

ამ პრაქტიკის განგრძობისათვის¹. მდიდარ ვაჭარს, რომელიც ფართო მასშტაბით აწარმოებდა ვაჭრობას, ადვილად შეეძლო ამ საურავის გადახდა, მაშინ, როდესაც უფრო ღარიბი შემოკრძე მოკლებული იყო ამ შესაძლებლობას.

კლასობრივ ფენებდა დაყოფის ამ ნიადაგზე უკვე აღმოცენდნენ საესებით მომწიფებული კაპიტალისტური საწარმონი. როგორც ფლანდრიაში, აქაც ეს საწარმონი პირველად მთულის მრეწველობაში გაჩნდნენ, რადგან მატყლითა და მათუდით ვაჭრობა ფართო ბაზარს გულისხმობდა, და სწორედ ამ დარგში წარმოადგენდა მონოპოლია საყოველთაო მოვლენას. ვაჭრობის ეს დარგი მთელი საუკუნეების განმავლობაში ინგლისის კომერციულ მოქმედების ძირითად ღერძს წარმოადგენდა, და ის მეწარმენი, რომელთაც მოგების საქმეში კარგი ალლო ჰქონდათ, ადრევე ჩაებლაუქნენ მას და არ უშვებდნენ თავიანთი კლანჭებიდან. კაპიტალისტური საწარმოს საესებით დამთავრებული ფორმა მე-XV საუკუნეში განვითარდა. მე-XIV საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა „ჩამორიგებითი სისტემა: „მემაუდემ ბითუმად იწყო მატყლის შესყიდვა. ამ მატყლს იგი წონით ურიგებდა მრთველებს, რომელთაც ხელფასს აძლევდა მუშაობაში და წონითვე იბრუნებდა მათგან ნართის განსაზღვრულ რაოდენობას; ხოლო ამ უკანასკნელს აძლევდა შემდეგ ფეიქარს, რომლისგანაც ღებულობდა უკვე დამზადებულ მაუდს“. ზოგ შემთხვევაში მემაუდეს საფეიქრო დაზგებიც ეკუთვნოდა — სისტემა, რომელიც იშვიათ გამოჩაყლის წარმოადგენდა კაპიტალიზმის განვითარების ბევრად უფრო შემდგომ სტატიამდე; იქ სადაც ეს სისტემა ფეხს იკიდებდა, დამოუკიდებელი ხელოსანი მთლად ჰქრებოდა, ხოლო „ფეიქარი დაქირავებული მუშის მდგომარეობამდე ეშვებოდა“². დასასრულს, აქა-იქ არსებობდნენ საფაბრიკო სისტემებიც, რომელთაგან ყველაზე უფრო ცნობილი იყო ვანთქმულ ჯონ უინჩკომბის საწარმო, რომელსაც ხალხის ფართო წრეებში იცნობდნენ ნიუბერელი ჯონის სახელით.

ჯონი იყო მაუდით მოვაჭრის შვილი, რომელშიაც შეგირდობის წლებში მდიდარ მემაუდესთან გაატარა, მერე, ამ მემაუდის სიკვდილის შემდეგ, შერთო მისი ქვრივი და ერთბაშად გამდიდრდა³. საუცხოვო აღწერილობა მისი სახელოსნოებისა დაგვიტოვა დელონემ, რომელიც აბლა კარგად ცნობილ ლექსში, მოგვითხრობს;

ერთს ოთახში, დიდსა და ფართოში,
იდგა ორასი დაზგა ერთი მეორეზე,
და ორასი კაცი, სიმართლეს ვიტყვი,
მხარ და მხარ მუშაობდა ამ დაზგებზე.

ექვს გარეშეა, რომ ამ თხრობას, რომელიც პოეტურად უმღერის „ორასი ქალიშვილს“,

რძესავით თეტრი⁴ საფარებით თავზე. —
—ალივით წითელ კაბებში გამოწყობილს,

1) Gretton, დასახ. თხზ., 53.
2) Gretton, დასახ. თხზ., 64—65.
3) Johnson, დასახ. თხზ., Vol., II, 48; V. C. H., Berks, 2, 388.

რომელიც ალგვიწერს საწარმოსთან არსებულ სამღებროს და სათელ განყოფილებას, უნდა უმაღლოდეს ეს პირველი მეწარმე თავისი სახელის უკუდაეყოფაში. იმავე ქალაქში ცხოვრობდა ტომას დოლმენი, რომელსაც ფაბრიკის მსგავსი საწარმო ჰქონდა; და შემდეგში ამ საწარმოს მოგებით მან ააგო თავისთვის შოუ-ჰაუზი, რომელიც 10.000 გირვანქა სტერლინგად დაუჯდა. ბრისტოლში ცხოვრობდა ვინმე ტომას ბლენკეტი, რომლის ნათესავეებიც ქალაქის მაგისტრატში შედიოდნენ და პარლამენტის წევრებად იყვნენ; ხოლო შემდეგში, მე-XXVI საუკუნეში, უილიამ სტუმპემ ოქსფორდში იჯარით აიღო ოსნეის სააბატო, სადაც 2.000 მუშას ამუშავებდა. ქალაქისა და გილდიების მიერ შემოღებული წესებისაგან თავის დასაღწევად, ამ მემუღღებმა მიმართეს ახალ პრაქტიკას: მუშაობაში ჩააბეს წვრილი ხელოსნები სოფლად და ამით შემოიღეს მრეწველობის ეგრეთწოდებული საოჯახო სისტემა. ამ შემთხვევაში საბოლოო დამუშავება ხდებოდა ინგლისის დასავლეთ ნაწილში, დიდ ქარხანაში, რომელიც მემუღღეს ეკუთვნოდა¹. ეს მრეწველობა განსაკუთრებით ყვაოდა ესექსა და სუფოლკში; სწორედ ამ ადგილებში შეიძინა თავისი სიმდიდრე გამოჩენილმა სპრინგსმა ლევენგემიდან, ხოლო ღირსეულმა ტომას პეიკოკმა კოგესპოლიდან, 500 გირვანქა სტერლინგი დახარჯა თავის დასაფლავებაზე და უფრო დიდი თანხა შესწირა სააბატოს სამლოცველოს². 1539 წელს ფეიქრები ჩიოდნენ: „მდიდრები, მემუღღეები, პირსა ჰკრავენ და ერთმანეთს უთანხმდებიან იმის შესახებ, რომ მაუდის ქსოვისათვის შეინარჩუნონ და უხადონ ერთი და იგივე ფასი“—³.

ამავე ეპოქაში მრეწველობის სხვა დარგებში ზოგიერთ ხელოსნობას ქალაქად აკრძალული ჰქონდა ნედლეულით ან თავისი ნაწარმოებით ვაჭრობა. ისინი დამოკიდებულნი ხდებოდნენ სხვა ხელოსნობებისაგან, რომელთაც ვაჭრობის მონაპოვია ჰქონდათ მოპოებული. 1327 წელს „ჩეპში და კრიზლგეტის ქუჩებში უკვე მოხდა მლელვარება დურგლების, მღებავებისა და მურმეებისა, რომელთაც განაცხადეს: მუშნავირებმა „დაადგინეს და ფიცით განამტკიცეს ეს დადგენილება“, რომ აღნიშნულ ხელოსნებიდან არავინ გაბელოს თავისი საქონლით ვაჭრობაო. სწორედ ასევე, დაახლოებით 1400 წელს მედანეები გადაიქცნენ დაშნებისა და ქარქაშების დამამზადებელთა მეწარმეებად, ხოლო 1415 წელს მათ მიაღწიეს რა ინკორპორაციას, თავიანთი მონაპოვია კანონიერ ფორმად ჩამოაყალიბეს⁴. 1364 წელს მაუდით მოვაჭრეთა კომპანიამ მოახერხა—რათა იგი კორპორაციად აელიარებინათ, რამაც მათ მაუდით ბითუმად ვაჭრობის მონაპოვია მოუპოვა, და საუკუნის დამლევს მთელაეები და მკერქაეები მათგან დამოკიდებული გახადა⁵.

1) V. C. H. Glouc., 2, 158.

2) Eileen Power, Mediaeval People, 168.

3) Lipson, დასახ. თხზ., 417; იხ. აგრეთვე მისივე Hist. of Wool and Worst. Indus., 44—52 და Salmon, Indust. the Middle Ages, 57—59. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მემუღღენი იყოფოდნენ მდიდარ და ღარიბ მემუღღეებად, ამასთან პირველნი უმუშაოდ ყიდულობდნენ მატყლის მეწარმოებელთაგან,—ხოლო მეორენი, მატყლის სწავლების პატრონთაგან.

4) C n win, დასახ. თხზ., 22—25.

5) Ashley. „Publications. Am. Econ. Assoc.“-ში (1887), 63.

სისხლის ღვრა ბოსვორზნეში უაზრო ფეოდალური ბრძოლის მარტო უკანასკნელ აქტს არ წარმოადგენდა,—იგი გაისმა აგრეთვე დამკრძალავ ზარად, რომლის დროსაც ანდერძი აეგო განვლილი ეპოქის უკანასკნელ ნაშთებს. პირველი ტიუდორის კორონაციის დროს ზარებმა აუწყეს ქვეყანას ახალი კლასისა და სოციალური და ეკონომიური ცხოვრების ორგანიზაციის ახალი მეთოდის გამარჯვება. საზოგადოების სამ ფენად დაყოფა, რომელიც მოჰყვა ფეოდალურ წყობილებას, დამყარდა დაახლოვებით 1400 წელს და სავსებით განმტკიცდა ერთი საუკუნით უფრო გვიან. ამ დაყოფის საფუძველზე ახალმა ვაჭრულმა საზოგადოებამ სრული კაბლუკური ძალ-ღონით გაშალა თავისი ფრთები და გასწია წინ—აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ. ზემოთ იდგნენ მდიდარი ვაჭარ-ექსპორტერები — იმ ვაჭრების რიცხვიდან, რომელთაც ჰქონდათ საწყობები, აგრეთვე ნავთსადგურებში უცხოელი ვაჭრები—მეგალანტრეები, მემპულდები, კოლონიალური საქონლით მოვაჭრენი, იუველირები და სხვანი. ესენი მეფეს სესხად აძლევდნენ ფულს, იჯარით იღებდნენ მეფის საშემოსავლო წყაროებს; ისინივე აწვდიდნენ ყველაფერს მეფის კარსა და არმიას, ისინი ბატონობდნენ პროვინციის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მალე მათი ხმა პარლამენტის ხმად უნდა გადაქცეულიყო. და გადაგვარების გზაზე შემდგარ და დაღარიბებულ მალალ წოდებას ისინი წარმატებით ეცილებოდნენ სოცლად პირველ ჯენტლმენობაში. მათ ქვემოთ, მეორე ადგილზე, იდგნენ ადგილობრივი ვაჭრები, პროვინციალური ქალაქების წერილი მემპულდენი და დამოუკიდებელი ხელოსანი ოსტატები, რომელნიც ხელოსანთა გილიებში ბატონობდნენ და რომელთაც მეთექვსმეტე საუკუნის მანძილზე მოიპოვეს ერთგვარი მონაწილეობის უფლება ქალაქების მართვა-გამგეობაში. მათი ინტერესები ადგილობრივი ხასიათისანი იყვნენ: ისინი მიისწრაფოდნენ უკან, საშუალო საუკუნოებრივ წესებისაკენ, იმ დროისკენ, როდესაც ქალაქის ბაზარს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. დასასრულ, საზოგადოებრივი კიბის ქვემო საფეხურზე იყვნენ ვაჭარ-მეწარმეთაგან დამოკიდებული წერილი ხელოსნები, როგორც, მაგალითად, მათდის ვაჭართა ფეიქრები; ამათს გვერდზე იდგნენ მუშები, რომელთაც ეს ხელოსნები ამუშავებდნენ, ან რომელნიც ხელოსანთა დამოუკიდებელი ოსტატებისათვის მუშაობდნენ.

• მაგრამ ეს დაყოფა არ იყო ერთ წერტილზე გაყინული, თუმცა ყოველი ეპოქის ცხოვრებას იგი საკმაოდ ცხლად ემჩნეოდა. რაც უფრო ეუახლოვდებოდა მე-XVI საუკუნის დამლევს, მით უფრო მეტი და მეტი ხელოსანი ჰკარგავს დამოუკიდებლობას და ეშვება სხვისაგან დამოკიდებული კლასის რიგებში. ქვემოდან, ადგილობრივი ვაჭართა ჯგუფებიდან, ერთგვარი დენა იყო ზემოთკენ, ეროვნული მასშტაბის ვაჭართა მაღალი ფენისაკენ. ნიუბერელი ჯეკის, ბლანკეტისა და სტუმპეს მაგვარი მემპულდენი თითქმის ნამდვილ სავაჭრო ფირმებს წაროადგენდნენ, ხოლო მდიდარ ხელოსანთა და ადგილობრივი ვაჭართა ცალკე წარმომადგენელნი ვაჭარ-ექსპორტერთა პრივილეგიურ რიგებსაც აღწევდნენ. ეს მაღალი კლასი თამამად სდევნიდა პოზიციებიდან თავის ფეოდალურ მეტოქეებს. იგი იძინდა მაღალი წოდების გაღარიბებულ წარმომადგენელთა მამულებს, და ითვისებდა აზნაურ-მემამულეთა საუბრის კილოსა და მანერებს. იგი მოხერხებულად იკაფავდა გზას ლონდონის საზოგადოებისა და მეფის კარის წრეებისა-

კენ; და წარჩინებული დიდებულნი ფრიად მოხარულნი იყვნენ გაეთხოვებინათ თავიანთი ქალიშვილები ასეთ მდიდარ ოჯახებში, ან მიებარებინათ სასწაელოთ თავიანთი უმცროსი ვაჟიშვილები მათ შემოსაელიან სავაქრო საწარმოებში. მე-XVI საუკუნეში ამ კლასს მოელოდა პატივი და დიდება, მაღალი მდგომარეობის დაქერა საზოგადოებასა და სახელმწიფო სამსახურში, და ტიუდორთა ჩნგლისის ახალ მმართველ არისტოკრატიად გარდაქმნა.

ნაციონალური ბაზარი და მარკანტილიზმი.

განვითარების გზაზე დამდგარ ინგლისის კაპიტალიზმს, რომელიც მოითხოვდა საქალაქო ეკონომიკის ვიწრო საზღვრების მოსპობას და გაბატონებულ მდგომარეობას ფართო ეროვნულ ბაზარზე, ერთხანს მრავალი დაბრკოლებისა და სიძნელის გადალახვა მოელოდა. მე-XIV საუკუნემდე ინგლისის მდგომარეობა მსოფლიო ვაჭრობაში მეტად უმნიშვნელო იყო. ბუნებით მას ჰქონდა ზოგიერთი უპირატესობანი, რადგან მისდევდა მეცხვარეობას, მაშასადამე, მოგპოვებოდა მატყლი, რომელიც ასე ესაქიროებოდა საშუალო საუკუნოების ძირითად მრეწველობას; ამასთან მის მატყლს ისეთი ღირსება ჰქონდა, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება იყო. მაგრამ, რამდენადაც საქმე ინგლისის საზოგადოებრივ წყობილებას შეეხებოდა, ამ მხრივ ეს ქვეყანა არ იყო ხელსაყრელ პირობებში. ინგლისის მეფეთა ხელისუფლება და მისი არისტოკრატია, კონტინენტის სასახლეების ბრწყინვალეობასთან და ზანდუკებში დაცულ განძეულობასთან შედარებით, ღარიბი იყო, რისთვისაც ისინი იძულებულნი იყვნენ მიემართათ სესხისათვის, რაშიაც დიდ სარგებელს იხდიდნენ, ან ისეთ დათმობაზე მიდიოდნენ, რომელიც მეტად სამძიმო იყო. ამავე დროს არც ინგლისის ვაჭართა კლასი იყო სავსებით მომწივებული. მეცამეტე საუკუნემდე ამ კლასის აზრი არ სცილდებოდა პროვინციალური ქალაქის ჰორიზონტს. მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნეში იგემა მან უცხოეთთან ვაჭრობის წარმატები პერსპექტივები. შედეგად კი ამას ის მოჰყვა, რომ ამ ხნის განმავლობაში თვალსაჩინო პრივილეგიები მიეცათ უცხოელ ვაჭართა ჯგუფებს, ისეთ ვაჭართა ჯგუფებს, როგორიც იყვნენ მაგალითად, ლომბარდიელნი და „ფოლადის ქარვასლის“¹ ვაჭრები. ანგვარი უპირატესობით აღჭურვილმა ამ ვაჭრებმა, ინგლისის მარტყლის წყალობით, გააჩინეს მოგების ისეთი წყარო, რომლის მსგავსით სარგებლობის საშუალება ინგლისელ ვაჭრებს არ გააჩნდათ.

ამის შედეგად ინგლისი გადაიშალა ერთგვარ კოლონიად, რომელიც ღია იყო უცხოელ მეწარმეთა ექსპლოატაციისათვის და რომელიც ისეთსავე დამო-

¹) Stahlhof—стальное двор, (ინგლ. Steelyard), ფოლადის ქარვასლა; პროფ. ი. კულეჩივიჩის აზრით უფრო სწორი იქნებოდა „მაუდის ქარვასლა“, რადგან სახელწოდება წარმოდგება სიტყვიდან Stalen—მაუდის გასინჯვა და ნიშნის, დალის დასმა; პროფ. მ. კოვალევსკის კი სახელი „ფოლადის ქარვასლა“ მიანიჩა წარმომდგარად „რკინის სახურავიდან, რითაც დახურული იყო ეს ქარვასლა“. პროფ. A. Beer-სა და Lappenberg-ს უფრო მართებულად მიაჩნდათ ის აზრი, რომ ეს სახელწოდება წარმოიშვა, დღეს უკვე ხმარებიდან გამოსულ, გერმანულ სიტყვიდან „Stallen“, რაიც ნიშნავს საქონლის დაწყობას და იმავე დროს აღნიშნავს საცხოვრებლად შეთავსებას. „ფოლადის ქარვასლა“ დაარსა „გერმანიის დიდმა ჰანზამ“ 1260 წელს ლონდონში, რომელმაც 375 წელი იარსება (რედაქტ. შენიშ.).

კიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიაც დღეს იმყოფებიან ისეთი ქვეყნები, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი და ოსმალეთი. ადგილობრივი ბაზრით შეზღუდული ინგლისელი მყიდველი არ იყო ხელსაყრელ მდგომარეობაში, რადგან საქონელს უცხოელი ვაჭრისაგან ყიდულობდა. მას ცოტა ჰყავდა სხვა მიმწოდებელი და მცირე რამ იყოდა უცხო ადგილების საბაზრო პირობათა შესახებ. სწორედ ასევე მატყლის ან სხვა ადგილობრივი პროდუქტის ინგლისელ გამყიდველს თავისი საქონლის გაყიდვის ნაკლები შანსები ჰქონდა. მას ცუდად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ შეიძლებოდა ამ საქონლის უფრო დიდ ფასად გაყიდვა, თუ კი გაბედავდა და გაუდგებოდა გზას მყიდველის საძებრად. კარგი ფასის მიღების ერთად-ერთ შესაძლებლობას მისთვის მხოლოდ ის წარმოადგენდა, თუ კონკურენცია უცხოელებისა, რომელთაც მისი საქონელი ესაჭიროებოდათ, იმდენად გამწვავებოდა, რომ იგი, ამ უცხოელ ვაჭრებს, ურთიერთთან დაპისპირებით, თავის საქონელში, უფრო დიდ ფასს გააღებინებდა. მაგრამ ეს ნაკლებად იყო მოსალოდნელი, რადგან უცხოელ ვაჭართა რიცხვი სასტიკად იყო, შეზღუდული, ხოლო ის უცხოელნი, რომელნიც შიგ ინგლისში ვაჭრობდნენ, ლიგასა და ჰანზაში იყვნენ გაერთიანებულნი. ამის გამო ის ფასი, რომელსაც ინგლისელი მყიდველები უცხოეთის საქონელში იხდიდნენ, შედარებით მაღალ დონეზე, ხოლო ფასი, რომელსაც ისინი თავის საქონელში ლებულობდნენ—დაბალ დონეზე იდგა.

ამავე მიზეზით მონოპოლიის წარმოშობამ ქალაქებში თავის დროზე დადებითი როლი ითამაშა ინგლისელთა შორის სავაჭრო ინიციატივისა და თვით მოქმედების გაღვივების საქმეში. მან აიძულა მოქალაქენი ცდილიყვნენ გაერთიანებული ძალ-ღონით აეცილებინათ თავიდან არახელსაყრელი მდგომარეობა. თუ არა ეს მიზეზი, საეჭვო იყო, რომ ინგლისელნი მოხეტიალე წვრილი ვაჭრობისა და უბრალო ხელოსანობის ფარგლებს გასცილებოდნენ. ამ ფარველობის გარეშე ისინი ძნელად თუ დააგროვებდნენ სათანადო კაპიტალს ვაჭრობის ახალი მეთოდებისათვის ფინანსების მისაწოდებლად, ან იმ რისკის უზრუნველსაყოფად, რომელიც თან სდევს ყოველ ახალ სავაჭრო საქმეს. კიდევ უფრო ნაკლებ მოსალოდნელი იყო ქალაქად მეწარმეთა ისეთი კლასის გაჩენა, რომელიც გამსჭვალული იქნებოდა კაპიტალისტური სულით და გატაცებული მოგების შეძენითა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდებით. სწორედ გილდიებისა და საბაზრო შეზღუდვების მფარველობას შეიძლებოდა შედეგად მოყოლოდა ახალი ქალაქების კეთილდღეობა და კლასობრივ ფენათა წარმოშობა, რაც კაპიტალიზმის საფუძვლად გადაიქცა. და სავაჭრო გილდიების უშუალო შემკვიდრებლად სწორედ ხელსაწიანთა გილდიები და უცხოეთში მომქმედი ვაჭრები გახდნენ, რომლებიც ჯერ გამოედანენ, ხოლო შემდეგ საკუთრად მიითვისეს კიდევ მონოპოლია, რითაც მანამდე უცხოელი ჰანზა სარგებლობდა.

ამიტომ პირველ ნაბიჯს ეროვნულ ბაზარზე ინგლისის ვაჭართა კლასის უპირატესობის დასამყარებლად წარმოადგენდა უცხოელ ვაჭართათვის პრივილეგიური და უპირატესი მდგომარეობის ჩამორთმევა. ეროვნული მასშტაბის პირველი უწყაყოფილება გამოიხატა ჯერ-კიდევ მეცამეტე საუკუნის შუაწლებში, როდესაც სიმონ დე მონფორი მეფის წინააღმდეგ ამხედრების დროს ჩიოდა: მატყლი საზღვარგარეთ გააქვთ რათა ფლანდრიის მატყლის მრეწველობას

ასარგებლონ, ნაცვლად იმისა, რომ თვით ჩვენი ქვეყნის შიგნით სამუშაო და სიმდიდრე მიეცეს საფუძვრო მრეწველობასო. ჩვენ დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ნამდვილად იყო დე მონფორი გამსჭვალული ნაციონალიზმის სულით—და, ამრიგად, მან თავის ხანას გაუსწრო,—თუ ამ საყვედურს მან მიმართა, როგორც *argumentum ad homines*-ს¹ ინგლისელი ვაჭრების სახელით, რომელნიც უკვე თვითონაც მოწადინებულნი იყვნენ ხელი მოკვიდათ იმ მოგებისათვის, რომელსაც მატყლით ვაჭრობა იძლეოდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ამის შემდეგ ინგლისელმა ვაჭრებმა უცხოელებთან ერთად დაარსეს სავაჭრო კომპანია (*Mercchants of the Staple*) და, ამრიგად, წილი დაიღვეს მოგებაში, რომელსაც მატყლით ვაჭრობის მონოპოლია იძლეოდა. მეფის ხელისუფლება კვლავ განაგრძობდა გულუხვობას,—თუ კი ავას შეიძლება ეწოდოს გულუხვობა,—ჰანზის ვაჭართა მიმართ. გულუხვობის პრეცედენტი დაამყარა ჯვაროსანთა ლაშქრობაში წასულმა რიჩარდმა, რომელიც ბედის ტრიალის წყალობით, გერმანიის საპყრობილეში მოქცეული, მოხარული იყო ამ უსიამოვნო და დამამცირებელი მდგომარეობიდან თავის დასახსნელად ჰანზელ ვაჭრებისათვის მიეცა სავაჭრო პრივილეგიები². მის შემკვიდრებებს მართალია საპყრობილე არ აიძულებდა დათმობაზე წასულიყვნენ, მაგრამ მათი მდგომარეობა იმდენადვე ცუდი იყო, რამდენადაც მათი ხანინა ცალიერდებოდა და ამიტომაც გულუხვობას ბოლო არ ეღებოდა. დიდებულ ფეოდალთა ზოგიერთი წარმომადგენელიც მზად იყო სიხარულით მიპაგებებოდა უცხოელთა მისვლას, რადგან ეს უცხოელი ვაჭრები მათ საუკეთესო საშუალებად მიიჩნდათ მონოპოლიით აღჭურვილ ადგილობრივ მოქალაქეთა აუტანელი თავხედობის ასალაგმავად. ეტყობა, უცხოელებისადმი ამ კარგ განწყობილებას ქალაქის კეთილ სათნოიანი ხელისუფალნიც კი იზიარებდნენ. ეს გასაგებიც არის, რადგან გულუხვობა ცალმხრივი როდი იყო: ჩვენ ვიცით, რომ ის ოლდერმენი, რომელსაც ლონდონელ ოლდერმენთა წრიდან ირჩევდნენ მოწალაქეთა და გერმანელ ვაჭართა შორის სადღო საქმეების განსახილველად, ყოველწლიურად ჰანზისაგან უხვ საჩუქარს იღებდა—15 ოქროს ნობლეს³, რომელსაც „თავაზიანად წყვილ ხელთათმანში ჩასდებდნენ“⁴. მართლაც, თუ რამდენად სკარბოლდენ უცხოელი ვაჭრები ინგლისის საგარეო ვაჭრობაში ჯერ კიდევ ეღუარდ. IV-ის დროს, ამას საუკეთესოდ ადასტურებს კომერციული სასამართლოების შემადგენლობა იმ ქალაქებში, რომელნიც მატყლის საწყობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. ეს სასამართლოები,—რომელთა ამოცანასაც შეადგენდა სხვადასხვა დავის მოგვარება მყიდველებსა და გაყიდველებს შორის, ორი ინგლისელი, ორი გერმანელი და ორი ლომბარდიელი ვაჭრისაგან შედგებოდნენ⁵.

ელუარდ მე-III მმართველობის დროს თავი იჩინა ნაციონალურმა მოძრაობამ ჰანზისა და ვაჭარ-ეპისკოპოსობის კომპანიის მიერ საგარეო ვაჭრობის

¹) *Argumentum ad homines*—საბუთი, რომელსაც პიროვნული ხასიათი აქვს; მტკიცება დასაჯერებელი ადამიანის პირადი თვისებების მიხედვით (რედ. ზენ.).

²) J. D. Colvin, *The Germans in Engl.*, 13-17.

³) ძველი ინგლისური ფული.

⁴) იქვე, 53.

⁵) J. D. Colvin, *დასახ. თხზ.*, 55.

დო ბ ბ ი, კაპიტალისტური მჭერნეობის განვითარება.

მონოპოლიზაციის წინააღმდეგ. ეს იყო ქალაქის მდიდარი ვაჭრების მოზარდი ძალისა და მნიშვნელობის გამომხატულება, რომელნიც მატყლის ვაჭრობაში „უმთავრესად შუამავალთა როლს ასრულებდენ ინგლისელებსა და უცხოელებს შორის“¹⁾. ეტყობა ისინი მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ გამსჭვალულნი საზღვარგარეთ მატყლით ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების სურვილით—ასეთი მოთხოვნა იმ დროს, საექვოა, „პრაქტიკულ პოლიტიკად“ დასახულიყო. მაგრამ მათ უნდოდათ თავიანთი მატყლი გაეყიდათ თავისუფალი კონკურენციის პირობებში და საქმე არა ჰქონოდათ მტკიცედ დადგენილი მონოპოლიურ ფასებთან, მათ სურვილს იზიარებდენ მატყლის მწარმოებელნიც—უმთავრესად ფეოდალური მიწათმფლობელნი, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ შესყიდვის თავისუფალი კონკურენციის დროს უზრუნველყოფდენ უფრო ღირ ფასებს თავიანთ მატყლზე²⁾. მიწათმფლობელნი სიხარულით მიეგებებოდენ საერთოდ საექსპორტო საწყობების მოსპობას მაშინ, როდესაც მდიდარ ვაჭრებს სურდათ, ბრიუჯის მატყლის საწყობის ნაცვლად, ჰქონოდათ რამდენიმე საწყობი ინგლისის ქალაქებში. ეს უკანასკნელი საწყობები უფრო ხელმისაწვდენი იქნებოდა მათთვის; ისინი გამოიყენებდენ ადგილობრივ ნაცნობობასა და კონტროლს ბაზარზე, მიიზიდავდენ იქ უცხოელების, როგორც ინგლისელთა საქონლის უშუალო შემსყიდველების უფრო მეტ რიცხვს, და ამ გზით ააცილებდენ მათ ბრიუჯეს, სადაც წინად ისინი საქონელს მატყლის საწყობის კამპანიისაგან იძენდენ. ამიტომ საგრაფოებისა და ქალაქების წარმოადგენელი თავისუფალი ვაჭრობის ნიადაგზე გაერთიანდენ ედუარდ III-ის პარლამენტში და მოითხოვეს მატყლის საწყობის გაუქმება ბრიუჯეში. მაგრამ მეფეს ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა ფული, ამ საჭიროებას ამწვევებდა ხარჯების გადიდება იმ ომზე, რომელიც მაშინ ინგლისს საფრანგეთთან ჰქონდა. ლომპარდიელი ვაჭრების ფინანსიური გაკოტრების შემდეგ იჯარა მატყლის ბაეუბზე საწყობების კომპანიამ აიღო. მეფე თავის შემოსავლის საქმეში დამოკიდებული აღმოჩნდა ამ კომპანიისაგან. მართალია, სესხისთვის ის ინგლისელ ვაჭრებსაც მიპართავდა, განსაკუთრებით ლონდონელ ვაჭრებს, მაგრამ მეფე ჯერ კიდევ დიდად იყო დამოკიდებული უცხოელებისაგან. 1339 წელს მეფე იძულებულა შეიქნა თავისი გვირგვინები კიოლნისა და ტრირისათვის დაეგირავებინა და ნებლინის სამი მოქალაქისაგან სესხად 54.000 ფლორინი მიეღო; ხოლო ანტვერპენში, ერთ-ერთი საშობაო სტუმრობის დროს, იგი იძულებული გახდა 30.000 გირვანქა ვალისათვის მძევლად დაეტოვებინა თავისი დედოფალი და ბაეში-ვალისათვის, რომელიც მოქალაქეებმა თავაზიანად გაახსენეს მეფეს მაშინ, როდესაც მან ქალაქიდან წასვლის განზრახვა გამოთქვა³⁾.

არც მისი შემკვიდრებები ყოფილან უკეთეს მდგომარეობაში, ჰენრიხ მე-IV ეგინქურის ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდა დესპანები გაეგზავნა გერმანიის ჰანზასთან, წინანდელი პრივილეგიების განსაახლებლად. ჰენრიხ მე-VI ჰანზელ მე-ვახშეებისაგან „სტრამეტი ათას ორას სამოცდა თოთხმეტ. ნახევარი ნობლი“ დაედო და კრედიტორების ზეგავლენამ აიძულა იგი მიეცა მათთვის უფლება

1) G. Unwin, Finance and Trade under Edward III, 241.
 2) იგივე, XXIII.
 3) Colvin, დასახ. თხზ., 59.

აპელაციისა ინგლისის ქალაქის სასამართლოების განაჩენებზე მიემართათ სპეციალური მოსამართლეებისათვის, რომელთაც მეფე ნიშნავდა¹. თუმცა ელჰარდ მე-IV ტახტზე ასვლის შემდეგ მატყლის საექსპორტო ვაჭრობის უფლებას მხოლოდ ინგლისელებს აძლევდა და ინგლისელ მემამულეებს მფარველობდა და მოქალაქეების თანაგრძნობა და ნდობა მოიპოვა იმით, რომ ზემოების დროს ლოკაზე კოცნით აბედნიერებდა მათ კანონიერ ცოლებს, მაგრამ ფინანსიურმა გაქირვებამ, ეტყობა, მაინც აიძულა იგი, 1465 წელს ფრიალი პატივისცემით მიეღო ჰანზისაგან „საჩუქრად თვალსაჩინო თანხა ქარტიის ვადის განვრძობისათვის“².

ამავე დროს ინგლისელმა ვაჭრებმა, რომელნიც უცხოეთთან აღებ-მიცემობისაკენ მიისწრაფოდნენ, იწყეს მომგებიანი ვაჭრობა ინგლისური მასულით. პირველი ნაბიჯი ყველგან ვაჭრობის ამ ახალ დარგში, ეტყობა, გადასდგეს მეგალანტერეებმა: მეთოთხმეტე საუკუნეში გალანტერეების ოსტატებს, როგორც ეს იორკში იყო, კომისიონერები ჰყავდათ ბრიუგეში, ანტვერპენში, ბერგენ-ოპ-ზოომში და მიდელბურგში³. მართლაც, უცხოეთში მოვაჭრეთა კამპანია (Merchant Adventurers) წარმოიშვა ლონდონელი მეგალანტერეების კომპანიიდან; ამასთან, ის 1526 წლამდე თავის ოქმებს სწერდა იმავე დავთარში, რომელიც მეგალანტერეების კომპანიის ჰქონდა. ამ ახალმა კომპანიამ, რომელიც 1358 წელს ცნობილი იყო „წმ. თომა ბეკეტის ძმობის“ სახელწოდებით, მოახერხა და მიიღო პრივილეგიები ფლანდრიის გრაფისაგან, და კანკურენციას უწევდა რა ბრიუგეს მატყლის საწყობს ანტვერპენი გადააქცია უცხოეთში თავისი მასულით ვაჭრობის ცენტრად. ამ გამოწვევას შედეგად მოჰყვა გამწვავებული ბრძოლა უცხოეთში მოვაჭრე ინგლისელებსა და ჰანზას შორის იმისათვის, თუ ვის უნდა გაეწია კონტროლი ფლანდრიის ჩრდილოეთის ზღვის ვაჭრობაზე. ინგლისის აკემებს თავს ესხმოდნენ და სცარცუავდნენ, ინგლისელთა მოსახლეობა ბერგენში ააოხრეს, ხოლო თავის მხრივ ინგლისელი ვაჭრებიც ყველგან, სადაც კი ახერხებდნენ სამაგიეროს ამგვარადვე უხდიდნენ.

ჰენრიხ მე-VIII მეფობის დროს ჩიოდნენ, რომ დანციგში ინგლისელ ვაჭრებს ეპყრობოდნენ „ბევრად უფრო ცუდად, ვიდრე ყველა სხვა უცხოელებს, გარდა ებრაელებისა“. მათ (ინგლისელებს) ცუდად ეპყრობოდნენ, არაფრად ავდებდნენ, ნებას აძლევდნენ თავიანთი საქონელი გაეყიდათ კვირაში მხოლოდ ერთდღეს; ამასთან ეს საქონელი უნდა მიეყიდათ მხოლოდ მოქალაქეებისათვის: მათ უკრძალავდნენ ვაჭრობას პრუსიის სხვა ქალაქებში⁴. 1406 წელს ამ „უცხოეთში მოვაჭრე კომპანიამ“, რომელშიაც შედიოდა მრავალი მდიდარი ვაჭარი ინგლისის სხვადასხვა ქალაქიდან და ნავთსადგურიდან, — ისინი ქალაქებიდანაც კი, როგორც იყო ლონდონი, იორკი, ნორვიჩი, ეკსეტერი, იპსვიჩი, ნიუკესტლი, გული“, — მიიღო თავისი პირველი ქარტია მეფისაგან, რომელსაც ეს კომ-

¹) Colvin, დასახ. თხზ., 99-100.

²) ციტირებულია ანდერსონიდან, Colvin-ის მიერ, დასახ. თხზ., 107-108.

³) M. Se les, Vork Mercers and Merchants Adventurers, XLI.

⁴) Colvin, დასახ. თხზ., 64 და შემდ., 166, 162; იხ. აგრეთვე C. Wallford, Outlin^g Hist. of Hanse League, Royl. Hist. Soc. Transact., IX (1881), 128.

პანია მიიჩნდა ინგლისის ძირითად ორგანიზაციად მაუდის ექსპორტის საქმეში— „mercatores in partibus Hollandiae, Selandiae, Brabantiae et Flandriae“¹. ამით ინგლისის მონოპოლია, რომლის საქმესაც მაუდის გატანა შეადგენდა, საბრძოლველად იწყვედა მატყლის გატანის საქმის მონოპოლისტებს— „სავაჭრო საწყობების კომპანია“-ს და „ფოლადის ქარავსლის ვაჭართა კომპანია“-ს.

მაგრამ უცხოეთში (ზღვის იქითა) მოვაჭრენი ამ ბრძოლაში მარტონი არ იყვნენ. უცხოელებისადმი მტრობას მათთან ერთად იზიარებდნენ მაუდის ვაჭარნი და კაპიტალისტი მებაჟდენი, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ, თუ მაუდის გატანით არა, მისი წარმოებით მაინც. იზიარებდნენ ამ მტრობას აგრეთვე ლონდონის ზოგიერთი სხვა სავაჭრო წრეები, რომელთაც „ფოლადის ქარავსლა“ ვაჭარ-მოქალაქეთა მონოპოლიის თვალსაჩინო დარღვევად მიიჩნდათ. იზიარებდა მას ვაჭართა მთელი ის ახალი ზედაფენაც, რომელმაც, ებრაელების განდევნის შემდეგ, იკისრა მუხაბზეობა ფეოდალურ დიდებულთა მიმართ და რომელიც ახლა ცდილობდა გამდიდრებას მეფისთვის მიცემული სესხების სარგებელით, საბაჟო გადასახადების იჯარით და არმიისა და სამეფო კარისათვის საქონლის მწოდებით.

ამის შედეგად ტიჟდორთა ეპოქის დასაწყისისათვის იწყო ძლიერი განვიითარება ეროვნულმა მოძრაობამ, რომელიც ეყრდნობოდა ვაჭართა ახალ კლასს და „უცხოეთში მოვაჭრე კომპანიის“ დროშით მომქმედ მის პიონერებს ჩრდილოეთის ზღვაში; ფეოდალური კლასი შემცირდა რიცხობრივად და შესუსტდა „ალისფერ“ და „თეთრი ვარდების“² ბრძოლათა წყალობით.

რეფორმაციისა და აღორძინების მოძღვრებათა ტალღებმა წალეკეს ეკლესიის ძლიერება. ახალმა კლასმა მე-XIV საუკუნის დამლევისთვის უკვე იწყო ფეოდალური გავლენისაგან დამოუკიდებელი განათლების საკუთარი ცენტრების შექმნა; ასეთი იყო კლასიკური გიმნაზიები, რომელთაც აარსებდნენ გამდიდრებული ვაჭრები და რომელნიც ადგილობრივი გილიდის ან მერის კონტროლს ქვეშ იმყოფებოდნენ³. ამის შედეგად ტიჟდორთა დროისთვის ახალ კლასს უკვე

1) Cawston and Keane, Early chartered Companies, 17-22, 27-28. შემდგომი „უცხოეთში მოვაჭრეთა კომპანია“-მ კარნაყტილი ხასიათი მიიღო და შესასვლელი გადაახადი ძალზე გააძვირა. მეტად ხშირად მიმართავდა იგი აგრეთვე ქრითამებს; 1623 წელს, მაგალითად, მან 200 ოქრო მისცა ხაზინის ლორდს; საჩუქრები მისცა აგრეთვე ბუენიკემის ჰერცოგს, კენტერბერის არქიეპისკოპოსს, ბეკვუი მცველ ლორდს, ლორდს თავმჯდომარეთა და სახელმწიფო მდიანებს.

2) „ალისფერი“ და „თეთრი ვარდები“, (ღვრებგბა ლანკასტერისა და იორკის სამეფო სწლებრსა. თეთრი—იორკისა, ხოლო ალისფერი ვარდი—ლანკასტერისაა. სასტიკი ბრძოლები, —რომელიც მათს შორის იუდათ წუღს (1455-1485) გრძელდებოდა,—მიზეზი იყო ედუარდ მე-III (1327-1377) შთამომავლთა უთანხმოება სამეფო ტახტის მიღებაზე. ამ ბრძოლამ დაასუსტა ფეოდალური არისტოკრატია, რომელიც ტახტის ხან ერთს ხან მეორე მამიებელს მიემხრობოდა ხოლმე, და ხელი შეუწყო ახალი ანაზურობის წარმოშობას. ამავე დროს დაეცა ზედა კლასის გავლენა, რომელიც მანამდე ხელმძღვანელ ლორდს თამაშობდა და შედარებით გამდიდრდა ქვედა კლასთა. ხოლო პარლამენტის მნიშვნელობამ საერთოდ ძლიერი დაიწია, რომელიც ტიჟდორების დროს სრულიად უღონო იყო მეფის აბსოლუტური ხელისუფლებისაკენ მიწრაფებისათვის რაიმე წინააღმდეგობა გაეწია. (რედექტ. შენიშ.).

3) Gretton, დასაბ. თხზ., 59.

მოკვებობდა საკუთარი ინტელიგენცია, რომელიც თავის მოწაფეობას იუ-
რისტებისა და მდივნების თანამდებობებზე გადიოდა და რომელიც ახლა მზად
იყო ტიუდორთა ახალი მონარქიის მრჩეველთა და ადმინისტრატორთა როლის-
თვის¹. მაღალი კლასის წარმომადგენელთა შეილებმაც კი იწყეს ვაჭრობის მო-
წაფეობის გავლა, და მათ ქალაქის ახალ „მეშხანურ“ ცხოვრებაში დაკარგეს თა-
ვიანთი ფეოდალური ჩვეულებანი. ტყუილად არ ამბობდა ედვინ სენდისი, ელი-
საბედის მეფობის დროს, „თუ არ ვაჭრობას, მაშ რა საქმეს უნდა დაადგენ თა-
ვად-აზნაურთა უმცროსი შეილები, რომელთაც ცხოვრება არ შეუძლიათ სამხე-
დრო სამსახურით, როცა ომი არ არის?“ ამისდაპირველად, ის ახალი მინისტ-
რები და მოხელენი, რომელნიც ტიუდორებმა თავიანთ ირგვლივ შემოიკრიბეს,
ამკარად ახალი საუკუნის ადამიანები იყვნენ. ტომას კროველი—იურისტი,
უოლსეი, ბურლეი და გრემში—მეგალანტერე, ახალი პროგრესიული იდეების
ხალხი იყო. პოლიტიკაში ისინი ნაციონალისტები და ჰანზის მტრები იყვნენ.
ჰენრიხ მე-VIII მეფობის დროს მაისის დღესასწაულებზე მღვლეარება უცხო-
ელთა წინააღმდეგ თითქმის ყოველ წელს იჩენდა ხოლმე თავს². პროტესტანთა
სამღვდელოება თავის ქადაგებებში ძლიერად ილაშქრებდა უცხოელთა წინააღ-
მდეგ; შეჭონდათ პეტიციები მათი განდევნის შესახებ. ერთხელ მეფეს ჰანზის
წინაშე ბოდიშის მოხდა და ტოუერიდან ჯარისა და ზარბაზნების გაგზავნაც კი
მოუხდა, რათა ჩაეჭრო უცხოელთა წინააღმდეგ ამხედრებით გამოწვეული არეუ-
ლობანი. ნორტუმბერლენდის ჰერცოგს და ელუარდ მე-VI ინგლისელი ვაჭრების
მხარე ეჭირათ. 1551 წელს მათ ჰანზის პრივილეგიების გაუქმებაც კი დაუშვეს.
ეს გაუქმება შედეგად მოჰყვა იმ საჩივარს, რომელიც, როგორც ეტყობოდა,
გრემშისა და ნორტუმბერლენდის ჰერცოგის ჩაგონებით, წარედგინა ლონდონის
მერს და „უცხოეთში მოვაჭრე კომპანიის“ ეიურის. აღსანიშნავია, რომ შემდეგ
წელიწადსა „უცხოეთში მოვაჭრე კომპანიის“ სამსმა ვაჭარმა 40.000 გირვანქა
სტერლინგი ასესხა მეფეს³.

იურიდიულ საფუძველზე ამ გამარჯვების შემდეგ ინგლისელ ვაჭრებს ისლა
დარჩენოდათ, რომ განემტკიცებინათ თავიანთი მდგომარეობა. კაბოტის მეთაუ-
რობით ბრისტოლიდან ექსპედიციის გაგზავნას ჩრდილოეთ-დასავლის გზის გამო-
საძებნად ამერიკისკენ და ნაბიჯების გადადგმას რუსეთის მეფის მეგობრობის
მოსაპოებლად, ალბად, მიზნად ჰქონდა ჰანზის ვაჭრობის ხელში ჩაგდება ბალ-
ტიის ზღვაზე და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ევროპაში; ხოლო სხვადასხვა მგზაფ-
რობა ინდოეთში გამომატულება იყო იმ დიდი წარმოდგენისა, რომელიც ინგ-
ლისელებს თავიანთ ეროვნულ სიძლიერეზე ჰქონდათ. დედოფალმა მარიამმა
მოისურვა ჰანზისთვის ზოგიერთი დაკარგული პრივილეგიის დაბრუნება⁴; საზო-
გადოდ ამ დედოფლის მოქმედების მთელი ხასიათი სავსებით და მთლიანად
ეწინააღმდეგებოდა იმ დროის გაბატონებულ მისწრაფებას. მაგრამ ელისაბედის
სახით ინგლისელმა ვაჭრებმა დიდად სასურველი ხელმწიფე გაიჩინეს, ვინაიდან

1) იქვე, 101, 105-106.

2) Colvin, დასახ. თხზ., 150.

3) იქვე, 158-174.

4) Cunningham, Growth (Med. Times), 14.

დღეით, ბედუკულმართი ანნა ბოლენით, ამ ხელმწიფის ძარღვებში უცხოეთში მოვაკრეთა სისხლი ჩქეფდა. მისი მეფობა ახალგაზრდა ნაციონალიზმისთვის ბედნიერი ეპოქა იყო,¹ და ამისთვის ინგლისელთა საისტორიო წიგნები და ინგლისური ლიტერატურა, რომელნიც იდეალისტურად აღწერენ მის დროს, ქებადიდებას და ხოტბას არ იშურებდენ ამ დედოფლისათვის. მართლაც, ვინ არ აღფრთოვანებულა ამ საუკუნის წარმატაცი სურათებით—ასაცოცხლებელი ანძით სოფლის გუბეში, მოხეტიალე მსახიობებით, შექსპირით, მარლოთი და სპენსერით, რალეით და დრეკით, და ზორბა, მოლიმარი, მხიარული დევონელი „ყმაწვილებით“, რომელნიც თავს ანებებდენ თავიანთ სახლებს და მიდიოდნენ პლიმუტში, რათა განედევნათ ესპანელი გელიონები ინგლისის არხიდან?

ვაქართა კლასი თავისი ბატონობის ხანაში ცდილობდა ქალაქების დამორჩილებას თავისი უფლების განსამტკიცებლად საბითუმო და საზღვარგარეთელ ვაჭრობაში. მან შეზღუდა კონკურენცია წერილი ვაჭრებისა, რომელთაც შეეძლოთ წაეგლიჯათ მისი მოგების ნაწილი, და თავის ხელქვეით მდგომარეობაში ჩააყენა ხელოსნები, რათა ინგლისური მაუდისა და სხვა საქონლის ფასი, რომლითაც ისინი ვაჭრობდნენ, დიდად არ აწეულიყო. მაგრამ მას თანდათან პატარ-პატარა დათმობაზეც წასვლაც მოუხდა. ქალაქებში,—როგორც წინააღ, 1364 წ. იორკში, ლონდონში, ნიუკესტლში და კოვენტრში—ჩაღდებოდა ბრძოლა, რომელიც ხშირად სისხლისმღვრელი ამბოხებებით თავდებოდა.² ბრძოლა იყო ქალაქის მართვა-გამგეობისათვის, როგორც ეს ექსეტერში მოხდა 1476-1477 წ. ბოლოს, ვაქართა კლასი იძულებული გახდა, რომ ქალაქის მართვა-გამგეობაში და საბითუმო ვაჭრობის მონაპოლიაში დაეშვა მონაწილეობა მიეღოთ ზოგიერთ განვითარების გზაზე დამდგარ ხელოსანთა გილიების; როგორც, მაგალითად, მკერავებს და ადგილობრივ ვაქართა ნაწილს, და აგრეთვე წერილი სრუ-საქონლით მოვაჭრეებს. ესეც კია, რომ ვაქართა კლასს ახლა უკვე ჰქონდა ლი შესაძლებლობა ანგარიშიც კი გაეწეა ქალაქისთვის და მართვა-გამგეობა იქ დაეთმო ადგილობრივ გაბატონებულ ინტერესთა მცირე ოლიგარხიისათვის. მართლაც, მათ ინტერესებს საბითუმო და საზღვარგარეთის ვაჭრობის სფეროში საესეებით იცავდენ ახლა ის ეროვნული ხასიათის ქარტიები, რომლებიც მათს კომპანიებს ეძლეოდათ. ამიერიდან მათი დაინტერესების საგანს შეადგენდა, პირველ ყოვლისა, მთელი ერი, როგორც გამსაღებელი ბაზარი, და, მეტადრე, ლონდონი, რომელიც საჭირო იყო კავშირის გასამშველად საზღვარგარეთის ბაზრებთან. ამიტომ მათ ვერავითარ მოგებას ვერ მისცემდა კონტროლი ვაჭრობაზე ამა თუ იმ ადგილას. თუ რომელიმე ქალაქის შემზღუდველი წესები ეწინააღმდეგებოდნენ ეროვნული ბაზრის ინტერესებს, საკმაო იყო მიემართათ პარლამენტის ხელისუფლებისათვის ან ახლად შემდგარი ცენტრალური აღმინისტრაციისათვის,

¹) Cunningham (ელისაბედის მეფობა იმ დროიდან, როცა ბურლივი ხელისუფლებას მიაღწია, წარმოადგენს უდიდეს გარდამტეხ მომენტს ინგლისის ეკონომიურ ისტორიაში; ამ დროიდან იწყება მისწრაფება—ალიარებულ იქნას მთელი სამეფო ეკონომიურად მთლიან ერთეულად და ხელი შეეწყოს გრის ეკონომიურ აქტიობას“ (Progress of Capm. in Eng., 79) კენზინგი ფიჭოლას, ეს ცულობა გამოიწვია იმან, რომ მეფის ხელისუფლებას ამიერიდან იმედი უნდა დაემყარებინა იმ შემოსავალზე, რომელიც მას უნდა მიეღო მოსახლეობისაგან და არა ფეოდალური სამფლობელოებიდან.

²) G. U n w i a, დასახ. თხზ. 252.

რომელიც მეფეს ემორჩილებოდა. რაც შეეხება ხელოსნობას, ადვილად შეიძლება გვერდის ახვევა ქალაქის შემზღვეველი წესებისათვის, როგორც ამაში დარწმუნდა კაპიტალისტი—მემაჟღე, რომელმაც დასაწყისი მისცა სამუშაოს შინ გაცემის სისტემას: იგი, ქალაქელ ხელოსანთა საზარალოდ, ხშირად სამუშაოს აძლევდა მრავალ ხელოსანს სოფლად¹. ამასთან შედარებით ჩვენ ვხედავთ, რომ ის ქალაქები, რომელნიც მონაწილეობას არ იღებდნენ საზღვარგარეთის ვაჭრობაში ან ახალ ნაციონალურ მრეწველობაში, ვეღარ მდიდრდებოდნენ, შეჩერდა მათი აყვავება; ზოგიერთ შემთხვევაში დაიწყო მათი დაქვეითება და დაცემა, ხოლო ქალაქის მართვა-გამგეობა 1832 წლამდე თითქმის ყველგან შეინარჩუნეს ცალობით მოვაჭრე მდიდარ ვაჭრებმა და შეძლებულ ხელოსან-ოსტატთა კარჩაკეტილმა ოლიგარხიებმა, ამ კონსერვატიულმა და ტრადიციებით შემორკილმა ადგილობრივმა ფენებმა, რომელთა შორიზონტიც იშვიათად სცილდებოდა ხოლნე მათი მშობლიური ქალაქის საზღვრებს².

იმავე დროს მეფის ხელისუფლება და პარლამენტი ტიუდორების დროს ცდილობდნენ გაეფართოებინათ თავიანთი ზეგავლენა და კონტროლი ქალაქების ეკონომიურ ცხოვრებაზე, ხოლო ჰენრიხ მე-VII დასაწყისი მისცა იმ პოლიტიკას, რომლის მიზანსაც შეადგენდა სახელოსნო გილდიების დამორჩილება კანცლერისა და მომრიგებელი მოსამართლეების იურისდიქციისათვის, ნაცვლად წინანდელი სისტემისა, რომლის დროსაც გილდიებზე მეთვალყურეობა მერის საქმეს შეადგენდა³. ამ მოსამართლეებს უფლება ჰქონდათ დაედოთ მაქსიმალური ფასები ადგილობრივი გილდიების საქონელზე იმ შემთხვევაში, როდესაც გილდიების მიერ დანიშნული ფასებს გადაქარბებულად სცნობდნენ⁴, ხოლო მე-XVI საუკუნეში ამას მოჰყვა სხვადასხვა საკანონმდებლო ღონისძიება, ადგილობრივი ვაჭრობისა და მრეწველობის მიმართ. ეს ღონისძიებები, ალბათ, მიზნად ისახავდნენ ადგილობრივი ინტერესების დამორჩილებას ნაციონალური ბაზრის, როგორც მთლიანი ბაზრის ინტერესებისთვის.

მაგრამ იმ დროს, როდესაც ვაჭართა ახალი კლასი მოსურნე იყო თავისუფალი ვაჭრობისა ნაციონალური საზღვრების შიგნით და ცდილობდა ადგილობრივი მფარველობითი შეზღუდვების თავიდან აცილებას, იგი სრულებითაც არ იცავდა ვაჭრობის თავისუფლებას თავის მომხმარებლებთან და ოკეანეს იქითა კონკურენტებთან; იგი არც მონოპოლიას უყურებდა მტრულად მაშინ, როდესაც საკუთარი სათანადო პრივილეგიები უზრუნველყოფილი იყო მისი ძვირფასი ქარტიებით. ქარტიები, მიღებული ჯერ „ზღვის იქითა მოვაჭრე კომპანიის“, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთის, რუსეთის და ლევანტის კომპანიების მიერ,

1) Unwin, Industr. Organizat., 85-86.

2) Unwin, დასახ. თხზ., 73-74. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მაულის უფრო პროგრესიული ადგილობრივი ვაჭრები მის მწარმოებლებსაც გახდნენ. ისინი ცდილობდნენ სამუშაო მიეცათ ქალაქისა და მახლობელი სოფლების ხელოსნებისთვის და ამით მეტოქეობა გაეწიათ ლონდონის მაულის ფაბრიკატისთვის.

3) S. Kramer, Engl. Craft Guilds and the Govt., 62-63, 82. ცენტრალიზაციისაკენ მიმართულ ამ ტენდენციასზე, რომელიც სრულქმნილ იქნა უოლისის მიერ, იხ. Mrs. Green დასახ. თხზ. Vol. II, 446 და შემდეგ; Cunningham, Growth (Mod. Times, I), 16.

4) Kramer, დასახ. თხზ. 71.

როველთაც პირველის მაგალითს მიჰბადეს, უფლებას აძლევდენ ამ კამპანიებს აღეკვეთათ ვაჭრობა „უცხოელთათვის“ მათსავე საკუთარ ქვეყანაში. მაგრამ ეს გარანტიები გროზადაც არა ღირდა, თუ კომპანიები ვერ შესძლებდენ თავი დაეცვათ უცხოელ კონკურენტებისაგან. ამასთან ისინი აღმაცერად უყურებდენ უცხოელთა მიერ ისეთი საქონლის შეტანას ინგლისში, რომელიც კონკურენციას უწევდა საქონელს, რომელსაც ინგლისელი ვაჭრები ჰყიდდენ. ამიტომ ახალი ნაციონალური პოლიტიკა არა სჯერდებოდა იმის თავიდან აცილებას, რომ ინგლისი არ ყოფილიყო დამოკიდებული უცხოელი მეფახეებისა და ვაჭრებისგან, არ სჯერდებოდა არც მთლიანი ნაციონალური ბაზრის შექმნას. იგი მოებღაუჟა აგრეთვე მთელ საგარეო სავაჭრო პოლიტიკასა და უცხოეთის პოლიტიკას. თავდაცვითი ხასიათის პირვანდელი ნაციონალიზმი გადაიშალა ძალღონით აღსაქმე აგრესიულ ნაციონალიზმად, რომელიც მიიღტვოდა ოკეანეს გაღმა ინგლისელი ვაჭრების გაყვებისა და მოქმედების სფეროს გაფართოებისკენ. „ფოლადის ქირვასლის“ დახურვა 1598 წელს მოასწავებდა მხოლოდ ერთ რამეს: პირველი ფაზის დასრულებას, რათა აწეულიყო ფარდა მეორე და უფრო აგრესიული ფაზისათვის. აღტაცებული ისტორიკოსები ყოველთვის ხობტას ასხამდენ ელისაბედს, რომლის მეფობაც შეხვდა პირველი ფაზის დასასრულს და მეორის დასაწყისს სწორედ იმიტომ, რომ იგი მთელი თავისი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ძალღონით მხარს უჭერდა დრეკის, რალეის, ჰაუკინსის, ფრობიშერის ინგლისის სავაჭრო თაოსნობის ამ პიონერების—პატიემოყვარე ზრახვებსა და მისწრაფებათ. მაშინ როდესაც წინანდელი მეფეები უკმაყოფილო თვლით უკერებდენ და უსიამოვნო ეესტით იცილებდენ მათ თავიდან. ელისაბედს არ აწყებდენ ის, რომ მათ ინგლისი ესპანეთთან ომში ჩაითრიეს, რომ ისინი აფრიკაში ზანგებს იჭერდენ და მონებად ხდიდენ, („ჰყრიდენ ვიწრო სატუსალოუზის უკუნეთ სიბნელეში, ამასთან სიკვდილიანობა ყოველგვარ ვარაუდს სცილდებოდა“)¹, რომ ისინი სძარცვავდენ მშვიდობიან ესპანურ სავაჭრო გემებს და არ ერიდებოდენ სხვა ბარბაროსულ და არაქრისტიანულ საქციელს. ყველა ამათ მიღმა ელისაბედი ხედავდა, რომ ისინი გზას უკაფავდენ ინგლისის-მოშავალ საზღვაო ძლიერებას. ბოლოს და ბოლოს, როგორც ზომბარტმა შენიშნა², მეტაღ ძნელია, საზღვრის გაყვება უკანასკნელ მეკობრებსა და პირველ კაპიტალისტურ მეწარმეს შორის.

1600 წელს ოსტ-ინდოეთის კომპანიის დავალებით ჯონ მილდენჰოლი დესპანად იყო დიდ მონღოლთან. და ამ დესპანობით ინგლისის ნაციონალური ძლიერების ახალმა პოლიტიკამ, გზების კვლევისა და ნიადაგის მოშავადების შემდეგ, განუწყვეტელი წარმატებების პერიოდში შესდგა ფეხი. ეს ახალი პოლიტიკა მე-XII, მე-XIII და მე-XIV საუკუნეთა საქალაქო მონოპოლიების სრულ განწეორებას წარმოადგენდა. ხოლო იგი უფრო რთული იყო და უფრო ფართოდ მოქმედებდა. მას აყალიბებდა მთელი კლასი და მისგან მიღებული მთავარი სარფით მთელი კლასივე სარგებლობდა, მაგრამ საერთოდ იგი ისეთივე იყო, რო-

¹) Egerton, Short Hist. of British colonial Policy, III.

²) Quintessence, 67-73. მოგზაურობა ქვეყნების აღმოსაჩინად „ხშირად წარმოადგენდა მხოლოდ კარგად მოწყობილ თავდასხმას ოკეანეს გადაღმა მდებარე ქვეყნების გასაძარცვად“.

გორიც წინანდელი პოლიტიკა. ეს იყო მონაპოლიებისა და უპირატესი მდგომარეობის პოლიტიკა, და ის რაც მე-XIII საუკუნეში მათმა წინაპრებმა ქალაქის ბაზრის ჯვართან ისწავლეს და მე-XVII საუკუნის ახალმა არისტოკრატებმა ოკეანეთა მსოფლიო სავაჭრო გზების ახალ ჰორიზონტებს შორის შეითვისეს¹. ისინი მოსურნენი იყვნენ, რომ მათთვის ხელშისაწვდენი ბაზარი საზღვარგარეთ უფრო ფართო და მოხერხებული ყოფილიყო. მათ სურდათ, რომ საქმეში ბაზარი, სადაც ისინი საქონელს ყიდულობდნენ, სადაც სხვა ქვეყნების პროდუქტებს აყიდდნენ, თავისუფალი ყოფილიყო სხვა მყიდველთა და სხვა გაყიდველთა კონკურენციისაგან, რამდენადაც ამის უზრუნველყოფა მუარველობითი საკანონმდებლო ზომებს შეეძლოთ. მაგრამ ბაზარი საზღვარგარეთ თავისთავად არ იყო საკმაოდ ფართო და მომგებიანი, თუ იგი დაცული არ იქნებოდა კონკურენტთა შესევისაგან, ამიტომ ვაჭრები ცდილობდნენ სახელმწიფოებისაგან ისეთი ქარტიების მიღებას, რომელნიც მათ ანიჭებდნენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ვაჭრობის განსაკუთრებულ უფლებებს. მაშინ ყველა დანარჩენი კონკურენტი იქ უკანონო და დაუპატიჟებელი სტუმარი იქნებოდა. მაშასადამე, შეიძლება მისთვის ხელფების შებოქვა და გემით სანშობლოში წაყვანა სამართალში მისაცემად და დასაჯელად. თუ უცხოეთის რომელიმე კომპანია მიიღებდა პრივილეგიებს თავის სახელმწიფოსაგან, — რაც ინტერესთა შეტაკებას იწვევდა, — მაშინ მდგომარეობა უფრო სერიოზული ხდებოდა. ჩვეულებრივად ეს ნიშნავდა ომს, სიკვდილ-სიცოცხლეს და ყოველ კომპანიას, რომელიც თავის პოზიციებს იცავდა, ვგონა, რომ მთავრობა მთავალეა გამოეხარჩლოს მას მთელი სახელმწიფოს ძალებით. უცხოელთა ასეთი შესევის თავიდან ასაცილებლად შეთვისებულ იქნა კოლონიზაციის პრაქტიკა, რათა უკანასკნელის წყალობით საკუთარი პოლიტიკური ბატონობა განემტკიცებიათ ამა თუ იმ ტერიტორიაზე. ამგვარ შემთხვევებში სახელმწიფოთ შორის საომარი მოქმედება გარდა სავაჭრო მნიშვნელობისა, წარმოადგენდა ბრძოლას ოკეანეს გაღმა მდებარე სახელმწიფო სამფლობელოების მოპოებისა ანუ შენარჩუნებისათვის. ასეთი კოლონიები, სათანადო მართვა-გამგეობის დროს, ვაჭრობისათვის ნამდვილ კომერციულ განძებს წარმოადგენდნენ. წესად გადაიქცია ამგვარი სამფლობელო ადგილების დამოკიდებულ ტერიტორიაებად მიჩნევა. არც ერთ უცხოელს უფლება არა ჰქონდა გაეყიდა იქ ისეთი რამ, რითაც ინგლისელნი ვაჭრობდნენ, აგრეთვე გაეწია კონკურენცია ისეთი ნელისათვის ან ადგილობრივ მკვიდრთა ნაწარმოების შექმნის დროს, რომლის ინგლისში გატანასაც ინგლისელი ვაჭრები ფიქრობდნენ.

სავაჭრო პოლიტიკის ეს სისტემა, რომელსაც, შეიძლება, — თუ რამდენადმე გაფართოვებთ ამ სიტყვის გაგებას, — „მერკანტილიზმი“ ეწოდოს, წარმატების დროს თვალსაჩინოდ აძლიერებდა იმ მდგომარეობის უპირატესობას, რომელშიაც ვაჭართა კლასი იმყოფებოდა. ეს კლასი ახლა მტკიცედ იყო გამაგრებული ორ ბაზარზე. ერთზეც და მეორეზედაც იგი განსაკუთრებულად ხელსა-

¹ „მერკანტილიზმი პოლიტიკა იყო იმ ქალაქისა, რომელიც გაელენას ახდენდა სახელმწიფო საქმეებზე. სატანტო ქალაქისა და პროვინციული ქალაქების მოსახლეობა უკვე გაეცნო ასეთ პოლიტიკას ქალაქის ეკონომიკის ძველი სისტემის დროს“ (N. S. B. Gras, *Introduct. to Economic History*, 201-202).

ყრელი მდგომარეობით სარგებლობდა. ერთის მხრით იყვნენ შინაური, ინგლისელი ხელოსანი და ადგილობრივი ვაჭარი, რომელთა წინადადების ფასიც შედარებით დაბალი იყო, რადგან მათ ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთი საქონელი ადგილობრივი ბაზრის გარეშე გაეყიდათ; ხოლო მეორეს მხრით, აჩვენებდა კოლონიალური ბაზარი, სადაც სხვა გამყიდველთა და მყიდველთა კონკურენცია მკაცრად იყო შეზღუდული და სადაც, ამის გამო, კოლონიელ გამყიდველთა წინადადების ფასი შედარებით დაბალი იყო, ხოლო ფასი ინგლისელ ვაჭართა საქონელზე მათი მოთხოვნილებისა—შედარებით მაღალი. ზოგჯერ ვაჭრები, რასაკვირველია, მოგებას იძენდნენ ისეთი საშუალებებითაც, რომელიც საკრძობლად ცდილობდა კანონით ნებადართულ კომერციული ოპერაციების ფარგლებს; და მარშალმა სამართლიანად შენიშნა, რომ „იშვიათად შედიოდა ევროპაში ისეთი ვერცხლი და შაქარი, რომელსაც სისხლის ლაქები არა ჰქონოდა“¹, მაგრამ ასეთი, უაღრესად უკიდურესი საშუალება უნდა ჩაითვალოს უფრო შემთხვევით მოვლენად, ვინემ არსებით თვისებად კოლონიალური ვაჭრობისა; რომელიც უმთავრესად მონოპოლიისა და უპირატესი მდგომარეობის სისტემას წარმოადგენდა. ვაჭართა კლასმა ასეთი უპირატესი მდგომარეობის წყალობით შესძლო მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში იმ დიდი ქონების დაგროვება, რომელიც მე-XIX საუკუნეში საფუძვლად დაედო სამრეწველო ინგლისის ფერმენსაღურ აყვავებას².

უფრო ვიწრო გაგებით სიტყვა მერკანტილიზმი წარმოადგენდა სავაჭრო ბალანსის პოლიტიკას, და სწორედ ამ მნიშვნელობით მოველინა ეს ტერმინი იმ პერიოდის კომერციულ პამფლეტებში. ტომას მენის, — ცალკებით მოვაჭრე მდიდარი ვაჭრის შვილისა და ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერი მერკანტილისტური პუბლიცისტის აზრით, ქვეყნისთვის ხელსაყრელია მეტი საქონელი გატანდეს, ვიდრე შემოაქვს, რადგან მაშინ გარედან ფული შემოვა³. მაგრამ იგი

1) Marshall, Industry Trade 432, აგრეთვე K. Marx, Capital, I, 776-779.

2) ხშირად ვერ ამჩნევენ კოლონიალური პოლიტიკის ნამდვილ ხასიათსა და იმ მნიშვნელობას, რომელიც მას კაპიტალიზმის განვითარებისათვის ჰქონდა. ამის გამო ჯ. ა. ჰობსონი სწერდა: „კოლონიალური ეკონომიკა უნდა ჩაითვალოს თანამედროვე კაპიტალიზმის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, კოლონიალური ვაჭრობა, მეტწილად იძულებით პრინციპზე დამყარებულა, ნაკლებად განიჩნეოდა ნიღაბ-ჩამოფარებული ძარცვისაგან და სრულებითაც არ წარმოადგენდა საქონელთა ექვივალენტურ გაცვლა-გამოცვლას. სავაჭრო მოგება შეიცვებოდა სამრეწველო მოგებით, რომელიც წარმოადგენდა მონური ან იძულებითი შრომის „ზედმეტ ღირებულებას“ და გადასახადებით და ძარცვით მიღებულს მონაგებს (Evolution of Mod. Capitalism, 13). ზომბარტი ამბობს: „იძულებითი ვაჭრობა—აი მართებულად რითი უნდა აღინიშნოს ყველაგვარი გაცვლა-გამოცვლა იმ დღეებში უკულტურო ხალხებსა და ევროპელებს შორის (Quinquasencé, 74). დაწვრილებითი ცნობები იმ ექსპლოატაციის შესახებ, რომელსაც ოსტ-ინდოეთის კომპანია ინდოეთში აწარმოებდა, მოყვანილია მანჩესტერის სტატისტიკურ საზოგადოებაში 1924 წლის 9 იანვარს წარდგენილ ჯ. უნგინის მოხსენებაში.

3) 1664 წელს იგი სწერდა: „ჩვენი სიზღიდრისა და ფულის გადიდების ნორმალურ საშუალებას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა, ამასთან ჩვენ უხდა დაეიცვათ შემდეგი წესი: მივიდეთ უცხოელებს ღირებულებით იმაზე მეტი, რასაც ჩვენ მოვიზმართ მათი საქონლიდან. მარტოლაც ვთქვათ, უხვად ვაწვდით სამეფოს მალუს, ტყვიას, რკინას, თევზს და ჩვენი ქვეყნის სხვა საქონელს, და ამავე დროს გავაჭვებს სხვა ქვეყნებში 2,2 მილიონი გირანქა სტერლინგის მოპარბებული საქონელი. ამის წყალობით ჩვენ შეგვეძლება ვიყიდოთ ოკეანის გადღმა და შემოვიტა-

არ იზიარებდა ლითონის ფულის მიმოქცევის წინანდელი თეორეტიკოსების იმ აზრს, რომ ფულის გატანა ყოველთვის უნდა აიკრძალოს. ამასთან ტომას მენი ამტკიცებდა, რომ ფულის გატანა საზღვარგარეთ ვაჭრობის განვითარების მიზნით ბოლოს და ბოლოს ისე გადაიდებს სავაჭრო ბრუნვას, რომ ვაღიღებდა ექსპორტიც და ამრიგად ფული კვლავ იწყებს დენას უცხოეთიდანა¹. ეს თეორია, როგორც აღამ სმიტმა აღნიშნა, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ემყარებოდა იმ გავრცელებულ შეცდომას, ვითომც ფულის სიუხვე ნიშნავდეს სიმდიდრის სიუხვეს, მსგავსად იმისა როგორც ჩინვისხანის მემკვიდრენი მსჯელობდნენ, რომელნიც სიმდიდრეს ზომავდნენ ცხერისა და ხარების სიმრავლით². მაგრამ ამას იმ დროის პირობებში, ეკვს გარეშეა, გარკვეული აზრი ჰქონდა. ლითონის მოჭრილი ფული საშუალო საუკუნეთა ეპოქაში განსაკუთრებით იშვიათ საქონელს წარმოადგენდა და მოთხოვნილება მასზე ჩვეულებრივად საგრძნობი და არაელასტიური იყო. კოლუმბმა მხოლოდ გავრცელებული აზრი გამოსთქვა, როდესაც განაცხადა: „ოქრო გასაოცარი ნივთია. ის, ვინც მას ჰფლობს, ყველა თავისი სურვილის ბატონია. ოქროს შეიძლება შეიძლება კაცმა თავისთვის ადვილი სამოთხეშიაც უზრუნველჰყოს“. მე-XIV-XVI საუკუნეთა პერიოდში ყველგან საგრძნობი იყო ოქროს, როგორც საცვლელი საშუალების, სიმცირე, და ამან გამოიწვია გაძლიერებული მეტოქეობა ევროპის ხალხებს შორის იმ მხრივ, რომ ყოველი ხალხი ცდილობდა უზრუნველყო ოქროს დიდი რაოდენობის დენა თავის ქვეყანაში. ის ქვეყანა, რომელიც მონაწილეობას ვერ მიიღებდა ამ შექიდიებაში, ადვილად შეიძლებადა ჩავარდნილიყო ისეთ მდგომარეობაში, როცა მის განკარგულებაში მყოფი ფული საქმა არ იქნებოდა განვითარებული ვაჭრობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს მით უფრო იყო შესაძლებელი, რომ საბანკო-საკრედიტო სისტემის უქონლობის გამო, ოქრო კაპიტალის დაგროვების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა. აღამ სმიტს, რა თქმა უნდა, — თუჯის ნაწარმოებისა და ქვებების დიდი გამძლეობის მითითებითაც შეეძლო მასხარად აეგდო ოქროს, როგორც ხანგრძლივად გამძლე საგნის, მაღალი შეფასება, მაგრამ ვიდრე ოქრო რჩებოდა საყოველთაოდ ცნობილ და მუდამ მისაღებ საგადამხდლო საშუალებად, იგი წარმოადგენდა ყველაზე უფრო მოსახერხებელ საშუალებას ეკონომიური რესურსების შექმნის საშუალებათა დასაგროვებლად. თუმცა, შეიძლება, ამას პირდაპირი კავშირი არა ჰქონოდა საზოგადოების მთლიანად აღებულ სიმდიდრესთან, მაგრამ ცალკე პირების გავლენისა და წონისთვის, ეკვი არ არის, მეტად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივ სიმდიდრის შექმნის საშუალებათა დაგროვებას; ეს კი სწორედ არსებითი იყო კაპიტალიზმის განვითარების დროს.

უნდა აღინიშნოს საქმის მეორე მხარეც, რომელიც ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს ფულის ტრიალის თანამედროვე საკითხებთან დაკავშირებით. ამერჩ-

ნოთ ჩვენი საჭიროებისა და მოზარებისთვის საერთოდ 2 მილიონი გირვანკა სტერლინგის საქონელი; ამას გარდა მივიღებთ ძვირფას ლითონს, რადგან ჩვენი საქონლის ის ნაწილი, რომელიც საქონლად აღარ დაგვიბრუნდება, აუცილებლად ფულად უნდა დაბრუნდეს“ (England's Treasure by Foreign Trade, 7).

1) იქვე, გვ. 19—27.

2) Smith, Wealth of Nations, BK. IV, ch. I.

კის აღმოჩენისა და ლოპბარდელი ბანკირების დაცემის შემდეგ მოვაპრე ევროპის საფინანსო ცენტრად გადაიქცა ანტვერპენი (ხოლო შემდეგ ამსტერდამი). ინგლისს, როგორც განვითარების გზაზე შემდგარ სავაჭრო ქვეყანას, ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა ანტვერპენთან, როგორიც დღეს აქვს ბრიტანეთის მრეწველობის ფედერაციას სიტისთან, და ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთის სამრეწველო წრეებს—უოლ-სტრიტთან და ფედერალურ სარეზერვო ბანკთან. ანტვერპენი, როგორც კრედიტების მიმწოდებელი საფინანსო ცენტრი,—დანიტერესებული იყო ძვირფასი ლითონების პირვანდელი ღირებულებათა შენარჩუნებით; რისთვისაც მას ჩვეულებად ჰქონდა მოეწესრიგებია ის ევროპიდან ზედმეტი თანხების აღმოსავლეთში გატანით¹. მეორეს მხრით, ინგლისი წინააღმდეგი იყო დეფლიაციისა, იგი, თავისი ვაჭრობის გაფართოვების მიზნით, რჩებოდა იმ პირობების შემსუბუქებას, რომლებზედაც ფულის მიღება შეეძლო. ეს ნათელჰყოფს იმას, თუ რატომ იყო, რომ მუდამ ცდილობდნენ ინგლისის მე-XVII საუკუნის კანონმდებელნი ისეთ ღონისძიებათა შემუშავებას, რომელნიც შეუძლებელს გახდიდნენ ლითონის ფულის დენას «სხვა სახელმწიფოებში, განსაკუთრებით საფრანგეთსა და პოლანდიაში, სადაც მას მეტი ღირებულება ჰქონდა»; ტომას გრემში სპეციალურად ნიდერლანდებშიაც კი გაიგზავნა, აღმოსავლეთში ოქროს გატანის გამო საჩივრის წარსადგენად². ამრიგად, ინგლისში •საკმაო ბლომად მოიპოვებოდნენ გავლენიანი და დანიტერესებული ჯგუფები, რითაც შეიძლება აიხსნას აღნიშნული თეორიის პოპულიარობა. ამავე დროს საფიქრებელია, რომ მაშინდელი მწერლებიც მაგრა ჩაებლაუნიენ ამ თეორიას, რადგან იგი სათანადო გამართლებად მიიჩნიეს უფრო ფართო აზრით აღებული მერკანტილისტური სისტემისა, რომელიც ექსპორტისათვის უცხოეთის ბაზრებს დაეძებდა და თან ცდილობდა შინაური ბაზრებიც დაეცვა უცხოეთიდან საქონლის შემოტანისაგან. ვაჭრებისათვის კარგი სავაჭრო ბალანსი საიმედო მარეწეველი უნდა ყოფილიყო საქონლის იმ გასასაღებელი ბაზრების გასაფართოვებლად, რომლებსაც ისინი დაეძებდნენ. ამრიგად, სავაჭრო ბალანსის თეორიას ორი მიზნისათვის შეეძლო სამსახურის გაწევა; სახელდობრ, იგი გამოდგებოდა, ერთის მხრით, როგორც უფრო ფართო თეორიის ნაწილი, ხოლო მეორეს მხრით, როგორც ფულის დამოუკიდებელი თეორია.

აღამ სმიტი და მე-XIX საუკუნის მწერლები მერკანტილიზმს უყურებდნენ უფრო ნათელი თვალით ახალი საუკუნის გარიტრაციისა; და ამ თვალსაზრისით საეგებით ბუნებრივია, რომ ისინი უფრო მკაცრად უსვამდნენ ხაზს მის მიანე შე-

¹) ამაჲად ფედერალური ბანკი იმავე შედეგს აღწევს ოქროს დაკრთვებით და უკანასკნელის ბრუნვაში გაშვებაზე უარის თქმით. და რაც უფრო მეტად ახერხებს ამას, მით უფრო დანიტერესებული ხდება იგი ოქროს ღირებულების შენარჩუნებისათვის.

²) S h a v Hist. of Currency, 62—63, 73, 145 და შემდ. მ ა რ ქ ს მ ა შენიშნა, რომ «ძვირფასი ლითონების ღირებულების დაცემას სარგებელი მოაქვს მოვალეებისათვის კრედიტორების ხარჯზე მაშინ, როდენაც ამ ღირებულების გადიდებას სარგებელი მოაქვს კრედიტორებისათვის მოვალეების ხარჯზე». მარქსი აპტკიცებდა, რომ არსებობს წინააღმდეგობა ფულის ორი ფუნქციის—ღირებულების საზომსა და გაყვლა-გამოცვლის იარაღს—შორის იმდენად, რამდენადაც პირველი მოითხოვს შეზღუდვას, ხოლო მეორე—ოქროს თავისუფალ დენას (Critique of Political Economy, 152, 201).

დღეებს. მთავარი მათი ბრალდება ის იყო, რომ მონოპოლია სერვიოზულად უშლიდა ხელს მეწარმეს, რათა უკანასკნელი შეჭვებოდა არსებულ პირობებს; ისინი იცავდნენ იმ დებულებას, რომ თავისუფლება შესაძლებელს გახდიდა ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ჯველაზე უფრო ხელსაყრელ გამრყენებას. მოუხედავად ამისა, ექვს გარეშეა, რომ ისტორიული თვალსაზრისით, მერკანტილიზმს და მის მოწინააღმდეგე მონოპოლიის სისტემას თავის დროზე გარკვეულად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. უიმისოდ საექვეა შექმნილიყო წინასწარი პირობები კაპიტალისტური მეწარმეობის რევოლუციონურ განვითარებისათვის მე-XIX საუკუნეში. საექვეა, რომ მონოპოლიის მზრუნველი მფარველობის გარეშე ოკეანეს გაღმა არსებულ უიმედო საწარმოთ მიეზიდათ ეინმე, გარდა განსაკუთრებული განბედაობით და სიმამაცით დაჯილდოვებული პირებისა. კომპანიები, რომელნიც მფარველობით სარგებლობდენ, არა თუ მატებდენ ისეთ ძალას, როგორსაც ჰქმნიან ერთობა და შეთანხმება, არამედ თავიანთი მონოპოლიით ისინი უზრუნველპყოფდენ საკმაო მოგებასაც იმისათვის, რომ კაცს გაეწია უცხოეთის ვაჭრობასთან დაკავშირებული დიდი რისკი, ისეთ პირობებში, რომ არ არსებულყო? ცალი კლასის დიფერენციალური მოგებანი, მაშინ ეერ გაჩნდებოდენ ის მსხვილი კაპიტალები, რაიც აუცილებელი იყო ფინანსების მისაწოდებლად უზარმაზარ საწარმოთათვის, ორი საუკუნის შემდეგ რომ გაჩნდენ. მეწარმეობისათვის ახალი პერსპექტივების არსებობის გარეშე საექვე იქნებოდა ისეთი თვითმოქმედებისა და ინიციატივის მომწიფება, რომელიც საჭირო იყო სამრეწველო რევოლუციის სწრაფი და მძაფრი ცვლილებების მოსახდენად. მერკანტილიზმის კრიტიკა უფრო სამართლიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი მთავარ ყურადღებას მიაპყრობდა დეფექტებს მისი მიზრწნილობის პერიოდისა და თვით სისტემის სიკვდილის ვადაზე უფრო დაგვიანებას.

საქირაო შრომის სისტემის წარმოშობა.

კაპიტალიზმის „მოწიფულობის“ ერთად-ერთი მატერიალური წარნამძღვა-რი არ ყოფილა მარტო კაპიტალის დაგროვება, რომელიც ჰქმნის მეწარმეთა კლასს, რომელსაც გააჩნია სათანადო საღისრები, რათა საკმაო დიდი ზომის წარმოება მოაწყოს. როგორც გ. უეკფილდმა აღნიშნა კაპიტალი უმწეოა, როცა მას გვერდით პროლეტარიატი არ ჰყავს. ამიტომ ჩვენს აღწერილობაში არ უნდა გამოგვჩვენოს და გულისხმიერად უნდა განვიხილოთ ის ფაქტორები, რომელთაც ნი-ადაგი შეუმზადეს საქირაო შრომის სისტემის გაჩენას იმ კლასის წარმოშობით, რომელსაც საზოგადოებისადმი სამსახური შეეძლო მხოლოდ, არც ისე დიდად პატივცემული, ფიზიკური შრომით.

ეკონომიური განაწილების შესწავლის დროს საქირაო შრომის სისტემის საფუძვლები ჩვეულებრივად მიჩნეულია ხოლმე, როგორც უკვე რალაც მოცემული. მაგრამ ამ სისტემის გამომწვევი ფაქტორები, ცხადია, ამ სისტემის საფუძვლებზე მიღებული ყოველგვარი შემოსავლის განაწილების დროს, ვადამწვევტ როლს უნდა თამაშობდენ. სრულიად შეუზღუდველი თავისუფალი არჩევანი სა-ზოგადოების განსაზღვრულ ნაწილს რომ ახალისებდეს და იგი თვითონვე სწყვეტდეს ხელფასისათვის შრომას შესწირას თავისი ძალღონე,—ამნაირ პირობებში მიღებული შემოსავლის განაწილებაზე ძალიან ნაკლებ გავლენას იქონიებდენ ადამიანის მიერ შექმნილი ინსტიტუტები, და ამ აზრით შესაძლებელი იქნებოდა მისთვის „ბუნებრივი“ განაწილება გვეწოდებინა. მაგრამ, თუ ეს ცვლილება გამოწვეულია სხვა გავლენათაგან, რომელნიც ზღუდავენ და მიმართულებას აძლევენ ცალკე პირთა არჩევანს, მაშინ ეს გავლენანი უნდა მივიჩნიოთ იმ მთავარ ფაქტორებად, რომელთაც გამოჩენილი ადგილი უნდა დაეთმოთ,—საქირაო შრომის სისტემის დროს,—განაწილების ყოველგვარ თეორიაში.

საქირაო შრომის აღმოცენების ისტორიისათვის თვალყურის გადავინება, ყველაზე კარგად, ალბათ სამთამადნო მრეწველობაში შეიძლება, ეს იმიტომ, რომ აქ უფრო ნათლად ჩანს ის ფაქტორები, რომლებსაც მრეწველობის სხვა დარგებში ხშირად სხედასსხვა გარემოებანი დაჰფარავდენ და საწინააღმდეგო გავლენიანი, შეასუსტებდენ და შესწყვეტდენ ხოლმე. აქ, „თავისუფალი სამთამადნო სარეწაოს“ ინსტიტუტში ჩვენ ვხედავთ უკლასო ინდივიდუალიზმის წარნამძღვარს; რომელიც ბევრად უფრო წმინდა სახით იჩენს თავს, ვინემ ეს ოდენსე ყოფილა ქალაქთა უმრავლესობაში. ხელოსნისა და წვრილი ოსტატის მდგომარეობაზე მონოპოლიის აღმოცენების უშუალო გავლენა აქ განსაკუთრებული

სიცხადით მკლავნდება და შესაძლებელი ხდება მისი შესწავლა მოპოვებითა და მონოპოლისტთა შორის ურთიერთობათა იმ მარტივი ფორმების მიხედვით, რასაც გარდამავალ ეპოქაში ჰქონდა ადგილი. ამ გარდამავალ ურთიერთობათაგან აღმოცენდა საქირაო შრომის სისტემა; რომელიც დროთა ვითარებაში ყველგან გავრცელდა და მეცხრამეტე საუკუნეს ნივთთა ბუნებრივ წყობიდან აღმოცენებულ მოვლენად მიაჩნდა.

თუმცა მრავალ სამთამადნო მრეწველობის რაიონში გადასვლის პრობლემა თითქმის არც კი წარმოშობილა. უკლასო თავისუფლების პერიოდი იქ არასოდეს არ არსებულა. მადნებს პირველ ხანებში მათი მესაკუთრენი ამუშავებდნენ, როგორც ფეოდალურ საწარმოებს, შემდგომ ხანებში მათ იწყეს კაპიტალისტ-მეწარმეებზე მადნების გაცემა იჯარით. რომლებიც ამუშავებდნენ მადნებს უკვე თანამედროვე მეთოდის მსგავსად, გაუმჯობესებული ტექნიკის შემწეობით. საშუალო საუკუნოებში მადნების დამუშავება ყმათა შრომით საყოველთაოდ იყო გავრცელებული. გერმანიაში ამას მისდევდნენ თავადები და მემამულეები, ხოლო რუსეთში ყმათა შრომის გამოყენება მადნებში ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორადაც ყველა აღრიხნდელ სამრეწველო საწარმოებში. როდესაც მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში რუსეთის მეფე ხელს უწყობდა სამთამადნო საქმის განვითარებას და უცხოელ კაპიტალისტებსა, და თავის ქვეყნის ვაჭრებს, აძლევდა კონცესიებს, იგი ჩვეულებრივად მიუწერდა ხოლმე მათ ყმებსაც, რადგან „არიან რა ვაჭართა კლასიდან გამოსულნი, მათ არა ჰყავდათ ყმები და ვერც იშოვნიან თავისუფალ მუშა-ხელსაო“, და როდესაც ეს მუშები ამბოხდებოდნენ ხოლმე, მეფე ჯარებს უგზავნიდა მრეწველებს წესიერების აღსადგენად და ურჩთა ასალაგამავად¹. ინგლისში საშუალო საუკუნეების დამლევაძედ არ ყოფილა გავრცელებული ქვანახშირისა და რკინის ამოღება, მაგრამ მინერალები იმას ეკუთვნოდა, ვისი მიწის წიაღშიც იგი აღმოჩნდებოდა; ამიტომ ფეოდალი მემამულე ახ თვითონ ამუშავებდა მადნებს, როგორც ფეოდალურ საწარმოს, ანდა იჯარით გასცემდა ხოლმე. ხშირად ამ იჯარას მონასტრებსაც აძლევდნენ. ნახშირის ამოსაღებად მიწის იჯარით გაცემის ყველაზე აღრიხნელი ცნობა შეეხებათ ბერებს, ხოლო იორკშირსა, დურჰემსა და ლანკაშირში ძალიან ხშირად იხსენიებიან, მონასტრები და საპრიოროები, რომელთაც მე-XIII და მე-XIV საუკუნეებში იჯარით აუღიათ მიწები ქვანახშირისა და რკინის მადნების დასამუშავებლად². ზოგჯერ მიწას გასცემდნენ ხოლმე წვრილ ოსტატებზედაც, რომელთაც შეეძლოთ ზედა ფენები დაემუშავებინათ მომუშავეთა მცირე რაოდენობის დახმარებით³. მაგრამ ეს ოსტატები, როგორც ჩანს, საერთოდ დიდ როლს ვერ თამაშობდნენ, ვინაიდან ყველაზე მდიდარი ბუღდობები ჩვეულებრივ მსხვილ მოიჯარადრეებს უვარდებოდათ ხელში. ზოგჯერ მადნებს გასცემდნენ ხოლმე ადგილობრივ წვრილ აზნაურებზე; მაგალითად, ხუთი მადანი უიკჰეგში, დურჰემის საგრაფოში, ჰეტფილდის ეპისკოპოსმა გასცა სერ ტ. გრეიზე და მღვდელზე⁴.

1) Scrivenor, History of Iron Trade, 160—164.

2) Galloway, Annals of Coal Minorng, 21, 69; V. C. H. Yorks, 2, 340 343; Lancs, 2, 351-356; Durham, 2, 322-323.

3) V. C. H. Yorks, 2, 341.

4) V. C. H. Durham, 2, 322.

ხშირადაც მადნებს იჯარით აძლევდნენ ხოლმე მდიდარ მოქალაქეებსაც, რომერტ როდსის მსგავსებს; ეს როდსი ნიუკესტლელი¹. იურისტი იყო და სხვა მადნებიც ჰქონდა უიკიპემში; ან აძლევდნენ ვილიამ ჰოდერსვიკის მსგავსებს, რომელიც იყო ვაჭარი და კიოლნის სინდიკატის წარმომადგენელი, და ჯონ მარშალს, ნეწერილმანეს, რომელიც შემდგომ, მე-15-ს. ამუშავებდა გლოსტერის ჰერცოგის რკინის მადანს². ამ შემთხვევებში, უიკეელია, სამუშაოს დაქირავებული ან იტულებითი შრომით ასრულებდნენ. ელისაბედის მეფობამდე მადნებში ყმათა შრომა ძალიან გავრცელებული იყო³. ხოლო შოტლანდიაში მემალაროვს ყელზე უკვე ება, რომელზედაც მისი ბატონის გვარი ეწერა; აქ ეს სისტემა გრძელდებოდა თვით 1800 წლამდე⁴. მე-XIV საუკუნის ნახევარში „შავ სიკვდილიანობის“ შემდეგ, ყველგან სწიოდნენ მუშა-ხელის ნაკლებობას; ამიტომ უიკემისა და გეტსჰედის მადნების პატრონებს, რათა მძიმე მდგომარეობისათვის თავი დაეუწიათ, უფლება მიეცათ ძალით მოეკრიბათ თავისთვის მუშები⁵. შემდგომ ხანებში გაჩნდნენ ახალი იდეებით გაელენთილი უფრო პროგრესიული მეწარმენი, რომელთაც საჭირო კაპიტალიც ჰქონდათ. მოხერხებულმა ფინანსისტმა სეტონმა, ყოფილმა არტილერიის უფროსმა ბერვიკში, მე-XVI-ს. უიკემისა და გეტსჰედის მადნები იჯარით აიღო⁶. ამგვარადვე გაჩნდა კაპიტალისტური საწარმო ქვანახშირის მრეწველობაში მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მისი დამუშავების უფლება ახალ ნოიჯარადრეებს გადაეცათ.

რაც შეეხება ოქროსა და ვერცხლს, მათზე საკუთრება ინგლისში მეფეს ეკუთვნოდა და ამ ლითონებს ჩვეულებრივ ამუშავებდნენ მეფის განსაკუთრებული მწალაროენი, რომელნიც გაყავდათ ამ სამსახურისათვის, როგორც ჯარისკაცი და ამ სამუშაოზე მიამაგრებდნენ. ამავე დროს ისინი რიგიან ჯამაგირს ღებულობდნენ და ამაყობდნენ კიდევაც, მითი რომ მეფის პრივილეგიანი მოსამსახურეების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მეფის სასახლეს ეს მადნები იმდენად ძვირფასად რადმე მიიჩნდა, რომ თავის კრედიტორებს გირაოდ აძლევდა ხოლმე, ხოლო 1299 წ. ელჰარდ I დევენშირის მადანი კონცესიის სახით მისცა ვილაც იტალიელ ფრესკობალდელ ფინანსისტებს, და თანაც დაჰპირდა, რომ ჩვეულებრივ ხელფასად საჭირო მუშა-ხელიც მიეწოდებინა⁷. შემდგომ ხანებში, როდესაც ინგლისის ვაჭართა კლასმა განდევნა უცხოელები და მათ მაგივრად თვითონ იტაცა მეფის კრედიტორად—მეფის ეს მადნები იჯარით გადაეცა კაპიტალისტთა კომპანიას, „მეფის მადნების კომპანიის“ სახელწოდებით, რომელსაც ამოღებული ლითონის შეათედი მეფისათვის უნდა მიეცა. ეს კომპანია, მის მონათესავე ზინერალურ და სამკვდლო ქარხანათა ფირმასთან ერთად ტიუდორთა ეპოქაში წმლიერი მონოპოლიის პატრონი იყო და 10.000 კაცს ამუშავებდა⁸.

¹) Galloway, სენებ. თხზ. 67.

²) V. C. H. Jorks, 2, 354.

³) Bremner, Indus. of Scotland, 5, 20.

⁴) Salzmann, სენებ. თხზ., 11.

⁵) V. C. H. Durham, 2, 326.

⁶) G. R. Lewis, The Stanneries, 192-193. ეს იყო კალას მადნები.

⁷) W. R. Scott, Joint Stock Companies, vol. 1, 31, 39-59 და შუბდ.

⁸) Galloway, სენებ. თხზ., 76.

ჩვენი მიზნებისათვის უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს სამთამადნო მრეწველობის რაიონების შესამე ჯგუფი, სადაც ადათის მიხედვით, რომელიც მეფის ქარტიით იყო დადასტურებული, სპარბობდა „თავისუფალი სამთამადნო სარეწაოს“ სისტემა. ინგლისში შესამე ჯგუფის რაიონებად ითვლებოდენ ფორესტ ოფ დინი, კლარნუელისა და დევონის კალის ბუდობები, რომლებსაც „სტენერი“ კალას ბუდობები) ერქვათ და ტყვიის მადნები დერბიშირაში, მენდი-პილს და ელსტონ-მური კუმბერლენდში. ადათზე დამყარებული ამ თავისუფალი სამთამადნო სარეწაოს თავისებურება იყო „დაპატრონების“ უფლება: ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებს, ეინც უნდა ყოფილიყო იგი, გლეხი იქნებოდა თუ აზნაური, შეეძლო სანიშნო ბოძები დაესვა და,—როდესაც მეფეს ან ფეოდალს დაწესებულ გამოსალებს გადუხლიდა,—თავისუფლად დაეწყო მადნის დამუშავება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. მისი უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ბათილდებოდა, თუ იგი აღებული ბუდობების დამუშავებას ვერ დაიწყებდა, ან სამთამადნო წესდებას დაარღვევდა. იმ დრომდე, ვიდრე მადანთა ბუდობი ბლომად იყო, „დაპატრონების“ ეს უფლება ხელს უშლიდა რამდენისამე პირის ლითონთა ისეთ მონოპოლისტად გახდომას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ქვანახშირის დარგში. „დაპატრონების“ უფლება საზღვარს უდებდა ცალკე დამუშავების ოდენობას და „ულარიბეს გლეხსაც კი საშუალებას აძლევდა საკუთარი თავის პატრონი გამხდარიყო მას შემდეგ, რაც განაცხადებდა სათანადო ადგილას და სასამართლოს რეგისტრაციაში გაატარებდა მის მიერ დაპატრონებული მიწის მიჯნებს“¹. მენდიპ-პილის სამთამადნო წესდებაში ნათქვამი იყო: მემალაროეს, როდესაც იგი „მიწის მფლობელისაგან“ ნებართვის ქალაქს მიიღებს, შეუძლია „თავისი სურვილისამებრ მადანი თნაროს ხსენებული მენდიპის ტყის ფარგლებში, ხან აქ იმუშაოს, ხან იქ, სადაც მას უმჯობესად მიაჩნიაო“. დასაპატრონებელი მიწის ოდენობა განისაზღვრებოდა ან იმ მანძილით, რასაც ნასროლი ცული გაივლიდა, ანდა „24 საათის განმავლობაში ორი ბოძის დადგმით“². მაგრამ მემალაროეს დამოუკიდებლობას სხვა წესებიც იცავდა. კორნუელსა და დევონშირაში მემალაროეს თავისუფალი გზა ჰქონდა, რათა მდინარეში გაერეცხა თავისი მადანი და სადნობი ლუმელისათვის შეშა მოეკრა. დერბიშირაში მას ნება ჰქონდა სამეფო ტყეში მოეკრა შეშა თავისი მალარობისა და ლითონის გადასადნობად, ხოლო სომერსეტსა და კუმბერლენდში ცალკე ნებართვა იყო გაცემული იმის შესახებ, რომ მემადნეებს უფლება აქვთ, სადაც და რა ალაგასაც სურთ, იქ მოაწყონ თავისი ლითონის სადნობები³.

ეს უფლებები იმდენადვე აუცილებელი იყო მემალაროეს დამოუკიდებლობისათვის, როგორადაც ის უფლებანი, რომელთა შემომტკიცებასაც მოქალაქენი ცდილობდენ. ეს უფლებები სხვა მხრითაც ძალიან ჰგვანდენ ერთმანეთს. გარდა ზემოხსენებულისა, მემალაროელებს, მსგავსად საქალაქო თემებისა, საკუთარი

1) G. R. Lewis, ხსენებ. თხზ., 35. ლი უისი აზრობს: „მადნების ზღვარება, რომ მიწის საკუთრებით ყოფილიყო შეზღუდული, შესაძლოა, ვერაფერს ეხსნა „კალის მალარობის“ კაპიტალისტური რეჟიმისაგანაო“.

2) V. C. H., Somerset, 2, 367.

3) Salzmann, ხსენ. თხზ., 46; V. C. H., Cornwall, 1, 526; Somerset, 2, 368; Derby, 2, 326.

ფო ბ ბ ი, კაპიტალისტური მურწნობის განვითარება.

სამთამადნო სასამართლოც¹ ჰქონდათ; ხოლო „კალის მალაროებში“ მათ საკუთარი პარლამენტიც კი ჰყავდათ იმ საკითხებზე გადაწყვეტილებათა გამოსატანად, რომლებიც სამთამადნო კანონებსა და ადათებს ეხებოდა. მაგრამ თავისუფალ მემლაროებს გილდიები არ დაუარსებიათ და საერთო საქმიანობა არ დაუწყიათ. როგორც ამას ქალაქები ნაჩიოდენ. ისინი კვლავ წერილ ხელისანთა და მუშათა დაქსაქსულ თემად დარჩნენ და მათს დამოუკიდებლობას მეფის სასახლე იცავდა². აქ ახლადმოსულთათვის არავითარი ამკრძალველი შეზღუდვანი არ არსებობდა და ყველას თავისუფლება ჰქონდა თავიანთ ხელობას დასდგომოდენ. მხოლოდ ერთი გამონაკლისი არსებობდა: ფორესტ ოფ დინში არსებობდა რალაც კარჩაკეტილი კორპორაციის მსგავსი, რომელსაც ჰქონდა კოლექტიური წესები და ფუნქციები, რაიც ძლიერ ჰგავდა საქალაქო თემების წესებსა და ფუნქციებს. პროდუქტის გაყიდვის დარგში ჩვეულებრივი იყო კოლექტიური ვაჭრობა ან, ყოველ შემთხვევაში, მინიმალურ ფასთა დადგენა; ეს ხდებოდა „ვაჭართა“ მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებსაც სამთამადნო სასამართლო ნიშნავდა. ამ პრივილეგიურ წრეში შესვლა მკაცრად იყო განსაზღვრული: იქ შესვლა შეეძლოთ მხოლოდ თავისუფალ მემლაროეთა შვილებს ან იმათ, რომლებსაც შეგირდობა გაეკლოთ. შუამავალთა მონოპოლიისა და მცირე ჯგუფის ხელში, მემლაროებზე გაუღენის, კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად ქვანახშირისა და მადნეულის გაზიდვის ნება ჰქონდათ მხოლოდ მემლაროებს. და არც ერთს მემლაროეს არ ჰქონდა უფლება ოთხ ცხენზე მეტი ჰყოლოდა, თურგონი შეეძინა ან სადნობი ლემელის მესაკუთრე გამხდარიყო³. ამნაირად, არსებობდა წესები, რომლებიც იცავდა მემლაროებს მონოპოლიისადმი დამორჩილებისაგან; მეორე მხრით არსებობდა დამატებითი წესები, რომლებითაც განსაზღვრული იყო თვით მემლაროების რაოდენობა და ამნაირად მათ თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა ჰქონდათ უზრუნველყოფილი.

თუმცა ხსენებული სამთამადნო კანონები ხელს უშლიდენ ამ უკლასო ინდივიდუალიზმის რღვევას, ეს უკანასკნელი, ბოლოსდაბოლოს მაინც წალეკა ისეთმა ტალღამ, რომლის წინაშე იგი უმწეო აღმოჩნდა. თითქოს საქმარისი უნდა ყოფილიყო შეეზღუდათ კლასობრივი დაყოფის ის ტენდენციები, მემლაროეთა თემების შიგნით რომ იჩენდა თავს მსგავსად იმ ტენდენციებისა, რომელიც მე-XV საუკუნემდე ქალაქებში ჩნდებოდა ხოლმე. მაგრამ ის ძალები, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, მოსპო სამთამადნო მუშის დამოუკიდებლობა და იგი კაპიტალისტს დაუმორჩილა, ამ მუშების თემებზე ზეგავლენას ახდენდა უმეტეს წილად გარედან და არა შიგნიდან.

რასაკვირველია, უთანასწორობის ტენდენცია ყოველთვის იქნებოდა იმის გამო, რომ, უეჭველია, უპირატესი მდგომარეობა ექნებოდა იმას, ვინც პირველი

¹ მისი არსებობა, როგორც ჩანს, დიდბანია გამოწვეული იყო იმ საკითხთა ტენზიური ბასათით, რომელნიც მის განსახილველად გადაეცემოდენ და რომელთათვის საჭირონი იყვნენ სამთამადნო საქმის პირგად მცოდნე საეკოლოგო მონაპართულები.

² ეჭვის ნახიანს შემოსავალი ჰქონდა სამთამადნო გადასახადთა და ფულის მოჭრის ბაჟის სახით და ამიტომ განსაკუთრებულად დაინტერესებული იყო ამ რაიონების კეთილდღეობით.

³ Lewis, ხსენებ. თხზ., 168-173; V. C. H., Glouc., 2, 233-234.

წააწყდებოდა მადნის ბუდობებს და ვისაც უკეთესს და უხვ მადანს არგუნებდა ბედი; ამასთანავე დიდ როლს ითამაშებდა აქ „შემთხვევითი“ აღმოჩენებიც. მაგრამ იმ დრომდე, ვიდრე თავისუფალი ბუდობები არსებობდა და ყველას შეეძლო მათი დამუშავების დაწყება, უთანასწორობით ეს ტენდენცია არც შეიძლებოდა ძლიერი ყოფილიყო. უფრო მნიშვნელოვანი იყო, უეკველია, მე-XVI ს. წარმოშობილ ეგრეთწოდებული „ფულადი შეთანხმების“ სისტემა, როდესაც მემალაროეთა ჯგუფის ერთი რომელიმე წევრი თავისუფლდებოდა მალაროებში ფაქტიური მუშაობისაგან იმ პირობით, რომ სამაგიეროდ მას განსაზღვრული თანხა გადაეხადა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი აქრძალული იყო, — სამთამადნო ბუდობებს დაპატრონებული ხშირად შილად, ან თავიანთ წილს ჰყიდიდნენ მათ მემამულე თავადაზნაურობასა და ქალაქელ ვაჭრებს. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ფულის მოკრისათვის ბაეის გადამხდელთა უწყებებში მალე უკვე გვხვდებიან ისეთი პირები, როგორც არიან ოქრომჭედელი ტომასი, რინარდ მქედელი და ტომას-ჰკალავი, ბოდმინელი ვიკარი და სტ.-ლადოსის ეკლესიის რექტორი, ლოსტუიციელი კლერკი, ტუვარდრეტელი ვაჭარი და პრიორები, ასევე სტ.-მაიკლელი მანტი. ხსენებული პირები შეტანილი არიან უწყებებში, როგორც კალის „მწარმოებელი“¹. ამის გამო გავრცელდა საყალნო (оброчны) სისტემა. ის მფლობელნი, რომელნიც ვერ ამუშავებდნენ მადანს, აძლევენ მას მუშათა ჯგუფს ან წერილ ხელოსანს იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელთ ამოღებული მადნის განსაზღვრული ნაწილი მეპატრონესათვის მიეცათ. მაგრამ მადნების გამცემი პირები მოითხოვდნენ თავიანთი მოყალნებთანაგან მხოლოდ იმ დიფერენციალური უპირატესობის ექვივალენტს, რითაც ისინი სარგებლობდნენ იმის გამო, რომ მათი კუთვნილი ბუდობები საუკეთესო ხარისხისა იყო. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოყალნენი ამჯობინებდნენ, საკუთარ სახელზე განცხადებულ, უფრო ცუდი ხარისხის მადნის დამუშავებას. ამიტომ იმ დრომდე, ვიდრე დასამუშავებლად მადნიანი ადგილები ბლომად მოიპოებოდა და არც კალის ვაჭრობა იყო შებოროტილი, სამთამადნო ადგილების გამცემთა სიმდიდრე არ შეიძლებოდა ძალიან დიდი ყოფილიყო, და არც მოყალნეთა მდგომარეობა იყო ძალიან ცუდი. მე-XIV საუკუნეში იხსენიება „აბრაჰამ-მეკალი“, რომელიც სამას კაცს ამუშავებდა და აგრეთვე „ზოგიერთი უფრო მდიდარი მეკალეები კორნუელში“, რომელთაც „ძალით თუ ვალებში ხელთ იგდეს კალის სხვადასხვა მალაროები და აიძულებდნენ მემალაროებს, წინააღმდეგ მათი სურვილისა, ემუშავნათ იქ, დღეში—პენად; წინად კი ისინი დღეში 20 პენამდე და მეტად ღირებულ კალას ამუშავებდნენ; დიდი ხნის განმავლობაში ესენი ხელს უშლიდნენ მემალაროებს გაეწმინდათ და გაეყიდათ საკუთრად მოპოებული კალა“². მაგრამ ესენი მხოლოდ გამონაკლისები იყო. კაბიტალისტ-მეწარმის დროა ჯერ კიდევ არ დამდგარიყო.

ხსენებულ გარდამავალ დროში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნოდა იმ მოზარდ უპირატესობებს, რომელიც ჰქონდათ მადნის მდნობელებს, ვაჭრებს და კალის შემსყიდველთ, რომელნიც დღითი-დღე, უფრო და

¹) Lewis, ხსენებ. თხ., 189-190; V. C. H., Cornwall, I, 539, 556.

²) Lewis, ხსენებ. თხ., 189-190.

უფრო მეტად დამოკიდებულად იხდიდნენ შემალარობებს. ადრინდელი ცნობების მიხედვით კალის გაყიდვა ნებადართული იყო წელიწადში მხოლოდ ორჯერ, — ფულის მოკრის სპეციალურ დღეებში, — როდესაც საამისოდ ამორჩეულ ქალაქებში შესაძლებელი ხდებოდა კალისთვის ბეჭედი დაესვათ და დადგენილი ბაჟი გადაეხდებინებიათ. მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს კალის მადნების შემალარობენი ჩიოდნენ: კალის საწყობები გამართულია ქალაქ ლოსტუტიელში, რომელიც მადნის ამოღების ცენტრიდან ძალიან შორსაა¹⁾. ნაკლებად შემძლებელ შემალარობეს ეს ორი ფაქტორი ფრიად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა. მას ფული არ ჰყოფნიდა თავის ოპერაციათა ფინანსირებისათვის ექვსი თვის განმავლობაში, იმ დღემდე, როდესაც მას შეეძლო გაეყიდნა თავისი კალა და ხშირად ფულიც არ ჰქონდა თავისი საქონლის წასაღებად შორეულ ქალაქში, სადაც ბეჭდის დასმა წარმოებდა; ხოლო მალაროს ის მეპატრონე, რომელსაც სხვა დამოუკიდებელი შეძოსავალი ჰქონდა, უფრო ადვილად ახერხებდა ერთსაცა და მეორესაც. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ წერილი მოყალნენი თანდათან უფრო მეტად და ნეტად დამოკიდებულნი ხდებოდნენ კალის უფრო მდიდარ დამმუშავეებლებთან ან შუამავალთაგან, რომელნიც ასესხებდნენ ფულს და უხერხებდნენ მათ კალის გადატანას ქალაქში ბეჭდის დასასმელად. კალის თავისუფალი ვაჭრობა, რომელიც აუცილებელი დამატება იყო მადნის თავისუფალი ამოღებისა, თანდათან ჰქრებოდა. თანდათან ძლიერ გავრცელდა მოყალნეთა ავანსების გაცემა, რომელსაც „სარჩო“ ერქვა. იმისთანა შემალარობეს, რომელსაც თავისი მადნის გარდა არა გააჩნდა რა, ეს ცულ მდგომარეობას უქმნიდა და ფულიანი ხალხი კი მის გაკვირებაზე ჯიბეს ისქელებდა. მე-XVI საუკუნეში შემალარობე უკვე ჩაფლული აღმოჩნდა დამოკიდებულების კაობში, რომელშიაც თანდათან უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა. ვალის საქონლით გასტუმრება კიდევ უფრო აუარესებდა მის მდგომარეობას და მისი „მოგება“, მხოლოდ მშვიერ ხელფასს-ღა შეადგენდა. მოყალნურ სისტემას ნელნელა სცვლიდა „რაზმობრივი მუშაობა“. მადნის პატრონი მადანს ნარადდ დასამუშავებლად აძლევდა ნადების მაძასახლისებს და ამავე დროს აუქციონის საშუალებით მეპატრონე ისედაც მიზიმალურ სანარდო ხელფასს კიდევ უფრო ამცირებდა²⁾.

ჰენრიხ მე-VII შეეცადა ეს სამწუხარო მდგომარეობა გამოესწორებინა. მან ბეჭდის დასასმელად ორი დამატებითი დღე კიდევ დანიშნა: „რადგან საბრალო შეკალეები ვერ ღებულობენ რიგიან ფასს თავის კალაში ბეჭდის დასმისთვის მხოლოდ ორი დღის არსებობის გამოა“. ხოლო 1495 წ. გამოცემული ბრძანება ადგენდა: „არც ერთს პირს, ვისაც აქვს საკუთარი ან იჯარით აღებული ისეთი მიწა, რომელიც ყოველწლიურად 10 გირვ. მეტს შემოსავალს იძლევა, არა აქვს ნება კალის მადანის დამუშავებისა; გარდა იმ პირთა, რომელთაც ამის უფლება ეკუთვნით მემკვიდრეობით, ანდა კალის საკუთარი მადნები აქვთა“³⁾. თუმცა ამ ღონისძიებას შეეძლო დროებით შეენელებინა მდგომარეობა, მაგრამ საერთო ტენდენცია როგორც ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში ისევ ძველებურად მიიძარტებოდა. საქმეში სახელმწიფოს ჩარევა დაგვიანებული იყო: შემალარობები

1) Lewis, ხუნგ. თხზ., 210 და 212; V. C. H. Cornwall, I, 558-559.

2) L. L. Price, West Barbary, 37.

უკვე დამოკიდებულების ხუნდებით იყენენ შებოჩილნი. უკვე მრავლად იყენენ შეძლებული პირები, რომელთაც შეეძლოთ „კალის მანდების“ მფლობელობაზე „მემკვიდრეობითი პრეტენზია“ განეცხადებინათ; და შუამავლებსაც უკვე გაემადგურებინათ თავისი პოზიციები ბაზარსა და შუშას შორის. საერთოდ კი, როგორც რენდოლ ლიუსი ამბობს „ინგლისის კანონმდებლობამ, რომელიცერთგული იყო laissez-faire-ისა¹, კალის ამომღები დაურაზმავი მემდლაროენი დასტოვა... ბედის ამარა და შუამავლებსა და ჩარჩებს ჩაუგდო ხელშიო“².

გარდა ამისა, მემალაროეს კისრად დააწვა კიდევ ერთი ზედმეტი მონოპოლიის მძიმე ტვირთი. გარკვეული მიზნით, რათა კალისათვის მყარი ბაზარი უზრუნველყვათ და მრეწველობის კაპიტალით აფანსირების წყარო შეექმნათ— შემოიღეს ლითონის შექენის მონოპოლია, რომელშიაც დიდი წილი ჰქონდა კალეულის ლონდონის კომპანიას. მაგრამ ხელსაყრელი იყო თუ არა ეს მონოპოლია კალის მრეწველობით დაინტერესებულ წრეთა საშუალო ფენებისათვის— კალის ადგილობრივი ვაჭრებისა მის ვადამდნობთა და მდიდარ მწარმოებელთათვის? ყოველ შემთხვევაში ამით სარგებლობა არა ხედებოდათ თვით კალის ამომღებ მუშებს. კალის ნაყიდობის ფასი დაბალი რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისმა საექსპორტო ფასმა იმატა. როდესაც რესპუბლიკის დროს მონოპოლია გაუქმებულ იქნა, კალის ფასი ცენტნერზე 3-დან 6 გირვანქამდე ავიდა³, ხოლო მოქრის სისტემის გაბათილების შემდეგ მოყალნეთა (ინოვიჩნიკი) და რაზმობრივად მომუშავეთა ხელფასმა თვეში 30 შილ. მიაღწია⁴. მაგრამ რესტავრაციის დროს კალის მონოპოლიური შესყიდვა და ფულის მოქრის წესები კვლავ აღადგინეს და ხელფასი ისევ განახევრდა. მაშინ იფეთქა აჯანყებებმა ფოლმუხსა და ტრიუროში; მემალაროენი კალის თავისუფალ ვაჭრობასა და მონოპოლიის მოსპობას მოითხოვდენ, ხოლო მდიდარი მეკალეები ამის წინააღმდეგნი იყენენ.⁵ მაგრამ მემალაროენი წინააღმდეგობის ამ უშედეგო ცდის შემდეგ იძულებულნი გახდენ ძალაუნებურად შერიგებოდენ მდგომარეობას, რომელიც უფრო გაუარესდა იმ შევასშეთობის გამო, რომლის ორმაგ ხლართშიაც ისინი ჩაცვივდენ. ერთის მხრით, მალა იდგა ვაჭარი-მონოპოლისტი, რომელიც ფულს ასესხებდა ხელოსან-მეკალეებს, მის გამყიდვეებსა და მდნობელებს, და მიჰქონდა რა იმთვან დაბალ ფასად კალა, ზედ ართმევდა პროცენტებს და ლებულობდა მონოპოლიურ მოგებას 60% რაოდენობით. მეორე მხრით თვით ხელოსნები, ვაჭრები და ვადამდნობნი ასესხებდენ ფულს რაზმად მომუშავეებს, ნადის წევრებსა და მოყალ-

¹) Laissez-faire, ძირითადი პრინციპი მე- XVIII საუკ. ეკონომისტებისა (ფიზიოკრატების), რომელნიც მოითხოვდენ ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობას და მოქმედების სრულ თავისუფლებას. მთლიანად გამოითქმება: Laissez faire, laissez passer—ნება მიეცით ყველას, რაც უნდა აკეთოს და სადაც უნდა წავიდეს. (რედ. შენიშ.).

²) Lewis, ხსენებ. თხზ., 211. ამ დროისათვის „კალის მანდების“ სასამართლოები და პარლამენტი, როგორც ჩანს, მხოლოდ მარტო მეწარმეთვან—თავადანაზურობისა, მდნით ვაჭართა და სოვდაგრებისაგან შედგებოდა.

³) Lewis, ხსენებ. თხზ., 220.

⁴) V. C. H., Cornwall, I, 558-559.

⁵) Lewis, ხსენებ. თხზ., 220.

ნებზე და მივახზურ პროცენტებს ართმევდენ¹. ბოლოს, მე-**XVII** ს. დამლევს გადასადნობი ლუმელების პატრონები, ნაცვლად მუშათა ჯგუფებზე ფულის გასესხებისა, ხშირად თვითონ გადიქცოდენ ხოლმე „მეწარმე-მეკალეებად“, უშუალოდ ქირაობდენ რა ნარდ ხელფასზე სამუშაოდ მემალაროებს². მევახშეობა ვაჭრა და საქირაო შრომის სისტემა, რომელიც მის ადგილას აღმოცენდა, თითქმის სავსებით ჩამოყალიბდა.

სამწუხაროდ, დანარჩენი სამი სამთამადნო რაიონის გარდამავალი პერიოდის შესახებ ცნობები ბევრად ნაკლები მოიპოება. ფორესტ ოფ დინში გარდასელა, როგორც ჩანს, მოხდა იმის გამო, რომ სულ უფრო და უფრო ხშირად არღვედენ იმ კანონებს, რომლებითაც მემალაროენი თავს იცავდენ. შეძლებულეებში—მსგავსად ქალაქთა გილდიებისა,—გაერკელდა ჩვეულება თავისუფალ მემალაროდ არჩევისადმი მისწრაფებისა. არსებული ამკრძალველი წესების მიუხედავად, მადნების დამუშავების უფლებას მფლობელები ხშირად გარეშე პირებს მისცემდენ ხოლმე იჯარით. მაგრამ, უეკველია, კანონთა ყველაზე დიდი დარღვევა იყო მადნეულის გადადნობის დარგში მონოპოლიის შემოღება. მე-**XVI** საუკუნის დამლევს მეფეებმა იწყეს ნებართვების გაცემა კაპიტალისტ-მეწარმეთადმი ფორესტში ბრძედების აგებაზე. ბრძედებმა შესცვალეს მოძველებული ფოლადის ლუმელები, რამაც თავისუფალ მემალაროეთა დიდი უკმაყოფილება, და ამბობებანიც კი გამოიწვია. ისინი ჩიოდენ: „მეფის პატენტთა მქონენი ხშირად ხელს იწვდიან მემალაროეთა პრივილეგიებისკენა“³. 1640 წ. მემალაროეთა უფლებები კიდევ უფრო შეკვეცილ იქმნა იმით, რომ ფორესტში ქვანახშირისა და მინერალების დამუშავების მთელი უფლება მეფემ უბოძა წელიწადში 10.000 და 16.000 გირვანქად ჯონ უინტერს. ამას მოჰყვა არეულობა და ხანგრძლივი დავა, მაგრამ მემალაროენი იძულებული გახდენ ფრთები შეეკვეცათ თავიანთი მოთხოვნილებებისთვის. 1678 წ. მათ ხელი აიღეს მადნეულობით და ქვანახშირით ვაჭრობის გარეშეთათვის აკრძალვაზე, ხოლო ცხრა წლის შემდეგ იძულებული გახდენ ხელი აეღოთ გასაყიდ ფასებზე კონტროლის გაწვევის უფლებაზედაც. კაპიტალისტები, რომელთაც შეეძლოთ უფრო გაუმჯობესებული მეთოდებით ეწარმოებინათ მადნების დამუშავება და უფრო იოლად და მიზანშეწონილად გაესალებინათ მადნეული, ცდილობდენ მეტს მიწებს დაპატრონებოდენ; ამიტომ სამთამადნო სიმდიდრისადმი თავისუფალი დაპატრონების ხანა წარსულს ჩაბბარდა⁴. მაგრამ სამთამადნო წესდებას, ვიდრე ძალაში იყო, ერთი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: მან ძალიან შეაფერხა კაპიტალისტ-მეწარმის შემოკრა, ასე რომ უკანასკნელმა მე-**XVII** საუკუნემდე სამთამადნო მრეწველობაში ვერ მოახერხა თავისი პოზიციების განმტკიცება.

მადნეულის გადადნობის მონოპოლიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მენდისის რაიონში. მიწის მესაკუთრენი, როგორც ჩანს, ანგარიშს არ უწევდენ

1) იქვე, 214-216. მადნეულობით მოვაჭრენი, როგორც ჩანს, ხშირად მი-დან 90%/₁₀₀-მდე მოგებას ლებულობდენ.

2) Levy, Monopoly and Competition, 9.

3) V. C. H., Glouc., 2, 225; იხ. Lewis, ხუნება, თხ., 208.

4) V. C. H., Glouc., 2, 225-228.

სამთამადნო წესეების იმ მუხლს, რომლითაც მემალაროეს ნება ჰქონდა, სადაც სურდა, იქ გადაედნო თავისი მადნეული. ჩენ ვხედავთ, რომ უფრო მძლავრი მფლობელნი ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ, რათა მათ მიწიდან ამოღებულნი მადნეული და ტყვია მემალაროებს გადაედნათ იმ ლუმელებში, რომლებიც მემამულეებს ჰქონდათ გამართული¹. მე-XVI ს. დამლეეს გარეშე სპეკულიანტები და მეწარმენი ყოველთვის შხად იყენენ მემალაროებისათვის ფული უსესხენინათ მათს საქმიანობაში პაის ან მონაწილეობის შექენის მიზნით; მეორე მხრით მემალაროენი, რომელნიც ვაჭირებვას განიცდიდენ, იოლად აგარავებდენ ნაღდ ფულად თავის ნაჭერ მიწას. „ბრისტოლელმა ვაჭრებმა, ახლომახლო ადგილების მემამულეებმა, ადგილობრივმა მეღუქნეებმა, ყველამ დაიწყო ამ თამაშში ხელის ფათური“. ამნიარად, კლასობრივმა დანაწილებამ, რომელიც სამთამადნო შრე-წველობის თემებს გარეშე ვიჭარდებოდა, მასზედაც მოახდინა გავლენა და თავისი დალი დაასვა. კაპიტალის მქონე ადამიანებს დიდი შესაძლებლობანი გადევალათ თვალწინ: მათ შეეძლოთ უფრო ღრმად გაეთხარათ მალაროები და მადნეულობის უფრო უხვი ფენები აღმოეჩინათ. მათ, უეკველია, უფრო ადვილად შეეძლოთ გადადნობის მონოპოლიისათვის გვერდი აეხვიათ; გარდა ამისა, მათ უფრო იოლად და დაუბრკოლებლად შეეძლოთ გაესაღებინათ თავისი მადნეული. ამის შედეგი ის იყო, რომ მდიდრებმა გამოდევნეს ნაკლებ შეძლების მქონე მემალაროენი; მაგრამ ჩენს ხელთ მყოფი ცნობები ვერაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თვით მემალაროენი ახალი კაპიტალისტებისადმი დამოკიდებულებაში ჩავარდენ თუ არა, და თუ ჩავარდენ, სახელდობრ როგორი სახით².

თუ დავაკვირდებით საქსონიის ვერცხლის მადნების განვითარების პროცესს, დავრწმუნდებით, რომ ეს პროცესი საოცრად ემსგავსება ზემოაღწერილს. აქ ფეოდალ-მემამულეებს, თუ თვითონ არ ამუშავებდენ მადნებს ყმათა შრომით, ჩვეულებად ჰქონდათ ამ მადნების იჯარით გაცემა მუშათა ამხანაგობებზე. ეს უქანასქენლნი მუშაობდენ კოაპერატიულ საფუძველზე, ალბათ მსგავსად რუსული ნადებისა (არტელი). ბატონი ამას მფარველობდა და ხელს უწყობდა, ვინაიდან მათ მონაპოვარში წილი ედო. ზოგ შემთხვევაში ამ კომუნებზე არ ვრცელდებოდა ფეოდალური სამართალი და ეს იყო ისეთივე პრივილეგია, როგორითაც სარგებლობდენ საქალაქო თემები. ხოლო თუ მათი მუშაობა კარგად წარმართებოდა, ამ კომუნებს სპეციალურ სამთო მრეწველობის ქალაქის ღირსებას უბოძებდენ, მათ საკუთარი კანონებით, სასამართლოთი და მმართველობით. ადვილი საქმე როდია იმის გამოკრევეა, თუ როგორი იყო ნამდვილად ამ სამთამადნო ამხანაგობების წევრთა სოციალური მდგომარეობა. საფიქრებელია, რომ ესენი იყენენ უმთავრესად გლეხები ან ხელოსნები და არა ყმის დამოკიდებულებაში მყოფი პირები. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მეთოთხმეტე საუკუნისათვის ამხანაგობები, საფიქრებელია, ან აყვავებულნი იყენენ, ან კარჩაკეტილი ხასიათი ჰქონდათ მიღებული, ანდა თავიანთი დამუშავების უფლება მიჰყიდეს სხვებს— ადგილობრივ მემამულეებსა და სამლედელობას, ან ქალაქელ ვაჭრებს. მადნის სწრაფი ექსპლუატაციის მიზნით ფეოდალური მფლობელნი ხელს უწყობდენ სა-

¹) V. C. H., Somerset, 2, 368.

²) Somerset, 374-376.

მოყალნო სისტემის განვითარებას. მათ განსაკუთრებული დადგენილებანი გამოქონდათ, რომ მადნები მიეცათ დასამუშავებლად მხოლოდ საკუთრების არმქონე მუშებიდან გამოსულ მოყალნეებისათვის და არა იმ გლეხებისთვის, რომელთაც მიწა ჰქონდათ. ეს მოყალნენი ლეზულობდენ ზოგ რამ მასალას და რაკი არსებობის სხვა საშუალება არა მოეძებნებოდათ რა, ხშირად თანხმდებოდენ თავიანთი მონაპოვარის დიდი წილი ამხანაგობათათვის დაეთმოთ. ამნაირად გაჩნდა თვალსაჩინო მიჯნა ამხანაგობათა მონაწილე მადნის მესაკუთრე კაპიტალისტებსა და მოყალნეთა შორის, რომელნიც ამ მადანს იჯარით ლეზულობდენ და ამუშავებდენ. უკანასკნელნი უთმობდენ პირველთ მოპოვებული პროდუქტის ნაწილს, რადგან არსებობის სხვა წყარო, გარდა თავისი შრომისა არა გააჩნდათ რა და მათი შრომის საბაზრო ფასი დაბალი იყო, მაშინ როდესაც პირველნი მიწისა თუ ვაჭრობისაგან შემოსავლის სხვა წყაროებსაც ფლობდენ და ამნაირად, ეკონომიურად დამოუკიდებელნი იყვნენ¹. ამრიგად ეს სამოყალნო სისტემა წარმოადგენდა ჩანასახს საჭირაო შრომის სისტემისა, რომელზედაც გადასვლა ადრე თუ გვიან აუცილებელი იყო, ვინაიდან ორივე მხარეს შორის ეკონომიური უზრუნველყოფობის შეუფარდებლობა თანდათან იზრდებოდა².

მაგრამ იმისათვის, რომ მოყალნე სწრაფად ჩაეარდნილიყო ფაქტიურ და მოკიდებულებაში, საჭირო იყო მცირე ფაქტორის არსებობაც. მისი მდგომარეობა როგორც არ უნდა გაუარესებულყო, იგი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა დამოუკიდებელი ხელოსნის მდგომარეობის ნასახს მაინც. მის მდგომარეობას ფრიად მნიშვნელოვანად განასაზღვრავდა ის, თუ რამდენად იყო შესაძლებელი სამუშაოს შოვნა ქალაქად საკუთრების არმქონე მუშისათვის: ქალაქებში მოყალნეთა შრომისათვის დაწესებული იყო მინიმალური ფასი. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს მაძიებელთა შორის დიდი კონკურენცია არსებობდა, ან თუ უკიდურესი გაჭირვება აიძულებდა მას უფრო მორჩილი ყოფილიყო, იგი უკვე კელარ ახერხებდა მის მიერ ამოღებული მადნეულიდან თავისი შრომის მინიმალური ფასის გარდა რაიმე თანხა კიდევ მოეპოვებინა. საქსონიაში, როგორადაც ფორესტ ოფ დინსა და მენდიჰში, ის ფაქტორი, რომელმაც დააჩქარა ეს გადასვლა, იყო მონოპოლია, რომელსაც მადნეულობის მყიდველებმა და გადამდნობელებმა მიაღწიეს. კერძოდ, გადამდნობლებმა მოახერხეს მტკიცე მონოპოლიის მოპოება. ეს მონოპოლია დამყარებული იყო კონცესიებზე, გადასადნობი ქარხნების აგებაზე, რომლის უფლებასაც ისინი ფეოდალ მფლობელთაგან ყიდულობდენ. მეხუთმეტე საუკუნის „დოკუმენტებში“ ბლომადაა იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა მადნეულის გასაღება. მოყალნეთა საჩივრებში სავსებით გარკვევით არის ლაპარაკი იმ ხუნდებზე, რომლებშიაც ისინი ჩაუქედით მადნეულის მყიდველებსა და გადამდნობელთ³. მათი უბედური

¹) ეს საინტერესო მაგალითია შარქის იმ დებულებისათვის, რომ კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელი თვისება არის მუშა-ხელისა და მისი პროდუქტის ღირებულებას შორის არსებული განსხვავება, რომელიც წარმოშობს ზედმეტ ღირებულებას—კაპიტალისტთა კლასის შემოსავალს (Capital, vol. 123-180).

²) I, Lewis, ხსენებ. თხზ., 180, აგრეთვე 74.

³) იქვე, 180.

მდგომარეობის შესამსუბუქებლად იმპერატორმა მაქსიმელიანემ ააგო გადასადნობი ქარხანა, რომელსაც მოყალბეთაგან მადნეული უნდა მიეღო, და ფერდინანდიც ასევე მოიქცა შვარცვალდში. მაგრამ ამ ღონისძიებებს, როგორც ჩანს, მდგომარეობის მხოლოდ დროებითი გაუმჯობესება მოჰყვა. რამდენისამე ხნის განმავლობაში მემალარონი მიმართავდნენ რა გილდიების მოწყობასა და გაფიცვებს, ერთგვარ წინააღმდეგობას უწევდნენ, მათი მდგომარეობის გამაუარესებელ პირობებს. მიუხედავად ამისა, მათი მდგომარეობა ნელი-ნელ უარესდებოდა. ნარდად მუშაობამ და ხელფასმაც კი — განდევნა მოყალბური სისტემა და მე-*XVI* ს. დამლევს მადნებს ხშირად აძლევდნენ კაპიტალისტ მოიჯარადრეებს. „ეს მდგომარეობა გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე დროთა განმავლობაში მოიჯარადრემ არ იწყო თანდათან მრეწველობის ორგანიზატორისა და მეპატრონის მდგომარეობის მოპოება, ხელიდან აცლიდა რა ამხანაგობათა წევრებს... ყველა მათ ნაჭერ მიწებს“¹.

ამ გარდასვლის დაწერილებითი სურათი კარგად მქლავდება სრულიად სხვა ამბავში, რომელიც სხვა დროს მოხდა. რუსეთის სოფლის თემი სწორედ ნიმუშია იმ უკლასო ინდივიდუალიზმისა, რომელიც ეს-ეს არის განვიხილეთ ინგლისის თავისუფალ სამთამადნო რაიონების შესახებ; და ამ თემის დარღვევის დროს ჩვენ ვამჩნევთ, რომ სწორედ მსგავსივე ფაქტორები მოქმედებდნენ. რუსის გლეხებში, როგორცადაც ყველა სხვა. ანაირ თემებში, რღვევის წყარო იყო მევახშე. უფრო მდიდარ გლეხს საშუალება ჰქონდა მემამულისაგან მიწა იჯარით აეღო, მუშა-საქონელი და სასოფლო-სამეურნეო იარაღი შეეძინა. ღარიბ გლეხს კი, პირიქით, არ შეეძლო ეს და თუ მაინც იჯარით ღებულობდა მიწას, ღებულობდა სანახევროდ. ე. ი. პროდუქტების ნახევარს მიწის მესაქუთრეს აძლევდა. არსებობდა ადათი, რომლის მიხედვითაც სათემო მიწას პერიოდულად გაანაწილებდნენ ხოლმე იმის კვალობაზე, თუ ვის რამდენი მიწის დამუშავება შეეძლო. მაგრამ ისეთი ვარემოება იყო შექმნილი, რომ ღარიბები კვლავ უმწეო მდგომარეობაში ცვიდებოდნენ: მათ საშუალება არა ჰქონდათ მიწა დამუშავებინათ და დიდძალი მიწა ისევ მდიდარ გლეხს უფარდებოდა ხელში. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ამ მიწას იჯარით აძლევდა — სანახევროდ თავის უფრო ღარიბ მეზობელს. ამას ერთვოდა მიმე გადასახადები. გლეხს შეძლება არ ჰქონდა სათესლევ შეეძინა და ამიტომ მთლად მევახშეს უფარდებოდა ხელთ. ასეთი გაქირავებული დღე „ორი ჰქონდა გლეხს წელიწადში: გადასახადების აკრებისა და თესვის დროს, როდესაც გლეხს საშინლად ესაქიროებოდა ფული ან სათესლე. იგი მზად იყო ყოველგვარი ვალდებულება ეკისრა, ოღონდ ოჯახი და თავისი თავი გაწკებლისაგან გადაეჩინა. გაივლიდა რამდენიმე წელიწადი და გლეხი ჩვეულებრივად უსახლჯარო პროლეტარად გადაიქცეოდა ხოლმე“.

ამის გამო თემს ნაცვლად იმისა, რომ დარჩენილიყო მიწათმოქმედთა თემად, ჰქონდა ტენდენცია მიწათმფლობელთა თემად გადაქცევისა. მიწათმფლობელი სარგებლობდნენ ღარიბი გლეხების მძიმე მდგომარეობით და მდიდრდენ-

¹) Leurs, სუნებ, თხზ., 181—183.

²) H. L. Stone, Polit. Science Quarterly-ში, XIII, 107 და შემდ.

ბოდენ. რაკი ერთხელ თავი იჩინა უთანასწორობამ—იგი თანდათან ძლიერდებოდა. ხალხოსნები (აგრარული სოციალისტები) აიდელუბდენ გლეხთა თემს და იგი ისეთ რადმე მიაჩნდათ, რომლიდანაც უნდა დაბადებულიყო ახალი რუსეთი, —კაპიტალიზმის პერიოდისგან განთავისუფლებული. მაგრამ მათი აზრი რომ განხორციელებულიყო და სახელმწიფო რომ გლეხებს ფულით დახმარებოდა, თანხები უშეტეს წილად მდიდარი გლეხების ხელში ჩაეარებოდა, —და მისცემდა რა მას საშუალებას ჰქონოდა, ან იჯარით აელო მიწა, —ფაქტიურად მხოლოდ უფრო გააღრმავებდა კლასობრივ დიფერენციაციას. გარდა იმისა, რომ შეძლებული გლეხი სანახევროდ გასცემდა ხოლმე მიწას, მას საშუალება ჰქონდა საკირო ნედლეული ეყიდნა და სოფლურ საწარმოს აწყობდა, რომელსაც შინამრეწველური საწარმო ერქვა; და სამუშაოს აძლევდა უფრო ღარიბ გლეხებს, მიმართავდა რა სამუშაოს „ჩამორიგების“ სისტემას. ეს წვრილი შინამრეწველნი ხშირად მდიდრდებოდენ და ვაჭრებად, სპეკულიანტებად და მეფახეებად იქცეოდენ; მათი უფრო ღარიბი მეზობლები კი, კიდევ უფრო მეტად გაქირვებულ მდგომარეობაში ცვივოდენ. და ბოლოსდაბოლოს რათა საესებით ხელი არ აეღოთ ვალ-გადასახადებით საესე თავის ერთ პატარა ნაქერ მიწაზე, იძულებულნი ხდებოდენ--ოჯახის ჩამდენიმე წევრი გაეგზავნათ ხოლმე სამუშაოდ ქალაქად, ახლადწარმოშობილ ქარხნებში. ასე ჩაეყარა საფუძველი კაპიტალისტურ საწარმოს, რომლის განვითარებას მანამდე ხელს უშლიდა მუშახელის ნაკლებობა. მშენიერი ოცნებანი ხალხოსნებისა კი უსახლოდ ვაჭკრა¹.

საქირაო შრომაზე გადასვლის ეს მაგალითები, რომლებშიაც ადვილია უმთავრეს ტენდენციათა მოქმედების აღმოჩენა, საესებით ცხადად ასურათებენ ოთხ მნიშვნელოვან მომენტს. ჯერ ერთი, ისინი ცხადყოფენ, რომ საკუთრების კონცენტრაციისა, ან მოსახლეობის ზრდის გამო თავისუფალი მიწების გაქრობა საქირაო შრომის სისტემის განვითარების ერთადერთი, ან თუ გინდ უმთავრესი ფაქტორი არაა, როგორც ამას ზოგნი ამტკიცებდენ². საზოგადოების ნაწილის ხელთ დაგროვილი მიწის მონოპოლიური მფლობელობა მხოლოდ ერთ-ერთი მონოპოლიათაგანია მთელ რიგ იმ სხვა მონოპოლიებში, რომელნიც პრივილეგიური კლასის უპირატესობას ჰქმნიან. რუსეთის თემის მაგალითში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ქონას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მიწის ფლობას.

მეორე: ეს მაგალითები ცხადყოფენ, რომ ერთმანეთს ჰგვანან დამატებითი შემოსავლის ის სახე, რომელიც დამოკიდებულია მიწის ნაყოფიერებასა და უკეთეს მდებარეობაზე და რომელსაც რიკარდო და მისი მიმდევრები უწოდებდენ ეკონომიურ რენტას და რენტის ის სახე, რომელსაც მიიღებენ ხოლმე ყოველგვარ სხვა განსაკუთრებულ უპირატესობათა წყალობით. ვიდრე კორნუელელ მენაღაროეს, რომელიც კალას იღებდა მადნიდან, ბლომად ჰქონდა ამოსარჩევი დასამუშავებელი მიწები, მადნის გამცემ პირს შეეძლო მოყალნესათვის გამოერთმია მხოლოდ განსხვავება, რომელიც არსებობდა მისი მადნის ნაყოფიერებასა, და

¹ იქვე, აგრეთვე Margaret Miller, Trade and Industry of Russia, 1905—1914 (ჯერ არ გამოქვეყნებულა), კარი 3.

² A. Loria, Economic Foundations of Society, 1-9; Analyse de la propriété Capitaliste.

უფრო ნაკლებად უხვი „უკიდურესი“ მდნის ნაკოვერებს შორის, ვინაიდან მოყალნეს ყოველთვის შეეძლო ეს უკანასკნელი აეღო: რომელიც ამიტომ განსაზღვრავდა მიწოდების იმ მინიმალურ ფასს, რომელსაც იჯარის დროს მას მისცემდნენ. მდნის მფლობელისადმი ეს გადასახადი, თანხმად რიკარდოს თეორიისა, შეადგენს ეკონომიურ რენტას. მაგრამ როგორ იქნებოდა საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფალი მიწები უკვე აღარ იყო დარჩენილი, ან უკვე აღარ იყო. დასამუშავებელი თავისუფალი მდნები, ან როდესაც მოყალნეს საშუალება არ ჰქონდა თვითონ გაეტანა ბაზარზე მოპოებული მდნეული? დამატებითი შემოსავალი, რომელსაც ამ შემთხვევაში მდნის პატრონი ლეზულობს,—და რომელიც შეიძლება მოყალნეს საარსებო საშუალებას აწვდიდა,—სწორედ ასევე განისაზღვრებოდა იმ განსაკუთრებული ხელსაყრელობით, რომლითაც იგი სარგებლობდა. მოცემულ შემთხვევაში ხელსაყრელობანი შეიძლება ყოფილიყო გამობატული იმაში, რომ მოყალნეს მიმართ მდნის პატრონი უპირატეს, ან მონაპოვლიურ მდგომარეობაში იყო. და რამდენადაც უფრო დიდი იყო მისგან შემალაროეს დამოკიდება, მით უფრო დიდი იქნებოდა, სხვა თანაბარ პირობებში, ეს დამატებითი შემოსავალი.

მესამე: ეს მაგალითები ცხადყოფენ, თუ როგორი ზეგავლენა შეუძლიათ მოახდინონ პოლიტიკურ დაწესებულებებსა და პოლიტიკური ხელისუფლების გამოყენებას ეკონომიურ განვითარებაზე და შემოსავლის განაწილებაზე. ინგლისის სამთამაღნო კანონმდებლობამ შეათერხა კაპიტალიზმზე გადასვლა, ხოლო ტიუდორთა ზოგიერთ უფრო ბრძნულ ღონისძიებათა უფრო ადრე და გაბედულად ხმარებას შეეძლო უფრო მეტად შეეფერხებინა იგი. რუსეთში მეფის მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა ღარიბი გლეხის მდგომარეობის გაუარესებისა და მევახშისა და კულაკებისადმი მისი დამორჩილების საქმეში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ახლა კი, მეორე მხრით, რუსეთის საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა მიმართულია კოაპერაციის მეოხებით ღარიბი გლეხობისადმი დახმარებისაკენ და ამას შეუძლია შეათერხოს კლასობრივი დაყოფა, რომელმაც ხელახლა იჩინა თავი. პოლიტიკური დაწესებულებანი დიდ როლს თამაშობენ როგორც კლასთა განვითარებაში, ისე უკლასო საზოგადოების შენარჩუნებაშიც¹.

მეოთხე: ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ერთერთი წყარო სამეწარმო მოგების წარმოშობისა იყო მევახშეობა. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის გამარჯვების შემდეგ უკუგდებულ და სასაცილოდ აგდებულ იქნა მევახშეობის შესახებ ის აზრი, რომელსაც ადგენენ საშუალო საუკუნეებში ეკლესია და ფეოდალური მწერლები. ჩვეულებად იქცა ამ თეორიებისადმი მოპყრობა, როგორც სოფიზმებისადმი ისეთი ადამიანებისა, რომელთაც ვერა ვაეგოთ რა ახალი ცხოვრებისა და სენტრიმენტალურად უზნეობად სახავედენ იმას, რაც წარმოების ფრიად საკირო ფაქტორის მხოლოდ ეკონომიურ ფასს წარმოადგენდა. უმეტეს წილად

¹) ამიტომ არა აწყს საფუძველი იმ აზრს, რომ თითქოს უთანასწორობა აუცილებლად და თავის-თავად იჩენდეს თავს,—ეკონომიური თანასწორობის სისტემაზე რომ იყოს შემოღებული—როგორც ეს აღნიშნა დ—რმა გ. და ლტონმა, შეიტანა რა შესწორება დ—რით ამავე დღისა და პროფ. პარეტოს აზრებში (Inequality of Incomes, 241), ყველაფერი დამოკიდებული იქნება დაწესებულებებზე.

ეს ასეც იყო, მაგრამ იმავე დროს სასარგებლო იქნებოდა მბედველობიდან არ გაეშვათ კუშმარიტების ის ნატამალი, რომელიც სქოლასტიკოსების ამ აზრებს უდევს საფუძვლად. ეკლესია და ფეოდალი პრელატები, ბუნებრივია, მევახშის წინამღმდეგ იყვნენ განწყობილნი, რადგან თვით მათაც ხშირად უხდებოდათ მევახშეებისადმი მიმართვა, როდესაც ფული სჭირდებოდათ, რომელიც მაშინ ძალიან ნაყოფმად მოიპოვებოდა. მაგრამ, როგორც ეს აღნიშნა მარშალმა, მათს ქადაგებასა და გალაშქრებას მევახშეების წინააღმდეგ ერთგვარი საფუძველი ჰქონდა იმის გამო, რომ „ისინი, ვინც ფულს სესხულობდნენ, ჩვეულებრივად ღარიბები და უმწიფონი იყვნენ, ძალიან გაჭირვებულნი და ფრიად არახელსაყრელ პირობებში მყოფნი“¹. ასეთნი იყვნენ მეკალე მემალაროენი, აგრეთვე რუსის გლეხები ჩვენს მიერ ნახსენებ მაგალითში, ხოლო ეს გარემოებანი კი სრულიად არ ყოფილან უმნიშვნელო ეპიზოდები ეკონომიურ განვითარებაში. ამიტომ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან პროცენტების აღება და მევახშეობა. მსგავსად იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს გაჭირვებისა და მოთხოვნილებათა მიხედვით თითქმის თანაბარ მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებში დადებულ სესხის ხელშეკრულებასა, და მეორე მხრით ასეთსავე ხელშეკრულებას შორის, რომელიც დადებულია ამ მხრივ სრულიად უთანასწორო პირობებში მყოფ ადამიანთაგან. პირველი წარმოადგენს საფასურს, რომელიც უდრის სესხის მიწოდების ფასს, რაიც დამოკიდებულია „დაცდისა“ ანუ გამსესხებლისაგან მოხმარების ვადის გადადების სიმძიმეზე. მეორე—მევახშეობა. ამას გარდა არის გადახდევინება ზედმეტისა, რომლის საფუძველიც გამომდინარეობს ვალის ამღების შედარებით გაჭირვებულ მდგომარეობიდან². საესებით ცხადია, რომ მოგება იმ ადამიანისა, რომელიც ფულს ასესხებდა, ან კალის ამომღები ოსტატისა, თუ გადამდნობისა, რომელნიც „სარჩოს“ აძლევენ მომუშავეებს, მოდიოდა სწორედ ამგვარ ხელშეკრულებათა გზით. სწორედ ასევე ცხადია, მაგრამ სრულიად უგულუბელყოფილია თანამედროვე ეკონომისტების უმრავლესობის მიერ,—რომელნიც პროცენტთა და მოგების თეორიაზე მუშაობენ,—ის გარემოება, რომ დაჭირავების შესახებ თანამედროვე ხელშეკრულებაც აწინაინისავე ხასიათისაა, ისევე, როგორადაც სესხის ხელშეკრულება ჩამორჩენილ ქვეყანასა და რომელსავე მძლავრ ჯგუფს შორის დადებული. ორსავე შემთხვევაში ხელშემკრევილი მხარეები მოცემულ მომენტში არსებული გადაუღებელი საჭიროების მხრით უთანასწორო მდგომარეობაში არიან. და რამდენადაც მევახშის ამონაგები შეიცავს ზედმეტს გარდა პროცენტისა, იმდენადაც ამონაგები შეიძლება შედგებოდეს მევახშური წინააღმდეგობისაგან. ის, რაც ტრადიციამ და ჩვეულებამ შეანელა და წარსულის ხავსით მოჭფინა, მისი წარმოშობის შესწავლის შემდეგ შეიძლება ჩვენს თვალს უფრო მეაკრი ფორმით წარმოუდგეს.

¹) Principles, §84; იხ. აგრეთვე, G. Cassel, Nature and Necessity of Interest, 1—3, ა. ლ ო რ ი ა „კრედიტის მოწოდებაზე“ ლაბარაკობს, როგორც „კალაქის შემოსავლის უმძლავრეს იარაღზე ფეოდალური შემოსავლის საზარალოდ“. ლორია ფიქრობს, რომ „მას მსხვერპლად მივაქვს პრიმიტიულ თემთა უფრო ღარიბი წევრები“ (Economic Synthesis, 283).

²) G. Cassel, ხსენებ. თხზ., 180—181, რომელიც ამას უწოდებს „ძარცვა-გლეჯას“, რაიც შესაძლებელი ხდებოდა ბაზრის უხეირო ორგანიზაციის გამო.

თავი მერვე.

კაპიტალისტური მეწარმეობის პირველი პერიოდი.

საშინაო მრეწველობის სისტემა არ წარმოადგენს ისეთს მარტივსა და ერთგვაროვან ფორმას, რომელიც მკაცრად და გარკვეული თვისებებით განიარჩეოდეს მე-XIX საუკუნის ახალი (სამრეწველო) სისტემისაგან. იგი იმდენსავე მრავალსახოვანობას შეიცავდა, რამდენიც შესაძლებელია შევამჩნიოთ ჩვენ თანამედროვე მსოფლიოს მუდმივ ცვალებადობაში მყოფ ინდუსტრიალიზმში. ამასთანავე მისი ზოგი მერმინდელი ფორმა ნამდვილად საფაბრიკო მრეწველობის პირველ ფორმებს უფრო ჰგავს, ვინემ თვით საშინაო წარმოების უფრო ადრინდელ ტიპებს. საერთოდ მასში შეიძლება გავარჩიოთ ორი უმთავრესი სტადია. პირველ სტადიაში ხელოსანს შენარჩუნებული ჰქონდა თავისი წინანდელი დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი ხშირად თვითონ ყიდულობდა საჭირო ნედლეულობას და თვითონვე ზრუნავდა თავისი პროდუქტის გასაღებისათვის ადგილობრივ ბაზარზე, მასვე შენარჩუნებული ჰქონდა იმ იარაღებზე საკუთრება, რომელთა საშუალებითაც მუშაობდა. როგორც ნედლეულის შექმნის, ისე პროდუქტის გაყიდვის დროს იგი ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა, რამდენადაც ამ სყიდვა-გაყიდვის დროს მას ვაჭარ-კაპიტალისტზე ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა. იგი იძულებული იყო დასჯერებოდა ადგილობრივი ბაზრის ვიწრო ფარგლებში ვაჭრობასა და რამდენსავე მსხვილ მეწარმესთან ურთიერთობას, რომელნიც ყოველი მხრით მასზე ძლიერნი იყვნენ. მიუხედავად ამისა, მას ჰქონდა, თუმცა შეზღუდული, მაგრამ მაინც თავისუფლება მოქმედებისა. გამონაკლისს წარმოადგენდა შემთხვევები, როდესაც ვაჭარი-მეწარმე უშუალოდ აწვდიდა ხელოსანს ნედლეულს და უხდიდა მას მხოლოდ ხელფასს, რომელსაც საკომისიო ჯილდოს ხასიათი ჰქონდა და რომელიც ძალიან გავრცელებულია მე-XVIII საუკუნეში. კიდევ უფრო იშვიათი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მეწარმეს ეკუთვნოდა ხელოსანის სამუშაო იარაღი, მაგალითად, ზოგიერთ მემბუდეს ეკუთვნოდა საფეიქრო დაზგები. ვაჭარ-მეწარმეს უფრო იშვიათი ჰქონდა ესარგებლნა ახალი ბაზრების მოპოების ფართო შესაძლებლობით, ვიდრე იმით, რომ ხელოსანის მდგომარეობის გაუარესებით რაიმეს მოიგებდა.

მაგრამ მეორე სტადიაში ხელოსანი უფროდაუფრო მეტად დამოკიდებული ხდებოდა. ეს დამოკიდებულება თანდათან ძლიერდებოდა, ვიდრე ხელოსანი თითქმის ისეთსავე მდგომარეობაში არ ჩაეარდა, როგორშიაც იმყოფება პროლეტარიი საქარხნო სისტემის დროს. ეს სტადია ჩაისახა მე-XVII საუკუნის პოლიტიკურ არეულობათა ხანაში და გრძელდებოდა იმ დრომდე, ვიდრე მისი წყნარი

განვითარება სამრეწველო რევოლუციის ციებცხელებიანმა პაროქსიზმმა არ დაარღვია. მე-XVII ს. შუა წლებში გაჩნდა მეწარმეთა ახალი კლასი, რომელიც ნაწილობრივ შედგებოდა მე-XVI საუკუნის დამლევის მდიდარ და წარმატებულ ხელოსან-ოსტატთაგან. ეს უკანასკნელი უფრო დაინტერესებულნი იყვნენ საქონლის წარმოების მოწყობითა და არსებულ ბაზრებზე მისი გასაღების უზრუნველყოფით, ვიდრე ოკეანეს გაღმა ახალ საწარმოთა დაარსებით. ესენი იყვნენ ახალი ვაჭარ-ფაბრიკანტები, რომელნიც „ეპატრონებოდნენ“ ხელოსნის ბაზარს, და ამრიგად ისე ძლიერ აეიწროებდნენ მისთვის ნედლეულის შეძენისა და გასაღების ბაზრებს, რომ ხელოსანი სამუშაოს მხრით ისეთივე დამოკიდებული ხდებოდა მეწარმისაგან, როგორადაც დაქირავებული მუშა. საშინაო მრეწველობის სისტემის ამ მეორე სტადიის დროს მეწარმე, ჩვეულებრივ, ხელოსანს აწვდიდა ნედლეულს შემდგომი დამუშავებისათვის და ამ უკანასკნელს მისთვის გაშვადებული პროდუქტი უნდა ჩაებარებინა, რისთვისაც მეწარმისაგან მიიღებდა შესრულებული სამუშაოსთვის საკომისიო ჯილდოს. ზოგჯერ მეწარმესვე ეკუთვნოდა ხოლმე შრომის იარაღი, ხოლო იშვიათად—მისივე იყო სახელოსნოც. იგი ფაქტიურად ისეთ მრეწველ-მეწარმედ იქცა, რომელიც კონტროლს უწევს, გვემას ადგენს და აწესრიგებს წარმოების მთელ პროცესს. ამ ორგანიზაციასა და საფაბრიკო სისტემას შორის ის განსხვავება არსებობდა, რომ აქ თვით წარმოება დაქსაქსული იყო, იმის მაგივრად, რომ ფაბრიკაში ყოფილიყო თავმოყრილი.

ისტორია ამ განვითარებისა არც ისე მარტივია. იგი როლი მიდიოდა ვატიკენილი გზით, როგორც, მზად არიან აპრიორული ისტორიკოსები მისთვის გაიყვანონ; იგი არ განირჩეოდა არც იმ უწყინარობითა და თანდათანობით, რომელიც ჰარმონიულად მოზარდ პროცესს ახასიათებს. მისი კვალი, უფრო მეტად მოიპოვება ტიუდორთა და სტიუარტების ეპოქის გილდიათა და კომპანიათა დოკუმენტებში და მხოლოდ თითქმის ერთმა პროფესორმა, ჯ. უნივინმა, მოგვითხრო ეს ისტორია. ამ განვითარების გადამწყვეტი მომენტი იყო მე-XVII საუკუნის შუა წლები, როდესაც იწყოა გამოჩენა ახალ კაპიტალისტურმა კლასმა, რომლის ყურადღება უმთავრესად მრეწველობისაკენ იყო მიმართული. ამ ახალ კაპიტალისტურ ჯგუფებს შეტაკება მოუვიდათ იმ მონოპოლისტებთან, რომელნიც მათზე ადრე, მე-XVI საუკ. განმტკიცდნენ, რომელთაც მეფის კარზედაც დიდი გავლენა ჰქონდათ და პრივილეგიების ერთად-ერთი ბატონ-პატრონი იყვნენ. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ დაიწყო შეტევა მონოპოლიის ძველი სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც აძლევდნენ მეფის კარზე სხვადასხვაგვარ გავლენათა წყალობით—ცალკე ფავორიტებს; ამ შეტევით მიღწიეს მიზანს და პრივილეგიები გავრცელდა სააქციო კომპანიებში დაბანდილებულ და უკვე გაძლიერებულ კაპიტალზედაც. მეწარმეთა ამ ახალმა კლასმა, რომელიც წარმოებით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე საზღვარგარეთის ვაჭრობით, იწყოა მრეწველობის რეორგანიზაცია შრომის განაწილების საფუძველზე და სპობდა ხელოსანთა დამოუკიდებლობას, რაზეც უშუალოდ ნოანზადა ნიდაგვი სამრეწველო რევოლუციისათვის.

ტიუდორთა ეპოქაზე გილდიები უკვე აღარ წარმოადგენდნენ დემოკრატიულად მოწყობილსა და ყველა თავის წევრთა ინტერესებისთვის თანაბრად მზრუნ-

ველ ორგანიზაციებს. ხოლო მე-XVI ს. შუა წლებში ხელოსანთა უმეტესობაში საესებით გარკვევით იჩინა თავი კლასობრივმა დანაწილებამ, რომელიც აძლიერებდა და ართულებდა იმ კლასობრივ დანაწილებას, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ როგორც პროდუქტს მე-XV ს. საეპრო მონოპოლიისა. ამ გილდიებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო შეძლებული და მდიდარი ხელოსან-ოსტატები სულ მეტად და მეტად ცდილობდნენ ხელოსნური სამუშაო დაეკისრებინათ შეგირდებისა და დაქირავებული მუშებისთვის, ხოლო თავისი დრო შეეწირათ კომერციული საქმიანობისათვის, ვაჭრობდნენ რა თავისი ხელობის ნაკეთობებით¹. ამასთანავე აუცილებელი ხდებოდა ამ მისწრაფების შეჯახება ზოგიერთ წმინდა საეპრო კომპანიათა მონოპოლიასთან, და ხშირად ბრძოლა ასტყდებოდა საბითუმო ვაჭრობის მონოპოლიაში მონაწილეობის მისაღებად ხელოსანთა კომპანიების დაშვების საკითხის გარშემო. უმეტეს შემთხვევაში ხელოსნები მიზანს მიაღწევდნენ ხოლმე. ამათი კომპანიები ხშირად გადაიქცეოდნენ ხოლმე საეპრო ორგანიზაციებად. ასე დაემართა, მაგალითად, ლონდონის მკერავთა კომპანიის, რომელიც მკერავთა საეპრო კომპანიად იქცა; აგრეთვე საგალანტერეო დარგს, რომელიც გადაიქცა საგალანტერეო საქონლის მოვაჭრე კომპანიად. ამასთანავე ეს კომპანიები დაამტკიცეს კიდევც, როგორც ასეთნი. საფიქრებელია, რომ იქ სადაც საქმე ზემოხსენებულისებურად ვერ მოხერხდებოდა, უფრო შეძლებული და მდიდარი წევრები ყიდულობდნენ რომელსაშე საეპრო კომპანიაში შესვლის უფლებას. ხელოსანთა გილდიებში კი რჩებოდნენ მხოლოდ ისეთი ოსტატები, რომელნიც მუშაობდნენ და უფლება არა ჰქონდათ თავისი საქონელი ბაზარზე დამოუკიდებლად გაეყიდნათ. ასე, მაგალითად, მე-XV ს. ჩვენ ვხედავთ, მრავალ ფეიქრებს, მღებავებსა და მთელავეებს, რომელნიც მემამულეთა კომპანიის წევრები ხდებოდნენ².

იმ კომპანიათა უმეტესობაში, რომლებშიც თავი იჩინა ძლიერმა კომერციულმა ელემენტმა, ხელმძღვანელობა გადადიოდა იმ ვაჭართა ხელში, რომლებიც სარგებლობდნენ თავიანთი გავლენით კომპანიის სხვა წევრებისაგან საკუთარ საეპრო უფლებათა დასაცავად. კომპანიის წევრთა უმაღლესი ფენა (აგრეთწოდებული კორპორაცია—livery) შედგებოდა უმთავრესად კომერციული ელემენტებისაგან, ხოლო მის ხელმძღვანელ ორგანოებს—მამასახლისებსა და მსაჯულთა პალატას—ამ კორპორაციის შემადგენლობიდან ირჩევდნენ. ვინაიდან ყოველ უმაღლეს საფეხურზე ასელა (კომპანიის წევრად შესვლა, კორპორაციის წევრად და ხელმძღვანელ ორგანოებში არჩევა) დაკავშირებული იყო დიდხალ ხარჯთან, წევრთა მასისათვის, ყველაზე მდიდართა გამოკლებით, თანამდებობათა დაკავების შესაძლებლობა ყოველთვის დაბნული იყო³ და „წევრთა უმრავლესობა თანდათან სცილდებოდა რაიმე მონაწილეობის მიღებას ოთხი მამასახლისის ყოველწლიურ არჩევნებში“⁴. „საკუთრად ხელოსნები, რომელთაც

¹) ხშირად მდიდარ მემამულეებს ან მათს შვილებს აირჩევდნენ ხოლმე გილდიათა და კომპანიათა წევრებად. ამასთანავე რასაკვირველია, რომ ისინი უფრო ვაჭრობას მოჰკიდებდნენ ხელს, ვიდრე ხელოსნობას.

²) A. G. Johnson, სენებ. თხზ., ტ. I, 125.

³) Urrwin, სენებ. თხზ., 42.

ერქვათ bachelors of Jeomen (ყველა უფლებათა ჯერ არ მქონენი) დამოკიდებულ მღვდმარეობაში აღმოჩნდნენ¹. ასე მოხდა, მაგალითად, მე-XVI ს. დამდეგს ოქრო-მქედელთა, მეგალანტერეთა, მემაუდეთა, მეკრავთა და მეტყავითა კომპანიებში². მემაუდეთა კომპანიები ხშირად სჩიოდნენ: კორპორაციული ვაჭრები გამუდმებით გვერდს უვლიან შეულებავი მათის ვატანის აკრძალვის კანონსაო, — რომელიც დაწესებული იყო ხელოსანთა ინტერესების დასაცავად³. მდიდარი ვაჭრების მიერ გილიათა მმართველობის ამნაირადვე ხელში ჩაგდებას მქონდა ადგილი, როგორც ჩანს, გერმანიის ქალაქთა უმეტესობაშიც, აგრეთვე პარიზის *corpus de métiers*-ში (ხელოსანთა კორპორაციაში)⁴.

მაგრამ მე-XVII ს. თავი იჩინა ახალმა ფაქტორმა, რომელმაც ამ განვითარების სწორხაზიანობა დაარღვია. ხელოსან-ოსტატთა ნაწილმა დაიწყო ბრძოლა იმ დამოკიდებულებიდან გასანთავისუფლებლად, რომელშიც ისინი მე-XVI ს. ჩაცვიდნენ. ტიუდორთა კანონმდებლობამ მუშათა მღვდმარეობა გააუზღობესა, და მოსპო ზოგი ის შემზღუდველი წესთაგანი, რომლის საშუალებითაც ხელოსნები უძნელებდნენ მათ ოსტატად გახდომას. ამ მიმართულებით მოქმედობდნენ 1531 და 1536 წ. წ. გამოცემული კანონები; რომლებითაც შემცირებული იყო არანორმალურად დიდი შესასვლელი გადასახადი და აკრძალეს მუშათაგან ფიცის ჩამორთმევა იმის შესახებ, რომ ისინი არასოდეს არ შეეცდებიან დამოუკიდებელ ოსტატად გახდომას. ამ მიმართულებითვე მოქმედებდნენ მე-XVI ს. აღმოცენებული მუშების ასოციაციები, რომლებმაც ზოგიერთ შემთხვევაში მოახერხეს ხელუფასის აწევა და გააუქმებინეს თავისუფლებათა ზოგიერთი შემზღუდველი წესები. ამის გამო გაძლიერდა მუშა-ქარგლების მისწრაფება ან მალლა, ქალაქებში ოსტატთა წრეებისაკენ, ან სოფლისკენ, რათა იქ მოწყობილიყვნენ გილიათთა კონტროლისაგან თავისუფალ ოსტატებად, და ემუშავნათ კაპიტალისტ-მემაუდისათვის. როგორც პირველმა, ისე მეორემ გამოიწვია წერილ ოსტატთა მღვდმარეობის გაუარესება მრავალ ქალაქთა გილიათში, იმავე დროს მუშათა მოძრაობის წარმატებას მოჰყვა მისივე ძალებისა და მნიშვნელობის შესუსტება მრავალში. მართლაც და, რამდენადაც უფრო ენერგიულნი და საქმიანი მღვდმარეობას იუმჯობესებდნენ და ოსტატები ხდებოდნენ, ქარგალ-მუშათა მასა მთელ თავის იმედებს ამნაირ გამოსავალზე ამყარებდა და აღარა ზრუნავდა იმისათვის, რომ შეკავშირებულიყო, როგორც ცალკე კლასი. მე-XVI და მე-XVII საუკუნის უფრო პატივმოყვარე ქარგალი თავის ინტერესებს წერილი ოსტატის ინტერესთაგან არ ანსხვავებდა. ამიტომ ქარგალთა კლასს, როგორც კლასს, გამუდმე-

¹) A. N. Johnson, სენებ. თხზ., 23; იხ. აგრეთვე Lipson, Econ. History, 378-381.

²) Unwin, სენებ. თხზ., 43-46; Johnson, სენებ. თხზ., ტ. I, 148-151; ტ. II, 45-47; Cunningham, growth (Middle Ages, I), 513; Salzmann, Indus. in the Middle Ages, 177-178.

³) მემაუდეთა კომპანიაში მე-16 ს. შედიოდა სამი ჯგუფი: 1) დამოკიდებული ხელოსან-ოსტატები, რომელნიც ნაკეთობათა შეღავათებაზე მუშაობდნენ; 2) ვაჭარ-მეწარმენი, რომელნიც სოფლელი მემაუდევებისაგან ყიდულობდნენ დაუმუშავებელ მათდს, რომელსაც მერე ჰყიდდნენ ვაჭარ-ექსპორტიორებზე; 3) ვაჭარ-ექსპორტიორები (Unwin, სენებ. თხზ., 112-114).

⁴) Cunningham, Western Civilization (Modern Times), 181; Unwin, სენებ. თხზ., 42.

ბით აკლდებოდენ ყველაზე თაოსნობის უნარიანი წევრები და იგი თანდათანობით უბრუნდებოდა თავის წინანდელ დამოკიდებულ მდგომარეობას¹. ქარგალთა ნაწილმა ორგანიზაციის საშუალებით რამდენადმე მალა იაწია, ასე, რომ შემცირდა ის მანძილი, რომლითაც იგი დამოკიდებული იყო მალლამდგომი კლასისაგან. ამის წყალობით ქარგალთა კლასს საუკეთესო და ენერგიული წევრები აკლდებოდენ და იგი ხელახლა აპარიაში ჩავარდა.

მართლაც, კოლექტიური ორგანიზაციის ტრადიცია, როგორც ჩანს, მე-**XV** ს. ქარგალთაგან გადავიდა არა მე-**XVI** ს. მათ მომწვებზე, არამედ მათი წრიდან გამოსულ იმ გაბედნიერებულ შთამომავლებზე, რომელნიც ოსტატად იქცნენ. **Jeomanry**—კორპორატიულ კომპანიათა არასრულუფლებიანი წევრები (თუმცა წინად, მათ ეკუთვნოდათ როგორც ჩანს, ოსტატებთან ერთად, ქარგლებიც) მე-**XVI** ს., უმთავრესად წვირლ ხელოსან-ოსტატთა ორგანიზაციად იქცნენ, რომლებმაც ბრძოლის საშუალებით კორპორატიული კომპანიის შიგნით მიაღწიეს ერთგვარ ცნობასა და უფლებათა ზოგიერთ მინიმუმს. არასწორუფლებიან წევრთა (**Jeomanry**; ამ ორგანიზაციებმა იწყეს ენერგიულ ღონისძიებათა მიღება ხელოსანთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც კორპორაცია ძალიან ძლიერი იყო, ისინი იძულებულნი იყვნენ ქარგალთა ხარჯზე თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას დასჯერებულიყვნენ. მაგალითად. 1587 წ. შემადუღეთა იომენრებმა მოიპოვეს ორი მამასახლისის დანიშვნის უფლება. მათ მოიპოვეს აგრეთვე ეტრას უფლება ახალი ოსტატების მიმართ. მეთ.მოახერხეს და გამოაკრძინეს ბრძანება, რომლის ძალითაც არც ერთს ქარგალს არ შეეძლო სახლის აშენება, თუ «ამას არ დაუდასტურებდენ იომენრის მამასახლისები. ხოლო მეკალეთა კომპანიამ, როგორც ჩანს, ქარგლები გამოირიცხა იომენრის შედგენილობიდან და ეს უკანასკნელი მხოლოდ მარტო ოსტატთა ორგანიზაციად აქცია.² ამ საუკუნის შუა წლებში მსხვილ კომპანიათა უმეტესობაში თავი იჩინა კრიზისმა, რომელიც ვაჭართა ოლიგარქიის წინააღმდეგ მდიდარ ხელოსან-ოსტატთა მიერ მოწყობილმა ძლიერების გზაზე შემდგარმა ოპოზიციამ გამოიწვია³.

მე-**XVII** საუკუნეში წვირლ ოსტატთა ორგანიზაციები ხანდისხან იხე შორსაც კი მიდიოდენ, რომ მოითხოვდენ ინკორპორაციას, რათა ამ გზით განთავისუფლებულიყვნენ ვაჭართა დამოკიდებულებისაგან. მაგალითად, 1619 წ. ტყავის ვაჭართა კომპანიის მეტყავეებმა, მიუფე იაკობს მიმართეს პეტრიციით ქარტის შესახებ. პეტრიციაში ისინი გამოსთქვამდენ თავიანთ საჩივარს კომპანიის ვაჭრების წინააღმდეგ, რომ მათზე უფრო მეტად გაფუჭებული ხალხი სხვა არავინ მოიპოვებო. «იმიტომაო,—სწორდენ ისინი,—რომ ყველა სხვა ხელობაში გამდიდრებული მედუქნეები თუმცა მუშებს თავის მორჩილად ხდიან, მაგრამ მაინც დასაშვებად მიაჩნიათ, როდესაც ისინი სათანადოდ დახელოვნდებიან—გაუთანასწორდენ მათ, და იმავე დროს ისარგებლონ მათი მფარველობით და მათი კომპანიისა თუ საზოგადოების პრივილეგიებით; და თუმცა ზოგიერთი მედუქნეინ

1) **U n w i n**, ხსენებ. თხზ., 58.

2) **U n w i n**, 60-61.

3) იქვე, 207.

მ. დობბი, კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება.

მიპყიდიან მუშებს საჭირო მასალას, მაგრამ ისინი მათგან დამზადებულ საქონელს ღებულობენ სამართლიან ფასად, როგორც მაგალითად, ოქრომკვლელები, მეჭურჭენი, მებაბრეშუმენი და ზოგიერთი სხვანი¹. მაგრამ ტყავის ვაჭრები სხვებზე ბევრად მუხანათები არიან. «საქმარისია რამენაირად თავისი მსუნავი ხელი შეყონ მწარმოებელისა და ვაჭრის, და ერთ-ერთ ზემოხსენებულ ხელობაში და ნაყიდ საქონელს ისინი უკვე აღარაფრის გულისთვის თავს არ დაანებენ, სანამ არ გაპყიდინა»². არის ცნობები იმის შესახებ, რომ არსებული შეთანხმება ვაჭართა შორისაც, როგორც ჩანს, ამ შეთანხმებამ საქვე იქამდე მიიყვანა, რომ ვაჭრები იძულებულს ხდიდნენ მუშა-მეტყავეებს დაემუშავებინათ ნედლეულობა მხოლოდ და მხოლოდ მათთვის და მათ მიერვე დაწესებულ ფასებში. ხელოსნებმა გადასწყვიტეს თავი დაეღწიათ ამგვარი აბსოლუტურ დამოკიდებულებისაგან და შეფის კარზე მოხერხებული გავლენის მოხდენით 1638 წ. მათ მიიღეს საჩუქრად ინკორპორაცია მეხელთათმანეთა კომპანიის სახით, ასევე მოიქცნენ მატყლის მთელავეები, რომელნიც მეჭურჭეების კომპანიის კონტროლის ქვეშ იყვნენ. მათ 100 გ. სტ. მისცეს პარლამენტის წევრ ტიპერს და 1604 წ. მიაღწიეს იმას, რომ პარლამენტმა მიიღო ბილი, რომლითაც მათ ინკორპორაციის ქართია ებოძათ³. ამ ახალ კორპორაციათა ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა საერთო ფონდის შექმნა, რომლის მეოხებითაც ისინი ერთად შეიძინდნენ საჭირო ნედლ მასალას და აწარმოებდნენ განთავისუფლებოდნენ მანამდე არსებულ მათი შრომის არახელსაყრელ პირობათაგან. იმ შემთხვევებში, როდესაც სათანადო საშუალებანი არ მოეპოვებოდათ. იძულებულნი იყვნენ გარეშე კაპიტალისტებისთვის ეთხოვნათ დახმარება, როგორც ეს მექინძისთავეთა კომპანიას დაემართა. თუ დამხმარე პირები მდიდრები და გავლენიანი იყვნენ, მათ დახმარებას დაშატებითი სარგებლობა მოჰქონდა, ხელს უწყობდა რა ქარტიის შექმნას ან ვაჭარებს (პარლამენტში) ინკორპორაციის შესახებ. ამნაირი მონოპოლიები შეიძინეს მდიდართა მფარველობის წყალობით—მებაბრეშუმეებმა და მესახამებლეებმა, ავრთვეე მესახნეებმა, სათამაშო ქალაღლის მკეთებლებმა, მეშუშეებმა და მეშაბეებმა.

მაგრამ წერილ ოსტატთა ეს კორპორაციები ხანგრძლივად სახირო იყო მხოლოდ მის წევრთა პატარა და მდიდარი ჯგუფისათვის. იმისათვის, რომ მოპოებული თავისუფლება ვაჭარ—მეწარმეთაგან დაეცვათ, აუცილებლად საჭირო იყო კაპიტალი. ამიტომ, ბუნებრივია, დაიბადა ტენდენცია კორპორაციის ხელმძღვანელობა ისეთი პირებისთვის გადაეცათ, ვისაც შეეძლო ეს კაპიტალი მიეწოდებინა მათთვის. «წერილ ოსტატთა კომპანიებს მიზანშეწონილად და აუცილებლად მიაჩნდათ შერიგებოდნენ თავიანთი ხელობის დამორჩილებას მათი ორგანიზაციის შიგნით თუ გარეთ მყოფ რამდენისამე ისეთი პირისათვის, რომელნიც თანახმანი იქნებოდნენ მიეცათ მათთვის სათანადო კაპიტალი»⁴. ზოგიერთ გილდიაში, მაგალითად კასტორის ქულების მკრავთა გილდიაში, ოსტატკაპიტალისტების ეკონომიური უპირატესობა ისეთი იყო, რომ მათ საშუალება ჰქონდათ მონოპოლია მოეპოებინათ თავის უფრო ღარიბი მოძმეების ხარჯზე⁵.

¹) Unwin, 128-129.

²) იქ.ე, 134-135.

³) W. Hydeprice, Engl. Patents of Monopoly, 36-37.

⁴) H. Lewy, Economic Liberalism, 26.

ისეთს კომპანიებში, როგორც იყენებ მეკალების, მეზუღეებისა და ფეიქართა კომპანიები, სადაც ადგილი ჰქონდა ხელოსანთა დემოკრატიულ მოძრაობას, ეს უკანასკნელი დამთავრდა კომპრომისით, რომლის ძალითაც ხელისუფლება ერგო არა წერილ ოსტატთა მასას, არამედ მხოლოდ მათ წრიდან გამოსულ მსხვილ მეწარმეებს¹. „მსაჯულთა პალატამ შეითვისა სამრეწველო ჯგუფებისადმი დათმობის პოლიტიკა, რათა ძალა წაერთმია ხალხის მოძრაობისათვის“². წერილ ოსტატთა მასა მალე დარწმუნდა, რომ მათ მხოლოდ გამოიცვალენ მეწარმენი. ახლა ისინი დამოკიდებული ჰყავდა არა ვაჭართა კარჩაკეტილ კორპორაციას, არამედ სამრეწველო კაპიტალისტების ახალ კლასს, რომელმაც შექმნა³ წარმოების მონოპოლია. ყოველივე ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ მე-XVII ს. დამლევს ხელოსან-ოსტატის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა, ვიდრე სამრეწველო რევოლუციის დაუძლეველმა ქარიშხალმა იგი უბრალო დაქირავებულ მუშად არ აქცია.

მე-XVII საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედი, რომლის გასწვრივ ჩნდებოდნენ ახალი კაპიტალიზატური ჯგუფები, მრავალ დარგში იყო პერიოდი ცვლილებებისა და ახალ პირობებში გადასვლისა. იაკობ I მეფობაში პირველად იჩინა თავი ვაჭრობის თავისუფლებისათვის მოძრაობამ. უკვე 1604 წ. სერ ედვინ სენდისი ბარლანენტში აცხადებდა: „რამდენადაც ვაჭრობა ყველა დანარჩენ ხელობასთან შედარებით უმთავრესი და ყველაზე გავრცელებული და გამამდიდრებელი ხელობა არის და მეტი მნიშვნელობაცა აქვს, ვიდრე ყველა დანარჩენს,—იმდენად ბუნებითს სამართალს და ინგლისის ქვეშევრდომების თავისუფლებას ეწინააღმდეგება იმის რამდენისამე კაცის ხელში ჩაგდება... ამ კომპანიათა დირექტორებმა თავისი მონოპოლიზატური განკარგულებას უშუალებით იმას მიაღწიეს, რომ მთელი ვაჭრობის საქმე ხელში ჩაუეარდა სულ რაღაც 20-ადე კაცს, ხოლო დანარჩენი მხოლოდ გარეგან საბურველს წარმოადგენენ და უმნიშვნელო მოგებას ღებულობენ“⁴. წინადადება იქნა შეზანილი, რომ ვაჭართა კომპანიებში შესვლის ნება ჰქონოდა ყველას, ვინც შესასვლელ გადასახადს გადაიხდიდა. ამტკაცებდნენ, რომ ამ გზით სიმდიდრე მთელი ქვეყნის მცხოვრებთა შორის უფრო თანაბრად განაწილდებდა და იგი აღარ იქნება მარტო რამდენისამე ლონდონელი ექსპორტიორის ხელში თავმოყრილი⁵. 1624 წ., ამ აგიტაციას ის შედეგი მოჰყვა, რომ პარლამენტმა მიიღო საერთო კანონი მიმართული მონოპოლიების წინააღმდეგ.

არის საკმარისი ცნობები იმის შესახებაც, რომ ამ აგიტაციის ნამდვილი

1) U n w i n, ხსენებ. თხზ., 209.

2) მეწარმის მთავარი ამოცანა იყო მრეწველობის მოცემულ დარგში მონოპოლიის პატენტის საშუალებით განუსაზღვრელი ბატონობის მოპოება და ამ მონოპოლიის მეშვეობით ახალი საწარმოთა აღმოცენების ან სხვა ვაჭრებ-სადმი მიყიდვის ხელის შემლა... მისი მიზანი იყო თავის მიერ ფინანსირებულ მეწარმეები სულ უფრო მეტად და მეტად დამოარჩილებინა და საშუალება წაერთმია მათთვის სხვა მყიდველებისათვის მიყიდნისათვის დაკეთობანი“. (L e w y, ხსენებ. თხზ., 23)

3) W. R. Scott, Joint Stock Companies. ტ. I, 119. მათ შეუძლოთ მიეთითებინათ ამ ფაქტზე, რომ საბაჟოს შემოსავლის ცნობების მიხედვით, მთელი ინგლისის ვაჭრობა განაწილებული იყო ლონდონსა და დანარჩენ ინგლისს შორის პროპორციით: 110.000 გ. სტ. 17.000 გ. სტ.

მიზეზი იყო არა თვით მონოპოლიები თავის-თავად, არამედ მეფის ხელისუფლების მიერ, — საერთოდ ვაჭრობის საზარალოდ, — ცალკე პირებისათვის თვითნებურად მონოპოლიების დარიგება. საფიქრებელია, რომ მოძრაობის მთავარ ძალას წარმოადგენდნენ იმ ვაჭართა და სამრეწველო წრეების ახალი ფენები, რომელთაც არსებულ პრივილეგიურ ჯგუფთა მონოპოლიები დამაბრკოლებელ გარემოებად მიაჩნდათ, — და თავის თავზე მსგავსი პრივილეგიების გავრცელებით საკუთარი პოზიციების გამაგრება სურდათ¹. თავდასხმა მონოპოლიებზე, რომლებსაც მეფე არიგებდა კარისკაცთა მითითებით, ყოველთვის პოპულარული იქნებოდა პროვინციულ ვაჭართა და ხელოსანთა შორის, ვინაიდან ხსენებული გარემოება ყველაზე მეტად სწორედ მათ აზარალებდა. მათ სრული უფლება ჰქონდათ განეცხადებინათ, რომ ტიუდორების მონოპოლიათა სისტემა ამდიდრებდა მართლაც „სულ რაღაც 200-ოდე კაცს“ ლონდონში, და, რომ ამ შემზღვეული წესების შესუსტებას მოჰყვებოდა მთელი ინგლისის მცხოვრებთა შორის უფრო თანაბრად განაწილება იმ სიმდიდრისა, რომელიც ინგლისში თანდათან იზრდებოდა. ამ პროვინციალური ჯგუფების ზოგიერთი წარმომადგენელი ის-ის იყო შორდებოდა ადგილობრივ ბაზარზე წვრილმანი ვაჭრობის ფარგლებს და აფართოვებდა რა თავის მოღვაწეობას — ლონდონელი ვაჭრების სამფლობელოში იჭრებოდა. ბევრი მათგანი ცდილობდა თუ პირადად არა, თავისი სავაჭრო მოღვაწეობით მაინც გადასულიყო სატაბტო ქალაქში — ლონდონში. ადგილობრივი მემამულენი მუდმივად აღშფოთებულნი იყვნენ ლონდონის კომპანიის ცდით, რომ უკანასკნელს ხელთ ეგდო მთელი სამეფოს საბითუმო ვაჭრობა და პროვინციული მემამულენი იძულებული გაეხადა მხოლოდ მისი საშუალებით გაესაღებინათ საქონელი². თავისი ინტერესების დაცვის დროს ისინი ჩვეულებრივ ეყრდნობოდნენ ადგილობრივ პრივილეგიებს. მაგრამ ასე როდი იქცეოდნენ მათ შორის უფრო პროგრესიულნი; უკანასკნელნი მატყლს ურიგებდნენ ახლო-მახლო სოფლების ხელოსნებს და ამნაირად მაუდის სოფლელი ფაბრიკანტები ხდებოდნენ, — მატყლის ადგილობრივ შინამრეწველობას სათავეში უდგნენ. ასე იქცეოდნენ კერძოდ, შრიუსბიურის მემამულენი და ტილოთი მოვაჭრენი ჩესტერში. როგორც მანუფაქტურისტები, ესენი შეედეგ საქმიან ურთიერთობაში შევიდნენ ნაციონალურ ბაზართან და ხშირი შეტაკება უხდებოდათ ლონდონელი მემამულეებისა და მანუფაქტურისტების ისეთ კომპანიებთან, რომელნიც ცდილობდნენ მაუდის გატანა მხოლოდ საკუთარ მონოპოლიად ექციათ³. ტიპიური იყო პროტესტი 1555 წ. ფეიქართა შესახებ გამოცემული კანონის წინააღმდეგ, რომელიც მაუდის წარმოებას ზღუდავდა ვაჭარ-ექსპორტერთა კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ⁴. ლონდონის ექსპორტერთა კომპანიის წინამუსო საქციელის შესახებ მწარედ სჩიოდნენ აგრეთვე ადგილობრივი ვაჭარ-ექსპორტერები⁵.

¹) პროფესორი სკოტი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გამოცემულ კანონებზე ამბობს: „ვერღა იცოდა, რომ ესენი ვაჭართა ერთ ჯგუფმა გაიყვანათ“ (ხსენებ. თხზ., 124). აფრიკული მთავრობის მთავარი მოწინააღმდეგენი იყვნენ ოსტ-ინდოეთის კომპანიის წევრები (248).

²) Ashley, Early History of Engl. Wool. Ind., 66-67; Lipson, ხსენებ. თხზ. 428. V. C. Il. Suffolk, 2, 266.

³) Unwin, ხსენებ. თხზ., 87-93, 98-99.

⁴) G. W. Daniels, Early History of Cotton Industry, XXVII, 3.

⁵) M. Sellers, ხსენებ. თხზ. 1, LIII.

მეორე მხრით ადრე ჩამოყალიბებული ჯგუფები, ბუნებრივია, რომ ნაკლებად თანაუგრძობდნენ ახალთა ჩივილს. მე-XV საუკუნის „ახალი მდიდრები“ (nouveaux riches) ყიდულობდნენ მამულებს, აწინებდნენ იქ ციხე-კოშკებს და მე-XVI ს. უკვე ახალ არისტოკრატის წარმოადგენდნენ. ისინი სწორედ იმ კლასს წარმოადგენდნენ, რომელნიც ვაჭარ-ექსპორტიორთა თირმით მომქმედი რეგლამენტირებული კომპანიების მოგებიდან ლომის წილს ღებულობდნენ. ამიტომ მე-XVII ს. ისინი წარმოადგენდნენ კონსერვატიულ ძალას, რომელიც ერთგულად იცავდა იმ კომერციულ პრივილეგიებს, რომელზედაც მისი სოციალური კეთილდღეობა იყო დამოკიდებული. ისინი უქმად ატარებდნენ დროს, ცხოვრობდნენ სოფლის მემაბულეთა ფუფუნებით აღსავსე პირობებში. ამიტომ ზნეჩულებით და ფსიქოლოგიით, — როგორც ეს უფრო ადრინდელ ეპოქაში ფლამანდულ otios-ს-ებს დაეხარათ, — ისინი ფეოდალებს დაემსგავსნენ. მეფის ხელისუფლება გარკვეულად დაინტერესებული იყო მონოპოლიათა არსებობით, როგორც შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროთი. დედოფალი ელისაბედი მონოპოლიებს გასცემდა ხოლმე რაიმე სამსახურისათვის, ან თავის ფავორიტებს უბოძებდა. იგი მონოპოლიებს იძლეოდა, როდესაც ხაზინაში ფული არ ჰქონდა თავის მოხელეთა და სასახლის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მისაცემად. სასახლეს და კარისკაცთათვის ძალიან სარფა იყო ეს სისტემა, რადგან მათ მდგომარეობა საშუალებას აძლევდა ადვილად მოეპოვებინათ მეფის ეს წყალობა არამარტო თავისათვის, არამედ მონოპოლიათა მადიებლებისათვისაც, რადგან ეს უკანასკნელნი ხალისით იხდიდნენ ფულს, ოღონდ კარისკაცებს მათი მოთხოვნილებისათვის მეფის წინაშე მხარი დაეჭირათ.

ზემოასენებული გარემოების გამო ინტერესთა იმ წინააღმდეგობის საფუძველზე, რომელზედაც უკვე ვილაპარაკეთ, თავი იჩინა პოლიტიკურმა უთანხმოებამ. ეს პოლიტიკური უთანხმოება დაიწყო 1604 წ. მონოპოლიათა საწინააღმდეგო ავტოკრიით; შემდგომ იგი შეეხო პარლამენტის უფლებას, — ამ ვაჭართა და მრეწველთა საკმაოდ ფართო ჯგუფების იარაღს, — მმართველობისა და გადასახადთა დადების დარგში. კარგა ხნის შემდეგ ეს პოლიტიკური უთანხმოება გამოიხატა ჰანოვერის მემკვიდრეობის პრობლემასა და რობერტ ვალპოლის პოლიტიკაში. ახალმა ინტერესებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა და მე-XVIII საუკ. პირველი სამი ათეული წლები მოწმენი გახდნენ მონოპოლიათა გაცემის წესის შეცვლისა. მონოპოლიები არ მოუსპაით, მაგრამ მეფე მას უკვე მეტი სიფრთხილით არიგებდა. იმის მაგივრად, რომ თავის წინაშე დამსახურებულ კარისკაცებისთვის დაერიგებინა, მეფე მონოპოლიას აძლევდა უკვე ნამდვილ მეწარმეებს; ამავე დროს კომერციულ წრეებისადმი მონოპოლიის ბოძება ნელინელ გამოდევნა პატენტზე მონოპოლიაზე, რომელსაც მრეწველთა ჯგუფებს აძლევდნენ ხოლმე¹.

ბრძოლა გაჩაღდა 1603 წ. ერთი პრინციპიალური სამოსამართლო საქმის ირგვლივ: ერთს ლონდონელ მეწერილმანეს წარუდგინეს ბრალდება, რომ მან დაარღვია ვიღაც ედუარდ დარსის საბანკოვო (სათამაშო ქალაქების) მონოპოლია. მაგრამ ბეკონს² უფლება ჰქონდა ესაყვედურებინა მონოპოლიის მოწინა-

¹) Lewy, სინებ. თხზ., 19; W. H. Price სუნებ. თხზ. 35

²) ფანსოუკ ბეკონი (Bacon) (1561-2626) — ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი. 1601 წლიდან ის იყო სამეფო ადვოკატი (რიდ. შიიზენა.).

ნააღმდეგეთათვის არათანმიმდევრობა, ვინაიდან მათი მოთხოვნები არ ვრცელდებოდა კორპორაციათა მონოპოლიებზე. მოძრაობის მიზნები საესეებით ცხადყო იმ მიმართულებამ, რომელიც მონოპოლიათა წინააღმდეგ ამ ლაშქრობამ შემდეგში მიიღო. იაკობ მეფის დროს მონოპოლიის საკითხის გასარკვევად დანიშნულმა კომისიამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია სპეციფიკურ ბოროტმოქმედებებს, როგორც იყო ჰერცოგ ბუკინჰამელის ცნობილი „რინგი“, რომელშიაც მონაწილეობდნენ სერ ჯაილს მომპესონი და სერ ფრენსის მიჩელი, და რომლის წინააღმდეგ აღძრულ იქნა სასამართლოში ძიება¹. 1624 წელს მონოპოლიათა წინააღმდეგ გამოცემულ კანონს, როგორც ჩანს, უმთავრესად მხედველობაში ჰყავდა სამეფო კარის ფავორიტები და სპეციალური შემთხვევანი, მაშინ როდესაც იგი კორპორაციათა და კომპანიათა „კანონიერ უკლებლებზე“ სრულიად არ ვრცელდებოდა². ყოველ შემთხვევაში ამ კანონს მონოპოლიათა შემცირება სრულიად არ მოჰყოლია. ასე რომ, 1640 წ. სერ კოლ პეპერი საესებით სამართლიანად ამბობდა: „ეგვიპტური ბაყაყების მსგავსად ისინი დაეპატრონენ ჩვენს სადგომებს და არც ერთი ისეთი კუთხე არ მოგვეპოება, მათ რომ არ ექიროთ. ისინი ჩვენი თასიდან სვამენ, ჩვენს ჯაშუში ჰამენ და ჩვენს კერას მოსხდომიან. ისინი ჩამძვრალან ჩვენს სამღებრო კასრში, საარეცხის გობში, დასამარილებელ ქილაში. მათ დაგვდალეს და შეგვსუდრეს თავით ფეხთამდემათ სრულიად არაფერი სურთ დაგვიტოვნონ“³.

რასაკვირველია, ამ აგიტაციას ვაქრობის თავისუფლების დამცარება არ მოჰყოლია და ეს არც თუ მაინცდამაინც მის მიზანს შეადგენდა. ყოველ შემთხვევაში გაბატონებული სისტემის ყველაზე გაცხარებული მგომბელნი ხშირად საქმეს იმით ათავებდნენ, რომ ამ სისტემის სიკეთეებს თვითონ დაეწაფებოდნენ და შემდეგი მისი ერთგული დამცველები გახდებოდნენ ხოლმე. სენდისი შემდგომ ხანებში ვირჯინიის კომპანიის ხაზინადარი შეიქმნა და ვირჯინიის კომპანიის თამბაქოს მონოპოლიას იცავდა. ტომას ნორზე, რომელიც გრელანდიის კომპანიის წინააღმდეგ იბრძოდა, 1639 წ. ქვანახშირის ზღვით გადაზიდვის მონოპოლიის მთავარი მოღვაწე შეიქმნა⁴. რაც შეეხებოდა პროვინციულ ჯგუფებსა და უფრო წერილ მრეწველებს, რომელთაც ეყრდნობოდა აგიტაცია, ისინი, როგორც ჩანს, შემდეგ უნაშუსოდ მიატოვეს ბედის ამარად. მიუხედავად ამისა, ამ მოძრაობას დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მის დროშაზე წარწერილი ლოზუნგები, — როგორც ეს ხშირად ლოზუნგებს ემართებათ ხოლმე, — სრულიად არ გამოხატავდა მის ნამდვილ მისწრაფებებს. ამ მოძრაობას უმთავრესად შემდეგი ცვლილება მოჰყვა: წინად თუ მონოპოლიას ურიგებდნენ ცალკე პირებს კარისკაცთა ინტრიგების წყალობით, ახლა შემოიღეს ისეთი სისტემა, რომელიც მონოპოლიებს კაპიტალისტთა კორპორაციებს ანიჭებდა. კარისკაცთა გავლენის ძალა უნდა შეეცვალა კაპიტალის ძალას. კარჩაკეტილი კომპანიები და ცალკე მონოპოლისტი უნდა შეეცვალა სააქციო კომპანიას, რო-

¹) W. H. Price, სენ.ბ. თბ., 25-33.

²) Lewy, სენ.ბ. თბ., 22-23.

³) H. Lewy, სენ.ბ. თბ.ჯ. გვ. 25.

⁴) W. R. Scott, სენ.ბ. თბ., 121, 148.

მელშიაც შეეძლო შესვლა ყველას, ვისაც კაპიტალი გააჩნდა¹. წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი თხოულობდა თანაბარ ადგილს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულ კაპიტალთან ერთად.

მოძრაობას მეთაურობდნენ ადამიანები, რომელნიც შურით შესწეროდნენ პრივილეგიის მქონეებს და თვითონ ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ეს პრივილეგიები. მაგრამ ეს პოლიტიკური მოძრაობა ეყრდნობოდა იმ ფენებს, რომელთაც არ ჰქონიათ უშუალო იმედი უმაღლესი კლასის სიკეთიდან რაიმე რგებლად და ამიტომ პრივილეგიებისადმი უფრო მკაცრად და მტრულად იყვნენ განწყობილნი. ეს საშუალო კლასი, რომელიც შედგებოდა ვაჭრებისაგან, — სოფელ მემაწვდეთა და ხელოსან-ოსტატთა წრიდან გამოსული სოციალისტებისაგან განსხვავებით (ამ განსხვავებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მე-**XVII** საუკუნეში), რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ცოტაოდენი შეძლება და დამოუკიდებლობა, — მკაცრად და მტრულად უყურებდა ყველაფერ იმას, რაც დაზახსათებელი იყო ლონდონელი „დიდკაცებისათვის“, მტრულად უყურებდა მათ ნახევრადფეოდალურ ზენეგეულებასა და მათ კომერციულ საქმიანობას. ეს ჯგუფები, ალბათ, ისევე უყურებდნენ ოსტინდოეთის კომპანიის მსხვილ კაპიტალისტებს, როგორადაც ამერიკაში, ფერმერთა მოძრაობის დროს, ფერმერები უცქეროდნენ რკინისგზის გიგანტებსა და აღმოსავლეთის შტატების ტრესტებს, რომელნიც დღითიდღე იზრდებოდნენ. ისინი, ალბათ, ისეთისავე მტრობით უცქეროდნენ ლონდონელ ოქრომჭედლებსა და მეძაუდეებს, როგორადაც ლაფოლეტი უყურებს ჯ. პ. მორგანსა და კომპ. და სტანდარტ-ოილის კომპანიას. ისინი დემოკრატიული სულით იყვენ გაქვნილნი, აღფრთოვანებულნი დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებით და ჩაბლაღუებოდნენ წვირლ მესაკუთრეობას. მათ ეზიზღებოდათ მეფის კარისა და თავად-აზნაურობის ზენეგეულებანი და მოდები. ისინი ქება-დიდებათ იხსენიებდნენ შრომასა და გარჯას, ჰგომბდნენ რა რენტისა და მონოპოლიური მოგებათა პასიურ მიზლებთა უსაქმურობას. ისინი მტრულად შეხედდნენ იმ ფეოდალურ ტენდენციას, რომელმაც გაფრცელება იწყო ახალ საზოგადოებაში, — ისევე როგორადაც იგი შეიქრა ოთხასი წლის წინად იტალიის ქალაქებში და თავისი ჯადოთი მოხიბლა იტალიური მოქალაქენი, — მათი მეოხებით მოხდა, რომ კაპიტალისტური სული არ ჩამქრალა. მათი წარმოდგენით უმაღლესი ქველობა და სიკეთე იყო: მომქირნობა, შრომა და გარჯილობა, თაოსნობა საქმიანობაში, პირადი გარჯა შეძლებისა და სახელის მოსახეველად, დასახული მიზნის მისაღწევად და მასთან შესაგუებლად მთელი თავისი მოღვაწეობის რაციონალიზაცია. უსაქმურობა, — სულ ერთია, იყო ეს უსაქმურობა გლახაკისა თუ არისტოკრატისა, — მფლანგველობა და დღევანდელი დღის სიკეთით ნეტარება, მათ თვალში ყველაზე მიუტყვებელი ცოდვა იყო, — ცოდვა იმ მკაცრი ღვათების წინაშე, რომელიც თვითნებური ადამიანის ცოდვა-მადლს ისევე იწერს, როგორადაც ვაჭარი იწერს დაფთარში შემოსავალ-გასავალს. ერთი სიტყვით, ეს საშუალო კლასი, ეს ბურჟუაზია, იმ თავისი სულისკვეთებით — პურიტანული იყო².

¹) Cunningham, Growth (Mod. Times. I.) 223; Scott, ხუნებ. თხზ. ტ. I, 246. 314, 331, და შემდ. 439.

²) Lewy, ხუნებ. თხზ., 12-13, 48, 62-63; Westerfield, Middlemen in Engl.

თუკა რესპუბლიკა თავისი პურიტანიზმის მხრით იმაზე უფრო შორს წა-
კადა, ვიდრე ეს სურდათ ლონდონელ კაპიტალისტებს,—რომლებმაც 1640 წ.
რესპუბლიკის მოუწოდეს დასახმარებლად, მან უდიდესი დალი დაამწინა ინგ-
ლისის ეკონომიურ ცხოვრებას. მისი გავლენა უმთავრესად ახალი დროის კაპი-
ტალისტებისთვის იყო სასარგებლო. წინანდელ კლასებსა და ჯგუფებს საძირ-
კველი შეერყათ; მეფის კარის კომპიები და კეკელები ფრიად სულელ ფიგურებად
იყვნენ მიჩნეულნი. მხოლოდ ისეთს ღვთისმოსავსა და მეოცნებე იდეალისტს,
როგორიც იაკობ მე-II იყო, შეეძლო დაეწყო იმის მეცადინეობა, რომ პარლა-
მენტისათვის სახელმწიფო პოლიტიკის ხელმძღვანელობა დადმინისტრაციისად-
მი კონტროლი წაერთმია. მეფის ფულადი რესურსები ახლა მთლად ბანკირებსა
და პარლამენტზე იყო დამოკიდებული: პირველთა ხელში იყო სახელმწიფო სეს-
ხის საქმე, ხოლო ნეგორისაში ბიუჯეტის მიღება¹. ახალ კაპიტალისტურ წრეებს—
რომელთაც უკვე იცოდნენ სამრეწველო ნამცხვარის გემო,—თავის ინტერესების
განმოსატყველად ჰყავდათ უმთავრესად ვიგები², ხოლო არისტოკრატია და წი-
ნად აღმოცენებული ოსტ-ინდოეთის კომპანიის მსგავსი ჯგუფები, უმრავლეს
შემთხვევაში ტორიებს³ ემხრობოდნენ⁴. მაგრამ რესტაურაციის შემდგომ პირ-
ველთა მოღვაწეობამ ცხადჰყო, რომ ისინი არასოდეს არ ყოფილანენ გულწრ-
თელნი, რადესაც ლიბერალიზმის სასარგებლო განცხადებებით გამოდიოდნენ.
1698 წელს ვიგებსა და ტორიებს შორის ოსტ-ინდოეთის მონოპოლიის საკით-

Business, 395; Troeltsch, Protestantism and Progress, 132-137; O'Brien, Economic
Effects of the Reformation, 102, 115-116; ლევი აზნაზ: „პუოიტანების ძირითადი იდეა იყო
სარეწვენ უბრალო ცხოვრების შედუღება საქმიან ცხოვრებასთან“ (59). უნდა აღინიშნოს, რომ
ზეპაუბლიკა მამართა საერთო მასაში მნიშვნელოვან გლეხენტებს წარმოადგენდენ დამოუკი-
დებელი ფერმერები.

1) Westerfield, ხუნგბ. თხზ. 404-405; Cunningham, Growth (Mod.
Times, I), 160-161.

2) ვიგები (Whigs), ძველი სახელწოდებაა ინგლისში მს'ვლ მრეწველთა ლიბერალურ-პარ-
ლამენტარული პარტია. სიტყვა ვიგები, შოტლანდურ ენაზე ნიშნავს „ჩაწოას“, რასაც მოწი-
ნადღმდეგები ტორიები) დაკინებით უწოდებენ ამ პარტიას, რომელიც წარმოიშვა კარლოს მე-
ორის დროს, 1679 წელს. ეს სახელწოდება—ვიგები—შემდეგ შეინარჩუნა ამ პარტიამ. ვიგების „შთამო-
ბავალა“ წარმოადგენენ დღევანდელ ინგლისში ლიბერალები, მდიდარი საშუალო წოდებისა და
შსაჯილი კაპიტალისტების პარტია. (რედაქტ. შენ.).

3) ტორი—ინგლისის კონსერვ ტრული პარტია, რომელიც წარმოიშვა ვიგების პარტიასთან
ერთად. სახელწოდება ამ პარტიამაც თავის მოწინააღმდეგეებიდან (ვიგებიდან) მიიღო, რომლებიც
დაკინებით უწოდებენ: „ტორებს“; ოასაც ირლანდელი უწოდებდნენ ყაჩაღად გავარდნილ პაპის-
ტებს (პაპის მიმდევართ; უკანასკნელნი,—მეფის ხელისუფლების აღდგენასა და განმტკიცებანზე
ზრუნის საბაზით კეკუჩანს ანადგურებდნენ. ინგლისის ისტორიკოსმა ალექსანდრე სეფერსმა, რომ „ტორიები
არ არიან აბსოლუტისტები, ხოლო ვიგები—რესპუბლიკანები“. საერთოდ კი ტორიები უმთა-
ვრეს საკითხებში გამოდნენ არსებული კონსტიტუციის დამცველებად, ხოლო ვიგები უფრო
ურთგვებანი იმ ახსნა, რომ „კონსტიტუციის შეტანით იქნეს ცვლილებანი და რეფორმები“.
დღევანდელ ინგლისში სახელად გადარქმეული ტორიები გამოდნენ მსბვილ მიწათმფლობელ და
ბაწათმომქმედი კლასის ინტერესების დამცველებად, და იწოდებნენ კონსერვატორთა პარტიად
(რედაქტ. შენიშვნა).

4) ოსტ-ინდოეთის კომპანია თავდაპირველად ვიგების სასარგებლოდ იყო აგებული, მაგ-
რამ რესტაურაციის შემდეგ შესცვალა პოლიტიკა და თავისი თავმჯდომარის სერ ჩალოდის გაფ-
ოების, ტორიებს მიეწრო.

ხის გამო მოხდა პირველხარისხოვანი პოლიტიკური კონფლიქტი. არსებული კომპანიის წინააღმდეგ მრავალი საჩივარი გაისმოდა: ზოგი ამტკიცებდა, — მისი საჯარო მოღვაწეობის წყალობით ჩვენი ძვირფასი ლითონეულობა (ფული) საზღვარგარეთ ვადისო. აბრეშუმის მქაოელნი ჩიოდენ, რომ კომპანიას ინდოეთის აბრეშუმში შემოაქვს და ამით ძალიან გვაზარალებსო. ამ საკითხმა გამოიწვია დიდი პამფლეტური პოლემიკა, სადაც ვიგები ვაქრობის თავისუფლების მომხრენი იყვნენ. შემდგომ ხანებში ორავე მხარე თეორიული მწვერვალებიდან უფრო ყოველდღიურ საკითხებამდე ჩამოქვეითდა. კომპანიამ ხაზინას შესთავაზა 700.000 გირ. სტ. სესხი, ხოლო მეორე მხრით ვიგთა წრიდან სემ შეფერდმა და სხვა ფინანსისტებმა ხაზინას შეაძლავს 2.000.0000 გირ. სტერ., თუ ოსტინდოეთთან ვაქრობის მონოპოლიას მათ გადასცემდენ. ცხადია, ორმა მილიონმა გადასძლია. და დაარსებულ იქნა ახალი კომპანია, რომელიც წარმატებით ეტოკებოდა ტორებს ყველა იმ უსამართლობათა მხრით, რაშიაც წინად ამ უკანასკნელს ბრალს სდებდენ¹.

თავისი ცხოვრების პირობებით ვიგებნაც იწყეს წინანდელი მოწინააღმდეგეებისადმი ერთგულად წაბაძვა. მათაც დაიწყეს მანულებისა და ტიტულების შესყიდვა და მემამულე არისტოკრატიად გადაქცევა, სწორედ ისევე, როგორც ეს დაემართათ მე-XVII ს. ტორების არისტოკრატიის დამაარსებელთ. ძველი თავადაზნაურობა ძალიან მოხარული იყო, რამ ახალი სისხლითა და ახალი ფულებით განიხლებინა თავისი ოჯახები და თავიანთ შვილებს ხალისით აძლევდენ ახალი სიმდიდრის მფლობელებს. დეფო იმ ხანებში სწერდა: „ამ უკანასკნელ წლებში რამდენი ძველი მამული იყიდეს ამ ორ საგრაფოში (კენტსა და ესექსში) ლონდონელმა მოქალაქეებმა და ვაჭრებმა! რამდენი ჩინებული სახლები ააშენეს ოქ, ისეთები რომლებიც უცხოეთის ზოგიერთ მეფეთა სასახლებს სჯობიანო². და ეს ვიგური თავადაზნაურობა ძალიანა ცდილობდა ყველასათვის ეჩვენებინა თავისი განსხვავება პურიტანებისგან, რომელნიც ოდესღაც მათი მოკავშირეები იყვნენ. მისი წიგნები ირიცხებოდენ ეპისკოპალურ ეკლესიაში, როგორც ერთგული პროტესტანტები. ისინი სდევნიდენ დისენტრებს³, და პურიტანებს⁴ ისე უყურებდენ, როგორც გაუთულე ადამიანებს, „რომელნიც სტვირში ლაპარაკობენ⁵, და კეთილშობილთა კლასის მსგავსი ყოუაქცევისა არა სცნიათ რა.

მეთვრამეტე საუკუნე ვიგების ბატონობის საუკუნე იყო და მას მერკანტილიზმის პოლიტიკის მნიშვნელოვანი გაფართოება მოჰყვა. საფაბრიკო წარმოუ-

1) Cawston and Keane, სუნებ. თხზ., 115-117.
 2) The Compleat English Gentleman, ed. Buhlbring, 263.
 3) დ ი ს ე ნ ტ ვ რ ი (Dissenters) სახელწოდება იმდღისში ყველა იმ პირებისა, რომელნიც არ გუთონიან გაბატონებულ ეკლესიას. სიტყვის ვიწო მნიშვნელობით ინგ. სახ. ეკლესიას ჩამოცილებული პროტესტანტული სექციის წევრი. — პრესვტერიანელი, ბაბტისტი, ინდუპენდანტი, მეტოდისტი, ევაგერი და სხვა (~ ედ. შენ).
 4) პ უ რ ი ტ ა ნ — პროტესტანტული სექტა ინგლისში. სახელწოდება წარმოსდგა იქიდან, რომ პურიტანებმა ცდილობდენ ანგლიკანური სარწმუნოება გაეშინვათ კათოლიციზმის ნაშთებისაგან. ზედმიწევნით იცავენ საღვთო წერილის პირდაპირ აზრს; უარყოფენ ყოველგვარ საეკლესიო თვარაქვას; ხე ჩვეულებათა სასტიკი დამცველებით არიან ცნობილნი (რედ. შენ).
 5) L e w y, სუნებ. თხზ., 61-62.

ბის ინტერესები, უკვე გარკვეულ როლში გამოდიოდა საგარეოვაჭრობის ინტერესებთან ერთად. კოლონიებისათვის შემოიღეს დაწერილებით შემუშავებული შემზღვევლი წესები, რათა მათ არ შემოეტანათ ისეთი პროდუქტები, რომლებიც ბრიტანეთის მრეწველობის პროდუქტებს კონკურენციას გაუწევდა. მეორე მხრით ამჟამა მფარველობას უწევდენ კოლონიებიდან ნედლი მასალის შემოტანას. ახლა ცდილობდენ მოეპოვათ უკვე არა საბაზრო უპირატესობანი იმ საქონელთათვის, რომლითაც სოფედაგარი ვაჭრობდა, არამედ იმას, რომ საშინაო ბაზარსა და საზღვარგარეთაც მოეპოვებინათ უპირატესობანი კაპიტალისტისათვის, რომელიც იქ ბრიტანეთის ფაბრიკანტთა მიერ დამზადებულ საქონელს ჰყიდოდა. ამ ახალი პოლიტიკის ცეზარად გამოვიდა რობერტ ვალპოლი, როდესაც იგი პრემიერი შეიქნა. „1690 წ. გამოცემული პურის კანონი მფარველობდა კაპიტალისტურ მიწათმფლობელს იონენის¹ ხარჯზე. ახლა ამ კანონს დაურთეს პრემიები ვასატან საფაბრიკო ნაკეთობებზე, რაც უპირატესობას აძლევდა ქისა-სავსე ვაჭარს ქისა-ცალიერი ვაჭრის წინაშე“. ამ პრემიებს ხელი უნდა შეეწყოთ იმისათვის, რომ მრეწველობის საესებით განვითარებულ დარგებს საშუალება მისცემოდათ საგარეო ვაჭრობის დაპატრონებისა². სპეციალური პრემიით მფარველობდენ აბრეშუმის ვატანას, ხოლო ზოგიერთ საჭირო შემოსატან საღებავებსა, აგრეთვე ქერულზე (пенька) და ხე-ტყეზე დაწესებული ბაჟი გაუქმებულ იქნა. 1721 წ. მეფემ სეუვისიტყვაში სპეციალურად აღნიშნა: აუცილებლად საჭიროა უზრუნველყოთ „ხელსაყრელი სავაჭრო ბალანსი“ ნედლეულის შემოტანის მფარველობით და მშობლიური საფაბრიკო ნაკეთობათა ვატანისადმი დასმარებით. ხოლო ვორას ვალპოლმა კი შემდგომ ხანებში შენიშნა ამ მხრით კოლონიები „მთელი ჩენი სიმდიდრის წყაროს“ წარმოადგენენო. ისინი „ჩენს სავაჭრო ბალანსს ჩენსკენ ხრიანო“, განაცხადა და მერე მელანქოლიურად დასძინა: „იმიტომ რომ მე არ ვიცი, გვექნებოდა თუ არა ასეთი ბალანსი ჩენი კოლონიების-გარეშეო“. ამ მიზნით კოლონიები ძალიან შებოქეს და ათასგვარი წერილობანი წესით შეზღუდეს. რათა ინგლისის მექუდეათთვის კონკურენცია არ გაეწიათ, კოლონიებს ჩალის ქედების დამზადება აუკრძალეს. ირლანდიას აუკრძალეს შალეულობის ვატანა, რადგან იგი ევროპაში კონკურენციას უწევდა ინგლისის მუდს, სამი გვი და რვა შეიარაღებული კრეისერი სდარაჯობდა ირლანდიის ნაპირებს, რათა ხელი შეეშალათ ყოველგვარი კონტრაბანდული ვაჭრობისთვის. კოლონიალური წარმოების სხვა საგნები, მგალითად, შაქარი³ და თამბაქო, შეტანილი იყო „ჩამომთვლილ საქონელთა“ რიცხვში,— მათი ვატანა შეიძლებოდა მხოლოდ ინგლისსა ან სხვა კოლონიებში. ერთი სიტყვით, რობერტ ვალპოლის პოლიტიკა—ახლადამოცენებული სამრეწველო კაპიტალიზმის ქარტია იყო⁴. ამასთანავე ერთად სახელმწიფოს მთელი სამხედრო ძლიერება მიმართული იყო საგარეო პოლიტიკის სუეროში ამ ახალი მერკანტილიზმის სამ-

1) იო მენი (yeomen)—საშ. საუკ. ინგლისში თავისუფალი საგლეხო მიწის ნაკვეთის მფლობელი, შემდეგში იჯარადარი, წვრილი მიწათმფლობელი. (იხედ. უენ.).

2) Camb. Mod. History, ტ. VI, 48-49.

3) Brisco, Economic Policy of Rob. Walpole, 166, 185. Camb. Mod. History, ტ. VI, 48-53; Cunningham, სენებ. თხზ., 393-399, 414, 457, 494.

სახურისაკენ. ლამანშსა და ატლანტიის ოკეანეზე სატრანზიტო ვაჭრობის გამო ჰოლანდიისთან საშხედრო მეტოქეობა შესცვალა ახალმა კოლონიალურმა მეტოქეობამ საფრანგეთთან და მთელი ასი წლის განმავლობაში უკანასკნელთან შეიარაღებულმა ბრძოლამ. არსებითად სვე-უბედური იაკობ II-ის წინააღმდეგ წამოყენებული უმთავრესი ბრალდება ის იყო, რომ მან მოლაპარაკება დაიწყო საფრანგეთთან, რომელიც ინგლისის მთავარი კოლონიალური მეტოქე ხდებოდა. განმეორდა იგივე, რაც ასი წლის წინად მარიამს დაემართა: მას უღიღეს ცოდვად ჩაუთვალეს კავშირი ესპანელებთან, რომლებთანაც ინგლისელ პირატ-მეწარმეებს ატლანტის ოკეანეზე ვაჭრობისათვის ბრძოლა ჰქონდათ.

როდესაც საშინაო მრეწველობის სისტემის მეორე სტადია დადგა, რაიც მე-XVIII ს. ამ რთულ ცვლილებათა ეკონომიური შედეგი იყო, ვაჭრობა იწყო ნახევრადამოკიდებულ წვრილ ოსტატთა ცალკე საშუალო კლასმა. სამრეწველო კაპიტალისტის გამოჩენისთანავე ხელოსნებს საშუალება წაერთვათ საქირთვ ნედლეულობის სყიდვისა და საკუთარი პროდუქტების ბაზარზე უშუალოდ გასაღებისა. ნელინელ იგი ისეთივე დამოკიდებული შეიქმნა, როგორადაც მუშა. რომელსაც გასაყიდი სხვა არა გააჩნდა რა, გარდა თავისი საწმუშაო ძალისა. ამ ცვლილებას მოჰყვა მეორე ცვლილება, რომელსაც შემდგომი სამრეწველო განვითარებისთვის სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა: ახლა შესაძლებელი გახდა შრომის განაწილების შემდგომი განვითარება - მაგალითად მაუდის წარმოებაში, — რასაც ხელს უწყობდა პირველ ხანებში ვაჭარი-მეწარმე, ხოლო შემდეგ მრეწველი, რომელმაც იკისრა საწარმოო ოპერაციათა მოცემული ჯგუფის გაძლიერება. წინად იყვნენ სავაჭრო კომპანიათა გენერლები, მაგრამ თვით კომპანიები თავისი შედგენილობით არეულ-დარეულსა და ქრელს ბრბოს წარმოადგენდნენ. ახლა სცენაზე გამოვიდნენ ოფიცრები, რათა გაეწოთენათ ეს ქრელი ბრბო და გეგმიანი ხელმძღვანელობა გაეწიათ მათი მოქმედებისათვის. წინად მეწარმენი დიდ მოგებას საზღვარგარეთის ვრცელ ბაზრებზე ეძებდნენ. ახლა ისინი ხელახლა მიუბრუნდნენ იმ საქონლის წარმოებას, რომლითაც წინად ვაჭრობდნენ და მოგებას ლოდინი დაუწყეს უკვე სამრეწველო პროცესების რეორგანიზაციისა და დისციპლინიზირებისაგან, ცდილობდნენ რა, რაც შეიძლება მაღალი ნაყოფიერებისათვის მიეღწიათ ამ დარგში.

ყოველივე ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ მე-XVIII საუკუნეში გაჩნდა მრეწველობის საშინაო ანუ ჩამორიგებითი სისტემა. გაჩნდა კაპიტალისტური წარმოების სახესებით განვითარებული სახე მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მუშებრ არ დაუგროვებიათ ერთი ფაბრიკის შენობაში ზედამხედველ-მეწარმის მეთვალყურეობის ქვეშ სამუშაოდ. მუშას ჯერ კიდევ გააჩნდა შრომის იარაღები, — თავისი საფეიქრო თუ საქსოვი დაზგა და სხვა არაფერი. ხშირად კი არც დაზგა იყო მისი. სისტემის ამ თითქოს უწინშენელო თავისებურებას ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიური შედეგები მოჰყვა. იგი საშუალებას არ იძლეოდა შრომის განაწილება განსაზღვრულ ფარგლებს გაცლილობდა: შეუძლებელი იყო საწარმოო პროცესის რთული განაწილება მრავალ მუშას შორის, რომელიც მეწარმე-ატლანტის ორგანიზატორული ხელმძღვანელობის ქვეშ იმუშავებდნენ. ამ სისტემას, ამას გარდა, მოჰყვა მეწარმესა და მის მუშას შორის შუამავლის, წერილი

ოსტატის გაჩენა, ამასთანავე ამ კატეგორიის პირები, ჩვეულებრივად, გლეხური და შეუპოვარი კონსერვატიზმით განირჩეოდნენ, და მედგრად იცავენდნენ იმ მცირეოდენ დამოუკიდებლობას, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენოდათ. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ასეთი ოსტატი ხშირად ყველაზე უარესი ექაპლოატორი ხდებოდა, და ამ მხრით იგი სრულიად არ ჩამოუვარდებოდა თავის მემკვიდრეს, შუამავალ-მოიჯარადრეს, რომელიც შემდეგ საუკუნეში გაჩნდა. ამნაირად, მანქანების გამოგონებით გამოწვეულმა სამრეწველო რევოლუციამ მხოლოდ დაამთავრა ცელილებათა ის სერია, რომელიც მას წინ უსწრებდა. იგი სრულიად არ ყოფილა თანამედროვე კაპიტალიზმის დასაწყისი და სრულიად არ წარმოადგენდა რაიმე არაჩვეულებრივ ცვლილებას, როგორადაც მას აქანდე ისტორიკოსები გვიანტავდნენ. შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებანი გამოამკარავდა მის ნოციალურ შედეგებში, ვიდრე წმინდა ეკონომიური ფორმის შეცვლაში, რომელიც არა არსებითი იყო. მან ნიადაგი შეუქმნა პროლეტარიატს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელსაც, მარქსის მოხდენილი გამოთქმით „დასაქარგი არა აქვს რა, გარდა თავისი ჯაჭვებისა“. იგი მოგვევლინა უზარმაზარ განმათავისუფლებელ ძალად, რომელმაც გამოსავალი მისცა კაპიტალისტურ სულს და თაოსნობა-მეწარმეობას თვალწინ გარდაუშალა გაუგონარი შესაძლებლობანი. მან უაღრესად დააჩქარა სამრეწველო განვითარების ტემპი. მან დაანგრია ძველი და ამასთან ერთად განაახლა სოციალური ცხოვრების, საზოგადოებრივ იდეათა და დაწესებულებათა მთელი დარგი.

იმის მაგალითს, თუ რამდენად უასლოვდებოდა მე-18 ს. საშინაო მრეწველობის ეს სისტემა თანამედროვე საფაბრიკო მრეწველობას, წარმოადგენს ზოგიერთი საწარმო რკინის მრეწველობაში. ამ დარგის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო დაარსებულ იქნა მე-XVII ს. დამლევს დერვენტის ნაპირას ვილაკამბროსი კროულის მიერ, რომელიც წინაღ რკინეულობით ვაჭრობდა გრინვიჩში. მისმა საწარმომ, როგორც ჩანს, საძირკველი ჩაუყარა დურჰემის ინდუსტრიალიზაციას. მანამდე ეს საგრაფო ლამაზი ბუნებითა და ნაკლები მოსახლეობით განირჩეოდა. იქ, სადაც წინაღ პატარა სოფელი იყო, კროულიმ გააჩაღა პატარა ყვავებული სამრეწველო ქალაქი 1500 მცხოვრებით და იწყოა ლურსნების, კლიტეების, პანჭიკების, სატეხების, ბარების და ფოლადის სხვა იარაღების წარმოება. როგორც ჩანს, სახლები თვით კროულის ეკუთვნოდა, ხოლო ნედლეულსა და სამუშაო იარაღს მუშებს იგი აწვდიდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი „მნიშვნელოვან თანხას მისცემდნენ საქონდრად“. ეს საწინდარი უფლებას იძლეოდა ქონოდა სახელოსნო და ემუშავნა შიგ, როგორც ოსტატს მთელი თაქისი ოჯახობით, ასევე და ორივე დაქორავებული მუშითა და შეგირდით. ამნაირად, მუშაობა წარმოებდა ოსტატის სახელოსნოში, ოსტატი შესრულებულ სამუშაოსთვის ღებულობდა ცალობრივ ფასს; რომელსაც აკლდებოდა მისთვის პიკეშული ნედლეულის ფასი. კროული თაოსნობას იჩენდა საერთოდ სხვა დარგებშიც და საინტერესოა აღინიშნოს, თუ როგორ განკერძოდა მან უიტლის თანამედროვე რჩევანი. არეულობათა პერიოდის შემდეგ მან დააარსა სპეციალური ტრიბუნალი, რომელსაც უნდა მოეგვარებინა გაუგებრობანი და თვალყური ედევნებინა მის მიერ შემოღებული წესების შესრულებისათვის. ეს ტრიბუნალი

შედგებოდა ორი წვერისაგან, რომელსაც კროულეი ნიშნავდა და ორი ოსტატისაგან, ამავე დროს ამ დაწესებულებას ავტორიტეტს აძლევდა ის, რომ მასში მონაწილეობდა, როგორც ნეიტრალური თავმჯდომარე, ალგილობრივი მღვდელი. საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს, რომ ტრიბუნალის წევრად დანიშნულს ფიცი უნდა მიეღო, რომ კროულეის მიერ შენობებულ საქარხნო წესებს დაემორჩილებოდა. 1706 წ. ამბროსი კროულეის ებოძა რაინდის წოდება; შეძღვრან სერ ამბროსი კროულეი პარლამენტის წევრი გახდა ანდოვერიდან და ამ დროისათვის მისი ქონება უკვე 200.000 გ. სტ. აღწევდა. მისი სიკვდილის შემდეგ საწარმო მისი შვილის ჯან ამბროზის ხელში გადავიდა, ხოლო 1781 წ. მის შვილიშვილ ქალზე. მაგრამ „1827 წლისათვის საწარმომ დაქარაღა თავისი პირვანდელი ნიშანდობლივი თვისებანი, დაიწყო კაპიტალსა და შრომას შორის ჩვეულებრივი ბრძოლა“. ეკონომიურ ღიითობათა შეცვლასთან ერთად შეიცვალა მუშათა ფსიქოლოგიაც; და „კროულეის კაცები“, რომელნიც ოდესღაც მტკიცე ტორიები იყვნენ, ბოლოსდაბოლოს ჩარტისტებად გადაიქცენ¹.

დაახლოვებით, ალბათ, ასეთივე ორგანიზაცია არსებობდა ნიუკესტლის იარაღის წარმოებაში და კარონის რკინეულობის ცნობილ ქარხანაში². ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ მე-XVIII ს. გაჩაღებული მრეწველობის ასალი დარგები, მგავლითად თოფის წარმოება ბირმინგჰამში და შუშისა და ქალაღლის წარმოება — თავიდანვე საესებით კაპიტალისტურ საფუძვლებზე იყვნენ მოწყობილი³. რთვა-ქსოვის მრეწველობაში ყველგან ერთგვარი სისტემა როდი იყო. 1719 წ. სერ ტ. ლომბს დერბიში ჰქონდა აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა და სიკვდილის წინა მომენტისათვის უკვე 120.000 გ. სტერლინგის მფლობელი შეიქნა⁴. შინა-მუშები (домашние рабочие), რომელნიც ქსოვას მისდევდნენ, კაპიტალისტების კუთვნილ დაზგებზე მუშაობდნენ⁵. ამ საუკუნის შუა წლებში ფარესში (შოტლანდია), ვილაც კაპიტანმა ურკვარტმა მსგავსად კროულეის ქალაქისა დაარსა ტილოს მქსოველთა ახალშენი, ამასთანავე მან თავისი ხარჯით აუგო თვითეულ ოჯახს თითო სახლი და მისცა დაზგები⁶. ნიუარკში (ნოტინგემშიარი) მემაუღეთა ერთ-ერთმა ფირმამ ააგო კორტეჯი და ასი ფეიქრისთვის, დასდგა დაზგები და მერე თავის მუშებზე აქირავებდა მათ⁷. დასავლეთ ინგლისის მაუღის მრეწველობაში ჩვეულებრივ ამბად იქცა ამბოხებანი და გაფიცვები კაპიტალისტ-მეწარმეთა წინააღმდეგ როგორც ფეიქარ-ოსტატთა, ისე მათი მუშების მხრით⁸, ხოლო ლანკაშირში 1756 წ. ოსტატ-ფეიქრებმა თავის მუშებთან ერდად იწყეს დარაზგვა მეწარმეთა წინააღმდეგ. მათი მთავარი საჩივარი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ მეპატრონე-ფაბრიკანტებს შეგირდები აყავდათ ფეიქრებთან თანაბარ პირობებში და ამით არღვევდნენ რა

1) V. C. H. დუბჰემი, 2, 381—387.
 2) Scrivenor, History of the Iron Trade, 75 და შემდ.
 3) Cunningham, სენებ. თხ., 518.
 4) H. T. Wood, Industr. England in Eighteenth Century, 67—68.
 5) Cunningham, სენებ. თხ., 513.
 6) S. J. Chapman, Lancashire Cotton Industry, 23.
 7) Usher, Introd., 348.
 8) Lipson, Hist. of Woolen and Worsted, 122—124.

შეგორდობის შესახებ არსებულ წესებს, აძლიერებდნენ კონკურენციას და ამცირებდნენ ხელფასს. ფეიქრები თავის თავს ნაზარეველებს უწოდებდნენ, მტრებს კი — იუდეველებს. მიუხედავად ამ ბიბლიური ანალოგიისა, ისინი მაინც დაბარებულ იქნენ ლორდ მანსფელდთან 1759 წ. სასამართლოს გაზაფხულის სესიაზე მანჩესტერში, და სწავლულმა მოსამართლემ მთელი ნოტაცია წაუკითხა მათ თემაზე, თუ როგორ საშიშია ბოროტი ადამიანების ფეხის აყოლა, რომელნიც ხალხს აქებებენ ვაფიცვით ხელფასის მომატების მიღწევისათვის, რითაც ინგლისიდან კაპიტალისტების გარეთ დენას იწვევენ. შეგორდობის შესახებ წესები, რომელსაც ისინი იმიზეზებდნენ, უწმინდური რაპია, და ის ურჩევს მათ; „დაბრუნდით შინ და მეტი აღარა შესცოდოთ რა, თორემ უარესი საქმე დაგემართებათ“¹.

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში წერილი ოსტატი ზბრალო მუშის დონემდე ჩამოქვეითდა, მისი დამოკიდება ისეთივე დიდი იყო, როგორიც დღიური მუშისა. მისი ჯილდო ძალიან ნაკლებად განსხვავდებოდა ცალობრივ მომუშავეთა ხელფასისაგან. მიუხედავად ამისა, სიყვარულით ებლაუქებოდა რა იმ მცირეოდენ სიმბოლოებს თავის წინანდელი მდგომარეობისა, ის ისევ ელოდია ვებოდა თავის დამოუკიდებლობის ზოგიერთ გრძნობებს, რომელიც ჯერ კიდევ შემოენახა. თუმცა ორგანიზაცია მისთვის უცხო არ იყო და ხანდახან ამბობებასაც აძენდა, მაგრამ არსებითად შეგნება ისევ კონსერვატიული ჰქონდა. და იგი მუდმივად უკან, წარსული პრივილეგიებისა და შეზღუდვებისაკენ იყურებოდა. თუმცა ამრიგი დამოკიდებულება ტიპიური იყო მრეწველობის ყველაზე მეტად განვითარებული დარგებისათვის, — და ამ მიმართულებით ვითარდებოდნენ დანარჩენი დარგებიც, — იგი საყოველთაო მოვლენა მაინც არ ყოფილა. ჩვენს მიერ მოცემულ მე-XVIII საუკუნის საშინაო მრეწველობის ზოგადი დახასიათება ყალბად როდი უნდა გავიგოთ. ლანკაშირში არსებული მდგომარეობა ცხადად და მარტივი სახით ვერ გვეხატება. დამოკიდებულ ფეიქრებს გარდა, რომელნიც ვაჭარ-ფაბრიკანტთათვის მუშაობდნენ, იქ იყო, — ყოველ შემთხვევაში 1760 წლებამდე მაინც, — მრავალი ფეიქარი, რომელსაც ცოტაოდენი დამოუკიდებლობის ნაშთი შერჩენოდა. ასეთი ფეიქრები თვითონ ყიდულობდნენ საჭირო ბამბას დალაღებისაგან და ნაკეთობებს, თვითონვე პყიდიდნენ მანჩესტერის ბაზრის ვაჭრებზე. მანჩესტერი ახალი ცენტრი იყო და, როგორც ჩანს, იქ არ არსებობდა ბამბის ვაჭართა კარჩაკეტილი მონაპოვლია, როგორადაც ბატყლის ვაჭრობაში. „ფეიქარს, რომელსაც ნედლეული მიელო ჩეტემებისა ან მოსლეისაგან, თუ მათ პირობებს უფრო სახიროდ მიიჩნევედა, შეეძლო კრედიტი მიელო ნართის ირლანდიელი ან სხვა „უცხოელი“ ვაჭრებისაგან, რომელნიც მანჩესტერის ბაზარზე ჩადიოდნენ“². ამ დამოუკიდებელი ფეიქრების მთავარ ძარღვს შეადგენდნენ, როგორც ჩანს, წვრილი ფერმერი-მესაკუთრენი, რომელთაც საშუალება ჰქონდათ თავისი ხარჯით ევაქრათ იმ ქსოვილებით, თვითონვე თავისუფალ დროს რომ ამზადებდნენ, მეორე მხრით, საფეიქრებელია, რომ მათთან უმთავრესად სოფლის მოჯამაგირენი მუშაობდნენ. ისინი ხალისით ეკიდებოდნენ

¹ G. W. Daniels, სტენბ. თბ., 42-52.

² Daniels, სტენბ. თბ., XXV (Introd. by G. Unwin); Chapman, სტენ. თბ., 9-12; V. C. H. Lancs., 2, 382-383.

და თავისუფალ დროს ქსოვას ანდოვებდნენ, რათა დამატებითი შემოსავალი მიეღოთ. მაგრამ საერთო წესით მათ იმდენი საშუალება არ ჰქონდათ, რომ თვითონ ოსტატებად გადაქცეულიყვნენ. ამნაირად, როგორც ჩანს, დამოუკიდებელი ხელოსნები უმეტეს წილად უმიწაწყლონი იყვნენ, ხოლო დამოუკიდებელნი — მიწის მქონენი. უმიწაწყლონი, რასაკვირველია, „ყოველთვის გაკირვებაში იყვნენ იმის გამო, რომ საშუალება არ ჰქონდათ შეეძინათ თავისი შრომისათვის საკმარისი ნედლი მასალა“¹.

იორკშირის მაუდის წარმოებაში ხელოსანმა კარგა მნიშვნელოვანად შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, იმიტომ რომ იგი თვითონ ყიდულობდა მატყლსა და თვითვე ჰყიდდა მაუდს. ფეიქრებს საქმე უშთაერესად ადგილობრივ ბაზრებთან ჰქონდათ. ამიტომ კონკურენცია შუამავალ-ვაპართა შორის, რომელთაგან მათ მატყლის შეძენა შეეძლოთ, როგორც ჩანს, თითქმის საცესებით თავისუფალი იყო. კენინგჰემი ფიქრობს: ამ ნახევრად დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზეზი ის იყო, რომ „ლიდის მიდამოების ფერმერ-მესაქონლეებს, რომელნიც ფეიქრობასაც მისდევდნენ, საშუალება ჰქონდათ ადგილობრივი ნედლეულით ესარგებლათ“; მაშინ როდესაც სხვა რაიონებში ფეიქრები ვერ ახერხებდნენ ნედლეულის უშუალოდ შეძენას და იძულებულნი იყვნენ კაპიტალისტ-მემკვიდრისათვის მიემართათ². და მართლაც უკლასო ინდივიდუალიზმის ტრადიციები აქ ფრიად მძლავრად იყო დარჩენილი. აქ თითქმის არ არსებობდა შეზღუდვები, რომელიც მუშებს უძნელებდა ოსტატებად გახდომას; აქ ოსტატ-ფეიქარსა და მათ მუშათა შორის თითქმის სრული თანხმობა არსებობდა; ამასთანავე ოსტატები ამყობდნენ, ცუდი დროება დაგვიდგა, მაგრამ მუშებს მაინც ვინახავთ. ნაცვლად იმისა, რომ დავითხოვოთო. და როდესაც ახალი საქარხნო მრეწველობა თავისი კონკურენციით მათ დაემუქრა, მრავალმა ოსტატ-ფეიქარმა იწყეს საკუთარი ქარხნის მოწყობა, ერთიანდებოდნენ რა საჭირო კაპიტალის შედგენის მიზნით³.

მაგრამ ახალი მრეწველ-მეწარმენი, რომელთაც სამრეწველო პროცესების რეორგანიზაცია მოახდინეს და წვრილ ოსტატებს ერეკებოდნენ, მასობრივად ის ვიგები როდი იყვნენ, რომელთაც ჰანოვერის დინასტია განამტკიცეს და ლონდონის პოლიტიკური სინეკურები მთლად ხელში იგდეს. უფრო ხშირად ესენი იყვნენ პროვინციელი კაპიტალისტები, ხანდახან კი ვაჭარი ან დაბალ არსებად

¹) Gaskell, 'The Manufacturing Population, 37.

²) Cunningham, სხენებ. თხზ., 406. იხ. აგრეთვე ამის შესახებ შმოლერის შენიშვნები: „როდესაც შინამომუშავენი თვითონ თამაშობენ მეწარმის როლს, — არსებობის სხვა წყაროები მოვობათ, — საშუალება აქვთ თვითონვე გააყიდონ თავისი შრომა, თუ თავისი საქონელი... მათი მდგომარეობა ყოველ შემთხვევაში ბევრად უკეთესია, ვიდრე მაშინ, როდესაც მათი ტერიტორიული დაქსაქსულობა, ბაზრის უცნობობა, სხვა რაიმე ხელშეშლის უკონტროლო, ვაჭარსადმი აბსოლუტურად დამოკიდებულს ხდის მათ. როდესაც მათ უკრ კიდევ უგრძნობათ საკუთარი შრომის იარაღები, თვითონვე ყიდულობენ ნედლეულსა და თვითონვე ჰყიდიან საკუთარ ნაყოფს“; რასაკვირველია, მათი მდგომარეობა, უკეთესია და უფრო დამოუკიდებელია" (Principles of Economic Politique, II, §11-512).

³) Lipson, Hist. of Engl. Wool and Worsted Indus., 71-78, 177; Westerfield, სხენებული თხზ., 284-287.

მიჩნეული პურიტანი. რაც შეეხება თვითონ ვიგებს, მათ იგემეს არისტოკრატების ნაყოფი, მონაწილეობდნენ დროს ტარებაში და ჰანოვერის სასახლის დეკადენტურ ცოდვაში ჩაეფლენ. მე-XVII საუკუნის ახალი საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელნიც თავისუფლებასა და მფარველობას მოითხოვდნენ, 1750 წლები-სათვის უკვე დამკვიდრებულ საზოგადოებრივ კლასად იქცნენ, რომელნიც შემდგომ ცვლილებებს უფრთხოდნენ. ნაპოლეონის ომიანობათა დასასრულს, ვიგთა და ტორიებს შორის განსხვავება სინამდვილეში სავსებით გააქრა, სამრეწველო რევოლუციისაგან განთავისუფლებულნი, ახალი ძალები მტრულად უნდა ყოფილიყვნენ განწყობილნი ერთისადაცა და მეორისადმიც.

მეცხრამეტე საუკუნე

ის ფაქტი, რომ ზემოთ სამრეწველო რევოლუციის სახით აღწერილი ცვლილებანი, ყველაზე ადრე ინგლისში მოხდა, არ შეიძლება მიეწერათ ადამიანის გამომგონებლობის მხოლოდ გამოუცნობ შემთხვევას. წინა თავში თვალი გავადევნეთ პირობებს, რომლებმაც ინგლისი გადააქციეს ასეთი ცვლილებებისათვის მომწიფებულ ქვეყნად, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში არსებული პირობები ასეთ ცვლილებებს იქ, იმ დროს, ნაადრევს ხდიდენ¹. ფეოდალიზმი, როგორც მიწის მფლობელობის სისტემა ინგლისში რამდენისამე საუკუნის წინად მოისპო; როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა, იდეათა და ცხოვრების წესის სისტემამ, მან თითქმის ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგა. კაპიტალისტური სული უკვე მომწიფდა, კაპიტალის დაგროვებამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, და უკვე არსებობდა კაპიტალისტურ მეწარმეთა აქტიური, მხნე და და საკუთარ თავში დაიმედებული კლასი. ძლიერმა ცენტრალიზირებულმა მთავრობამ ბატონობა მიანიჭა ნაციონალურ ბაზარს ლონდონში და შეჰქმნა უფართოესი ბაზრები საზღვარგარეთ. დამოუკიდებელი ხელოსნის კონსერვატიული ტრადიციები, მისი უძრაობა და წინააღმდეგობა საწარმოო ოპერაციებზე რაოდენადმე მაინც თვალსაჩინო კონტროლის არსებობის მიმართ, თითქმის უკვე გაჰქრა; და მისი, — დამოუკიდებელი ხელოსნის, — ადგილი დაიჭირეს მორჩილი და ადვილად დასაყოლიებელი დამოკიდებული პროლეტარების მასებმა, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

სხვა ქვეყნებში სოციალური ელემენტების შემადგენლობა ასე ხელსაყრელი არა ყოფილა². როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანიაში ფეოდალიზმმა ნაწილობრივი გამარჯვება მოიპოვა მე-XVI საუკუნეში. გერმანიის ეკონომიური ცხოვრება დამყარებული იყო ნაციონალურ საფუძველზე კი არა, როგორც ფლანდრისა და ინგლისში, ანამედ სამთავროების საფუძველზე, რომლებსაც სათავეში უდგნენ მთავარი და ფეოდალური დაწესებულებანი. თუმცა რაოდენადმე წარ-

¹) პოფესორ ოგბერნი მა წამოაყენა თეორია, რომ გამოგონებათა წარმოშობას ზედმიწევნით განსაზღვრავს მიღწეული დონე მატერიალური კულტურისა — ეკონომიური ორგანიზაციისა და ინსტიტუტებისა, ტენნიკისა და სხვ; ამ ჰიპოთეზის დასაბუთებისათვის მან წამოაყენა 148 უმთავრესი გამოგონების სია; და ეს გამოგონებანი თითქმის ერთსადაიმთვე დროს ორს ან მეტ სხვადასხვა პირთ, სხვადასხვა ადგილას მოუხდენიათ (Social Change 90-102).

²) „მსხვილი მრეწველობის“ წინამორბედი პირობების შესახებ იხ. Shmoller, Principles, II, 521-525.

მოიშვა ვაჭარ-მეწარმეთა მიერ მოწესრიგებული საშინაო მრეწველობა, მაგრამ გერმანიის ვაჭართა ძველმა ბრწყინვალეობამ ფერი დაჰკარგა, ქალაქების სიმდიდრე გააჩანაგა ოცდაათწლიანი ომის განმანადგურებელმა მოქმედებამ, და კაპიტალისტური სული გაჰქრა. გერმანიის ქალაქები მე-XVII საუკუნეში გადაიქცნენ ჰოლანდიისა და ინგლისის ფინანსისტებზე დამოკიდებულ ქალაქებად, რომლებსაც განაგებდნენ ჰოლანდიელი ნოქრები, ან რომლებიც საიჯაროდ ჰქონდათ აღებულნი ინგლისელ კრედიტორებს¹. მე-XVIII საუკუნეში ფრიდრიხ დიდი ჰბაძავდა რა ინგლისელი მერკანტილისტებისა და კოლბერის მავალითს, ცდილობდა ბოლო მოელო ასეთი მდგომარეობისათვის. ის ცდილობდა შეეტანა ცენტრალიზაციის საფუძვლები გერმანიის დაქუცმაცებულ სოციალურ ცხოვრებაში და მფარველობითი ზომებით უზრუნველყო კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება. მაგრამ მისი ცდა მხოლოდ ნაწილობრივი გამარჯვებით დაგვირგვინდა, რადგან თესლს გარეშე საუკეთესო მებღღეც კი საუცხოოდ მოწყობილ სათბურში მიწას ნაყოფს ვერ გამოალებინებს. აბრეშუმის მრეწველობა ჰყვაოდა ბერლინის მიდამოებში, მაგრამ საერთოდ, გერმანული კაპიტალიზმის მხოლოდ მეორე ჩანასახი არსებობდა, და ისიც უცხოელ მეწარმეთა აქტივობის წყალობით — ებრაელებისა და ფრანგებისა, მაგალითად, გენდელსონებისა, ფრიდლენდერებისა, ვეიტსებისა და მარკუზებისა². პრუსიაში 1816 წელს სოფლის მოსახლეობა 73,5 პროცენტს შეადგენდა; ჯერ არ გამოჩენილიყო ისეთი ძალა, რომ მოესპო ადგილობრივი გილდიების შემავიწროებელი შეზღუდვანი; „საქალაქო ცხოვრება ხასიათდებოდა საშუალო საუკუნოებრივი ზნე-ჩვეულებით, და ბევრ ადგილას უფრო ნაკლებად ინტენსიური და ნაკლები ძალღონისა იყო, ვიდრე დიურერისა და ჰანს საქსის დროს. აუგსბურგისა და ნიურენბერგის ბრწყინვალეობა და დიდება წარსულში იყო დემარხული“³. 1848 წელსაც კი ბურჟუაზია მეტის-მეტად სუსტი იყო, რომ თავისი პოზიცია დაეცვა მეფეთა და იუნკერთა წინააღმდეგ, ხოლო კაპიტალიზმი მანამდე ვერ განვითარდა, ვიდრე ბისმარკმა, — პრუსიის იუნკერ-მილიტარისტმა, — არ გააერთიანა გერმანია, არ მოახდინა მისი მოდერნიზაცია და ზოგიერთი რამ არ დაუთმო ლიბერალებს, რათა ამით უზრუნველყო უკანასკნელთა დახმარება.

საფრანგეთში ვაჭართა კლასმა ფეოდალიზმზე სრული გამარჯვება ვერ მოიპოვა, როგორც ეს ინგლისში მოხდა, და საშუალო საუკუნეთა ნაშთები ჯერ კიდევ თვალსაჩინო იყო საფრანგეთის სოციალური ცხოვრების სტრუქტურაში, ვიდრე, 1789 წლის რევოლუციამდე. თუმცა მართალია, რომ საფრანგეთი არ დარჩა დაქუცმაცებული წერილ სახელმწიფოებად, — როგორც გერმანია. მან მიიღო რა ნაშვლილი თანამედროვე სახელმწიფოს სახე, ეროვნული გაერთიანება განახორციელა კარლ მე-VII და ლიუდოვიკო მე-XI დროს, და სენისა და ლუარის ვაჭართა კორპორაციები ამ პერიოდში მდიდარნი და ძლიერნი იყვნენ; მაგრამ აქ მეუის ხელისუფლება არ განიცდიდა ფულის ისეთ საკპროებას, როგორც ეს იყო ინგლისში მე-XV საუკ. ის ფლობდა ფულადი შემოსავლის მუდ-

¹) Schmöller, Mercantile System, 74.

²) Schmöller, დას.ხ. თხზ., 86-89.

³) J. H. Chapman, Econom. Developmt. of France and Germany, 82.

მისა და დამოუკიდებელ წყაროს, მოსახლეობიდან სულობრივი გამოსაღების სახით და ამიტომ იძულებული არ ყოფილა დაყარდნობოდა იმათ, ვისაც შეეძლო მეფის ხაზინისათვის ლითონის ფული მიეწოდებინა. აქ ფეოდალური დიდებულნიც ისეთ შევიწროებულ მდგომარეობას არ განიცდიდენ, როგორც მისი ინგლისელი მოამენი. ისინი არ ყოფილან იძულებული პირველობა დაეთმოთ ფულის თანდათან მოზარდი ბატონობისათვის. მეფის ხელისუფლებასა, ფეოდალიზმსა და ვაჰართა კორპორაციებს შორის, თითქმის ძალთა სრული წონასწორობა არსებობდა; და მეფის ხელისუფლებაც ცდილობდა ამ წონასწორობის დაცვას. კარლოს მე-VII მფარველობდა ვაჰართა კლასს; და დიდებულნი აღშფოთებულნი იყვნენ, მეფეს თავის მრჩეველთა შორის და აღმინისტრაციისაში ახალი კლასის წარმომადგენელნი რომ ჰყავდა, — როგორც, მაგალითად, ლიონელი ბანკირი ეაკ კერი. მაგრამ ამავე დროს მეფის ხელისუფლებამ შესძლო თავის სასტიკი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა ვაჰართა ორგანიზაციები; და ზოგჯერ მათი მართვაგებების ორგანიზაციებში მეფის წარმომადგენლებს ნიშნავდა¹. აქ დიდებულნი წინაწილებას არ იღებდენ ვაჰრობაში, როგორც ეს ინგლისში ხდებოდა, და ამრიგად მეფის ხელისუფლებაც არ იქცა ბურჟუაზიულ ხელისუფლებად. ფეოდალიზმმა უპირატესობა შეინარჩუნა, მეფემ და მეფის კარმა კი მხოლოდ თავისი კალთა გადაათარეს ვაჰართა და ბანკართა უმალეს ფენას და თავის წრეში მოიზიდეს იგი. აქ ვაჰრობა-წარმოება ფეოდალებსა და მეფის საკიროებას ემსახურებოდა და არა პირიქით².

შემდგომი მინისტრები მეფისა ცდილობდენ წაექვებინათ და ხელი შეეწყათ საფრანგეთის კომერციული თაოსნობისათვის, რათა იგი გათანაბრებოდა ინგლისს, მის კომერციულ ბატონობაში მსოფლიოს ყველა ოკეანეზე. და რიშელიემ იწყო საგარეო ვაჰრობისათვის კომპანიების დაარსება მსგავსად ინგლისელთა და ჰოლანდიელთა კომპანიებისა. მაგრამ კარლოს მე-VII-ის ცენტრალიზაციისაკენ მიმართული მოღვაწეობისდა მიუხედავად, ნაციონალური ბაზარი საფრანგეთში ჯერ კიდევ საესებით ვერ განვითარდა. ვაჰრებს ისევ საქმე ჰქონდათ უმთავრესად ამა თუ იმ ქალაქის ადგილობრივ ბაზართან, — როგორც ეს თითქმის მთელს ევროპაში იყო მე-XIX საუკუნემდე³, — ან საესებით ეფლობოდენ ისინი საბანკო ოპერაციებსა თუ სპეკულაციისაში. ამის გამო აღვილი. არ იყო მათი აქტიური ჩაბმა ამ ცდებში (უცხოეთის ბაზარზე გასვლის საქმეში). ვაჰრები თანხმდებოდენ ფულის გაღებას, ამასაც მხოლოდ თხოვნა-დაჯერების შემდეგ და ამით თავდებოდა საქმეც. საფრანგეთის კოლონიალური საწარმონი უფრო სუსტნი იყვნენ, ვიდრე ინგლისისა, უმთავრესად, იმიტომ, რომ მათ არ ჰყოფნოდათ თანხები და სათანადო ხელმძღვანელები, — აგრეთვე ცუდი მართვაგამგებობისა და სასახლის ფაეორიტებისათვის სინეკურების გამრავლების გამო⁴.

1) Cunningham, West. civil., 154-157.

2) ამას ემოწმება ხასიათი სამრეწველო საწარმოთა, რომლებსაც ხელს უწყობდა მეფის ხელისუფლება. ეს საწარმონი იყვნენ ფაბრიკები, რომლებიც აწარმოებდენ ფუფუნების საგნებს სამეფოს კარისა და დიდებულთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, — ფარჩა, სარკვებს, აბრეშუმეფულობას და ხალიჩებს (იქვე, 208).

3) Schmöller, დასახ. თხზ., 495.

4) Sombart, დასახ. თხზ. 138-139.

მე-XVII საუკუნეში კოლბერი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა საფრანგეთის კომერციული ცხოვრების პროვინციალიზმის წინააღმდეგ. „ჩვენს ვაჭრებს—საი-ოდა იგი,—უნარი არ შესწევთ ხელი მოჰკიდონ ისეთ საქმეს, რომელიც მათთვის ჯერ უცნობია“. ფეოდალური ჩვეულებანი და სურვილი იმისა, რომ თავი დაეღწიათ ათეაღწუნებული კომერციული წრიდან და გაეკეთებინათ მოხელის პატივდებული კარიერა, ასუსტებდა მათში კაპიტალისტურ სულს¹. მრავალრიც-ვანი, უფრო მომწიფებული და მომჭმედი სამრეწველო ელემენტები მოსპო პუგენოტების განდევნამ—მოვლენა, რომელსაც დაახლოებით ისეთივე შედეგები მოჰყვა, როგორც ალბათ, მოჰყვებოდა პურიტანების განდევნას ინგლისიდან.. საგადასახადო დაბეგვრა ხელს უშლიდა კაპიტალის დაგროვებას. ძლიერდებოდა საერთო წესით, არა ის დარგები მრეწველობისა, რომლებიც ეძიებდნენ ფართო ბაზარს საზღვარგარეთ, არამედ ისინი, რომლებიც აწარმოებდნენ ძვირად ღირებულ ფუფუნების საგნებს მეფის კარისათვის². კოლბერი ცდილობდა ხელი შეეწყო მრეწველობისა და ვაჭრობისათვის პატენტებისა და მონოპოლიების გაცე-მით, როგორც ამას ჩადიოდნენ ელისაბედი და იაკობი ინგლისში. მაგრამ საფრანგეთს ახასიათებდა ერთი მნიშვნელოვანი განსაკუთრებულობა. პერიოდი მონოპოლიებისა, რომლებსაც ლებულობდნენ სასახლეში გაველენის დახმარებით, როგორც ინგლისში, ჯერ აქაც მოსპობილი არ იყო და მრავალი მონოპოლია ეძლეოდათ ფეოდალურ დიდებულთ, რომელშიაც იგი მემკვიდრეობითი ფეოდალურ საწარმოს ჰხედავდა. კოლბერის სისტემაში, უეჭველია, ნიადაგი მოაშხადა კაპიტალისტურ საწარმოთათვის და იგი უფრო ნაყოფიერი გამოდგა, ვიდრე ფრიდრიხ პრუსიელის ცდა. მისმა მონოპოლიებმა ხელი შეუწყო მრეწველთა კლასის შექმნას და ადგილობრივი ხელოსნისა თუ ვაჭრის დამოუკიდებლობის მოსპო-ბას³. მაგრამ ამავე დროს ამ სისტემის ხასიათი იწვევდა იმ პრივილეგიური მონოპოლისტების,—ნახევრად კაპიტალისტებისა და ნახევრად ფეოდალების,—მე-მკვიდრეობითი კასტის გაძლიერებას, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ არა ახალი გზების გაკაფვით, არამედ ძველ შეზღუდულობათა შენარჩუნებით. რის-თვისაც უკანასკლანი საესებით განზე იდგნენ კომერციული კლასის სხვა, უფრო აქტიური ფენებისაგან. მართლაც, სრულიად ბუნებრივია, რომ იქ, სადაც ეკონომიური სარფანი და უპირატესობანი მოიხვეჭებოდა მეფის კარსა და ფეოდალურ წრეებში გავლენით და არა მხოლოდ თვით კაპიტალის ძალებით,—კაპიტალის-ტური თაოსნობა-საქმიანობა შენელებული ტემპით უნდა განვითარებულიყო. ამასთანავე, მე-XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ დაცული იყო ბატონყმობის მრავა-ლი ნაშთი, და პროლეტარიატი მხოლოდ რამდენსამე ქალაქში არსებობდა, და ისიც შედარებით მცირერიცხოვანი. მართლაც კოლბერის დროს ისე დიდი იყო დაქირავებული მუშების ნაკლებობა, რომ 1669 წელს საზღვაო სამინისტროს მიერ წარდგენილი მოხსენება საკიროდ სთვლიდა გემებზე მონური შრომის აღ-დგენას: „გალერებზე მუშაობა, რაც შეიძლება მეტს დამნაშავეებს უნდა მიესა-

1) Cunningham, West Civiliz., 211.

2) Cunningham, დასახ. თხ., 214, 217; Marshall, Industry and Trade, 110-111.

3) G. Martin, La Grande Industrie en France, 243-246, 257.

ჯოთ... უნდა ვეყიდოთ მონები მალტაში, უნდა გადავხაოთ ჯარები ბარბარის სანაპიროზე და გვიწავი და იქ თარეში მოვაწყუთო“¹.

ინგლისში პოზიტივი ნიადაგი ჰყოფს სხვადასხვა გამოგონებამ საფეიქრო მრეწველობისა, რკინის დამუშავებისა და ორთქლის მანქანების დარგში, და ამ გამოგონებებმა დაამთავრეს ის პროცესი, რომელიც შეუჩერებლად წარმოებდა სამი საუკუნის განმავლობაში; ეს პროცესი იყო: დამოუკიდებელი ხელოსნის გარდაქმნა დამოუკიდებელ დაქირავებულ მუშად და მისი საწარმოო საქმიანობის კაპიტალისტური მეწარმის კონტროლისათვის დაქვემდებარება. პირველ ყოვლისა, დამოუკიდებელი ხელოსანი ვეღარ იცავდა თავის პოზიციებს მის კონკურენტ კაპიტალისტის წინააღმდეგ; გარდა ამისა, როდესაც დამკვიდრდა ახალი სისტემა, საშუალო მუშისათვის ფაბრიკის მოსაწყობად გაცილებით უფრო ძნელი იყო საჭირო კაპიტალის დაგროვება ვიდრე წინად—შევირდობის გასაველად, ოსტატის უფლებათა მოსაპოვებლად, სახლისა და დაზვის შესაძენად. მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ შეეძინათ ძვირადღირებული ფაბრიკა, მისი მოწყობილობა და გაეწიათ მის ამუშავებასთან დაკავშირებული რისკი. საფეიქრო მრეწველობის მანქანების გამოგონებამ კიდევ უფრო მეტი უპირატესობა მისცა მდიდარ მეწარმეებს იმ ფეიქრებთან შედარებით, რომლებიც შინ მუშაობდნენ,— რადგან მხოლოდ შეძლებულ პირებს შეეძლოთ მანქანებით სარგებლობა“².

ისეთი მანქანების გამოგონება, რომელიც მოძრაობაში მოყავს მექანიკურ ძალას მოასწავებდა სიკვდილს სოფლად გაფანტული შინაური წარმოებისა. ის მოითხოვდა მწარმოებელთა თავისმოყრას ფაბრიკებში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მექანიკური მამოძრავებლის გამოყენება; ამავე დროს ეს უნდა მომხდარიყო ისეთ ადგილებში, სადა ადვილად იშოვებოდა მექანიკური ძალა. ფაბრიკების გაჩენამ ახლა შესაძლებელი და აუცილებელიც კი გახადა მუშების დისციპლინირება და შრომის დანაწილება საერთო გეგმის მიხედვით. მანქანები მოითხოვდნენ დისციპლინასა და მოვლას და მათი მოქმედება მაქსიმალურ ნაყოფიერებას იძლეოდა მხოლოდ მანქანური პროცესის ყოველი ნაწილის სპეციალიზაციის საშუალებით. ქინძისთავის ფაბრიკა ადამ სმიტისა იარსებებდა მხოლოდ მაშინ, თუ მუშები ერთ ქერქვეშ მოიყრიდნენ თავს და ზედამხედველები მათს სხვადასხვა მოქმედებას ერთმანეთს გულმოდგინედ შეუთანხმებდნენ. სპეციალიზაციის ახალი მეთოდების გამოგონებამ ტენნიკის დარგში მომხდარ გამოგონებებთან ერთად შექმნა თითქმის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი ფაბრიკის შიგნით მუშების ახალ დაჯგუფებისა, ხოლო შემდეგ რამდენიმე ფაბრიკის გამგებლობის უფრო დიდ ერთეულებში თავმოყრის შესაძლებლობაც. ამ საუკუნის თვალსაჩინო დროის განმავლობაში მეწარმის წინ იზღებოდა ფართო მოედანი მანქანური პროცესის ნაყოფიერების გადიდებისაკენ მიმართულ თაოსნობაში. მას ჯერ-ჯერობით შეეძლო სრულებით არ ეფიქრა საგარეო ბაზრების შესახებ.

მაგრამ ამ ცვლილებებმა, რომლებიც თავის-თავად დიდად საოცარნი და ფართო ხასიათისა არ იყვნენ, წარმოშვეს სხვა უფრო რევოლუციური ხასიათის საჭიროებანი. ჯერ ერთი, საჭირო შეიქნა, თავისუფლად და დაუბრკოლებლად

¹) Sargent, Economic Policy of Colbert, 38.

²) Cunningham, Growth (Mod. Times, II), 614.

ედინათ საჭიროა მუშებს, რომლებსაც არ ჰქონებოდათ შენარჩუნებული დამოუკიდებლობის არაავითარი ელემენტები, რაიც მათ კონსერვატორებად და დაუყოლიებლებად ჰხდიდა. მრეწველობა უკვე ვეღარ მიმართავდა სოფელს, რათა იქ გაწვრთნილი ხელოსნები ემოვნა. იგი უნდა დამკვიდრებულიყო თავისი მამოძრავებელი ძალის მახლობლად და, როგორც ანდამატს, მიეზიდა მუშა-ხელოქვეყნის დანარჩენი მხარეებიდან. თუ მუშებს არ ექნებოდათ არსებობის სხვა წყარო და ისინი ხელს აიღებდნენ დამოუკიდებელი ცხოვრების ჩვეულებებზე, მხოლოდ მაშინ შეეძლებოდა ამ ანდამატს მათი მიზიდვა ახალ საფაბრიკო ცენტრისაკენ. უმთავრესი მიზეზი ეს იყო, რომ ახალ მრეწველებს წინა საუკუნის მრეწველებზე ნაკლებად სჭირდებოდათ ადგილობრივი ბაზრის ინტერესებისათვის შემოღებული ადგილობრივი შემზღუდველი წესები. მათ სურდათ თავი გაენთავისუფლებინათ საბაჟოებისაგან, გადასახადებისაგან, და საშინაო ვაჭრობის სხვა შეზღუდულობათაგან, შეგირდობის წესებისაგან და მობინადრობის კანონისაგან, რომლის ძალით უმუშევარი მუშები უკანვე იგზავნებოდნენ იქ, სადაც იყვნენ დაბადებული. შემდეგ მათ სურდათ განთავისუფლებულიყვნენ ლონდონის ბაზრის ქვეშევრდომობისაგან. ტიუდორების დროს ნაციონალური ბაზარი შეიქმნა ლონდონის დაწინაურების წყალობით, რომელმაც უპირატესობა მოიპოვა; პროვინციალური ქალაქების ბაზრები მასთან მრავალნაირად იყვნენ გადაბმულნი, ისე რომ იგი გადაიქცა უფართოესი ოლქის ცენტრად. ბამბეულს ქსოვილი შედარებით ახალ პროდუქტს წარმოადგენდა და, როგორც ჩანს იგი არ მოჰყვა სატახტო ქალაქის გავლენას, ასე რომ მაჩესტერისა და ლივერპულის ბაზარი თითქმის ყოველთვის სრულიად დამოუკიდებელი იყო. უცხოელი ვაჭრები ლივერპულსა და მანჩესტერში მიდიოდნენ საექსპორტო საქონლის საყიდლად, ხოლო ლონდონისა და სხვა ქალაქთა მანუფაქტურის ვაჭრები ხშირად ყიდულობდნენ საქონელს ლანკაშირის პატარა ქალაქებში¹. ახალ მეწარმეებს უნდოდათ ნაციონალური ბაზარი, რომელიც შეზღუდული არ იქნებოდა მეზობელთა და ექსპორტერების კარჩაკეტილი კორპორაციების მონოპოლიური პრივილეგიებით. მათ სრულდებოდათ არ სურდათ დამორჩილებოდნენ მდიდარი ექსპორტერების მონოპოლიციურ ბატონობას. ახალი მეწარმენი მიისწრაფოდნენ ისევე მკვიდროდ გადაეჯაჭვათ თავის საქმიანობასთან ინგლისის ქალაქები, როგორც თვით იყვნენ გადახლართულნი ლონდონთან ან სხვა პუნქტებთან. ლანკაშირის ფაბრიკანტებს სურდათ, რომ საზღვარგარეთისა და მთელი ინგლისის ვაჭრებს თავისუფალი გზა ჰქონოდათ მანჩესტერისა და ლივერპულის ბამბეულის ქსოვილთა ბაზარზე; მყიდველთა შორის სრულიად შეუზღუდველი კონკურენცია გულისხმობდა ნართისა და ქსოვილის კარგ ფასებს; ხოლო მეორეს მხრით, მანჩესტერის კომერციული ფუნების ინტერესი მოითხოვდა, რომ მათ თავისუფალი გზა ჰქონოდათ მთელი ინგლისისა და მთელი მსოფლიოს ბაზრებზე.

ამიტომ მათი მდგომარეობის პირობები ახლადწარმოშობილ ჯგუფებს მკაცრ ოპოზიციაში აყენებდა მონოპოლიის ძველი სისტემისა და წინანდელი კლასების მიმართ, მიუხედავად იმისა ვიგებს ემზრობოდნენ ისინი თუ ტორებს. ამავე ახალ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ მრავალრიცხოვანი და შედარებით წერი-

¹) Chapman, დასახ. თხზ., 4, 6.

ლი კაპიტალისტები, ამიტომ ის დემოკრატიულ ელფერს არ იყო მოკლებული. ლანკაშირისათვის უცნობი იყო ინტერესების გაერთიანებისა და მონოპოლიის ტრადიცია, აქ, როგორც ჩანს არასოდეს არ არსებულა რაიმე კორპორაცია, რომ იგი გადაქცეულიყო ახალი მონოპოლიური ორგანიზაციის ბირთვად. გარდა ამისა, ახალ ადამიანთა უმრავლესობას ზეტის-მეტად მცირე პოლიტიკური გავლენა ჰქონდათ, რისთვისაც მათ მხარეზე მცირე შანსები იყო, რათა პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენების საშუალებით მოეპოვებინათ მონოპოლიური პრივილეგიები. ყველა ამ მიზეზთა გამო ყოველად წარმოუდგენელი იყო, რომ ბამბეულთა კაპიტალისტებს მიეძაძათ მე-XVII საუკუნის ვიგების მაგალითისათვის და ცდილიყვნენ კომერციული პრივილეგიების მონაწილენი გახდარიყვნენ; ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლათ მათი გაუქმებისათვის.

ყოველივე ამის გამო ახალი მოძრაობა აშკარად მტრული გამოდგა მონოპოლიისა და სახელმწიფოებრივი მფარველობის მთელი მერკანტილისტური სისტემის მიმართ. ახალი მრეწველნი მტრულად იყვნენ განწყობილნი არისტოკრატისადმი, განურჩევლად იმისა, ვიგები იყვნენ ესენი თუ ტორები; და მსგავსად ძველი პურიტანებისა, ახალი მრეწველნი აფასებდნენ ყაირათობა-დანოჯველობას, თაოსნობასა და „თვითდახმარებას“. ისინი საესებით სჯერდებოდნენ იმ უპირატესობასა და სარფას, რომელსაც მათ აძლევდა კაპიტალი, და არ ეძებდნენ კანონის მიერ დაწესებულ პრივილეგიებს. მონოპოლია ორპირი იარაღია, და ამ შემთხვევაში მას შეეძლო შეემცირებინა ის მოგება, რომელსაც კაპიტალი იძლეოდა და გაემწელებინა გამდიდრების ფრიად ხელსაყრელ შესაძლებლობათა გამოყენება. ლარიბ კაცს საკმაოდ უძნელდებოდა კაპიტალის მოპოება, რაც საკმარის იყო მანქანების შესაძენად და გამსაღებელი ბაზრის გაურკვევლობასთან დაკავშირებული რისკის გასაწვეად, და ეს ერთგვარ საზღვარს უდებდა ახალი მეტოქეების შექრას მათს სამფლობელოებში; თუნდაც მხოლოდ ეს გარემოება არსებულ მრეწველთა რაოდენადმე უზრუნველყოფილ მდგომარეობას უქმნიდა. მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, მათთვის საშიში თითქმის არაფერი იყო. საქმის გაფართოებისათვის იმდენად მრავალი შესაძლებლობა არსებობდა, — ახალი ბაზრების გამოჩახვა, ორგანიზაციისა და ტენიკის გაუმჯობესება, — რომ სრულიად საკმაო მოგების შანსები უზრუნველყოფილი იქნებოდა ყველასათვის, ვინც მრეწველობას იცნობდა, — რამდენადაც ძლიერიც უნდა ყოფილიყო ახალ მეწარმეთა ღენა მათი რიგებისაკენ. კაპიტალისტური თაოსნობისათვის არსებული შესაძლებლობანი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ახალ მეწარმეთა ღენის ყოველგვარი მოსალოდნელი გაძლიერება. გარდა ამისა, თვით მეწარმის თვისებანი ახალ ადამიანს თავისუფლებას აფასებინებდა. საერთო წესის მიხედვით, მეწარმე გაუბედავი ხდება და მფარველობას ეძებს მხოლოდ მაშინ, როდესაც უკან იხედება, ამავე დროს კი კაპიტალისტური სულის რაობას ის შეადგენს, რომ არა აწყყოსა და წარსულზე, არამედ მომავალზე ფიქრობდეს. მეწარმე დავაყაცების დროს ისევე ვერ ამჩნევს იმის საფრთხეს, რომ შეიძლება კონკურენტებმა დაამარცხონ იგი, როგორც ყურადღებას არ აქცევს მის მიერ შეიწროებული შინამრეწველი ფიქრის გაქირვებას, ან იმ ცისფერთვალემა ბავშვების ტირილს, რომლებიც წელში ილუნებიან მის ფაბრიკასა ან მალაროში.

ლიბერალიზმის სული აღტაცებას იწვევს, რადგან მასში იყო რაღაც სიხალისე, ვაჟკაცური და ძლიერი. მაგრამ მისი ძალა და რწმენა საკუთარ თავში გაცილებით უფრო თვალსაჩინო იყო ინგლისში, ვიდრე სხვა ქვეყნებში რამდენიმე ათი წლის შემდეგ. მანჩესტერის ახალი მრეწველი კაპიტალისტები მარტო ეკონომიური თავისუფლებისა და ეკონომიური ლიბერალიზმის პარტიას კი არ წარმოადგენდნენ თავის სამშობლოში, — ისინი იყვნენ აგრეთვე მისიონერები საერთაშორისო ბრუნვაში ვაჭრობის განუსაზღვრელი თავისუფლებისა და კობდენის ინტერნაციონალიზმისა. ეს აიხსნებოდა მთელი რიგი გარემოებათა წყალობით, რომელიც მათ მტრულ განწყობილებაში აყენებდა საკუთარ მოთხოვნილებათა დამოუკიდებელი დაკმაყოფილების მოძველებული იდეებისა და წინანდელი კოლონიალური პოლიტიკის მიმართ. პირველ ყოვლისა, ნედლეულის მიღებაში ისინი დამოკიდებულნი იყვნენ უცხო ქვეყანაზე — ამერიკაზე. ნედლეულის შემოზიდვის დროებითი შეწყვეტა, — რაც 1812 წლის საომარ მოქმედებათა შედეგი იყო, — დამაჯერებელ და თვალსაჩინო გაცვეთილს წარმოადგენდა იმისას, თუ რამდენად სახიფათოა კოლონიალური და სავაჭრო ომები. აქ სამეურნეო ავტარკიის¹ თეორია ეწინააღმდეგებოდა ლანკაშირის ინტერესებს². მათ სრულებითაც არ სურდათ თავისი ბაზრები კოლონიებით შემოეფარგლათ და უცხო ქვეყნებში შევიწროებული ყოფილიყვნენ სხვადასხვა სახის დამცველი და ამკრძალველი ზომებით, რასაც უცხო ქვეყნები მიმართავდნენ მათი სამშობლოს ასეთივე პოლიტიკის პასუხად. მართლაც, ევროპის ქვეყნები მათ მიაჩნდათ ადვილად მისაწვდომ, ელსაყრელ ბაზრებად; ცხადზე უცხადუკია, მათ ესპოდათ, რომ საჭიროა ამ ბაზრების დაპყრობა მეგობრობითა და მორიგებით, რადგან თუ ასე არ მოიქცეოდნენ, თუ ანგარიშს არავის გაუწევდნენ და მტრობის გზას დაადგებოდნენ ამ ბაზრებს დაპყრავდნენ. საეგებით ბუნებრივია, რომ მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ვაჭრისათვის სასარგებლოა მისი კლიენტების კეთილდღეობა, და არ სწამდათ ძველი შეხედულება, რომ გამდიდრება შეიძლება მეზობლის გაღატაკების ხარჯზე³. მით უმეტეს, რომ მრეწველებს საერთოდ შეეძლოთ გაცილებით მეტი

1) სამეურნეო ავტარკია (ბერჯ. autár a — თვითმყოფობა, დამოუკიდებლობა) — თეორიულად წარმოდგენილი სამეურნეო წყობა ქვეყნისა, რომელმაც შეუძლია იარსებოს უცხოეთთან მეურნეულ კავშირს მოწყვეტილად (როგორც ესპარტის ისე იმპორტის გარეშე): რადგან ასეთი ქვეყანა ანუ, სახელმწიფო ამ წარმოდგენით მდებარეობს ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც მდინარით ბუნებრივად ძალებით, როგორც არის მაგალითად ნიადგის სინოპოურე სასოფლო მეურნეობისათვის, მიწვარაღური სიმდიდრენი მრეწველი ობისათვის და სხვ. (რედ. შენ.).

2) 1800 წ. შემდეგ შალეულის მრეწველობაც თვალსაჩინოდ დამოკიდებული შეიქმნა უცხოეთის მატყლზე (იხ. Cunningham, დასახ. თხზ., 643—644.

3) მანჩესტერი, რომელმაც კარგად იცის თავისი საქმე, გულმოდგინედ იცავს თავის ინტერესებს, მაგრამ მას ესმის, რომ ამ ინტერესების უზრუნველსაყოფად მან არ უნდა დაიწყოს აგრეთვე თავისი კლიენტების მატერიალური და მორალური საჭიროებანი. მანჩესტერი გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ მჩაგვრელი უღლისაგან განთავისუფლებულ რუმინეთს, — სადაც ამიერიდან ჰქონიან გულდამშვიდებით შეუძლია გააფართოოს თავისი ათვისები და უფრო ღრმად ამოსთხაროს ნათის კაბურღილები, — შეეძლება მეტი მსყიდველობითი უნარი ექნება ვიდრე ოსმალეთის იმპერიის გავრცანებულ დუნაის პროვინციებს. მანჩესტერი დარწმუნებულია, რომ მისი ძველი ლიბერალიზმის მიერ — გლდრისაგან გადარჩენილი ბულგარელები გახდებიან რაღაც რაღაც განათლებულნი“. უკეთეს მომზარებლებად გადაიქცევიან. (M. Berard, Brit. Impe-

ხეირი ენახათ თავისი საქონლის საზღვარგარეთის ბაზარზე დაშვებით, ვიდრე ეზარალათ უცხოეთის საქონლის კონკურენციით თავის სამშობლოშივე. ინგლისმა თავის მრეწველობაში ნახევარი საუკუნით გაუსწრო ყველა დანარჩენ ქვეყნებს. მის საქონელს შეეძლო ყველგან შეენარჩუნებია ბაზარი და მაშველდის ფაბრიკანტებს ყოველ შემთხვევაში, თითქმის არ ჰქონდათ კონკურენციის შიში.

ლანკაშირის მრეწველობის წარმოშობის პირობები ლანკაშირს თავისუფალი ვაჭრობისა და *laissez-faire*-ის პრინციპების მომხრედ ხდიდა. კაპიტალსა და თაოსნობას აქ სრული თავისუფლება ჰქონდათ წარმოების ორგანიზაციისა და პროდუქტებისათვის საჭირო ბაზრის გამონახვის საქმეში; ეს, უეჭველია, უმთავრესი ფაქტორი იყო, რამაც უზრუველყო ახალ გამოგონებათა გამარჯვება. ახალი ინდუსტრიალიზმი სწორედ იქ უნდა წარმოშობილიყო, სადაც მერკანტილიზმის არტახები ყველაზე უფრო სუსტი იყო. ამასთანავე ერთად, ახალ საწარმოთა გამარჯვებას თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი ახალი ტიპის კაპიტალისტების გამოჩენამ, რომელნიც სულ სხვანაირი სკოლიდან იყვნენ გამოსულნი. მართლაც, ბევრ შემთხვევაში ამ ახალ ხალხს ახალი მეთოდებისა და ახალი იდეების შეთვისების უფრო მეტი უნარი აღმოაჩნდათ და უფრო ნაკლებად იყვნენ ისინი შეზღუდულნი ძველი და ყალბ შეხედულებათგან. საერთო წესით, საფაბრიკო მრეწველობის პიონერად სრულებითაც არ გამოსულა მონოპოლისტი, — რომელიც ვოგებს ეკედლებოდა, — და არც საშინაო მრეწველობის კაპიტალისტი, თუმცა შემდეგ ხანებში არც ისინი დარჩნენ ვანზე და მონაწილეობა მიიღეს მის განვითარებაში. ახალი ხალხი გამოდიოდა ხშირად თავისუფალი ფერმერების, ვაჭრების ან ყოველგვარი ოსტატ-ხელოსნების: მკერავების, მექედებისა და ფეიქრების რიგებიდან¹. თავისუფალი ფერმერის მდგომარეობამ ბოლო დროს გაუარესება იწყო მიწების შემოღობვის უფრო და უფრო გახშირებისა გამო, ამიტომ ის არსებობის ახალ წყაროებს ეძებდა. წინად, რამდენიმე ხნის განმავლობაში, შეიძლება, იგი თავისი დროის ნაწილს ფეიქრობას ანდომებდა და, ამგვარად, რაოდენადმე იცნობდა წარმოებას. ხოლო როცა ახალი გამოგონებანი გაჩნდა, მას ჰქონდა სრული შესაძლებლობა გამოეყენებინა ეს გამოგონებანი, რადგან ჰქონდა მიწა, რომელიც შეეძლო დაეგირავებინა და, ამგვარად, საჭირო კაპიტალი გაეჩინა. მე-XIX საუკუნის დამდეგის ბევრი ახალი სახელი ამ კლასიდან გამოვიდა, როგორც მაგალითად: პილი, ფილდენი, სტრუტი, ჰეკელი, უილინსონი, დერბი, კროუბი, რადკლიფი². აგრეთვე ვაქარს, ხელოსან-ფეიქარს და მეშაუდეს გაუჭირებდალ შეეძლო მეწარმებად გახდარიყვნენ; მათ, ალბათ ექნებოდათ არამცირედი ნაღდი საშუალებანი, კაპიტალი და აგრეთვე ერთგვარი გავლენა თავის კუთხეში და საბაზრო კავშირი.

მეორე მხრით, ძალიან გადაჭარბებით არ უნდა წარმოვიდგინოთ რიცხვი ახალი კაპიტალისტებისა, რომელნიც, გამოსულნი იყვნენ საკუთარი მეცადინეობისა და *Commercialism and Commerce*. Syremaey, 180). *ცხ. აგრეთვე Brailsford, War of Steel and Gold*, 46 და შ.მდ.

¹) Cunningham, *დასახ. თხზ.*, 619; Gaskell, *Artisans and Machy*, 32-33, 94-95; Radehlffe, *Origin of Manufacturing*, 9-10; Chapman, *დასახ. თხზ.*, 24-25; Marx, *დასახ. თხზ.*, 774.

²) J. and B. Hammond, *The Town Labourer*, 8.

ბით ფეხზე დამდგარ პატარა ადამიანთა წრეებიდან. საშუალო, დღიურ, თუ მუდმივ საშუაოზე მყოფ მუშას, ალბათ, ხუთი ათასიდან ერთ შანსზე მეტი არა ჰქონდა, რომ ამ გზით დაწინაურებულიყო. უკვეელია, ზოგნი ახერხებდნენ ამაღლებას, მაგრამ ეს გამონაკლისი იყო—ისეთი გამონაკლისი, რომელიც რაიმე არაჩვეულებრივი ხელსაყრელი გარემოებით აიხსნებოდა. წერილ მესაქუთრეთაგან, ვინც ამაღლებას ახერხებდა, მთავარ მასას შეადგენდნენ უფრო უნარიანი, უფრო მეტი თაოსნობის ანუ ბელიბლის პატრონი პირები, რომლებსაც თავისი დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ. და იმას, რასაც ისინი იძენდნენ თავისი ენერჯისა და შეუპოვრობის წყალობით, ხშირად ჰკარგავდნენ იმის გამო, რომ ძნელი იყო საკმაო კაპიტალის შოვნა საკუთარ საწარმოთათვის. ახალი ხალხის ამაღლება სრულიად ბუნებრივი შედეგი იყო საფეიქრო მრეწველობის ვასაოცარი განვითარებისა და ზრდისა, რაც შესაძლებლად ხდიდა სწრაფად გამდიდრებას და მცირე საშუალებათა პატრონების, მაგრამ თაოსნობის უნარიან პირთა ენერჯის გამოყენებას. ასე არ ხდებოდა მრეწველობის სხვა დარგებში და ქვეყნის სხვა ნაწილებში, სადაც ზრდის ტემპი ასე ვასაოცარი და პირობები ასე ხელსაყრელი არ ყოფილა. ვესტ-რაიდიנג-ში (იორკშირი) ახალი ფაბრიკანტები, უკვეელია, გამოდიოდნენ, უმთავრესად, კაპიტალისტ ვაჰართა კლასიდან¹, ხოლო ოსტატი-ფეიქრები იმის იქით ვერ მიდიოდნენ ფაბრიკები რომ მოაწყვეს ერთგვარ კოოპერატიულ საფუძვლებზე. რკინისა და მანქანათა მშენებლობის მრეწველობაში მცირე საშუალებათა პატრონს, უკვეელია, წინ ელობებოდა განსაკუთრებული დაბრკოლებანი და მას დიდის ვაჰივრებით შეეძლო საკირო კაპიტალის დაგროვება — სესხის საშუალებით. მაგალითად, ბოლტონი სწერდა ვინმე პიტერ ბოტს, რომელიც ითხოვდა თავისი ძმის შეგირდად აყვანას: „არა შგონია, ეს პროექტი შესაფერი იყოს თქვენი ძმისათვის, რადგან მრეწველობის ეს დარგი არ ეკუთვნის ისეთებს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მცირე თანხის დაბანდებას. ის მოითხოვს უფრო თვალსაჩინო თანხებსაც კი, ვიდრე ეს მსხვილ ვაჰარს სკირდება, ასე რომ ამ სპეციალობის შემსწავლელი პირი ან უბრალო მუშა უნდა იყოს, ანდა მას ძალიან დიდი შეძლება უნდა გაიჩინდეს“².

ის პირობები, რომლებშიც ამ ახალ ადამიანთა ამაღლება ხდებოდა, შეიძლება ვაივოთ, იმ „გამომგონებელთა და შრომის მოყვარე ადამიანთა, ვაცნობის შემდეგ, რომელთა სახელი უკვდავყო სამუელ სმაილსმა. ზოგნი მათგანი ბამბულის საქსოვი ფაბრიკების პატრონნი იყვნენ, ბევრი კი პირველად უფრო გამომგონებელი იყვნენ, ვიდრე მეწარმენი, მაგრამ მათი ისტორია მოგვაგონებს ლანკაშირის ბევრ ახალ ადამიანთა ისტორიას. ოცდარვა ბედნიერ გამომგონებელიდან და მეწარმიდან,—რომელთა შესახებ სამუელ სმაილსმა დაწერილებითი ცნობები მოგვაწოდა თავის ორ მთავარ ნაწარმოებში¹,—რვა გამოსული იყო ეშუათა კლასიდან, თოთხმეტი წვირლ მესაქუთრეთა კლასიდან ან ფერმერების, ოსტატ-ფეიქრების, მეტქმეების, მასწავლებლების და სხვათა რიგებიდან, რომლებიც წვირლ ბურჟუაზიას ეკუთვნოდნენ, ხოლო ექვსი გამოსული იყო საცესებით

¹) Cunningham, დასახ. თხ., 618.

²) J. Lord, Capital and Sand team Power, 91, აგრეთვე 108.

შეძლებული ბურჟუაზიიდან. რვა კაციდან (28 კაცს შორის), რომლებიც ასე თუ ისე მსხვილ კაპიტალისტებად გადაიქცნენ, მხოლოდ ნილოსონი ეკუთვნოდა პირველ ჯგუფს, ამასთანავე „იგი იძულებული იყო დაეთმო (თავის კომპანიონებისათვის) ორი მესამედი მოგებისა, რომელსაც მისი გამოგონება იძლეოდა, რათა მოეპოებინა კაპიტალი და გავლენა, რომელიც საჭირო იყო მისი გამოგონების საყოველთაო გავრცელებისათვის“². დანარჩენი შეიღი გამოვიდა წვრილი, ან საშუალო ბურჟუაზიის რიგებიდან.

მუშებმა, რომელთა შესახებაც სმაილსი სწერს, საერთოდ, ვერ მიაღწიეს რაიმე გასაოცარ შედეგებს. ჰაინრიხ კორტი სილარიბეში მოკვდა, ხოლო მისი გამოგონებით ისარგებლა რიჩარდ კროუსეიმ. ამით მან დაადასტურა, როგორც სმაილსი დასძენს, რომ „ფულის შექმნის საქმეში მოხერხებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გამოგონებლობას, საქმიანობის უნარს უფრო, ვიდრე პროფესიონალურ ცოდნა-ხელოვნებას“³. ჯოზეფ კლემენტმა მძიმე შრომისა და ყაირათობის საფასით იშოვა ადგილი ლონდონში, მიაღწია ოსტატის თანამდებობას და როცა მოკვდა, პატარა სახელოსნო ჰქონდა 30 მუშით. ფოკსი ფარეშის შეილი იყო. მან საკუთარი გამოგონებით დააინტერესა თავისი მამის პატრონი, მიიღო მისგან კაპიტალი საკუთარი პატარა საწარმოს გასახსნელად. მკვდლის ყოფილმა შეგირდმა მურეიმ ადგილი მიიღო ლიდსის მექანიკურ სახელოსნოში. მან გაუშჯობესებანი შეიტანა სახელოსნოში და ამის გამო უფროსი მექანიკოსის თანამდებობა მიიღო, ხოლო შემდეგ რამდენიმე კომპანიონთან ერთად ამ ქალაქში პატარა მექანიკური ქარხანა გახსნა. რიჩარდ რობერტი კომპანიონ-მექანიკოსად შევიდა ერთ საწარმოში, რომლისთვისაც კაპიტალი გაიღო ვინმე შარპმა; ხოლო გერმანელი გლეხის შეილი კენინგი, რომელიც უნივერსიტეტში სწავლობდა, ინგლისში მივიდა, და ფული ისესხა სტამბის გახსნის მიზნით, მაგრამ საქმე რიგვიანად ვერ წაუვიდა. რისთვისაც ინგლისი დასტოვა და სილარიბეში მოკვდა.

ამ ბიოგრაფიათა შორის ყველაზე საინტერესო, გვეგონია, ბიანკონის ბიოგრაფია არის, — მით უმეტეს, რომ მასში ჩვენ ვხედავთ სამდვილი მეწარმის მოხერხებას. ვგ იყო ლომბარდიელი გლეხის შეილი, ის შეგირდად დაუდგა გრავიურების მოხეტიალე ვაქარს, რომელიც ირლანდიაში მიდიოდა. თავისი ბატონის სიკვდილის შემდეგ ბიანკონიმ მამისაგან მიღებული მცირეოდენი ფულით საკუთარი საქმე გაიჩინა, ხოლო შემდეგ საგრაიურთა სახელოსნო გახსნა უოტერფორდში. მაგრამ ის მოხერხებული, „თვითდახმარების“ სულით გამსჭვალული კაცი იყო და როდესაც ოქროს ტრიალს პრემია დაედო, ბიანკონიმ ამით ისარ-

¹) Men of invention and Industry u Industrial Biography. ეს უნდა ჩაითვალოს დაახლოებულ ცნობად, რამდენადაც ავტორი ყოველთვის საკმაო ზედმიწევნობით არ არკვევს თავისი გმირების ნამდვილ წარმოშობას. ამიტომ იძულებული ვიყავით შემთხვევით ცნობებს დაეყრდნობოდით, რათა გამოგვეჩვენა, თუ სახელდობრ ვის გულისხმობს სიტყვები „ხელით მომუშავე ფეიქარი“, — ოსტატ-ფეიქარს თუ მუშას: იძულებული გახდით ავრთვე გამოგვეტყუებინა რამდენიმე პირი. საერთოდ კი საეჭვო შემთხვევებში ჩვენ უფრო „თვითდახმარებას“ ვაძლევით უპირატესობას.

²) Smiles, Industr. Biography, 159.

³) იქვე. 114.

გებლა და გინეათა¹ შეძენა იწყო გლეხებისაგან, რომლებმაც არ იცოდენ ოქროს ბაზრის მდგომარეობა. ამ გზით მიღებულმა მოგებამ მას კაპიტალი შეუქმნა, რითაც მოაწყვა ორთელნიანი ურმების ტრანსპორტი ფერმერებისა და გლეხებისათვის, რომელთა შეძლებას არ შეეფერებოდა ამაზე მეტად საფუფუნო და ძვირადღირებული საფოსტო კარეტები. მაგრამ აქაც კაპიტალის ნაკლებობა აფერხებდა მის საწარმოს განვითარებას, ვიდრე ბედი და მისივე საკუთარი გამპკრიახობა ხელახლა არ დაეხმარა მას. იმხანად ბიანკონის ბედი ეწია არჩევნების სახით, რომელიც უორტერფორდში წარმოებდა. მას შემდეგ, რაც ბიანკონი მოუროგდა ერთ-ერთ მებრძოლ პარტიას თავისი ურმების იჯარით გაცემის შესახებ, მეორე—მოწინააღმდეგე პარტიამ უფრო ხელსაყრელი წინადადება მისცა და სთხოვა მისთვის გადაეცა მიმოსვლის ეს ძვირფასი საშუალება. უკვე დადებულია ხელშეკრულებამ ვერ დააბრკოლა ჩვენი თაოსნიანი გმირი. მან ჩამოართვა თავისი ურმები პირველ კლიენტებს. იმ საბაბით, რომ პოლიტიკურ შეხლამშემოხლასა და ალიაქოთში მისი ურმები ტალახმა გააქუქყიანა და გააფუჭა; რის შემდეგაც მან ურმები მაშინვე გადასცა მოწინააღმდეგე პარტიას. ამის შედეგის იყო, რომ არჩევნებში ამ უკანასკნელმა პარტიამ გაიმარჯვა, და მადლობის ნიშნად ბიანკონის ასეთი სამსახურისათვის 1.000 გირვანქა სტერლინგი მისცა საჩუქრად. ამიერიდან ბიანკონი კაპიტალის ნაკლებობას აღარ განიცდიდა. „მას საშუალება მიეცა ცხენებისა და თივის ბაზარს დაპატრონებოდა“. და როცა გარდაიცვალა, ყველასაგან პატივცემული და მდიდარი კაცი იყო².

ამგვარად, მე -XIX საუკუნის სამრეწველო საწარმონი ერთის მხრით, ლანკაშირის ეკონომიური თავისუფლებისა და, მეორეს მხრით, მონოპოლიისა და მერკანტილიზმის შეერთებული მოქმედების შედეგი იყო. მართალია, რომ ეს განვითარება შესაძლებელი გახდა კაპიტალისტისათვის შექმნილი ახალი თავისუფლების წყალობით, —როგორც ამას ესოდენის დაჟინებით აცხადებდენ ახალი კლასის წარმომადგენელნი. მართალია, რომ ამ თავისუფლებამ გასაქანი მისცა თაოსნობას, ააპოძრავა პიონერები, მაგრამ ესეც უნდა გვახსოვდეს: ახალი თაოსნობა მალე გამოიფიტებოდა, ხოლო პიონერებს ზურგს არაიენ გაუმავრებდა და მიმდევრები არ ეყოლებოდათ, რომ არ არსებულყოფი ფულიანი ხალხის უკვე სრულიად ჩამოყალიბებული კლასი, რომელსაც თავის განკარგულებაში ჰქონდა კაპიტალი, რომელიც მზად იყო ხელი შეეწყვა ახალი საქმისათვის და აქტიური მონაწილეობა მიეღო მასში, ანდა სესხად მიეცა თავისი კაპიტალი ახალი ადამიანისათვის. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის დაბრკოლებანი, რომელიც გადალახეს ამ ახალმა ადამიანებმა კაპიტალის ძიებაში, და უკვე გამდიდრებულ პირთა დაუხმარებლად ლანკაშირის განვითარება, ალბათ, შორს ვერ წავიდოდა. ერთ-

¹) გინეა (Guinea)—ძველებური ინგლისური ოქროს ფული; პირველად სკრიდენ გინეი დაწ ბოტანიკი ოქროდან. ბრუნჯში იყო 1664 — 1817 წ.წ. გინეას კურსი 1717 წ. დაუგვილი იყნა 21 შილინგზე. (რეუ. შენიშ.).

²) Smiles, Men of Invention u. Industry, 208. სმ აილსის წიგნი—„Silver of the Engineers“—მოხსენებულ მექანიკოსთაგან მუშათა კლასიდან გამოსულნი იყვნენ სტუდენტონი, მეტალური და ტელეფონი; ფერმერებისა ან წვრილ მემამულეთა შვილები იყვნენ: ფედარდსი, სპიტონი, ბრინდლეი და რენი. დანარჩენი ხუთი კაცი მალაღ და საშუალო კლასეიდან იყვნენ გამოსულნი.

ერთმა უღარესად თვალსაჩინო ახალმა მეწარმემ, რადკლიფმა თავისი კარიერის პირველი ნაბიჯი მანამდე ვერ გადასდგა, ვიდრე არ შეიამზანდა ერთი შოტლანდიელი ვაჭარი. — რომელსაც აღებ-მიცემობა ჰქონდა ლაიპციგსა და ფრანკფურტთან. — და, ამრიგად არ შეიძინა კაპიტალი და არ გაიჩინა ნაცნობობაკავშირი; ამისდამიუხედავად რადკლიფმაც კი „განიცადა ვაჭირებმა მოხუცებულობაში და დამოკიდებულება სხვათა კაპიტალზე“¹. ამისავე მსგავსად ბამბეულის მრეწველობას თვალსაჩინო ფინანსებს აწვდიდენ ვაჭართა წრეები. „ბამბის შემომტანი ვაჭარი ახალ მეფაბრიკეს საშუალებას აძლევდა შეექმნა დამოუკიდებელი საწარმო, აძლევდა რა მას სამთვიან კრედიტს; მაშინ როდესაც ვაჭარი ექსპორტერი ასეთსავე დახმარებას უწევდა ფაბრიკანტს მით, რომ კვირაში ერთხელ ფულს აძლევდა მის მიერ დამზადებულ საქონელში. სახელობრ ამგვარი ვაჭრობიდან შემოსული კაპიტალით წარმოიშვა ლანკაშირის პირველ საბრეწველო საწარმოთა უდიდესი ნაწილი; ნხოლოდ ამან გახადა შესაძლებელი ბამბეულის მრეწველობის არაჩვეულებრივი ზრდა“². სწორედ ასევე ვაჭრები ძალიან ხშირად აბანდებდენ კაპიტალს წარმოებაში და სამრეწველო წარმოებათა პატრონნი ხდებოდენ. ნატარ მეიერ რიტშილდმა, რომელიც ვაჭრობდა მანჩესტერსა, ფრანკფურტსა და აღმოსავლეთთან. 20.000 გირვანქა მიიღო მაშისაგან, ამას ზარდა იგი თავის ხელში აერთიანებდა, ნედლეულის მიწოდებისა, საფაბრიკო წარმოებისა და ქსოვილების შეღებვის გზით მიღებულ მოგებასაც. ათი წელიწადი არც კი გასულა, რომ მან ხელთ იგდო მისი თავდაპირველი კაპიტალი და შემდეგ ამისა იგი გადაიტანა ლონდონის ფულის ბაზარზე³.

სწორედ ასევე ახალი მრეწველობა ვერასგზით ვერ განვითარდებოდა, რომ არ ყოფილიყო დაქირავებულ მუშათა შეუსწევტელი ღენა, რომელთაც სხვა გზა არ გააჩნდათ, თუ არა მცირე ხელუასად ფაბრიკებში მუშაობა, და რომელიც წარმოშვა წინა ოთხი საუკუნის ეკონომიურმა ვითარებამ. ამ მხრივ ინგლისელ მეწარმეს უპირატესი მდგომარეობა ჰქონდა ფრანგ და გერმანელ მეწარმესთან შედარებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიწების შემოღობვამ, — რომელიც ფართო მასშტაბით წარმოებდა ამ პერიოდში, — თვალსაჩინოდ გაადიდა ქალაქში მუშათა რიგები, წაართვა რა მათ უკანასკნელი ნაშთები იმ დამოუკიდებლობისა, რასაც მათ უქმნიდა მიწის ფლობა ან სათემო მიწებით სარგებლობა. ირლანდიაში აყრილი უბედური მოსახლეობაც ამ დროს ლანკაშირისაკენ გაეშურა, და ეს ხედმეტი მუშა-ხელი მეტის-მეტად დაბლა სწევდა ხელფასის დონეს, რითაც პირველ მეწარმეებს მნიშვნელოვან დამატებით უპირატესობას აძლევდა⁴. ბინების ნაკლებობა ახალ სამრეწველო რაიონებში. ახალი ეკონომიური თავისუფლების დროს მუშებს უფრო დამოკიდებულ და უუფლებო ხალხად ჰხდიდა; ამის მიზეზი ის იყო, რომ ფაბრიკანტები თავისი მუშებისათვის სახლებს აშენებდენ ფაბრიკის ახლოს, და რაკი ისინი თავისი მუშათა ბინების პატრონები იყვნენ, ამით ერთსა და იმავე დროს მიწისმფლობელის ძალა-გავლენაც ხელთა

¹) Daniels, დასახ. თხზ., XXX (გ. უნეინის წინასიტყვაობა).

²) იქვე.

³) იქვე, XXX, XXXI.

⁴) Gaskell, დასახ. თხზ., 34.

ჰქონდათ და ფაბრიკანტსაც, როგორც ეს ამჟამად არის ამერიკის სამთო მრეწველობის ბევრ ქალაქში და ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის ზოგიერთ რაიონებში. „კოტეჯები,—სწერდა გასკელი 1836 წელს,—ჩვეულებრივ ეკუთვნოდა ფაბრიკის მფლობელს და კოტეჯებში მცხოვრებნიც ყველგან მასზე იყვნენ დამოკიდებულნი. მათი დამოკიდებულება ხშირად აბსოლუტური იყო, არც ერთ ფეოდალ მფლობელს ასეთი ძალა-უფლება არა ჰქონია... ბევრი ფაბრიკის გარშემო გაჩნდა მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც ფაბრიკის პატრონისათვის ისეთსავე საკუთრებას შეადგენდა, როგორც მისი მანქანები... წარმოიშენენ პატარა-პატარა კოლონიები, რომლებიც მეწარმის თვითმპყრობელურ მმართველობაზე იყვნენ დამოკიდებულნი“. ხშირად ამას ზედ ერთოდა მუშათა შრომის ანაზღაურება საქონლით, რის წყალობითაც „მეწარმის ხელისუფლება უფრო ძლიერი იყო ვიდრე საომარ გუნებაზე განწყობილი ბარონისა, ან რუსი აზნაურისაგან ყმების ჩაგვრა“¹. გასაკვირველი არ არის, რომ ბამბეულის მრეწველობის ახალ წარმოქმადგენლებს ეადვილებოდათ „თვითდახმარება“.

ისტორიის დაუმთავრებელი გვერდი.

ახლა ერთგვარ მოდელ იქცა, რომ დედოფალ ვიქტორიის დროინდელ ინგლისს რალაც მსუბუქი დაცინებით მოეპყრან: და ჩვენის წრიდან გამოსული კეულის კოლოფები ყოველთვის შზად არიან კარიკატურულად დაგვიხატონ გულზვიადობა--და ასე გაშინჯეთ პირმოთნეობასაც კი—გლადსტონის თაობისა, რომლის ბუნებაშიაც ღრმად გაედგა ფესვი პურიტანულ ინსტიტუტებს, შეერთებულს შედიდურებისადმი უცნაურ სიყვარულთან, რამაც თავისი აპოთეოზი ჰპოვა მეუღლე-პრინციის ძეგლში. მიუხედავად ამისა, მე-XIX საუკუნის ამ თაობებს სამართლიანად შეუძლიათ ბევრი რამეით იამაყონ; მიტომ რომ ეკონომიურმა ლიბერალიზმმა, რომელსაც ისინი მზრუნველობით თავს დასტრიალებდნენ, საძირკველი ჩაუყარა თანამედროვე ინგლისის სოციალური ცხოვრების საფუძველთა უმეტესობას. ახალი კანონი ღარიბთა შესახებ, მუნიციპალური მმართველობის რეფორმა, მერკანტილიზმის უარისყოფა და თავისუფალი ვაჭრობის გამარჯვება—აი ის ღონისძიებანი, რომელთა საშუალებითაც განახლებულმა თემთა პალატამ უღმობელად მიაჯახუნა ის კარი, რომლის იქითაც დარჩა სტიუარტებისა და ჰანოვერთა დინასტიის დროინდელი ინგლისი. არც საგარეო პოლიტიკაში მომხდარა ამაზე ნაკლები ცვლილებანი. კობდენის ახალი ლიბერალური სული სწრაფად იმარჯვებდა და „კოლონიებთან ურთიერთობაზე ახალმა შეხედულებამ ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა“, რომ ღიზრაველი იძულებული გახდა ემხილა „ლიბერალიზმის მისწრაფება, მიმართული ბრიტანეთის იმპერიის დაქუცმაცებისაკენ. ეს სათუთი შეხედულებანი,—ამბობდა იგი,—შეთვისებულია თვითმართველობის მინიჭების სახითო“¹.

უკან იწვევდნენ კოლონიალურ გარნიზონებს, კოლონიებს ანიჭებდნენ თვითმართველობას ლიბერალურ საფუძველებზე, მოაზღვინეს სუდანისა და ტრანსვაალის ევაკუაცია. და ევროპისთვის დაიწყო შედარებითი მშვიდობიანობის ხანა. მრეწველობის დარგში გაუგონარი სისწრაფით ერთიმეორეზე ხდებოდა ცვლილებანი. ტენზიკის პროგრესს წინ უსწრებდა მხოლოდ სამრეწველო ორგანიზაციის პროგრესი,—წარმატებანი სპეციალიზაციის ახალ მეთოდთა გამოგონების სფეროში და ამ სპეციალიზაციის გამგებლობის აპარატზე სწრაფი გადატანით. ეს იყო საერთო ცვალებადობის პერიოდი, როდესაც თითქმის არავითარი დაბ-

¹) Egerton, Short Hist. of Brit. Colonial Policy, 369 და 361; იხ. აგრეთვე A. Viallate, Econ. Imperialism and internat. Relations, 7; C. A. Bodelsen, Studies in Mid-Victorian Imperialism.

რკოლება არ არსებობდა საწარმოო ელემენტთა გადაჯგუფების საქმეში, რათა საესეებით გამოყენებული ყოფილიყო ეკონომია წარმოებასა და ტრანსპორტზე; ეს იყო პერიოდი, როდესაც ფულზე გაზომვისა და გამოანგარიშების პრინციპი თითქმის შეუზღუდველად ტარდებოდა ცხოვრებაში. ეს პრინციპი შეიქმნა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების უმძლავს მომწესრიგებელ ძალად. ეკონომიური რაციონალიზმისა და ვარგისობის ეს თარაზო საყოველთაოდ გავრცელდა პირველად სწორედ ამ პერიოდში: როდესაც ირგვლივ ჰაერი წინსვლის გრძნობით იყო გაჟღენთილი, ადამიანის წარმოდგენა ადვილად ნაეარდობდა ზესკნელში, რათა საკუთარი თაოსნობისათვის გამოენახა ახალი სფეროები. ხოლო საქონლის, შრომისა, და კაპიტალის ბაზრების შეუჩერებელი ვაფართოება ნებას აძლევდა ადამიანს რათა ხელთკონებული რესურსები სწრაფად შეეგუებინა ცვალებადი საჭიროებათათვის, თანახმად ფასების მგრძნობიარე მითითებებისა. პასტორ მალტუსის „ემმაკი მტკიცე ხელით განიღვევა სცენიდან“¹ და უბრალო შავი მუშებიც კი, რომელთა დეგრადაცია განუსაზღვრელი იყო საუკუნის დამდეგს, ეზიარნენ ამ პერიოდის აყვავებას და ასწიეს თავისი ცხოვრების დონე.

იყო თუ არა ეს ეკონომიური ლიბერალიზმი ბუნების კანონი, ამისი რამოგახსენოთ და ის კი ცხადია, რომ ყოველ შემთხვევაში, მას ბედათ არ ეწერა ბუნებისებური უკვდავება; არ დამდგარა ის აღთქმული ათასწლოვანი პერიოდი, რომლის რწმენასაც თავის გულში ულოლიავენდა ეკონომიური ლიბერალიზმი ვიქტორიას ეპოქაში; კაპიტალიზმს ჯერ კიდევ ქვეყნიერებისთვის უნდა დაენახვებინა—და ძალიან მკაცრი ფორმითაც,—რომ მას თავისი უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ უთქვამს. მე-XX საუკუნის მიწურულში აღმოჩნდა, რომ ლიბერალური ფრიტრედერომის პროგრესი ძლიერ დაბრკოლებას შეეჯახა, ვინაიდან კაპიტალიზმის განვითარებაში ახალმა ეტაპმა იჩინა თავი. ამ ეტაპმა დაგვანახა, რომ „ეკონომიური თავისუფლებისა“ და თავისუფალი კონკურენციის ფაზა წარმოდგენს მხოლოდ საშუალო, გარდამავალ საფეხურს ორ პერიოდს შორის,—მონოპოლიის აშკარად გეგმაშეწონილად გატარების პერიოდსა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიერ ეკონომიური ცხოვრების ფართო მოწესრიგების პერიოდს შორის.

ეკონომიურ ლიბერალიზმს ინგლისში შეეძლო მიეღწია თავის სრული განვითარებისათვის მხოლოდ იმ სპეციალური პირობების წყალობით, რომელიც ბოლო სამ საუკუნეში მოსდგამდა ინგლისის ეკონომიურ განვითარებას. „თავდაპირველი დაგროვების“ სხვადასხვანაირი ფორმები, რომელთაც ხელს უწყობდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკა, იმდენად მარჯვე გამოდგა კაპიტალის მონოპოლიის დაწესებისა და ბურჟუაზიის ხელში წარმოების საშუალებათა თვითმყრის საქმეში, რომ არაეითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრით ამ მონოპოლიის დაცვა რეგლამენტებითა და პრივილეგიებით. საგარეო ვაჭრობის დარგში და მსოფლიო ბაზარზე, კომერციულმა პროგრესმა და კაპიტალის დაგროვებამ საშუალება მისცა ბრიტანეთს პირველი ადგილი დაეკირა წარმოების ტექნიკის მხრივაც: მას შეეძლო დაემზადებინა მანქანები და მამბეულის ნაწარმოები მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებს ანსულ არ შეე-

1) J. M. Keynes, დ.ს.ბ. თბ. 8.

ძლოთ მათი დამზადება, ან და თუ დამზადებდნენ. გაცილებით ძვირი დაუჯდებოდათ. აი რატომ იყო, რომ ლიეერპულის ვაქრებსა და ბოლტონისა და ბლენაბურნის ზილკონერებს არაფრის დაკარგვისა არ ეშინოდათ, თუ ვინცობაა მფარველობითი ტარიფები არ იქნებოდა; პირიქით, მათ მოგების მიღება შეეძლოთ ევროპის ბაზრებზე, მათი საქონლის თავისუფლად დაშვების წყალობით.

მაგრამ საუკუნის ბოლოს ამ განსაკუთრებით ხელსაყრელმა მდგომარეობამ განვლო. სწრაფმა ტენიკურმა პროგრესმა და კაპიტალის კონცენტრაციის ზრდამ გამოიწვია მოგების ნორმის დაცემა. კაპიტალისტებმა თავისი თანხები საზღვარგარეთ გაიტანეს, სადაც მოგების ნორმა მაღალი იყო, ხოლო კაპიტალისტების ზოგიერთმა ჯგუფმა კი სპეციალურ ღონისძიებებს მიმართა, რათა თავიანთ საწარმოებში ხელი შეეშალა მოგების დაცემისათვის. გასული საუკუნის მესამე მეოთხედის დასასრულამდე მოგების ნორმის დაცემის ეს ტენდენცია აშკარა ფორმით არ გამოხატულა. „პირვანდელი დაგროვების“ ხანა კიდევ გრძელდებოდა მე-XIX საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში, და პროლეტარიატის რიცხვი განაგრძობდა სწრაფ ზრდას. ვინაიდან მოთხოვნილება ინგლისის საქონელზე იზრდებოდა, ამიტომ ევროპის სამრეწველო განვითარების პირველ პერიოდის განმავლობაში განაგრძობდა ზრდას „ზემოგება“, რისი მიღება შეეძლო ინგლისის კაპიტალს თავის საგარეო ვაჭრობაში ხელსაყრელ პირობათა წყალობით. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში საფრანგეთისა და გერმანიის ინდუსტრიალიზაციამ საქმის ვითარება შესცვალა. ინგლისის საქონლის გატანა ევროპის ბაზარზე აღარ იზრდებოდა, კონტინენტის მრეწველობამ სერიოზული კონკურენციის გაწევა დაუწყო მანჩესტერსა და ბირმინგემს. ამით შეშინდა ნიადაგი იმისთვის, რომ უარყოფილიყო მანჩესტერის ლიბერალური თვალსაზრისი, რომელსაც შემდეგ სათაქილო „მცირე-ინგლისურ“ ლიბერალიზმის—სახელით იხსენიებდნენ. იწყეს მეტი ყურადღების მიქცევა არა ევროპიულ ბაზრებისადმი და გააძლიერეს კაპიტალის გატანა ამ ბაზრებზე.

ამავე დროს კაპიტალის კონცენტრაციის ზრდას მოჰყვა გიგანტურ საწარმოთა ხანა. კონკურენცია მხოლოდ მაშინ არის ხოლმე მთლად თავისუფალი, როდესაც ერთის მხრით კონკურენტი წარმოებანი არ არიან დიდი ზომისანი და მეორე—როდესაც ისინი თანაბარი სიდიდისანი არიან. წარმოიშვებიან თუ არა გიგანტური საწარმონი, კონკურენციის პირობები იცვლება. გიგანტურ წარმოებათ ისეთი უპირატესობანი აქვთ, რომელიც საშუალებას აძლევს მათ ქედმაღლურად დასცქეროდნენ თავის სუსტ მოწინააღმდეგეებს, ანგარიში არ გაუწიონ და მოსპონ ისინი, ან და დათმობის გზაზე დადგომა აძლუნს. მთელი რიგ მიზეზებისა გამო ინგლისის საფეიქრო მრეწველობაში არასოდეს არ ყოფილა მკვეთრად გამოხატული მსხვილი ფირმების შექმნის ტენდენცია, მაგრამ, როდესაც კაპიტალიზმის სიმძიმის ცენტრი საფეიქრო მრეწველობიდან რკინეულობისა და ფოლადის მრეწველობისაკენ გადავიდა, მდგომარეობა შეიცვალა. მძიმე ინდუსტრია—განაგებს რა ლითონის დიდძალ მასას, და თავს უყრის რა საერთო კონტროლის ქვეშ წარმოების სხვადასხვა სტადიას—აღწევს შესამჩნევ „შინაგან ეკონომიას“¹.

¹) „შინაგან ეკონომიას“ მარშალი იმ ეკონომიას უწოდებს, რომელსაც იძლევა საწარმოს მ. დ. ბ. ბ. კაპიტალისტური მფურნეობის განვითარება. 9°

აი რატომაა, რომ ამ აქ, ლითონის მრეწველობაში, შედარებით ადრინდელ ეპოქიდანვე, მკვეთრად გამოიხატა მსხვილ საწარმოთა შექმნის ტენდენცია. ამის გამო 70-იან წლებში დაიწყო საეაქრო დებრესია და მოგების ნორმა დაქანების გზას დაადგა.—ამჟინ ამ დარგის კაპიტალისტურმა ჯგუფებმა დაიწყეს გადაწყვეტ ლანისძიებათა მიღება: მონოპოლიის განსამკტკიცებლად, კონკურენციის შესაზლულად და მოგების მაღალი ნორმის სტაბილიზირებისათვის.

ამნაირად, კაპიტალიზმის ამ ახალი პერიოდის პირველ დამახასითებელ თვისებას წარმოადგენდა მონოპოლიისა და მსხვილი მონოპოლისტური ჯგუფების წარმოშობა, სცენაზე გამოჩნდა კაპიტალისტური მეწარმის ახალი ტიპი, რომლის მოღვაწეობის სფეროს წარმოადგენს უკვე არა ერთი ფირმა, არა პატარა ნაწილი მრეწველობის რომელიმე დარგისა, არამედ დიდი ნაწილი, და იქნებ ამ მრეწველობის რამდენიმე დარგიც. მისი სამეურნეო მუშაობის იარაღად, ახლა, პატარა, ოჯახური ამხანაგობა როდიღაა — მის ნაცვლად საქმე გააქვს აქციონერულ კომპანიასთან. ზოგიერთ შემთხვევაში მისი ძლიერება იმდენად დიდი იყო, რომ საშუალებას აძლევდა მას გაბატონებულიყო ამა თუ იმ პროდუქტთა ბაზარზე და, ამნაირად, შესაძლებლობა ჰქონდა შეგნებულად განეხორციელებინა მონოპოლია. ამ ახალმა კონცენტრირებულმა ძალამ ყველაზე მეტად თავი იჩინა საჟინანსო კაპიტალის სფეროში. გერმანიასა და ამერიკაში, სადაც კერძო პირების ხელში კაპიტალის ნაკლებობა აიძულებდა მრეწველობას თანხების მისაღებად ბანკებისთვის მიემართნა,—ფინანსისტების ხელი მიმართულებას აძლევდა მრეწველობის ახალ ცენტრალიზაციას¹. ასე მაგალითად, საბანკო ჯგუფები ინიციატორნი იყენენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფოლადის ტრესტის დაარსებისა², ჩვენ ვხედავთ, რომ „რკინისგზების დიდი ნაწილი, ამერიკის საქარხნო-საფაბრიკო და სამთო მრეწველობის მთავარი საწარმონი იმყოფებიან შედარებით მცირერიცხოვან ფინანსისტების კონტროლს ქვეშ“³. გერმანიაში 1870 წლიდან მსხვილ საწარმოთა უმრავლესობას კარგა ხნის განმავლობაში აარსებდა და ხშირად კონტროლს უწევდა ერთ-ერთი ხუთ მთავარი კომერციული ბანკიდან, ხოლო კარტელების ზრდა „გამოწვეული იყო მეტწილად გერმანიის საკრედიტო ბანკების უშუალო ზეგავლენით“⁴.

გარემოებათა ამ მიმართულებით განვითარებამ ბოლო მოუღო იმ მრავალრიცხოვან წვრილ მეწარმეთა რეიქმს, რომელთაც ერთნაირი, თანაბარი მდგომარეობა

შინაგანი ორგანიზაცია და რომელიც, უმთავრესად, დამოუკიდებელია ამ საწარმოს სიდიდზე. მარშალი „შინაგან ეკონომიას“ ანსხვეებს „გარე ეკონომიისაგან“, რომელსაც ფირმა დებულობს გარეშე წრადან (დამხმარე საწარმონი, სატრანსპორტო შესაძლებლობანი, და სხვ) და რომელიც არ არის დამოუკიდებელი საწარმოს ინდივიდუალურ სიდიდებზე.

1) ამას გარდა, ამ ქვეყნებში არ ყოფილა ეკონომიური ლიბერალიზმისა და წვრილი ინდივიდუალური კაპიტალისტის ძლიერი ტრადიცია, რაც ინგლისში სამრეწველო რევოლუციამ დაბადა. ამასთანავე რამდენადაც ეს ქვეყნები პროტექციონისტულნი იყვნენ, იმდენად უფრო ადვილად არსდებოდა იქ სამრეწველო გაერთიანებანი და შეთანხმებანი. (сб. Lewy, Monopoly and Competition, 195, 307-309)

2) Berglund, J. S. Steel Corporation, 66 და 77;

3) Marshall, Industry and Trade, 540.

4) Riesser, Germann Great Banks, 167, აგრეთვე 45 და შემდეგ 174 და შემდეგ, 447 და შემდეგ: 440 და შემდეგ; 483 და შემდეგ; 725 და შემდეგ; იხ. აგრეთვე Marshall, დასახ. თხზ. 443-

რობა და უპირატესობანი ჰქონდათ,—ბოლო მოულო სამრეწველო რეეოლუციის მიერ წარმოშობილ რეიემს. ამის ნაცვლად ახლა ხელმძღვანელ როლს თამაშობდა მეწარმეთა მაღალი ფენა, რომელსაც უფრო მეტი შესაძლებლობანი და უპირატესობანი გააჩნდა, ვიდრე მის უმცროსს მოძმეებს. მრეწველობის ზოგიერთ დარგში, ასე გასინჯეთ, თავი იჩინა წვრილ, დამოუკიდებელ მეწარმეთა სრული განდევნის ტენდენციამ¹. შიგადაშიგ უახლესმა განვითარებამ მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეების პირობათა საგულისხმო დაბრუნებაც კი გამოიწვია, როდესაც წვრილი მეპატრონენი სანახევროდ დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ უფრო მსხვილ სავაჭრო მონოპოლისტთა მიმართ. წვრილ მეწარმეთათვის, ინგლისშიაც კი, სრულიადაც უცხო, რომ არ იყო ნახევრად დამოკიდებული მდგომარეობა, რომელიმე მსხვილი ტრესტის ან გაერთიანების მიმართ. ყოველ შემთხვევაში, მათთვის უცხო არ იყო ის აუცილებლობა, რომ დასჯერებოდნენ უფრო ვიწრო ბაზარზე მუშაობას.

ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ განვითარების ამ პროცესის ორ მთავარ შედეგს. პირველი შედეგი ისაა, რომ მე-XIX სუკ. დემოკრატიულმა ტენდენციამ, რომელიც პოლიტიკურ უფლებათა გაფართოებისაკენ იყო მიმართული, სრული კრახი განიცადა და ადგილი დაუთმო პოლიტიკური ძალაუფლების ახალ კონცენტრაციას ბურჟუაზიის უფრო ვიწრო წრეების ხელში. თუმცა მართალია, მე-XIX საუკ. პარლამენტარული დემოკრატია ყოველთვის ბურჟუაზიული დემოკრატია იყო: სახელმწიფო მინც ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ განაგრძობდა ყოფნას. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე-XIX საუკუნის შუა ხანებში, ინგლისი უფრო დემოკრატიული ქვეყანა იყო, ვიდრე როდისმე ყოფილა იგი: მაშინ უფრო ფართო მასეები სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებებით და თავისუფლებით. მაგრამ ამ დემოკრატიული ტენდენციის საწინააღმდეგოდ—თუმცა ეს ტენდენცია არასოდეს ყოფილა ისეთი სრული, როგორც ამას კაუტცი ირწმუნება—მონოპოლისტური კაპიტალიზმი ისწრაფვის, რათა დიქტატურა ბურჟუაზიის უფრო ვიწრო წრეებს მიანიჭოს. დემოკრატიულ ნილაბქვეშ, რომელიც მთარავდა ამ დიქტატურას, პოლიტიკურ საკითხების გადაწყვეტილებათა დამი ნამდვილი კონტროლი თავმოყრილი იყო მსხვილი ტრესტებისა და საფინანსო კაპიტალის ჯგუფების ხელში. ამერიკის შერთებულ შტატებში საერთოდ მიღებულ იქნა გამოთქმამ, რომ მსხვილი ტრესტები ბატონობენ სახელმწიფოზე. გერმანიაში მსხვილ კაპიტალისტთა პატარა ჯგუფსა და სახელმწიფოსს შორის მოხდა ფორმალური შეუღლება. ინგლისში უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება თავის გადაწყვეტილებათა მიღების დროს უფრო და უფრო ხელმძღვანელობდა,—პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მსხვილ სამრეწველო და საფინანსო კაპიტალისტთა ინტერესებით; მაგალითად იგი ხელმძღვანელობდა ისეთი ძლევაბოისილი კორპორაციების ინტერესებით, როგორიცაა ბრიტანეთის მრეწველობის ფედერაცია და ლონდონის სიტის² მთავარ ბანკირთა ჩამოუყალიბებელი გაერთიანება. აქ არ

¹) Riesser, ხენ. თხზ. 754 და შემდ.

²) სიტის (City), ლონდონის უძველესი ნაწილი, კომერციული საქმიანობის ადგილი, მსოფლიო სავაჭრო ცენტრი (რედ. შენ.).

შეიძლება ვერ შევამჩნიოთ აშკარა პარალელი მე-XIX საუკუნესთან, როდესაც მუნიციპალური ადმინისტრაცია ქედს იხრიადა „მდიდარსა და ძლიერ“ ადამიანთა გავლენის ზრდის წინაშე (*probi homines* და *divites et potentiores*).

ამ ახალ განვითარების მეორე შედეგი უფრო ეკონომიურ პროგრესს შეეხება. ლიბერალიზმის რეჟიმის განმასხვავებელი დადებითი თვისება შემდეგში მდგომარეობდა: აბსოლუტურ მინიმუმამდე იქნა დაყვანილი იმის შესაძლებლობა, რომ უფრო ადრე შექმნილ კაპიტალისტურ ჯგუფებსა და ინტერესებს გზა შეეკრათ ახალი ჯგუფების, ინტერესებისა და მეთოდებისათვის. როდესაც ცალკე საწარმო ძალიან დიდი არ იყო, კონკურენცია თავისუფალი იყო, სუბსტიტუციის (შეცვლის) პრინციპი შეუფერებლად და დაუნდობლად მოქმედებდა და სწრაფად სდევნიდა. სცენიდან ყოველივე იმ ფირმას, რომელსაც არ შეეძლო შეგუებოდა მომხდარ ცვლილებებს და არ ძალუძდა შეენარჩუნებინა თავისი ენერჯია¹. ამიტომ ძნელი საფიქრებელია, რომ მეწარმეთა ესა თუ ის ჯგუფი, რომელიც მტკიცედ სარგებლობდა თავის მდგომარეობის განსაზღვრული უპირატესობით, ცდილიყო მოგების მიღებას ამ უპირატესობათა დაცვით და არა თავის საქმეში გაუმჯობესებათა შეტანით. უმთავრესად ამ მიზეზის გამო იყო მე-XIX საუკუნე ასეთი გაუგონარი პროგრესის პერიოდი. მაგრამ ცალკე საწარმოს ფარგლების გაფართოებამ და განსაკუთრებით, ტრესტებისა და გაერთიანებათა წარმოშობამ გამოიწვია საქმის ვითარების შეცვლა. გაბატონებული კაპიტალისტური ჯგუფები, — მე-17 საუკუნის ტორებისა და ერთნახევარი საუკუნით შემდგომი დროის ვიგების მსგავსად, — თხრილებში მაგრდებოდნენ და ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მიღწეული მდგომარეობა, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი ინტერესებისათვის ცვლილებანი შეეტანათ მრეწველობაში. სადაც ცალკე საწარმოს ფარგლები დიდია და ძლიერი, იქ სუბსტიტუციის (შეცვლის) პრინციპი ნაკლები ძალით მოქმედებს: მსხვილი მეწარმენი ამ პრინციპს თავიანთი მუშების მიმართ იყენებენ, მაგრამ მთელი თავისი ენერჯიით ეწინააღმდეგებიან მის გამოყენებას მათი საკუთარი თავის მიმართ. თვით მსხვილი „ფირმის“ მფლობელობა დიფერენციალურ უპირატესობას იძლევა, რომელიც უნდა დაცულ იქნას, რადაც არ უნდა დაჯდეს და ეს გარემოება უფრო აძნელებს და სახიფათოს ჰქმნის ახალი კონკურენტების გამოჩენას. ამგვარი ბარიერები წააგავან იმ ზღუდეებს, რომელიც მიმართული იყო მე-XVI, XVII და XVIII საუკუნეებში ახალ კონკურენტების შემოქრის წინააღმდეგ. ამგვარად, კაპიტალიზმი აღარ უწყობს ხელს სამრეწველო პროგრესს, რომლითაც ასე, ყოყორობდა, — და არა უსაფუძლოდ, — მე-XIX საუკუნე; მე-XX საუკუნეში, კაპიტალიზმი თავის უკანასკნელ სტადიაზე, — მე-17 და მე-18 საუკუნეების ტორებისა და ვიგების არისტოკრატის მსგავსად, — პროგრესის მუხრუპად და შემაფერხებლად ხდება, რადგანაც იგი მოგების მიღებას ცდილობს არა ტენიკურ გაუმჯობესებათა საშუალებით, არამედ მონოპოლიის დაწესებით.

თანამედროვე იმპერიალიზმი და მონოპოლისტური კაპიტალიზმი, სიამელტულებსავე, მკიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მჟღავნდება ეს გარემოება ევროპის ყველა მთავარ ქვეყანაში მე-XIX.

¹) Marshall, დასახელ. თხზულ. 196.

საუკუნის უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე. შეერთებულ შტატებში, რომელთა ყურადღებაც 1900 წლამდე მიმართული იყო განსაკუთრებით ექვანსიისაკენ ამერიკის კონტინენტის ფარგლებში, ამ გარემოებამ დააბლოგბით 20 წლით გვიან იჩინა თავი: იაპონიამაც, ფეოდალიზმის პერიოდისგან გამოსვლის უშაღვე, მიჰბაძა განათლებული ქვეყნების მაგალითს. ამ ახალი მოვლენის ნამდვილი ბუნება მხოლოდ თანდათანობით იქნა შეგნებული და მხოლოდ ლენინი მიხვდა საესებით ამ ფაქტის მნიშვნელობას.

ამ ახალ მოვლენათა მსგავსება მერკანტილიზმთან პირველად ტოროლდ როუჯერსმა შენიშნა. სპეციალური გამოკვლევის შექარს წყალობით უფრო ნათლად ჩანს, თუ რამდენად ჰგავს მერკანტილიზმის მიზნები მე-17 და მე-18 საუკუნეების „ზღვის იქითა ვაჭრების“ მიზნებს. ეჭვი არაა, გარეგნულად ეს მსგავსება ძალიან დიდია. ვაჭრობის თავისუფლებისაკენ მიმართული მოძრაობა, რომელიც 1870 წლამდე თავს იჩენდა მთავარ სამრეწველო ქვეყნებში, საბოლოოდ შეჩერდა¹. ევროპის პოლიტიკაში პირველ ადგილს იჭერს კოლონიალური პოლიტიკის ციებ-ცხელება, რამაც 1884 წელს აფრიკის დანაწილება გამოიწვია. „ევროპის საგარეო საქმეთა სამინისტროები თავისი დიპლომატიის სიმძივის ცენტრს ახლა უკვე ჰხედავენ არა რეინსა და ღუნაიზე, არამედ ტუნისსა, ეგვიპტესა, ნიგერიასა და მანჯურიაში“². 1884 წელს ლორდმა როზბერიმ დაარსა საიმპერიო ფედერაციის ლიგა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ დიზრაელის სენტიმენტალურ მტკიცებებს, წინაღ საზოგადოებრივი აზრი ეთანხმებოდა იმას, რომ ყველა კოლონიამ, ადრე თუ გვიან, უნდა მიჰბაძოს შეერთებული შტატების მაგალითს. ახლა უკვე დაიწყო იმპერიის განდიდების ხანა, რომელიც იდეურად ნაწინასწარმეტყველვეი იყო ფრაუდისა და სილის მიერ, რომელსაც ხობტას ასხამდა კიბლინგი და რომელსაც, როგორც „სახეირო საქმეს“ რეკლამას უწევდენ ჩემბერლენი და როდის³. „მისი უდიდებულესობის ბაიარალი,—წარმოსთქვა როდისმა,—მთელ მსოფლიოში უდიდესი კომერციული აქტივიაო“⁴. იმპერიის ერთი პანეგირისტი გვამცნობს, რომ აავდაპირველად ბრიტანეთისათვის „უჩვეულო იყო სახელმწიფოს ეს უშუალო მოქმედება და იგი ამ საყოველთაო ვაწამაწიაში თავს კარგად ვერ ჰგრძნობდაო“, მაგრამ საბედნიეროდ „მისმა მისიონერებმა და ვაჭრებმა იხსენსა იგიაო“⁵. ბოლოსა და ბოლოს ეს საერთო გუნდი ისეთი დამაყრუებელი შეიქნა, რომ კეთილმსახური კომბენტიტებიც კი უკადრილობდენ „მცირე ინგლისელის“ სათაქილო სახელწოდებას.

საფრანგეთში ამგვარსავე მოძრაობას თავის გამოშხატველები ჰყავდა ჟიულ ფერრის, სენტ-ილერისა და იეჟენ ეტიენის სახით. „მშვენიერი საფრანგეთის“ მთელი რომანტიზმი ჩაბმული იყო სარწმუნოების ამ ახალ სიმბოლოს მსახურებაში. ლეგენდა ნაპოლეონზე, სევიდიანი მოგონება ელზას-ლოტარინგიისა და ყოველივე ამდაგვარი ბრძოლა, რითაც ასე მდიდარია ფრანგული რემპერამენტი,

¹) Cunningham, Free Trade Movement. 79—81, 84.

²) Viallate, დასახ. თხზულ. 19.

³) Bérard, British Imperialism, 43—46.

⁴) J. A. Hobson, Imperialism, 48.

⁵) José, Growth of the Empire, 336.

თავისებურ სურნელებას აძლევდა ნაციონალური ძლიერების ამ ახალ იდეას. 1881 წელს ტუნისის დაპყრობის იმპერიალისტებმა ივემეს სისხლის გემო; ანამისა და ტონკინის დაპყრობით მათ თავის პოლიტიკაში შემდგომი ნაბიჯი გადადგეს¹. გერმანიაშიაც იგივე ხდებოდა,—იხსნებოდა ნაციონალიზმის ის ზამბარი, როლიც მკიდროდ იყო შემოპყვილი 1848 წელს. 70-იან წლებში ბისმარკის ყურადღება თანდათან რეინიდან სამოისა და უგანდის ტბისკენ მიიმართებოდა. მსხვილი ბანკირების გავლენით,—როგორც იყვნენ ბლეიხრედერი, ჰანზემანი საღისკონტო საზოგადოებიდან და გოდფრუა ჩრდილო-გერმანიის ბანკიდან,—ბისმარკი თანდათანობით გადავიდა კოლონიალური გაფართოების პოლიტიკისაკენ; გავლენა ბანკებისა იწვევდა მნიშვნელოვანი იყო, რომ კონსერვატორები აღშფოთებით ლაპარაკობდნენ „ბრეიხრედერის ერაზე“². 1879 წელს მიღებულ იქნა პროტექციონისტული პოლიტიკა, ხოლო 1882 წელს დაარსდა „კოლონიალური საზოგადოება“, რომელიც დამყარებული იყო დასავლეთ გერმანიის მრეწველობის მაგნატთა უმრავლესობის დახმარებაზე. 1884 წელს პეტრისი გულმოდგინედ ჰკრავდა ხელშეკრულებებსა და კონცესიებს სამხრეთ აფრიკის მკვიდრთა ეგრეთწოდებულ მეფეებთან,³ ხოლო 1889 წელს კონსტანტინეპოლში გერმანიისა და დრესდენის ბანკებმა ანატოლიის რკინის გზის კომპანია დაარსეს. ამავე დროს,—მოვლენათა საგულისხმოდ მსგავსებაა,—სცენაზე ხელახლა გამოდიან პრივილეგიური კომპანიები: ბრიტანეთის აღმოსავლეთ-აფრიკისა და სამხრეთ-აფრიკის კომპანიები 1886-სა და 1889 წლებში; გერმანიის აღმოსავლეთ-აფრიკის კომპანია 1885 წელში; მოზამბიკის კომპანია 1894 წ. და „ათი წლის განმავლობაში—1880—1890,—ევროპის სახელმწიფოებმა დაიპყრეს და დაიმორჩილეს აფრიკის ტერიტორიის ხუთი მილიონი კვადრატული მილი“⁴. 1890 წელს თვალბედითად გაივლვა ფოლადმა სუდანში სადაც საფრანგეთი და ბრიტანეთი ერთი მეორეს ექიშებოდნენ, რომ სათავისოდ შემოემტკიცებინათ ეს საციცოცხლო რგოლი, როდესაც იმავე დროს ისინი აღგენდნენ ცენტრალური აფრიკისა, კეთილი იმედის კონცხისა და ქაირის რკინის გზების ერთი მეორისთვის საწინააღმდეგო პროექტებს. მიმდინარე საუკუნის დამდეგს ომის ღრუბლები ჩამოწვა ახლო აღმოსავლეთში, რაიც დაკავშირებული იყო ბრიტანეთისა და გერმანიის ფინანსისტ-დიპლომატების ბრძოლასთან, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ ბალდადის სტრატეგიულ რკინის გზაზე კონტროლის საკითხის ირგვლივ⁵.

მაგრამ ახალი იმპერიალიზმის მსგავსება ძველ მერკანტილიზმთან მარტო გარეგანი სახით როდი ამოიწურება. ამ მსგავსებას ვამჩნევთ არა მარტო ნაციონალური ძლიერების პოლიტიკურს თეორიაში, არამედ ეკონომიურ დამოუკიდებლობისა და თვითმსახურების მისწრაფებაშიაც. უმთავრესი მსგავსება კი უნდა

¹) Viallate. დასახ. თხ. 20.

²) M. E. Townsend, Origins of Mod. Germ. Colonialism, 109—110.

³) L. Woolf, Empire and Commerce in Africa, 236—238.

⁴) L. Woolf, Economic Imperialism, 32. ამ გზით იხგლისმა 1800—1914 წლების განმავლობაში მოიპოვა 3, 5 მილიონი, საფრანგეთმა 4 მილიონი და გერმანიამ—1 მილ. კვადრატული მილი ტერიტორია (Emp. and Comm. in Africa, 24—25).

⁵) Earle, Turkey, Powers and the Bagdad Railway.

ვეძიოთ, ალბათ, მამოძრავებელ ძალაში, მეწარმეთა მხრით ბაზრის გაუართვებისა და კონკურენციის შეზღუდვისკენ მიმართულ იმავე მისწრაფებაში, რაიცა ამოქმედდება ტიუდორების, სტიუარტებისა და ჰანოვერის დინასტიის დროინდელ ინგლისელ ვაჭრებს, და რაიცა ამაზე უფრო ადრე იწყვედა მოქალაქეთა ბრძოლას საქალაქო მონარქოლიისათვის, თუ კი რომელიმე ქვეყნის მეწარმეებს შეუძლიათ კონკურენტების ჩამოცილების ხარჯზე თავისთვის უზრუნველყოფონ სხვა ქვეყნებში ფართო შესყიდვის შესაძლებლობანი. ამასთანავე უნდა გაძლიერდეს მათი საქონლის გაყიდვის შესაძლებლობანიც შიტამ, რომ საქონელთა მოთხოვნილების განსაკუთრებულ რაიონების დაპყრობა ხდება მაშინ, როდესაც ეს მოთხოვნილება მხოლოდ საკუთარი საქონლის სასარგებლოდ არის შემომტკიცებული. ამის შედეგად საერთაშორისო ვაჭრობის საქონელთაცვლის ბალანსი მათ სასარგებლოდ გადაიხრება. თუ კი მეწარმეებს შეუძლიათ მთავარი ნედლეული-პროდუქტების თავისთვის შემომტკიცების უზრუნველყოფა, ამით ისინი აფართოვებენ თავისი მომარაგების ბაზარს. და ამის შესატყვისად ავიწროებენ თავის კონკურენტთათვის მომარაგების ბაზარს უცხო ქვეყნებში. სწორედ ასევე საერთაშორისო კონკურენციაში უპირატესობას იძლევა ჩამორჩენილ ქვეყნებში იაფი შრომის პროდუქტთა შექმნის შესაძლებლობა. უფრო მეტ მოგებას ჰნახავენ მეწარმენი იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესძლებენ შინაურსა და კოლონიალურ ბაზრებში უცხო საქონლის დაბეგვრას ბაყეებით და ამნაირად უზრუნველყოფენ თავის პრივილეგიურ მდგომარეობას ამ სპეციალურ დარგებში. რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნის მეწარმეებმაც მათ რომ წაჰბაძონ, პირველი ქვეყნის ზოგიერთი უპირატესობა არაირად იქცევა. მაგრამ ის მეწარმენი, რომელთაც ყველაზე ადრე მოიპოვეს უპირატესობანი. უფრო მეტ მოგებას ღებულობენ და ერთხელ დაწყებული იმპერიალისტური დოლი უფრო და უფრო ძლიერდება, სადაც შეჯიბრების თვითული მონაწილე აღსაყვება იმ მისწრაფებით, რომ თავის მეზობლებს გაუსწროს.

ამ კოლონიალურ საწარმოთა შეძლებისამებრ გაცნობა ფრიად ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდ როლს თამაშობდნენ მათში ზემოთ აღნიშნული ეკონომიური ფაქტორები. თუმცა ამ ფაქტორებს მრავალი სხვა გავლენაც ემატება.— პოლიტიკური, სამხედრო, მორალური, რასიული და წმინდა სენტიმენტალური, — მაგრამ მაინც „პოლიტიკა უფრო და უფრო აშკარად და გულახდილად ხელმძღვანელობს წმინდა ეკონომიური ზრახვებით“-1. კომდენიზმის დაქცობისა და ახალი მიმართულებით ბაზრების ძიების უშუალო მიზეზს, როგორც ჩანს, საშოკდა-ათიანი წლების სამეწარმეო დეპრესია წარმოადგენდა. ამ დროისთვის ინგლისი ჰკარგავდა გაბატონებულ მდგომარეობას, რომლითაც მანამდე სარგებლობდა და იმ ხელსაყრელ პოზიციებს, რომლებიც მას მსოფლიო ბაზრებზე ეკირა². ყოველ მხრივ გაისმონდა გოდება კონკურენციის გაძლიერებისა და ბაზრების შეკვეცის შესახებ³. ბირმინჰამის რკინის მრეწველობის დელეგატები მრეწველობის მდგომარეობის გამომკვლევ კომიტეტში მწარედ მოსთქვამდნენ უცხოეთის კონკურენციის გამო და მოითხოვდნენ „ჩვენს“ კოლონიებთან სავაჭრო

1) L. Woolf, Empire and Commerce., 24.

2) Marshall, დასახ. თხზ.

3) Hobson, დასახ. თხზ. 64-71.

4) ვ. ი. ინგლისის (რედ. შფ.).

კავშირს-; ხოლო შეფილდი ასევე აცხადებდა, რომ „დაკარგულ ამერიკული ბაზრის ასანაზღაურებლად ჩვენ კოლონიალური ბაზარი უნდა მივილოთო“¹. ჩემბერლენმა დაიწყო იმის ღალადი, რომ მთავრობის ვალია „შეკმენას ახალი ბაზრები“ და იზრუნოს იმისათვის, რათა „ძველი ბაზრები სათანადოთ ვითარდებოდნენ“.— სახელმწიფოს ფუნქციითა პირწმინდად რევოლუციური თეორია! „ამ მოსაზრებათა გამო,—განაცხადა მან 1894 წელს ბირმინგჰამში,— არასოდეს ხელიდან არ გავუშვებ ინდოეთის ჩვენს დიად სამფლობელოებს... ამავე მოსაზრებათა გამო მე ვიწონებ ევკიპტის ხანგრძლივს ოკუპაციას და ამავე მოსაზრებათა გამო დაბეჯითებით მივუთითებდი ახლანდელს მთავრობას, ისევე როგორც წინანდელ მთავრობებს, იმ აუცილებლობაზე, რომ მან გამოიყენოს ყოველივე კანონიერი საბაზი ჩვენი გავლენისა და ბატონობის გასაფართოვებლად აფრიკის დიდ მატერიკზე, რომლის კარიც ახლა ღია არის ცივილიზაციისა და ვაჭრობისათვის“². გერმანიასა და საფრანგეთშიაც ამაზე ჰყვირიან. გერმანია ჩივის კაბიტწარმოებზე და ლაპარაკობს, რომ აუცილებელია გასაქანის აღმოჩენა კაპიტალისათვის, რომელიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის შიგნით სპეკულიაციას ეწევაო³. პროფესორი პაულსენი შემდგომ, ამ პერიოდის შესახებ სწერდა. „სამრწველო წარმოებისა და ვაჭრობის უდიდესი ზრდა აიძულებდა გერმანიას ზომები მიეღო ოკეანეს გაღმა გავლენის სფეროთა გასაფართოებლად“, ხოლო „კოლონის გაზეით“ ბლუდადის რკინის გზის საკითხის შესახებ ამბობდა: „ოსმალეთში ჩვენ მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რასაც ვაკეთებთ სხვა ქვეყნებში—ჩვენი ექსპორტისათვის ვეძებთ ახალ ბაზრებს და ახალ დარგებს ჩვენი კაპიტალის დასაბანდებლად“⁴. საფრანგეთში, ეიულ ფერი, თავისი კოლონიალური პოლიტიკის დაცვის დროს, 1885 წელს ამბობდა: ეს პოლიტიკა „არსებითად ნიშნავს „ბაზრების საკითხს ჩვენი მრეწველობისთვის, ჩვენი საქონლის ექსპორტისათვის, ჩვენი კაპიტალისათვის“⁵. „წარმოიშვა ახალი ფორმა კოლონიზაციისა,—სთქვა მან—რომელსაც უნდა მიჰყოლოდნენ ის ერები, რომელთაც ჰქონდათ ან საგრძნობი თავისუფალი თანხები, ანდა ჰქარბი საქონელი“⁶.

საერთოდ გასაკვირველი არ ყოფილა ის გარემოება, რომ კაპიტალისტები 1870 წელს იქით არ იყურებიან, საითკენაც იყურებოდნენ 1800 წელს. ამ დროისთვის ორი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: ერთი მხრით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იზრდებოდა ძლიერების კონცენტრაცია მსხვილი ფინანსისტებისა და მრეწველობის ხელში; მეორე მხრით იზრდებოდა მეწარმეთა ახალი ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ფოლადისა და რკინის დარგებში და რომელიც ჩემულობდა პირველობას, რაც წინად ლანკაშირის ბამბულის ფაბრიკანტებს ეკუთვნოდათ. განვითარება ამ მიმართულებით ჩქარდებოდა—ერთ შემთხვევაში უშუალოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში არაპირდაპირის გზით—იმ გამოგონებებით, რაიც დაკავშირებულია ბესემერისა და სიმენსის, ტომასისა და გილკრისტის

1) Bérard, დ.სახ. თბ. 57-51.

2) ციტირებულია Woolf-ის ხსენებ. თბ.

3) Townsend, დ.სახ. თბ. 99.

4) ციტირებულია W. H. Dawson-ის Evolution of Modern Germany-დან 345, 348.

5) Fickel, Coal, Iron and War, 42, 58-59.

სახელებთან, რომელთაც ისტორია თავის დროზე, კრომპტონისა და არკრაიტის, კარტრაიტისა და უატის სახელებთან ერთად, ქებით მოიხსენიებს¹. ბამბის საუკუნეს რკინისა და ფოლადის საუკუნე სცვლიდა, ხოლო პოლიტიკურის მხრით ბირმინჰამის ამოშავალი ვარსკვლავის წინაშე მანჩესტერის სკოლა თავის ბრწყინვალეობას ჰკარგავდა. რკინისა და ფოლადის მრეწველობის მეწარმეთა ეს ახალი თაობა არ იცნობდა არც ერთს იმ პირობათაგანს, რამაც მათი ლანკაშირული წინაპრები მერკანტილიზმის თავგამოდებულ მტრებად აქცია. ლიბერალიზმის გამანადგურებელმა ძალამ თავისი საქმე გააკეთა: მან ნიადაგი გაასუფთავა შევიწროებისა და შეზღუდვის სისტემისაგან და ადამიანებმა დაეიწყებას მისცეს ის, რაც წინად იყო. რკინისა და ფოლადის მრეწველობა მსოფლიო ბაზრებზე არ იყო განთავისუფლებული კონკურენციისაგან, როგორც ეს ლანკაშირის ბამბეულის მრეწველობაში იყო პირველ ხანებში, და 1870 წელს რკინის მრეწველობას ყველგან გაძლიერებული კონკურენცია ხედებოდა. მრეწველობის ამ დარგში,—მისი ძირითადი თანხის დიდი ტვირთის გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ ფრიად ცვალებადია ამ მრეწველობის პროდუქტთა მოთხოვნილება და ფრიად დიდია მისი მთავარ საწარმოთა ფარგლები,—კონკურენციას ყოველთვის აქვს უფრო გააფრთხილებული ხასიათის მიღების ტენდენცია, ამიტომაც კრიზისები ამ დარგში თავისი შედეგებით უფრო მწვავე და მძიმეა ხოლმე. ამის და მიხედვით, აქ უფრო ძლიერად იჩენს ხოლმე თავს კონკურენციის მოსაპოვისკენ მიმართული მისწრაფება და იმის წადილი, რომ უზრუნველყოთ საქონლის გასაღების ახალი და საიმედო შესაძლებლობანი. ამასთანავე ახალი ტიპის მრეწველებს, როდი ახასიათებდათ ის დემოკრატიზმი, რომელიც წვირილ კაპიტალისტთა მოძრაობის ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს. ეს უკანასკნელნი ისწრაფოდნენ დაეცვათ თავისი პოზიციები გაბატონებული ჯგუფებისაგან, როგორც ეს ხდებოდა 1800 წელს. პირიქით, ახალი ტიპის მრეწველნი ცდილობდნენ მსხვილ მეწარმეთა ახალ ოლიგარხიად გამხდარიყვნენ, გაეერთიანებინათ თავისი ძალა და სხვა მეწარმეებზე უფრო მეტად ამაღლებულიყვნენ. ამის გამო მათი ფსიქოლოგია სულ სხვანაირი იყო. სხვა ქვეყნებში ისინი მკიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი მალალ ფინანსიურ წრეებთან და ნათთვის ძნელი არ იყო უზრუნველყოთ თავისთვის დახმარება და შემწეობა მთაქრობის მხრით, როგორც ამას მქერამეტყველურად მოწმობს ბ. გოდფრუას და კუნძულ საამოს საქმე 1879 წელში².

ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ საქმიანი წრეები თვალს მიაპყრობდნენ ჩამორჩენილ ქვეყნებს, როგორც თავიანთი გავლენის სფეროებს. და საქმარი იყო თვალი აქეთ მიეპყრათ, რომ უზრუნველყოთ თანაგრძნობა ჩემბერლენის იმპერიალიზმისადმი. მართლაც, რკინისა და ფოლადის ნაწარმოებთათვის ბაზარი გაფანტული არაა დედამიწის მრავალ მომხმარებელს შორის, როგორც ეს ბამბეულის ნაწარმოებთა ბაზარს ახასიათებდა. ეს ბაზარი კონცენტრირებულია მსოფლიოს განსაზღვრულ პუნქტებში,—სადაც ინტენსიურად წარმოებს სარკინისგზო, ან სამრეწველო მშენებლობის განვითარება,—და ის ზოგან მთავრო-

¹) Eckel, დასახ. თხზ. 42, 58-59

²) Woolf, დასახ. თხზ., 31-33; Townsend, დასახ. თხზ., 111-115.

ბის ხელში იმყოფება, ზოგან კიდევ კოპაპერაციისა თუ სინდიკატის ხელში, რომელთაც თავიანთი სახსრები ამ საქმეში დაუბანდებიან, ამიტომაც გაცილებით მეტი რეალური მნიშვნელობა ეძლევა პოლიტიკურ ვაულებას, რომლის მიზანიც არის ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა არჩევანზე. ამასთანავე თვითეული ცალკე ვარიეტების ფარგლები მეტის მეტად დიდია, როგორცაა მაგალითად სარკინისგზო იჯარა და კონცესიები. საკითხის ამა თუ იმნიერად გადაწყვეტას შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ამა თუ იმ ქვეყნის მრეწველობის ძირითადი დარგის აყვავება თუ დეპრესია. ამის გამო ცალკე კონცესიონერი, თუ მის გვერდით მრავალი კონკურენცია, შეკვეთის შესახებ მოლაპარაკების დროს შეიძლება იმავე არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩავარდეს, როგორცაა განცალკევებული მუშა იმყოფება ხოლმე¹. ამნაირად, ერთი ერის კონცესიონერთა სახელით წარმოებულმა კოლექტიურმა მოლაპარაკებამ საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს ვარიეტების პირობანი და ეს განსაკუთრებით მიმზიდველი საკენკია, რამდენადაც ერთხელ აღებული კონცესია იძლევა მონოპოლიურ მდგომარეობას. ამიტომ სულ პატარა ვაულებასაც შეიძლება ფრიად დიდი ეფექტი ჰქონდეს; და ცოუნება ამ ვაულებით სარგებლობისა—ეს ხომ სულ იოლი და უმანკო საქმეა, რომელიც პორტუგალიის სმისა, ანდა სიგარის წვეის დროს შეიძლება მოხერხდეს, ისეთივე ძლიერი ხდება, როგორც იყო ცოუნება, რომელსაც განიცდიდა ელისაბედის დროინდელი კარისკაცი, როდესაც იგი მარილის მონოპოლიაზე გადაკრულ სიტყვას აერთებდა ქალწული დედოფლისადმი მიძღვნილ აღურთოვანებულ ლექსებთან. მაშინ როდესაც ინგლისელი ფინანსისტები ფულს ასესხებენ სულთანს, იმაზე ადვილი რა არის, რომ ხელშეკრულებაში შეიტანონ პუნქტი, რომ ეს ფული უნდა დაიხარჯოს მილბიროში ან და კლაიდზე. თუ კი ყოყმანია იმის გამო, თუ სად აიღონ სესხი—პარიზსა, ლონდონსა თუ ბერლინში, ან და ვის მისცენ რკინის გზისა ან ტელეგრაფის გაყვანის, ან და მადნების დამუშავების კონცესია—კრეზოს, ვიკერსს თუ სტინესს, მაშინ ძალიან დიდია ცოუნება პარიზელი ჯგუფებისა, რათა აიძულონ საფრანგეთის კონსული, რომ მან თავისი დიპლომატიური ვაულება აამუშაოს, რათა ამით უზრუნველჰყოს თავისი ქვეყნის უპირატესობა. თუ მოხერხდება, რომ რომელიმე მეფესთან ან შაჰთან ექსპერტ-მარჩვევლად გერმანელი დაინიშნოს, თუ კი გერმანიის მისიონერები და გერმანიის განათლება შესძლებს შევიდრთა საზოგადოებრივი აზრის მიზიდვას გერმანიის იდეებისა და გერმანიის კულტურის სასარგებლოდ, მაშინ ბერლინის უმაღლეს საფინანსო წარებსა და რურის მიძიმე ინდუსტრიას შეეძლება ხელი მოითბოს იმ საეკრო და საფინანსო საპირობებებზე, რომელსაც შეიძლება, ეს ხელმწიფე თუ შაჰი განიცდიდეს. საერთოდ, თუ კი ერთ-ერთ ამ სახელმწიფოს განკარგულებაშია „ვაულების სფერო“, პროტექტორატი, მანდატი, ანდა თუ იგი მთლიანად ჰელობს ტრაპოლს, მაროკოს, ეგვიპტეს, სპარსეთს ან მესოპოტამიას, მაშინ ამ მფარველი ან და მფლობელი ქვეყნის მეწარმენი აუცილებლად ისარგებლებენ სპეციალური სარგოთი.

მრეწველობის ინტერესებთან მკვიდროდ არის დაკავშირებული საფინანსო

¹) იქნებ ეს არახელსაყრლობა ისეთი მნიშვნელოვანი არ იყოს, მაგრამ იგი საკმაოდ საგრძნობი იქნება, რათა დავაწახლოს კოლექტიურ მოლაპარაკებათა სარგებლობა.

კაპიტალის ინტერესები, რამდენადაც კაპიტალის დაბანდება, მსგავსად კონცესიებისა და ჩვეულებრივი ვაჭრობისაგან განსხვავებით, გარანტიის სახით მოთხოვს ერთგვარს პოლიტიკურს კონტროლს და გავლენას. ვაჭარი თავის საქონლით მანამდე არის დაინტერესებული, ვიდრე მას გაჰყიდოს. გაყიდვისთანავე მისი დაინტერესება ჰქრება. ფინანსისტისა და კონცესიონერის დაინტერესება კი ხელშეკრულების დადების მომენტიდან იწყებს ზრდას. ამას გარდა, სხვა მოსაზრებასაც უნდა გაეწიოს ანგარიში. ჩვენ ახლახან აღენიშნეთ, რომ საქმიანი წრის ცალკე წარმომადგენელი მთავრობასთან მოლაპარაკების დროს შეიძლება არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩავარდეს თავის მსგავსთა მეტოქეობის წყალობით. ყოველ შემთხვევაში მისი პოზიცია გაცილებით ძლიერი იქნება, თუ კი იგი კოლექტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს. ჩამორჩენილ ქვეყნისა და მსხვილ ფინანსისტთა ჯგუფის შორის წარმოებულ მოლაპარაკების დროს, ბალანსი, ალბათ სხვა მხრისკენ გადაიხრება. ჩამორჩენილი ქვეყნის მყიდველებს არ გააჩნიათ საჭირო ცნობები; მათ ცოტა შესაძლებლობა აქვთ იყიდონ უცხოეთის საქონელი, მათ არა აქვთ გამოცდილება ეკონომიური მოლაპარაკების წარმოებაში. რაც შეეხება ამგვარი ქვეყნის მთავრობას, მისი არახელსაყრელი მდგომარეობა იქნება იმის გამო, რომ იგი ღარიბია, შეიძლება ფინანსიურ გაჭირვებასაც განიცდიდეს. ამიტომ სესხის აღების დროს გაჭირვება იძულებულს ხდის მას მევახშური პროცენტი გადაიხადოს და სესხის უზრუნველსაყოფად ძვირფასი კონცესიები და პრივილეგიები გასცეს. კერძოდ ეს საქმე მით უფრო აღვილდება, თუ ქვეყნის მმართველი რომელიმე დესპოტია. ცხადია, იგი იოლად ელვება თავისი ქვეშევრდომების საკუთრებასა და საარსებო საშუალებებს თავის პირად მცველთა თუ თავის მოტყუავვე ქალთა დასის გასამრავლებლად. გარდა ამისა, როდესაც საქმე მადნების, პლანტაციების დამუშავებას ან მიწის მთხრელთა დაქირავებას შეეხება;—აქ ძალიან ბლომად არის იაფფასიანი მუშა-ხელი; რომელიც იაფია მიუხედავად იმისა, რომ, შეიძლება მისი შრომა ნაკლებად ნაყოფიერი იყოს, ვიდრე ევროპიელთა შრომა. თუ ასეთი იაფფასიანი მუშა-ხელი ნაკლებადაა, ეს ხდება სპეციალური პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენის საბაბად, რათა ადგილობრივი მცხოვრებნი „სიზარმაცეს“ გადააჩიონ. ამგვარად, ამ შემთხვევაში თანამედროვე დიდი სახელმწიფოების მსხვილ მეწარმეთა წინაშე იშლება ბრწყინვალე შესაძლებლობა იმისა, რომ ჯიბე გაისქელონ იმ მოგებით, რომელსაც ლებულობენ სესხის გაცემით, და იმ ვაჭრობით, რომელიც წარმოებს იმის მსგავსი მეთოდებით, რაც ასე ხელსაყრელად მიაჩნდათ ჰანზის ვაჭრებს ინგლისის ხელგაშლილ მეფეებთან ურთიერთობის დროს. სარფას, რომელიც მათ შეუძლიათ მიიღონ და საფრთხეს,—სხვა ფინანსიური ჯგუფების მეტოქეობის წყალობით,—ამ სარფის შემცირებისა ჩინებულად ასურათხატებს ის სისწრაფე, როგორადაც ჩვეულებრივ სახელმწიფოები გააერთიანებენ თავიანთ ფრონტს, ანუ ფინანსისტები აარსებენ კონსორციუმსა და ადგენენ აგავლენის სფეროებს, როგორც კი რომელიმე ქვეყანა გამოააშკარავებს ერთი რომელიმე ჯგუფის ანუ სახელმწიფოს—მეორის წინააღმდეგ დაპირისპირებისა ანუ გამოყენების ტაქტიკას. პროფესორი პიგუ ძალიან ნათლად გვიხატავს. ამ მდგომარეობას: „იშლება პერსპექტივები კაპიტალის ძალიან წელსაყრელ პირობებში დაბანდებისა. ესაა სესხის მიცემა

სუსტი მთავრობებისათვის, რომელთა მოხელეების მოსყიდვა ან გადმობირება იოლი საქმეა; ესა ხელსაყრელ პირობებში რკინისგზის გაყვანა ამგვარ მთავრობათათვის, ნავთიანი ადგილების ბუნებრივ რესურსთა დამუშავება, ან კაუჩუკის პლანტაციების გაშენება აფრიკელებისათვის. წართმეულ მიწაზე, სადაც გამოიყენება აფრიკელების იძულებითი, ანუ „მფარველობითი“ შრომა ძლიერ დაბალ ხელფასში. როდესაც რომელსამე განვითარების მაღალ საფეხურზე მდგარი ქვეყნის მთავრობა ამა თუ იმ ხელუხლებელ მიწაწყალს თავის პროტექტორატის ქვეშ, ან თავის გავლენის ქვეშ მყოფად აცხადებს, ძვირფასი კონცესიები ბლომად უვარდებათ ხელში მოკლებული ერის ფინანსიტებს, თუნდაც არსად არ იყოს აღნიშნული, რომ კონცესიები მხოლოდ მარტოდ-მარტო მათს კუთვნილებას შეადგენს. ეს ფინანსიტები მდიდარნი და ძლიერნი არიან. მათ ყოველგვარი საშუალება აქვთ, რათა მათი ხმა ისმოდეს“.

იმპერიალიზმი ამ ძველ ცივილიზაციებს მოველინა გამანადგურებელ ძალად, რომელმაც დასცა ძველი ფესვგადგმული იდეები, ზნე-ჩვეულებანი და დაწესებულებანი, მაგრამ იმავე დროს წარმოშვა რა პროლეტარიატი, საძირკველი ჩაუყარა ახალ საზოგადოებას. მაგრამ უკვე იმ დრომდეც, ვიდრე კოლონიალური ქვეყნების სამრეწველო განვითარება თავის მოსამზადებელ საფეხურს ვასცილებდოდეს, იმპერიალიზმი შემდგომი პროგრესის შემაფერხებელი ხდება, აბრკოლებს ამ ქვეყნების შემდგომ ინდუსტრიალიზაციას და რეაქციონურ ძალად იქცევა. მართალია, ხანდახან მეტროპოლიის კაპიტალისტთა ცალკე ჯგუფები შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ კოლონიების ტექსტილური და რკინეულობის ინდუსტრიის აყვავებით, მაგალითად, ინდოეთში; შეიძლება ესენი ფინანსიურადაც ეხმარებოდნენ ამ საწარმოებს და მათ ბლოკიცი შეკრან კოლონიალურ ბურჟუაზიასთან, რომელიც ეს-ეს არის ფეხს იდგამს. მაგრამ როდესაც კოლონიების ეს ინდუსტრიალიზაცია უფრო და უფრო ძლიერდება, კოლონიალურ ერთა მოზარდი დამოუკიდებლობა მათი ექსპლოატაციისა და იმპერიალისტური ერების მიერ მათგან „ზემოების“ მიღების შესაძლებლობას ამცირებს; ამიტომ კოლონიების განვითარება იმპერიალისტური ერების ინტერესებს უპირდაპირდება. და ამ დროიდან იმპერიალიზმი, —წინააღმდეგ პილფერდინგის, ბაუერისა, და იმპერიალიზმის აპოლოგეტების მტკიცებისა, — უკვე „ჩამორჩენილ“ ქვეყნებშიაც კი აღარ არის პროგრესიული ძალა. იმპერიალიზმი რეაქციონურ ძალად იქცევა. იგი აფერხებს ჩამორჩენილი ქვეყნების დამოუკიდებელ განვითარებას, ცდილობს მორჩილებას იყოლიოს ისინი და ხელს უშლის მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გადაქცევას. როგორადაც მერკანტილიზმმა ამერიკის კოლონიების ამბოხება გამოიწვია მე-XVIII საუკუნეში, ისევე იმპერიალიზმი იწვევს ინდოეთისა და ჩინეთის კოლონიალური ერების ამბოხებას იმ ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რომელიც უკანასკნელთა შემდგომ განვითარებას აბრკოლებს. და, ის ქარიშხალი, რომელიც ამჟამად აზიას თავს დასტრიალებს, შეიძლება უახლოეს ხანებში აფრიკასა და სამხრეთ ამერიკასაც გადაედოს.

მაგრამ ამგვარი ზერელე მსგავსება, რომელსაც ვამჩნევთ კაპიტალიზმის საბოლოო ეტაპსა და მისი განვითარების უფრო აღრინდელ სტადიას შორის, ფრიად ჩამოუვარდება იმ ძირითად განსხვავებას, მათ შორის რომ არსე-

ბობს. ეს განსხვავება არის — თანამედროვე საზოგადოებაში მტკიცე და ორგანიზირებული პროლეტარიატის არსებობა. სამრეწველო გადატრიალებამდე აქა-იქ გამოიჩინეს შეკავშირების ცდა, მაგალითად, დლიურად მომუშავეებმა; აქა-იქ ადგილი ჰქონდა პროტესტის ცალკე შემთხვევებს. მაგრამ პროლეტარიატი, საერთოდ, ჯერ არ იყო მტკიცე და ფართო ორგანიზაციისათვის მომწიფებული. პროლეტარი ჯერ კიდევ უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა წერილი ხელოსნისაგან და ვაჭარ-კაპიტალისტის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მათი ინტერესები ხშირად ერთმანეთს ხედებოდა. ჩვეულებრივად, პროლეტარს იმედი ჰქონდა, თვითონ გამხდარიყო წერილი ოსტატი. დლიური მუშების ასოციაციები მე-XVI ს. უმთავრესად მხოლოდ იმას სჯერდებოდნენ, რომ ოსტატად გახდომის ეს საჩქევეადილებინათ. გარდა ამისა, არ იყო გეოგრაფიული პირობები მასიური ორგანიზაციების შექმნისათვის იმის გამო, რომ მუშები დაქსაქსულნი იყვნენ სოფლად და მის მიდამოებში გაფანტულ სხვადასხვა საწარმოებში.

მაგრამ არც მე-XIX საუკუნეში ყოფილა საესებით მომწიფებული პირობები მუშათა მსხვილი ორგანიზაციების შესაქმნელად, მიუხედავად იმისა, რომ საქარხნო მრეწველობამ მკაცრი საზღვარი გააგეო დაქორავებულ მუშასა და მწარმეს შორის და მუშებს თავი მოუყარა ქარხნებსა და ქალაქებში, სადაც მათ ერთმანეთთან სიახლოვეს ამგვარი ორგანიზაციების დაარსებისათვის ხელი უნდა შეეწყო. მუშათა უმეტესობა შედგებოდა გლეხებისაგან, რომელნიც ის-ის იყო მიწას მოწყვეტილიყვნენ და წერილი ხელოსნებისაგან, რომელთაც ის-ის იყო თავისი სახელოსნოები მიეტოვებინათ. მათს იდეალებს წარსულში ჰქონდა ფესვები. ისინი გაშმაგებულნი ეყუთებოდნენ მთელ ამ ახალ წყობილებას, ამბობებდას აწყობდნენ მანქანების, ფაბრიკებისა და ქალაქთა წინააღმდეგ, რომელნიც ყველა თანამბრად სძულდათ. ეს ტენდენციები გამოიხატა ლუდიტების¹⁾ მოძრაობაში. პერიოდულ ბეჭდვით სიტყვაში ამ აზრებს ჰქადაგებდა კობეტი, ხოლო თავის ნაწერებში ამ მიმდინარეობას მხატვრულად გამოხატავდნენ კარლიელი და რეკინი. მსგავსად რუსის ხალხოსნებისა, ეს მოაზროვნენი კაპიტალიზმისაგან ხსნას მოელოდნენ საშუალო საუკუნოებრივი გლეხობის გამოცოცხლებისაგან. მანქანა მათთვის უმსგავსოების სიმბოლო იყო და სილამაზეს წარსულის ფეოდალურ სიუბეში ეძიებდნენ. მაგრამ ოუენისტურმა და ჩარტისტულმა მოძრაობამ ცხადჰყო, რომ ქარხნის მუშების უკვე მეორე თაობას გასჩენოდა უნარი თავისი ნათლად შეგნებული კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლისა. მაგრამ პროლეტარი იტი ჯერ კიდევ მაინც არ წარმოადგენდა ერთფეროვან მასას. ჩარტისტული მოძრაობის დროს მუშები გამოდიოდნენ ხელოსნებთან ერთად. მიმოსვლის თანამედროვე საშუალებათა უქონლობა ადგილობრივ სექციებად ქსაქსავდა მოძრაობას; პროფესიონალურ განაერთებში შედიოდნენ თითქმის მარტო კვალიფიციური მუშების მალაღი ფენები და მათ ვიწრო სექციური და ამქრისებური ხასიათიცი კი ჰქონდათ. ხელმძღვანელობა ვაუბედავი და აბნეული იყო, და თითქმის სრულიად არ ჰქონიათ მთლიანი იდეოლოგია.

¹⁾ ლუდიტები — ინგლისის მუშები, რომელთაც მე-XIX საუკ. დასაწყისში თავისი ხელმძღვანელის ლუდის მეთაურობით დაამტკიცეს მანქანები, რომელშიაც ისინი უმუშეობის მთავარ მიზეზს ხედავდნენ, (რედ. შენ.).

როდესაც მე-XIX ს. შუა წლებში დაარსება იწყო, ნაციონალური მას-შტაბით სერიოზულმა პროლეტარულ ორგანიზაციებმა, კონომიური მდგომარეობა მნიშვნელოვანად იყო შეცვლილი. ახალი „ამალგამირებული“ გპერთიანებანი, რომელთაც მნიშვნელოვანი ფონდები ჰქონდათ და ნებაყოფლობითი შეწირულებანიც ბლომად შესდიოდათ,—რომელნიც 50 და 60-იანი წლების ტრედ-უნიონების ენერგიულ წინამძღოლთა ჯგუფმა დაარსა,—ისეთ ეპოქაში გაჩნდენ, როდესაც ძალიან ხელსაყრელი პირობები იყო მუშათა კლასის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ეს იყო ეპოქა ბრიტანეთის მონოპოლისტური კაპიტალიზმის აყვავებისა, რომელსაც შეეძლო თავისი „ზემოგებიდან“ მუშათა კლასისათვის ცოტა რამ ეწილანდა.

ამგვარ ობიექტურ პირობებში საკვირველი როდია, რომ გილდიური ტრედ-უნიონიზმი, როგორც მას უწოდებენ, ლიბერალურ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გზას დაადგა, ერიდებოდა კლასთა ბრძოლას და ცდილობდა წვრილმან გაუმჯობესებათა მიღწევას. ძველი ტრედ-უნიონიზმის ამ „ამალგამირებულ“ გაერთიანებებში მხოლოდ კვალიფიციურ მუშათა „არისტოკრატია“ შედიოდა. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, რომ ისინი კოლექტიური ხელშეკრულებებისა და გაფიცვების საშუალების მსგავს მასიური ზეგავლენის მოხდენის შემოღების ნაცვლად მიმართავდენ თავის წევრთა რიცხვის შეზღუდვის ამქრისებურ მეთოდებს, შეგირდობის და სამუშაოს განაწილების რეგულიაციას,—იმედი ჰქონდათ რა ამ გზით ხელფასის აწვეის მიღწევისა და სხვადასხვა პრივილეგიის უზრუნველყოფისა. და ამიტომ 80-იანი წლების შემდეგაც კი, როდესაც ნაციონალური მასშტაბის ორგანიზაციებმა პირველად ჩაითრიეს მუშათა ფართო მასები, ობიექტური პირობები ჯერ კიდევ უფრო რეფორმისტებს უწყობდა ხელს, ვიდრე რევოლუციურ ლონისძიებათა მომხრეებს. ამ პერიოდის ეს ახალი „მუშათა საყოველთაო“ კავშირები ცნობილი იყვნენ ახალი ტრედ-უნიონიზმის სახელწოდებით და წევრებად ჰყავდათ არაკვალიფიციური მუშების მასებიც. ამიტომ მათ უკვე აღარ შეეძლოთ ძველი ტრედ-უნიონიზმის მეთოდების გზას გაჰყოლოდნენ, რაც ახალი შეგირდების მიღების მოწესრიგებასა, თავის წევრთა რიცხვის შეზღუდვასა და სხვ. მსგავს მოვლენებში გამოიხატებოდა. როგორც მასიური ორგანიზაციები, ისინი მიმართავდენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა და გაფიცვათა მასიურ მეთოდებს. ამას გარდა, ისინი უფრო ნაკლებად იყვნენ წმინდა „ეკონომიური“ ორგანიზაციები, ვინემ ძველი ტრედ-უნიონები. ისინი პოლიტიკურ მოღვაწეობას უფრო თანაგრძნობით უყურებდენ და ცდილობდენ სახელმწიფო დაეხმარებინათ მუშათა კლასის ცხოვრების დონის აწვეის საქმეში. და ვინაიდან იმხანად ბრიტანეთის იმპერიალიზმი აფართოებდა თავის სამფლობელოებს და კოლონიებიდან „ზემოგებას“ ლებულობდა, ამით პირობები ხელს უწყობდა რეფორმისტული პოლიტიკის წარმატებას. მართალია, რომ ბრიტანეთის მუშათა კლასში არსებობდა კვალიფიციური მუშების არისტოკრატია, რომელიც კარგ ხელფასს ლებულობდა და გაერთიანებული იყო მდიდარ, კარ-ჩაკეტულ ტრედ-უნიონებში, მაგრამ დანარჩენ მსოფლიოს მუშებთან შედარებით ბრიტანეთის მთელ მუშათა კლასი, მთლიანად აღებული არისტოკრატიას წარმოადგენდა. მე-XIX ს. განმავლობაში ბრიტანეთის მუშათა კლასის რეალურ

ბელფასმა დაახლოებით ერთი-ოთხად იმატა, მუშათა რიცხვი კი ამ დროის განმავლობაში ერთი-ორად და მეტად გაიზარდა. საერთოდ კი, ბრიტანეთის მუშათა კლასის ცხოვრების დონე მე-XX ს. დამდეგს ერთი-ორად უფრო მაღალი იყო, ვიდრე კონტინენტალურ ქვეყნებში. ინგლისი 80-იან წლებში სწერდა: „ბრიტანეთის პროლეტარიატი ახლა წინ აღარ დაიძვრის: იგი თავის კალაპოტს მხოლოდ მაშინ გადასცდება, როდესაც ბრიტანეთი თავის სამრეწველო მონოპოლიას დაჰკარგავს“.

ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ბრიტანეთის „სამრეწველო მონოპოლია“ ახლა ძლიერ შერეულია და ბრიტანეთის პროლეტარიატი უკვე შორს გადასცდა თავის კალაპოტს“ ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალიზმი სწრაფად იზრდება და მსოფლიოს ყველა კუთხეში ეზიდება თავის საქონელს. იგი მსოფლიო კრედიტორად იქცა და ამ გარემოებამ კი ბრიტანეთს სამრეწველო ქვეყნებს შორის მეორე ადგილი მიუჩინა და მის იმპერიალისტურ ბატონობას და მხობას უქადის. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამერიკელი მუშის შრომის ნაყოფიერებამ 40-50%-ით იმატა, ინგლისში კი, საერთოდ, არა გვეგონია, ნაყოფიერება გაზრდილიყოს. ჩვენ ვხედავთ, თუ რა სწრაფად მიდის წინ ტენიკის პროგრესი და როგორ ვითარდება კაპიტალის კონცენტრაცია ამერიკაში. მაშინ როდესაც ინგლისში ამ პროგრესს ადგილი არა აქვს. იმავე დროს ოშმა დააჩქარა ნაწილობრივი ინდუსტრიალიზაცია ისეთი კოლონიალური ქვეყნებისა, როგორც არიან ჩინეთი და ინდოეთი. ამან და კოლონიალური ნაციონალიზმის თანდათანმა ზრდამ ბრიტანეთის იმპერიალიზმს შეუმცირა შესაძლებლობა კოლონიათა ექსპლოატაციისა და მათგან „ზემოების“ გამოქაჩვისა. რაკი ბრიტანეთმა მონოპოლია დაჰკარგა, ბრიტანეთის პროლეტარიატის მოძრაობაც ისეთს ფორმებს ლებულობს, რომელიც ნაკლებ გასაავალს უქადის რეფორმისტების მეთოდებს.

ბრიტანეთის პროლეტარიატის მიერ მუშათა არისტოკრატის მდგომარეობის დაკარგვა და მუშათა ფართო მასებში რევოლუციონური ტენდენციების ზრდა, ერთის მხრივ და კოლონიალურ ნაციონალური რევოლუციის მუქარა მეორეს მხრივ, აი, ის სრულიად ახალი პერსპექტივები, რომელიც თანამედროვე ბრიტანეთის წინაშეა გადაშლილი.

ბატი—8, 11, 15, 19, 24, 27, 34, 44.
 ბიგლონი—19.
 „Alvan., A.—10.
 „აქრაჰამ.—შეკალფ“—82.
 აბრეშუმი—105.
 ავსტრია—2.
 ავტონომია—16, 33, 46.
 ავტორიტეტი, მეფის—18.
 აზია—140.
 აზნაური—81;—წერილი—80.
 აღბანსი—19, 27.
 „აღსიფერი ვარდი“—2, 68.
 აღყა—9, 20, 45.
 ამბოხება—18, 19, 23, 27, 86, 109, 110, 140, 111.
 ამერიკა—69, 103, 120, 230, 140.
 ამერიკის აღმოჩენა—76;—შეერთებული შტატები—70, 131, 133.
 ამიენი—23.
 ამსტერდამი—46, 66.
 ამხანაგობა კარაჰაეტილი—57, 88.
 ამხანაგობანი მუშათა—87;—ოჯახური—130—ტიურდოთა ეპოქის—16.
 ანარქისტული მისწრაფებანი—18.
 ანდერსენი—67
 ანტაგონიზმი—13.
 ანტეკუპენი—36, 46, 66, 67, 76.
 არისტოკრატია—23, 24, 31, 37, 43, 47, 48, 49, 55, 63, 103, 104, 112, 119;—ახალი—2, 62, 73, 101;—ვიცია—2;—მუშათა—142, 143;—ტიურდოთა—2;—ტორების—105;—ფეოდალური—38, 63;—ქალაქის—48.
 Argumentum ad homines—65.
 არკაიტი—137.
 Arti Magiores—56.
 არჰიეპისკოპოსი—19, 36;—კენტერბერის—68.
 Ashley—5, 7, 11, 17, 30, 31, 32, 42, 52, 53, 54, 55, 60, 100.
 ასოციაცია, მუშათა—36.
 ატლანტის ოკეანე—24, 37, 107.
 აუგსბურგი—114.
 აფრიკა—72, 133, 134, 138, 140.
 აქვიენლი, თომა—11.
 აღებ-მიცემობა—125.
 აღნოსაველეთი—24, 48, 61, 76, 125.
 ახალშენი—ტილოს მქსოველთა—109.

აჯანყება—23, 45, 49, 56, 58.
 ბაბტისტები—106.
 Bachelors of plomen—96.
 ბახარი—7, 11...—აბიგდონის საბატლონი—9;—ადგილობრივი—64, 74, 76, 93, 100, 111, 115, 118;—ეროვნული—50, 60, 70, 71, 72, 73, 100, 113, 115, 118;—კოლონიალური—74, 135;—ლივერპულის—118;—ლონდონის—118;—მანჩესტერის—110, 118;—მატყელის—36;—მუდის—36;—მომარაგების—135;—მომგებანი—73;—მსოფლიო—118, 128, 137;—ოქროსი—124;—პროვინციალური—118;—საგარეო—117;—სახლავარჯეთის—107;—უცხოეთის—76;—ფელის—125;—ქალაქის—20, 34, 61, 73.
 ბახელი—36.
 ბახრობა—7, 14, 15, 17, 34, 31, 32, 35.
 ბალანსი გაცულა-გმოცულის—29, 30;—საბახრო გარიგების—29;—სავაჭრო—76.
 ბალტის ზღვა—37, 66.
 ბანკი—130;—გერმანიის—134;—დრესდენის—134;—საკრედიტო—130.
 ბანკირი—47, 53, 76, 104, 114, 134.
 ბაიი—14, 15, 35, 55, 118, 135;—კალაზე—84;—მატყელზე—66;—საბახრო—29;—ფელის მოქრის—82, 83;—ხე-ტყეზე—106.
 ბარბაროსი სანაპირო—117.
 Bateson, M.—8.
 ბატი—35.
 ბატონი—1, 1, 42, 80.
 ბატონეშობა—116.
 ბეგარა, მონასტერ-საბატოთა სასარგებლოდ—6.
 ბევერლი—55, 56.
 ბეკეტო, თომა—67.
 ბეკონი—101.
 ბენედიქტელები—9.
 ბერგენ-ოპ-ზოლომ—67.
 Berglund, J. S.—130.
 ბერები—7, 10, 15, 19, 34, 20.
 ბერვიკი—80.
 Berks, V. C. H.—9.
 ბერკშირი—9.
 ბერლინი—114, 138.
 ბესემერი—136.
 ბიანკინი—123, 124.

ბილი—28.
 ბიგუი—8.
 ბირ ინჰანი—7, 109, 129, 135, 136.
 ბირა, სავაქრო—F3.
 ბისმარკი—114, 184, 186.
 ბლენიზდერი—131.
 „ბლენიზდერის ერა“—134.
 ბლენკტი, ტომას—60.
 ბლოკაა—27.
 ბლოკი—140.
 Bodensin, C. A.—127.
 ბოუი—23.
 ბონ-ბროკი, ენ—41, 42.
 ბოლინი, ანს—70.
 ბოლტონა—122.
 ბოლტონის-საბატო—9.
 ბორჯია—49.
 Brailsford—121.
 ბრანდენბურგი—86.
 ბრანდტი—45.
 Bremner N. C. H.—79.
 Brentano—27, 40, 43, 45, 52, 54.
 Brisco—103.
 ბრისტოლი—20, 34, 35, 56, 57, 60, 60.
 ბრიუე—41, 46, 47, 66, 67.
 ბრაუსერი—57.
 ბრიკსორტი—31.
 ბრიტანეთი—127, 128, 133, 134.
 ბრიჯნორსი—8.
 ბროლი—22, 23, 24, 27, 33, 39, 44, 45, 67, 68, 70, 101, 109; —კლასობრივ ინტერესების—141, 142; —ქალაქი—1.
 ბროლის ფორმა ინგლისური—2.
 Bucher—10.
 ბუნებრივი განაწილება—78.
 „ბუნებრივი ღირებულება“—40.
 ბურენდია—8.
 ბურელი—69.
 ბურეუზია—1, 21, 103, 114, 123, 181; —ინგლისის —1; —კოლონიალური—140; —ლიბერალური—142; —სავაქრო—2.
 ბურფორდი—20.
 Buttes—23, 43.
 შადანადი—17; —სამთამადნო—82; —შესასვლელი—32, 68, 98.
 გადსახადთა აკრება, ოჯართ—48.
 გადსახადთა შემოსავალი—27, 28, 52, 68, 98, 98.
 გადსახადება, ხალხთა—5.
 Gawsdon and Keane—63, 105.
 გალვანი—28.

გალერეოი—116.
 Galloway—79.
 გამოგონებანი—113, 117, 121, 123, 115.
 გამოსაღებანი—14, 15, 17, 27, 54, 118.
 გამოსვლა, შეამბო ხური—20.
 გაუყიდვლი—64, 65.
 განარნიზონი, ლორდის—6.
 განარნიზონებით გამაგრებული პუნქტები—6.
 Gaskele—111, 121, 125, 126.
 გაფიცვა—45, 100, 110.
 გაყიდვა ცალობითი—31, 40.
 გაყვლა-გამოყვლა—27.
 გვი ეა—117.
 გენერლები, სავაქრო კამპანიების—107.
 გენტი—41, 45, 46.
 გერმანია—2, 36, 37, 46, 65, 79, 113, 114, 129, 130, 134, 136.
 გეტ ჰედი—80.
 გეოლოგები—49.
 გიბელინი—49.
 გილდი (gilden)—2, 6, 12, 16, 22, 23, 26, 30, 32, 40, 42, 44, 48, 52, 53, 54, 57, 60, 64, 71, 82, 95; —ადგილობრივი—63, 71, 114; —ადრინდელი—28; ვაქართა—14, 15, 16, 19, 27, 28, 33, 50, 52, 53, 54, 57, 64; —კასტორის ქულის შეკრავთა—93; —მუდის ვაქართა—57; —მეზრავთა—50, 58; —რიდინგის—53; —საბასლო—14, 16; —სტიუარტთა ეპოქის—94; —გილდია ტრედმორთა ეპოქის—93; —ქალაქის—29, 40, 86, 96; —ხელისნთა—48, 51, 52, 54, 57, 59, 61, 64, 70, 71, 95.
 გილდიათა ვაქრობა—18.
 გილდიელი მონოპოლისტი—40.
 გილდის ვაქრები—49; —ოქონსიკიცია—22; —მამასილისები—15; —მზარაუკლობა—96; —უფლება—26; —წყვერები—22, 27, 28, 54, 58, 65.
 გილკროსტი—138.
 გინეა (ოქროს ფული) 124.
 გინეესი—10.
 გირაო—80.
